სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამარ ლეკაიძე

თუშეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა XX საუკუნის 20-80-იან წლებში

ისტორიის დოქტორის(Ph.D) აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
ისტორიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი **ბეჟან ხორავა**

ისტორიის დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი **გიორგი გოცირიძე**

თბილისი – 2024

შინაარსი

შესავალი..... 3

თავი I. თუშეთი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

§1. თუშების საცხოვრისის გეოგრაფიული არეალი 20

§2. რუსეთის იმპერიული პოლიტიკა თუშეთში XIX – XX საუკუნეებში..... 24

§3. თუშეთის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე 33

თავი II. თუშეთის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XX საუკუნის 20-50-იან წლებში

§1. წინასაკოლმეურნეო მდგომარეობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და საკოლმეურნეო მშენებლობა თუშეთში XX ს. 20-30-იან წლებში 38

§2. ზემო ალვანის და ქვემო ალვანის სოფლებად გაშენება 53

§3.საკოლმეურნეო მშენებლობა თუშეთში XX საუკუნის 40-50-იან წლებში..... 60

თავი III.პოლიტიკური და საზოგადოებრივი მდგომარეობა თუშეთში XX საუკუნის 20-40-იან წლებში

§ 1. პოლიტიკური რეპრესიები XX საუკუნის 30-იან წლებში..... 69

§ 2 . ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „სამანი“..... 81

თავი IV. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XX საუკუნის 50-80-იან წლებში

§1. თუშური ცხვარი და მასთან დაკავშირებული პრობლემები 135

§2. საქართველო-დაღესტნის საზღვრისპირა პრობლემები 140

§3. ,,განახლებული თუშეთი“ 146

თავი V. თუშეთის საგანმანათლებლო და კულტურული ვითარება XX საუკუნის 20-80-იან წლებში

§1. განათლება 153

§2. კულტურა 158

დასკვნა 164

ბიბლიოგრაფია 171

შესავალი

თემის აქტუალობა. საქართველომ თავისი არსებობის მანძილზე ურთულეს ისტორიულ კატაკლიზმებს გაუძლო და სახელოვანი ისტორია შექმნა. როგორც ქვეყნის, ისე მისი ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული//ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ობიექტური შესწავლა ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მთიანი რეგიონების საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების მონოგრაფიული კვლევა.

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი და ძირითად პრიორიტეტებად მიჩნეულია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ქვეყნის რეგიონალური მოწყობის ტრადიციული გამოცდილების გაზიარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფოებრივ მშენებლობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო საზღვრების დაცულობის საკითხი, პრობლემა კიდევ უფრო მასშტაბური ხდება. ამის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისტორიული გამოცდილების ცოდნა საქართველოს კუთხეების ეკონომიკურ თავისებურებათა შესახებ მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა თუშეთი. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, რომელიც კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადაღმა მდებარეობს. მართალია, მისი შესწავლით სხვადასხვა ეპოქის არაერთი მეცნიერი დაინტერესებულა, ცალკეული საკითხიც ფართოდ და სრულყოფილად შეუსწავლიათ, მაგრამ დღეისათვის არ არსებობს ერთიანი მონოგრაფიული გამოკვლევა საბჭოთა პერიოდის თუშეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებ. საბჭოური რეჟიმი, თავისი ოფიციალური იდეოლოგიით – მარქსიზმ-ლენინიზმით დიდწილად გამორიცხავდა ობიექტური ისტორიოგრაფიული ნაშრომების შექმნას, ხოლო შექმნილში კი რიგი საკითხები, ფაქტობრივად, ცალმხრივად იყო გაშუქებული და წარმოჩენილი.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო ისტორიოგრაფიის ახალი ხანა, მკვლევართა ამოცანა გახდა წარსულში დაშვებული შეცდომებისა თუ ნაკლოვანებების გამოაშკარავება, ამა თუ იმ საკითხის ახლებურად დანახვა და წარმოჩენა. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ. ქართველი მეცნიერების წინაშე დადგა ჩვენი ქვეყნის ახალი და უახლესი ისტორიის აქტუალური პრობლემების გაშუქების, მათი ობიექტური კვლევის აუცილებლობა, რასაც ხელს უწყობს ტოტალიტარული და ავტორიტარული სისტემის დემონტაჟი; სახელმწიფო არქივების გასაიდუმლოებულ ფონდებში მოქცეული მნიშვნელოვანი შინაარსის დოკუმენტების გახსნა, მათი ხელმისაწვდომობა მეცნიერ-მკვლევართათვის და დაინტერესებული საზოგადოებიათვის.

დღეს უაღრესად მნიშვნელოვანია თუშეთში განვითარებული მოვლენების ღრმა მეცნიერული ანალიზი, პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, ზოგიერთი ფაქტის გამოაშკარავება, ზოგიერთი მოვლენის ახლებურად გააზრება, ჩვენება იმისა, თუ რა საფრთხე შეუქმნა საბჭოთა ტოტალიტარულმა სისტემამ თუშეთის ტრადიციულ კერძო მესაკუთრულ მეურნეობას, რაც გამოვლინდა საზოგადოების განვითარების პროცესის შეფერხებაში, მოსახლეობის ერთმანეთთან დაპირისპირებაში, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაუცველობაში.

თუშეთის ცხოვრებაში მესაქონლეობას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მეცხოველეობა აქ უძველესი და ტრადიციული დარგი იყო და მას განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა არა მარტო მოსახლეობის დაკმაყოფილებასა და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის წინსვალაში, არამედ გარკვეულწილად მასზე იყო დაფუძნებული მხარის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. მაგრამ საბჭოთა რეჟიმის პერიოდში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა თუშეთის მეურნეობრივ სისტემას მრავალჯერ შეუცვალა ბუნებრივი იერსახე, რამაც კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააგდო თუშეთის ტრადიციული კერძო მესაკუთრული მეურნეობა, კერძოდ, მეცხოველეობა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ძალზე შემცირდა ცხვრის სულადობა და პროდუქტიულობა.

ცხვრის სულადობის ზრდაზე ორიენტირებული საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის პირობებში, მეურნეობის ტრადიციული წესი დავიწყებას მიეცა. ჭარბი და უსისტემო ძოვების გამო, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის საძოვრები. დღეისათვის თუშეთის სამეურნეო ფართობის უმეტესი ნაწილი ძლიერ ეროზირებული და დამეწყრილია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია წარსულში სახნავ-სათესად, ამჟამად საძოვრად გამოყენებული მიწის ფართობები. ტრადიციული მეურნეობის მოსპობამ ცხოვრების თუშურ წესშიც შეიტანა ცვლილებები. ხალხმა ხელი აიღო ხელი ხვნა-თესვაზე და მთლიანად მომთაბარე ცხოვრების წესზე გადავიდა, რამაც პრობლემა შეუქმნა არა მხოლოდ თუშეთს, არამედ მთლიანად ქვეყანას, რაც სახელმწიფოს საზღვრის დაცულობის პრობლემაში გამოვლინდა. საფრთხე დაემუქრა დაცარიელებული თუშეთის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას.

XX საუკუნის 60-იან წლებში თუშეთში დაიწყო დაღესტნელი მესაქონლეების ჩამოსახლება. ისინი სარგებლობდნენ იმ გარემოებით, რომ თუშეთი მოსახლეობიგან თითქმის დაცარიელებული იყო. დღესაც კი დაღესტან-საქართველოს საზღვარზე მდებარე მთა – დიკლო კვლავ დავის ობიექტია რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის. უფრო სწორად, სადავო ისაა, თუ რომელ ხეობაზე გაივლის სახელმწიფო საზღვარი. რუსეთის ფედერაცია, რასაკვირველია, ცდილობს საქართველო-რუსეთის სასაზღვრო ხაზის მისთვის სასურველ მონაკვეთზე გავლებას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიმდინარე მიგრაციულმა პროცესებმა საქართველო ამ მხარის გარკვეული ნაწილის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დააყენა.

ამდენად, XX საუკუნის 20 – 80-იანი წლების თუშეთის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება დღემდე მონოგრაფიულად შეუსწავლელია. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი დაინტერესება ამ თემით. ნაშრომში განხილული ფაქტები და მოვლენები, მათი შეფასება, არის მცდელობა მეტი სიცხადის შეტანისა აღნიშნული პრობლემის სიღრმისეული დამუშავების კუთხით.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს შეადგენს XX ს. 20-80-იან წლებში თუშეთის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების კომპლექსური შესწავლა არსებული და განსაკუთრებით, დღემდე უცნობი

საარქივო მასალების საფუძველზე, რამაც საშუალება მოგვცა ახლებურად გაგვეანალიზებინა ანტიმეცნიერული „კომუნისტური ექსპერიმენტების“ უარყოფითი გავლენები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, იდეოლოგიზებული ეკონომიკის უარყოფითი მხარეები თუშეთის მაგალითზე და წარმოგვეჩინა საკვლევი პერიოდის რეალური, არაიდეოლოგიზებული სურათი. დისერტაციაში ობიექტურად აისახა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული „სოციალური გარდაქმნების“ შედეგად შექმნილი ვითარება თუშეთში, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო საკუთრების საკითხის გარკვევას, მასთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქებას, რადგან ქვეყანაში გატარებულ გარდაქმნებს შედეგად მოჰყვა ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება, მიწის ნაციონალიზაცია, მესაკუთრეთა კლასის განდევნა ან ფიზიკური განადგურება, პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციისა და სამღვდელოების შევიწროვება.

ნაშრომში ყურადღება გამახვილდა მოსახლეობის კერძო მესაკუთრული სოფლის მეურნეობის ლიკვიდაციის მიზეზებზე, საკოლმეურნეო მშენებლობაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რა ნეგატიური როლი შეასრულა კოლექტივიზაციის პროცესმა თუშეთში მესაქონლეობის, განსაკუთრებით მეცხვარეობის დაქვეითების საქმეში. დიდი ადგილი დაეთმო თუში ხალხის მიგრაციის პროცესის ჩვენებას მთიდან ბარში და ხალხისგან დაცარიელებულ თუშეთში დაღესტნელი მესაქონლეების დასახლების საკითხის ანალიზს, რამაც საფუძველი მოუმზადა თუშეთის ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიებისა და სასაზღვრო საძოვრების დაკარგვას, სასაზღვრო ტერიტორიაზე (ჭერო და ინწუხი) დაღესტნელთა სოფლების შექმნას.

ნაშრომში, წყაროებისადა სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გამოკვლეულია და მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კოლექტივიზაციით უკმაყოფილო თუშების ჩაბმას ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში და მათ ტრაგიკულ ბედს; ხაზგასმულია,რომ აღნიშნული ეპოქის თუშეთის ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვანია არა მარტო რეგიონალური, არამედ სახელმწიფოებრივი ისტორიის შესწავლისათვის.

განხილული პერიოდის თუშეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების, მათ შორის, თუშეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საფუძვლიანად შესწავლას დიდი სამეცნიერო-

შემეცნებითი და გარკვეულწილად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემის გაანალიზებისათვის, ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესს.

ამრიგად, ნაშრომში გაშუქებულია თუშეთის ისტორიის ის მონაკვეთი, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს XX საუკუნის 20-80-იან წლებს, გამოვლენილია დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საბჭოური სოციალიზმის პირობებში.

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია შესაბამისი სამეცნიერო საისტორიო წყაროების, საარქივო დოკუმენტური მასალებისა და მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე XX საუკუნის 20 – 80-იანი წლების თუშეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის შესწავლა და ობიექტური შეფასება, საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის რეალური სახის ჩვენება, რომლის იდეოლოგიურმა პოლიტიკამაც წარუშლელი კვალი დააჩნია საქართველოს მთიანი რეგიონის, კერძოდ, თუშეთის განვითარებას.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ამ პერიოდის თუშეთის ისტორიის თითოეული ეტაპი კომპეტენტურ ანალიზს, სისტემურ მუშაობას და რეინტერპრეტაციას მოითხოვს. არსებობს უამრავი გამოსაკვლევი და განსახილველი საკითხი თუშეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებ. ცნობილია, რომ თუშეთის ერთ-ერთ დამახასიათებელ ფაქტორად შეიძლება ჩავთვალოთ გეოგრაფიული მდებარეობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მეურნეობის განვითარებისთვის. საუკუნეების განმავლობაში თუშებს მეცხოველეობის განვითარებით მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ამიტომ აღნიშნული ეპოქის თუშეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა ამ კუთხის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების დახასიათების გარეშე არ იქნება სრულყოფილი.

თუშეთი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. იგი მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადაღმა, მის ჩრდილოეთ კალთებზე. თუშეთის გეოგრაფიული აღწერილობა დაწვრილებით მოგვცა ვახუშტი ბატონიშვილმა. მისი ნაშრომის მიხედვით *„თუშეთი არს ორ ხევად და მდებარეობს*

ჩრდილო-დასავლეთის შუადამ აღმოსავლეთ-სამხრეთს შორის....“ (**ბატონიშვილი ვახუშტი, 1973:553**). გომეწრის ხევი აერთიანებს წოვათასა და გომეწრის თემებს, ხოლო პირიქითის – პირიქით და ჩაღმა თემებს. თუშეთის სამხრეთი საზღვარი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე გადის, რომლის სიგრძე 50 კმ-ია, აღმოსავლეთის საზღვარი მთავარი ქედიდან შავი კლდით მიუყვება თხემებს, რომელზეც განლაგებულია მწვერვალები და უღელტეხილები. აქედან საზღვარი გადადის თუშეთის ალაზნის მარცხენა მხარეს და გაივლის დიდოთა ბოსლებზე, ჭეროში. ჩრდილო საზღვარი, რომელიც თუშეთს გამოჰყოფს ქისტეთისგან, პირიქითის ქედია, რომლის სიგრძე 52 კმ-ია, თუშეთსა და ხევსურეთს შორის მდებარე ქედი დასავლეთი საზღვარია, რომლის სიგრძე 19 კმ-ია.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში მთიან რეგიონებს, მათ შორის, თუშეთს, შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს. ბუნებრივი შერჩევის გზით თუშებმა გამოიყვანეს მსოფლიოში ცნობილი ცხვრის ჯიში, რომელიც მაღალი ხარისხის მატყლსა და ხორცს იძლევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაღალი ცხიმიანობის შემცველი ყველი, რაზეც საქართველოში დიდი მოთხოვნილებაა. ყოველივე ეს მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

საუკუნეების განმავლობაში თუშეთის გეოგრაფიული მდებარეობა აიძულებდა ამ მხარის მკვიდრთ, თუშებს, თვითონვე უზრუნველეყოთ არა მარტო საკუთარი თავის დაცვა, არამედ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრის დაცვის ფუნქციაც ეკისრათ. იგი იმდენად ახლოსაა დაღესტანთან, ჩეჩნეთსა და ინგუშეთთან, რომ ეს რეგიონები, სხვადასხვა დროს, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ერთიან ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ სივრცეში მოიაზრებოდნენ. მართალია, თუშეთის ურთიერთობა ჩრდილოელ მეზობლებთან ყოველთვის ერთნაირი არ იყო და არცთუიშვიათად ადგილი ჰქონდა ურთიერთთავდასხმებსა და ძარცვა-რბევას, მაგრამ კეთილმეზობლური და ეკონომიკურ-კულტურული დამოკიდებულება არასდროს გაწყვეტილა. სახნავ-სათესი ფართობის სიმცირე და მკაცრი ბუნებრივი პირობები აიძულებდა ერთმანეთთან ურთიერთობა ვაჭრობითა და სხვა საშუალებებით განეხორციელებინათ.

საბჭოთა რეჟიმის პერიოდში მთავრობის მიერ უყურადღებოდ დარჩენილი თუშეთი მძიმე ეკონომიკური და ბუნებრივი პირობების გამო მოსახლეობისგან თითქმის დაიცალა, დაცარიელებულ თუშეთის ტერიტორიაზე დაღესტნელებმა დაიწყეს ჩამოსახლება. დაღესტნის საზღვართან, ორი სოფელი – ჭერო და ინწუხი თუშ მწყემსებს საზაფხულო საძოვრებად ჰქონდათ. ეს ადგილი მეფის რუსეთის არმიის გენერალური შტაბის 80-იანი წლების რუკაზეც საქართველოს ტერიტორიად არის აღნუსხული, ოღონდ სოფლები დაფიქსირებულია არა საცხოვრებლად, არამედ საძოვრებად.

მართალია, საქართველო-რუსეთის (დაღესტნისა და ჩეჩნეთის) მონაკვეთებს ქართველი მესაზღვრეები იცავენ, მაგრამ რუსეთმა თვითნებურად საზღვარი 3კმ-ით კიდევ გადმოსწია და თუშეთში დიკლოს მთის მიმდებარე ტერიტორია მიისაკუთრა. ამას ხელს უწყობს მთაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რის გამოც მოსახლეობის მიგრაციის მაჩვენებელი მაღალია, რაც საქართველოს საზღვრის დაცვის სისტემას ასუსტებს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართველი ხალხისთვის ერთ-ერთ უპირველეს და ძირითად პრობლემად იქცა კერძო საკუთრების მოსპობა და პირადი მეურნეობის კოლმეურნეობებში თავმოყრა, რამაც დააზარალა და შეაფერხა ეკონომიკის დარგების შემდგომი განვითარება. ეს პროცესი თავის მხრივ უარყოფითად აისახა საქართველოს განაპირა მხარეებზე. წარმოდგენილიკვლევის ერთ-ერთი მიზანი საკუთრების თემასთან დაკავშირებული მდგომარეობის დეტალური შესწავლაა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში, რადგან სწორედ საკოლმეურნეო მშენებლობამ უდიდესი გავლენა მოახდინა თუში ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე, სოფლის მეურნეობაზე, კერძოდ მეცხოველეობის განვითარებაზე, რასაც მოჰყვა მესაკუთრეთა კლასის განდევნა და/ან მათი ფიზიკური განადგურება, ძველი ტრადიციების იერსახის შეცვლა და ახალი სოციალურ-ეკონომიკური წყობილების ჩამოყალიბება. შედეგად, თუშეთის ბევრი სოფელი დაცარიელდა და ნასოფლარად იქცა, ხოლო დაცარიელებული თუშეთის ტერიტორიაზე დაღესტნელმა მესაქონლეებმა იწყეს საქონლის გადმორეკვა და დასახლება. საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების მთელი

რიგი ნაკლოვანებები იფარებოდა სიმკაცრით, სახელმწიფო დიქტატით, ადამიანების ენთუზიაზმით.

XX საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უპირველეს და ძირითად ამოცანად იქცა დაშვებული შეცდომების გამოსწორება. მან თუშეთში სცადა დაზარალებული და შეფერხებული სოფლის მეურნეობის დარგების აღდგენა. დაიწყო ბარისა და მთის თუშეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა, დაწესდა შვეულმფრენით მოსახლეობის რეგულარული მიმოსვლა, ზრუნვა მწყემსების საველე-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ხელს უწყობდა თუშური სოფლების განაშენიანებას, მაგრამ საფუძველშივე შერყეული კერძო მესაკუთრული მეურნეობის აღდგენა საბჭოური რეჟიმის პირობებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო.

კვლევის ობიექტი :კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს XX ს. 20-80-იანი წლების თუშეთის (მთა, ზემო და ქვემო ალვანი) საზოგადოებრივ-პოლიტიკური,სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სფეროები, კერძოდ: წინასაკოლმეურნეო მდგომარეობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და საკოლმეურნეო მშენებლობა თუშეთში XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ზემო და ქვემო ალვანის სოფლებად განაშენიანება, საკოლმეურნეო მშენებლობა თუშეთში XXსაუკუნის 40-50-იან წლებში, პოლიტიკური რეპრესიები XX საუკუნის 30-იანწლებში, ანტისაბჭოთა ორგანიზაცია *„სამანი“*, თუშეთის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XX საუკუნის 50-80-იან წლებში, საქართველო-დაღესტნის საზღვრისპირა პრობლემები, თუშეთის საგანმანათლებლო და კულტურული ვითარება XX საუკუნის20-80-იან წლებში. უფრო კონკრეტულად:

1. შესწავლილია კერძო მესაკუთრული სოფლის მეურნეობის ლიკვიდაციის გავლენები თუშეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე სტატისტიკური მაჩვენებლების საფუძველზე.
2. გამოკვლეულია ბარში თუშთა მასობრივი ჩამოსახლების მიზეზები, რამაც გამოიწვია თუშეთის დაცარიელება და ნასოფლარად ქცევა, ხოლო უფუნქციოდ დარჩენილი თუშეთის გარკვეული ტერიტორია დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

3. გაშუქებულია დაღესტნელთა მცდელობა მოსახლეობისაგან დაცარიელებული თუშეთის დაუფლებისათვის და საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მიერ საშიშროების სალიკვიდაციო ღონისძიებების დროულად განხორციელების საკითხები.
4. გაანალიზებულია კოლმეურნეობების შექმნით უკმაყოფილო თუშების ანტისაკოლმეურნეო საქმიანობის, II მსოფლიო ომის პერიოდში თუშეთში ანტისაბჭოთა ორგანიზაცია *„სამანის“* ჩამოყალიბებისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიზეზები.
5. დამუშავებულია წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელებისა და სავალდებულო სასკოლო განათლების დამკვიდრების საკითხი.

ქრონოლოგიური ჩარჩო.ნაშრომი ქრონოლოგიურად XX საუკუნის 20-80-იან წლებს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მის დასასრულამდე პერიოდს მოიცავს.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა.თემის დასამუშავებლად საჭირო წყაროთმცოდნეობითი ბაზა საკმაოდ მრავალფეროვანია. ზოგიერთი ქართველი, უცხოელი მოგზაურისა თუ მეცნიერის ნაშრომებსა და ჩანაწერებში უამრავი მასალაა შემონახული თუშეთისა და თუშების შესახებ. ისინი უმთავრესად იმ დროს მოგზაურობდნენ, როდესაც თუშეთი კომპაქტურად იყო დასახლებული და ტრადიციული ცხოვრება უწყვეტად მიმდინარეობდა. თუშეთის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ვახუშტი ბაგრატიონმა [**ბატონიშვილი ვახუშტი,**1973]. მან პირველმა აღწერა თუშეთის ბუნება, გეოგრაფიული მმდებარეობა, საზოგადოებრივ-ეკონომიკური მდგომარეობა.

საგანგებოდ გამოვყოფთ თუშეთში მოქმედი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის *„სამანის“* საქმიანობის ამსახველ, როგორც საარქივო, ისე მემუარულ მასალას, აგრეთვე მოსახლეობაში შემორჩენილ მოგონებებს. საკითხის შესასწავლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ფონდებში დაცული დაპატიმრებულთა ჩვენებები, დაკითხვის ოქმები, საგამოძიებო მასალები (შსს არქივი, ფონდი 6, საქმე – # 21725, #421575 , #61111, #20298, #421927, #43737).

მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს თელავის რეგიონალურ არქივში დაცული თუშეთის კოლექტივიზაციის პროცესის ამსახველი მასალები. დოკუმენტებში ძირითადად მოცემულია თუშეთში დაწყებული საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი ეტაპები, გლეხების ანტისაკოლმეურნეო პოზიცია, აგრარული რეფორმის მანკიერებები, „კულაკების“ ქონების ექსპროპრიაციის ფორმები და მეთოდები. დამუშავებულიაშემდეგი საარქივო დოკუმენტები:

1. ზემო ალვანის თემსაბჭო 1924-1935 – ფონდი6;
2. ქვემო ალვანის თემსაბჭო 1925-1935 – ფონდი7;
3. ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა1931-1961 – ფონდი 68;
4. ზემო ალვანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა 1935-1960 – ფონდი 69;
5. ზემო ალვანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა 1935-1950 – ფონდი 70;
6. ქვემო ალვანის „წითელი თუშეთისსახელობის კოლმეურნეობა 1938-1945. ფონდი 72;
7. შენაქოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა 1947-1958 – ფონდი 73;
8. დართლოს „წითელი კავკასიონის“ სახელობის კოლმეურნეობა 1939-1942 – ფონდი75;
9. დიკლოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა 1939-1955 – ფონდი74;
10. ომალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობა 1939-1962 – ფონდი 94;
11. ზემო ალვანის „წითელი წოვათას“ სახელობის კოლმეურნეობა 1935-1938 – ფონდი 123;
12. ომალოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობა 1947-1961 – ფონდი 97.
13. ჭანჭახოვანის „მე-18პარტყრილობის“ სახელობის კოლმეურნეობა 1950-1954 –ფონდი 76.

თუშეთში განხორციელებული მიგრაციული პროცესებისა და მასთან დაკავშირებული სირთულეების შესასწავლად საქართველოს ეროვნულ არქივში გავეცანით ახალი და უახლესი ისტორიის საარქივო დოკუმენტებს (ფონდი 26, საქმე 1421; ფონდი 488, საქმე 23016; ფონდი 2119 ანაწ. 1, საქმე 58; ფონდი 392, საქმე 22; ფონდი 393, საქმე36).

როგორც უკვე აღინიშნა, ნაშრომში ასევე გამოყენებულია მემუარული ჩანაწერები, კერძოდ, საოჯახო არქივი – *გიორგი მაჩაბლიშვილის „მოგონებები“*, რომელშიც აღწერილია ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „სამანის“ საქმიანობა; ზურაბ მურთაზაშვილის *„მურთაზაშვილების გვარის ისტორია XVIII-XX საუკუნეებში“*. დეტალურად შევისწავლეთ კახეთის რეგიონალურ არქივში დაცულითედო ბაინდურაშვილის პირადი არქივი (ფონდი192, საქმე 28, 29, 30), რომელშიც გაშუქებულია საბჭოთა პერიოდის თუშეთის ისტორია, ხოლო თელავის ისტორიული მუზეუმის არქივში გავეცანით გიორგი მელითაურის პირად არქივს (ფონდი 3928, საქმე 79). მასში აღწერილია თუშეთის კულტურულ- საგანმანათლებლო ღონისძიებები და მასთან დაკავშირებული სირთულეები. ეროვნულიარქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში შევისწავლეთ გიორგი ბოჭორიძის პირადი არქივი, ფონდი 1753, საქმე 94.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული საარქივო დოკუმენტები პირველადაა შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში.

სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საკითხებზე არაერთ მეცნიერს გაუმახვილებია ყურადღება. ეს ფაქტორი, თავის მხრივ, მკვლევრებს ეხმარებოდა არა მარტო მასალების სრულყოფილად თავმოყრაში, არამედ ამ კუთხის მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ დასკვნების გამოტანაში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლა, რაც ვახუშტი ბაგრატიონმა დაიწყო. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა აგრეთვე იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა, კვლევა გაგრძელდა XIX საუკუნეში და განვითარდა XX საუკუნეშიც.

XXსაუკუნის 50-იანი წლებიდან ინტენსიურად დაიწყო საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული/ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების შესწავლა. მკვლევრები, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებდნენ სოციალურ, ეკონომიკურ და ეთნოგრაფიულ საკითხებზე. იკვლევდნენ მთიანი კუთხეების მოსახლეობის ცხოვრებისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა მხარეს: მესაქონლეობას, მიწათმოქმედებას, რელიგიას, სამართალს, ჩაცმულობას, ასევე მათ წარმომავლობას.

თუშეთის ყოფა-ცხოვრებას იკვლევდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევარები. ჩვენთვის საინტერესო საკვლევი პერიოდის შესწავლაში დიდი დახმარება გაგვიწია რუსულ ენაზე შესრულებულმა მიხეილ მაჩაბლის ნაშრომმა [**Мачабели**, 1887], სადაც ავტორი საფუძვლიანად აღწერს კავკასიის ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, მათ საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარი ძირითადად ეხება XIX საუკუნეში განვითარებულ მოვლენებს, ნაშრომი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა, სადაც დეტალურადაა აღწერილი თუშეთში არსებული მეცხვარეობის კერძო მესაკუთრული სისტემა და თემში დაწყებული ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი. ნაშრომი დაგვეხმარა ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ პერიოდში განვითარებული მოვლენების საფუძვლიანად გამოკვლევაში.თუშების კახეთის ბარში ჩასახლებასა და მათ სამეურნეო საქმიანობას დეტალურად აღწერს რაფიელ ერისთავი თავის ნაშრომში [**Ერისთავი**,1955]. იგი უძვირფასესი მასალაა თუშეთის ეთნოგრაფიული ყოფის, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის შესასწავლად.

თუშეთის ტრადიციული მეურნეობისა და იქ დამკვიდრებული ადათ-წესების შესახებ ფასდაუდებელი ნაშრომი გამოაქვეყნა პროფესორმა სერგი მაკალათიამ [**მაკალათია,** 1933, მეორე გამოცემა 1983]. ამ მხრივ საინტერესო და საყურადღებოა საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭოს მასალები კახეთისა და თუშეთის სოფლის მეურნეობის შესწავლისთვის (თბილისის საგარეუბნო ზონის სოფლის მეურნეობის შესწავლის წინასწარი ანგარიში).[საწარმოო ძალთა.., 1957], გიორგი ზარდიაშვილის [**ზარდიაშვილი**, 1963], არნოლდ გეგეჭკორის [**გეგეჭკორი,** 1983],ვახტანგ ითონიშვილის [**ითონიშვილი,** 2012; **ითონიშვილი**, 2013], მადონა ქებაძის [**ქებაძე,** 2008], გიორგი ჯალაბაძის [**ჯალაბაძე,** 1986], ალექსანდრე ბენდიანიშვილის [**ბენდიანიშვილი,** 1971], დავით პავლიაშვილის [**პავლიაშვილი,** 2006], ნაშრომები.

XX საუკუნის მკვლევართაგან თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თვით თუშეთის მკვიდრმა მეცნიერებმა, რომელთაც საინტერესო სამეცნიერო კვლევები გამოაქვეყნეს თუშეთისა და თუშების ყოფა-ცხოვრების შესახებ. თუმცა, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მათ „სოციალისტური თუშეთის“ პერიოდი საგანგებოდ არ უკვლევიათ, ისინი, ძირითადად, შუა საუკუნეების ხანისა და XIX საუკუნის თუშეთის ისტორიას, თუშების წარმომავლობას სწავლობდნენ. მიუხედავად ამისა, ეს ნაშრომები

გვეხმარება ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მთელი რიგი საკითხების ღრმად გააზრებასა და საფუძვლიანად შესწავლაში.

ამ მხრივ გამოვყოფთ ვალერიან ელანიძის მონოგრაფიებს გვიანფეოდალური ხანის თუშეთის შესახებ [**ელანიძე**, 1988; **ელანიძე**, 2001]. ავტორი თავის ნაშრომებში მეცნიერულად განიხილავს თუშების ეთნიკური შემადგენლობის და მათი განსახლების, გვაროვნულ-თემური მმართველობის სისტემის, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის საკითხებს; დიდი ადგილი აქვს დათმობილი თუშების იმიერკავკასიის მთიელ მეზობლებთან მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული, სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებს. თუშების ბიოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობები საინტერესოდაა გაშუქებული ბერდო გოიშვილის [**გოიშვილი**, 205] და გიორგი ცოცანიძის [**ცოცანიძე**, 1987; **ცოცანიძე**, 2004] ნაშრომებში. მეტად მნიშვნელოვანია ქეთევან გიგაშვილი-გოცირიძის მიერ 2014 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია *„წოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პროფილი“* [**გიგაშვილი-გოცირიძე**, 2014]. მონოგრაფიაში გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: წოვათუშების საცხოვრისი; წოვათუშების წარმომავლობა, ეთნიკურობისა და ეროვნულობის საკითხები, წოვათუშების ავტოეთნოპორტრეტი. თუშეთის ტურისტული პოტენციალის გამოვლენის საქმეში მნიშვნელოვანია ლევან მარუაშვილის ნაშრომი [**მარუაშვილი**, 1977]. ავტორი მოკლედ, თუმცა საინტერესოდ აშუქებს მასალებს ალპინიზმის, საუღელტეხილო და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტურიზმის მოყვარულთათვის, დეტალურად აღწერს თუშეთის ირგვლივ არსებულ მწვერვალებსა და უღელტეხილებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, თუშების ყოფა-ცხოვრება, ეკონომიკისა და კულტურის განვითარება კარგადაა აღწერილი აბრამ შავხელიშვილის [**შავხელიშვილი**, 2019], ვასილ ლაგაზიძის [**ლაგაზიძე**, 1968] დიმიტრი ბუქურაულის [**ბუქურაული**, 2019] გამოკვლევებში, სადაც მრავალ საკითხთან ერთად ფართოდაა გაშუქებული თუშეთში მეცხვარეობის მდგომარეობის საკითხები. მათ ასევე კრიტიკულად განიხილეს წოვათა თემის ვინაობის საკითხი და წარმოაჩინეს თუშების ოთხივე თემის ისტორია, როგორც ერთი მთლიანობა.თუში ხალხის ყოფა-ცხოვრების შესახებ საინტერესო ნარკვევი გამოაქვეყნა მწერალმა

გურამ ფანჯიკიძემ [**ფანჯიკიძე**, 1982],ასევე საყურადღებოამედეა ბურდულის, ალექსანდრე დაუშვილის, ნათია ჯალაბაძის და ლალი მღებრიშვილის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი[**ბურდული, დაუშვილი...**2018]

თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამეურნეო ყოფის თავისებურებები საფუძვლიანად შეისწავლა გიორგი ბოჭორიძემ. 1993 წელს მისი ნაშრომი გამოქვეყნდა გიორგი ცოცანიძისა და ნანული აზიკურის რედაქციით [**ბოჭორიძე**,1993].იგი კრიტიკულად განიხილავს თუშეთის სოფლების მოსახლეობისაგან დაცარიელებისა და სახნავ-სათესი სავარგულების დამუშავების გადაუდებელ პრობლემებს. ამ მხრივ საინტერესოა ასევე გეოგრაფ გარსევან კურდღელაიძის ნაშრომი [**კურდღელაიძე**,1983]. მასში ავტორი მეტად საინტერესო მასალებს აშუქებს თუშეთის გეოგრაფიისა და , ტოპონიმიის შესახებ.

კოლმეურნეობების შექმნისა და შემდგომში მათი შედეგების საკითხი საბჭოთა პერიოდის მეცნიერების გამოკვლევებში სათანადოდ დამუშავებული არ არის. ისინი არც ისახავდნენ მიზნად საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხების შესწავლას, რადგან ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმი თავისი იდეოლოგიით გამორიცხავდა ამ ღონისძიებების ნაკლოვანებაზე ყურადღების გამახვილებას.

სოფლის მეურნეობაში კოლექტივიზაციის პროცესის საკითხის გასარკვევად მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავს *„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“* ტ. VIII [**საქართველოს**... 1980], თუმცა აქვე ხაზი უნდა გაესვას მასში ფაქტების შერჩევის ტენდენციურობას, რაც კვლევის პროცესში გასათვალისწინებელია. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესის ფორმირება კარგადაა ასახული ალექსანდრე დაუშვილისა და მაყვალა ნათმელაძის ნაშრომში *„საქართველოს უახლესი ისტორია“* [**დაუშვილი, ნათმელაძე,** 2004], საკოლმეურნეო მშენებლობის დრამატული მოვლენები კრიტიკულადაა განხილული ალექსანდრე ბენდიანიშვილის, ალექსანდრე დაუშვილისა და მაყვალა ნათმელაძის ნაშრომში ,,საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში“ ტ. IV [**ბენდიანიშვილი, დაუშვილი, ნათმელაძე,** 2012].ავტორები მდიდარი წყაროთმცოდნეობით ბაზაზე დაყრდნობით განიხილავენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მომხდარ სტრუქტურულ ცვლილებებს. მიუხედავად იმისა, რომ თუშეთის შესახებ კონკრეტული მასალები საერთოდ არაა მოცემული მასში, საკითხისადმი კომპლექსური მიდგომისა და

სიღრმისეული შესწავლის გამო იგი გვეხმარება თუშეთის შესახებ ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესწავლაში.

1931-1939 წლებში საბჭოთა მეურნეობა „უდაბნომ“ დაიწყო სალექციო-სანაშენე საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებდა ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის მკვეთრად აღმავლობას საქართველოში. 1934 წელს დაარსდა საქართველოს სახელმწიფო ჯიშსაშენი თუშური ცხვრისთვის. თუშური ცხვრის ჯიშის შემდგომი სრულყოფის მიზნით არაერთი გამოკვლევა დაიწერა. ამ მხრივ აღსანიშნავია: ალექსანდრე მარქაროვის [**მარქაროვი**, 1925], მიხეილ ივანოვის [**ივანოვი**, 1939], მიხეილ რჩეულიშვილის [**რჩეულიშვილი,** 1953; **რჩეულიშვილი,** 1958], გიორგი როსჩუპკინის [**როსჩუპკინი,** 1958], საქართველოს სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საჯიშე საქმის და საჯიშე წიგნებისინსპექციის მიერ შექმნილი ნაშრომი *„საქართველოს სსრ-ის ცხვრის სახელმწიფო საჯიშე წიგნი“ ტომი* I (1943.).თუშური ცხვრის მეტიზაციის შესახებ საინტერესო ცნობები გაშუქებულია ალექსანდრე ღლიღვაშვილისა და თედო ბურდულის [**ღლიღვიშვილი, ბურდული,** 1990] და ასევე ს. მოსაშვილის [**მოსაშვილი,** 1941] ნაშრომებში. ბოლო პერიოდს პუბლიკაციებიდან უნდა გამოვყოთ თეიმურაზ პაიკაძის ნაშრომი [**პაიკაძე,** 2004]. მასში განხილულია მეცხვარეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის საკვანძო და ძირითადი საკითხები; ახლებურადაა გაშუქებული თუშური ცხვრის წარმოშობისა და ევოლუციის საკითხები, რომლებიც დაფუძნებულია ახალი ციტოლოგიური გამოკვლევების მონაცემებზე. უფრო ვრცლად ზემოთ აღნიშნული საკითხი გაშუქებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწალის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში [**მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის....** 2014], რომელშიც განხილულია, როგორც თუშეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული მდგომარეობა, ისე ამ მხარის ეკონომიკური პრობლემები, ასევე გაანალიზებულია თუშური ცხვრის ჯიშის წარმოშობისა და სადაურობის საკითხი, ასევე სოფლის მეურნეობის, კერძოდ მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები.

ამ ნაშრომებში მეცნიერულადაა დასაბუთებული ახალი ცხვრის ჯიშის პროდუქტიულობის გაზრდისა და ხარისხიანი მაჩვენებლების გაუმჯობესების გზები, რომელიც შეიძლებოდა დანერგილიყო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა

მეურნეობებში. ამასთან, მოყვანილი კვლევის შედეგები, მართალია, ქრონოლოგიურად არ ემთხვევა ჩვენი ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოს, მაგრამ დისერტაციაში დაყენებული პრობლემების კომპლექსურად გაშუქებისათვის, მათ გვერდს ვერ ავუვლით.

ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობის შესწავლა. ამ მხრივ საინტერესოა როსტომ ჩხეიძის ნაშრომები [**ჩხეიძე,** 1992; **ჩხეიძე,** 1995; **ჩხეიძე**, 2021;], რომლებშიც დოკუმენტური წყაროებისა და საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე დეტალურადაა აღწერილი თუშების საქმიანობა ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში. მან პირველმა გამოიკვლია ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრების მოღვაწეობა და მათი ტრაგიკული ბედი. როსტომ ჩხეიძის წყალობით, 1942 წლის შეთქმულებამ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ეროვნული მოძრაობის ისტორიაში. ასევე საინტერესოა გარსევან კურდღელაიძის დოკუმენტური მოთხრობა [**კურდღელაიძე,** 1979], რომელიც, ფაქტობრივად, პირველწყაროა თუშეთში მოქმედი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გასარკვევად. ავტორი დეტალურად გადმოსცემს თუშეთში განვითარებული მოვლენებს. ამ პოლიტიკური მოვლენის ობიექტურად შესწავლა, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციის კრიტიკული გააზრება მნიშვნელოვანია ჭეშმარიტების დასადგენად.

აღსანიშნავია „სამანის“ აქტიური წევრის, არჩილ კიტოშვილის ლექსების კრებული, რომელიც პროფესორ კოტე ჭრელაშვილის თაოსნობით გამოქვეყნდა [**ჭრელაშვილი,** 1998], ასევე ბელა შავხელიშვილის ხელმძღვანელობით გამოქვეყნებული ადამ ალვანელის (ბობღიაშვილი) პირადი არქივი [**შავხელიშვილი,** 2020], სადაც, გარდა პოეტური ნაწარმოებებისა, მოკლედ არის აღწერილი „სამანის“ხელმძღვანელების ბიოგრაფიული ცნობები, მათი პოლიტიკური და შემოქმედებითი საქმიანობა.

აღსანიშნავია ასევე რევაზ კვერენჩხილაძის [**კვერენჩხილაძე, 2011; კვერენჩხილაძე,** 2017] და ნატა თეთვაძის სადოქტორო დისერტაციები [**თეთვაძე,** 2020], სადაც საარქივო დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე გაშუქებულია თუშებისმონაწილეობა ანტისაბჭოთა მოძრაობაში.

კვლევის მეთოდები. აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის შესრულების დროს გამოვიყენეთ როგორც ზოგად-სამეცნიერო (ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია, დადედუქცია, აღწერილობითი და რაოდენობრივი ანალიზი), ისე სპეციალურ-სამეცნიერო (ისტორიულ-შედარებითი, სინქრონული, დიაქრონული, ტიპოლოგიური, სისტემური, ლოგიკური) მეთოდები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია საქართველოს ისტორიის კურსის გამართვისას, სამეცნიერო გამოკვლევებში, მათ შორის, რეგიონების კვლევის თვალსაზრისით; ნაშრომი ღირებულია ასევე საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის, როგორც სპეციალისტებისათვის, ისე არასპეციალისტებისათვის, ასევე სტუდენტებისათვის შესაბამისი პერიოდის თემატური საკითხების შესასწავლად.

ნაშრომის სტრუქტურა. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან. მას დართული აქვს გამოყენებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის (331 დასახელების) სია.

თავი I. თუშეთი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

§1. თუშების საცხოვრისის გეოგრაფიული არეალი

თუშეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადაღმა.მისი საერთო ფართობი 896 კმ^2-ია. იგი ზღვის დონიდან 1650-4493 მეტრზე მდებარეობს.გარსევან კურდღელაიძის აღწერით, თუშეთში 48 სოფელი იყო გაშენებული [**კურდღელაიძე**, 1983:6]. წერილობითი მონაცემებითა და ეთნოგრაფიული მასალებით თუშეთი ოთხი თემისგან ანუ ტერიტორიული ერთეულისგან შედგება: ჩაღმა, გომეწარი, პირიქითი და წოვა. ისტორიულად ოთხივე თემის საცხოვრისი კახეთის მთიანეთის ერთ-ერთი კუთხე- თუშეთი იყო. XIX-XX საუკუნეებში საქართველოში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის მიზეზებით თუშები მთიდან კახეთის ბარში ჩამოსახლდნენ, სადაც გაშენდა სოფლები: ზემო ალვანი და ქვემო ალვანი. თუშები დასახლდნენ სოფელ ლალისყურშიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მრავალი მოსაზრება თუშების მთიდან ბარში ჩამოსახლების შესახებ და ამ ფაქტს პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებით ხსნიან. თუშეთის ისტორიის მკვლევართა ნაწილი ხალხის მიგრაციის პერიოდად XVIII საუკუნეს მიიჩნევს და მიზეზად ქისტ-ლეკების გამუდმებულ თავდასხმებს და სტიქიურ უბედურებებს ასახელებს, მათ შორის ივანე ბუქურაული [**ბუქურაული,** 1897:43], სერგი მაკალათია [**მაკალათია,** 1983:136], ვასილ ლაგაზიძე [**ლაგაზიძე,** 1968:9-10], ხოლო ნაწილი XIX საუკუნის რუსეთის კოლონიურ და ეკონომიკურ პოლიტიკას ვალერიან ელანიძე [**ელანიძე,** 1988: 359-361, გიორგი ბოჭორიძე [**ითონიშვილი,** 2013:82] და სხვა.

როგორც ცნობილია, კახეთის ზამთრის საძოვრებით თუშები შუა საუკუნეებიდან მოყოლებული სარგებლობდნენ და თავიანთი ტრადიციული მეურნეობის ფორმებით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი საქართველოს ბართან, რამაც განაპირობა მეცხვარეობის განვითარების მაღალი დონე. საუკუნეების განმავლობაში ქართლ-კახეთის მეფეები ითვალისწინებდნენ თუშების ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას და ოფიციალური სიგელ-გუჯრებით კახეთის ტერიტორიაზე უმტკიცებდნენ ზამთრის საძოვრებს, კერძოდ, ელდარ-შირაქის და „ალონის“ ველ-მინდვრებს.

სწორედ ამ მოვლენამ განსაზღვრა XVIII ს. II ნახევარში ქართლ-კახეთის მეფეების თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დამოკიდებულება თუშების მიმართ, რაც გამოწვეული იყო კახეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარებით. დაღესტნელი ლეკებისა და ჩეჩნებისაგან შეწუხებული მოსახლეობა ტოვებდა საცხოვრებელ ტერიტორიებს და სხვაგან ეძებდა დასასახლებელ ადგილებს. ხოლო ჯაგნარად ქცეული კახეთის ხეობა იყო კორიდორი მტრისთვის მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასასხმელად. ამ რთულ ვითარებაში თუშების ბარში ჩამოსახლება იქნებოდა ის პოლიტიკური ბერკეტი, რომელიც კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის დაცვის ფუნქციას შეასრულებდა.

ქართლ-კახეთის მეფეების მიერ თუშებისთვის კახეთის ვრცელი ტერიტორიების გადაცემის ფაქტს არგუმენტირებულად ასაბუთებს დავით ალბანელიც: *„პოლიტიკური მიზანი საქართველოს მეფეებისა თუშების საქმეში სუფევდა იმაში, რომ თუშები გაემაგრებინა ბარში თავის სასარგებლოდ. ამგვარად, თუშები საქართველოს მთავრობას ყოველთვის ხელ-ქვეშ ეყოლებოდენ... გარდა ამისა, თუშები ერთგულად და შეუპოვრათ ებრძოდენ საქართველოში შემოსულ მტერს და აგრეთვე ხალისიანათ მისდევენ საქართველოს ჯარებს მტერზე ლაშქრობის დროს... ეკონომიკურ მნიშვნელობას აძლევდენ მეფეები თუშების ბარში გადმოსახლებას და ამით საქართველოს ხაზინას თუშის ნაშრომიც შეემატებოდა.... ამიტომ მისცეს მამული კახეთში და ამ მხარის საქმეები მეზობლებთან ერთად საერთო ინტერესებათ გაუხადეს“*[**ალბანელი,**1897: 911].

სწორედ ამის გამოძახილი უნდა იყოს 1757 წლის 7 თებერვლით დათარიღებული გუჯარი, რომელიც გაუციათ თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-სა.ამ სიგელით მტკიცდება, რომ ალონად წოდებული ადგილ-მამული ადრეც, ე.ი. თეიმურაზ II-ის მამა-პაპის დროსაც თუშებს ჰქონდათ ნაწყალობევი და ქართლ-კახეთის მეფეებიც განმეორებით უმტკიცებდნენ თუშებს აღნიშნულ ტერიტორიას. სიგელში *ნათქვმია: ,,სახელითა ღ-ისათა! ჩვენ-ესეიან დავითიან, სოსლომონიან პანკრატოვმან, საქართველოს მეფედ ცხებულმან პატრონმან, პატრონისშვილმან, პატრონმან ვახტანგ და პატრონმან გიორგიმ და ლევან,- ესე ჟამთა და ხანთა გამოსადეგთ წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენს მამა-პაპათაგან ნამსახურთ და დიდათ ერთგულ ყმასა ჩვენთა სულ ერთობილთ თუშთ დიდათ, პატარათა*

შეგიწყალეთ და გიბოძეთ ალონი, ადგილი ჩვენი სახასო, საღალო სადგომათ და ბალახი საჭმოდ. ისენ რომ ჩვენს მამა- პაპათაგანაც წყუალობად ჰქონდათ და ჩვენც ამრიგად ისე გვიბოძებია. ვინცა ვინ მოხნევდეს საღალოს მიწას, ღალა ჩვენ უნდა მოგვეცემოდეს, და თქვენ როგორც ძველთაგან, ან საბალახე და საფოთლე ერთმეოდესთ, და საკომლო ისე გამოგერთმეოდესთ. ამრიგად ასე წყალობა გვიქნია: საცა ალონის ადგილში სოფელი არ ყოფილიყოს, და დღეს არც ჩვენ დ არც შვილმან ჩვენმან იქ სოფელი არც დაასახლოს და არც ავაშენოთ ჩვენ და არც ალონის ადგილი და მიწა გავცეთ. თქვენთვის და შვილთა თქვენთათვის ამრიგად გვიბოძებია ჩვენად ერთგულებისათვის და სამსახურისათვის სამკვიდროდ. ასე გიბოძეთ, რა გვარადაც ამ სიგელში დაგვიწერია. არ მოგეშალოსთ ჩვენგან და არც სხვათა ჩვენთა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა, ვექილ-ვეზირნო და ყოველნო ჩვენნო მოსაქმენო, თქვენც ასე დაუმტკიცეთ და ნურავინ მოუშლით. დაწერა ბრძანება და ნიშანი ესე თვესა თებერვლის 8 ხელითა მდივნისა ოთარისათა... ამ ორი წიგნის ასლი მივიღეთ თუშებმა ფოცხვერიმ და თათომ, ივანემ, რადგან ამათ წერა არ იცოდნენ. ამათის თხოვნით ელს ვაწერ თავადი დავით თუმანოვი“

[**ხეც**, ფ-Hd, # 10063 „დ“; **ქებაძე**, 2008: 86].

აქვე გვინდა მოვიყვანოთ მეორე სიგელი ერეკლე II-ის, რომელიც დათარღებულია 1781 წლის 12 ენკენისთვის: *,,ჩვენ მაგიერად, ჩვენს დიდათ იმედათ მისაჩენელს თუშთ მოურავს დურმიშხანს. ასე უამბეთ მერე თუშთ საქონელი კახეთში ხოლმე; მაგრამ ახლა ღ-თის მოწყალებით თითონაც გამრავლდნენ და საქონელიც გაუმრავლდათ, ღ- თან უფრო ამრავლოსთ, მაგრამ კახეთის სოფლებში, საცა ცხვარს აყენებენ, ქურდობით, ძალადობით და ეკლესიის განკრახვით ავკაცობენ და ხალხს აწუხებენ, ახლა თუშთ შენ ეს ასე გამოუცხადე: მაგათი ცხვრის დასაყენებელი ადგილი ლოპოტის ხეობა ყოფილა, ალვანი და პანკისი. ახლაც ამ სამს ალაგს უნდა დააყენონ. ფშავლები პანკისზე რომ ეტანებიან, იმაში ფშავლებს საქმე არ აქვს, – თუშების არის. თუ ამ სამ ალაგს მაგათი ცხვარი არ მოთავსდეს, კახეთის სოფლებში ორ ორს ფარას სოფლის ბოლოში დააყენებდნენ, ამაზედ მეტის დაყენება არ იქნება, და ნურც ქურდობას და ძალადობას მოინდომებენ. ჩვენ ამაზეც კახეთის სოფლებისათვის ბრძანება და დასტური მიგვიცია. თუ თითო სოფელზე ორს ფარაზე მეტი მიიყვანეს, არც დააყენებენ და ავათაც მოებყრობიან; თუ ძალადობა ან სიავკაცე*

რამ დაიწყო, გალახავენ და უპატიურად გახდიან და ქურდობაზედ კიდეც მოჰკვლენ.ეს თუშებს ყველას ასე შეატყობინე: ორ ორის ფარის მეტს თითოს სოფელში ვეღარ დააყენებენ და ნურც ავკაცობას დაიწყებენ, თვარამ ისე დაემართებათ, როგორც მოგვიწერია. აღიწერა ენკენისთვის კდ ქეს უით. საყდრიონში თითოს ფარის ცხვრის მეტს ნუ დააყენებენ, მოტომ რომ წვრილი სოფლებია" [**ხეც**, ფ-Hd, # 10063 „გ";**ქებაძე**, 2008: 86]

ქართლ-კახეთის მეფეთა მიერ 1757 და 1781 წელს გაცემულ სიგელებში, რომლებიც თუშებს ალვანის, პანკისისა და ლოპოტის სამამულო ფლობელობას უმტკიცებენ, ძირითადი ყურადღება ექცევა თუშეთის მეცხვარეობისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას. აღნიშნული ადგილები, პირველ რიგში, გათვალისწინებულია საძოვრებად და არა საცხოვრებლად. თვით თუშებიც, ვფიქრობთ, მეფეთა ასეთ პოლიტიკას დაუჭერდნენ მხარს, რადგან მათ კახეთის ბარი ჯერჯერობით მხოლოდ საძოვრებად სჭირდებოდათ და არა საცხოვრებლად. ქართლ-კახეთის სამეფო მაშინ, უნდა ვიფიქროთ, მხარს არ დაუჭერდა თუშების მიერ ძველი სამოსახლო ადგილების დატოვებას, რადგან ისინი კახეთში გადმოსასვლელ სტრატეგიულ გზებს იცავდნენ. საგანგებოდ კეტავდნენ საქართველოსკენ იმიერკავკასიიდან გადმოსასვლელ ბილიკებს. გასათვალისწინებელია ის გართულებული მდგომარეობაც, რომელიც საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობას ჰქონდა XVIII საუკუნეში მეზობელ მთიელთა გამუდმებული თავდასხმების გამო. ამ ხრივ ბარის მოსახლეობას უფრო უჭირდა, ვიდრე მთიელებს, რადგან მთას, თავისი გეოგრაფიული თავისებურებების წყალობით, თავდაცვისთვის უკეთესი შესაძლებლობა ჰქონდა. გარდა ამისა, იმიერკავკასიელი მთიელები უმეტესწილად მდიდარ ბარს ძარცვავდნენ [**ელანიძე,** 1988: 358-359]. მოყვანილი ფაქტებით შეიძლება დავადასტუროთ, რომ ქართლ-კახეთის მეფეები თუშებს კახეთის ბარის ტერიტორიებს უმტკიცებდნენ არა სამოსახლოდ, არამედ საძოვრებად, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა თუში ხალხის ცხოვრების თავისებურება – მეურნეობის მომთაბარე სისტემის ჩამოყალიბება.

ამრიგად, XVIII საუკუნის ბოლოსთვის, გარდა გომეწრისა და პირიქითის ხეობებისა, თუშები საკუთრებაში ფლობდნენ კახეთის ბარის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას: კერძოდ, პანკისის ხეობას, ალვანის ველებს, ლოპოტის ხეობას, საძოვარ

ადგილებს სოფელ ფშავლიდან ნაფარეულამდე, ელდარ-შირაქისა და „ალონის“ ველ-მინდვრებს. მთიდან ბარში თუშების ჩამოსახლება განპირობებული იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო-თავდაცვითი ფაქტორებით.

§2 რუსეთის იმპერიული პოლიტიკა XIX-XX საუკუნეებში

XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პირობებში, თუშებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ მეფეების მიერ ნაბოძები ტერიტორიების შენარჩუნებისთვის. რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიის შემდეგ მეფის ხელისუფლების პოზიცია ამ რეგიონის მიმართ შეიცვალა. კავკასიის დაპყრობის პარალელურად ცარიზმი სხვადასხვა გზით ახორციელებდა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის ბარის აუთვისებელ ტერიტორიაზე ჩასახლებას, რამაც ნიადაგი მოამზადა, ერთი მხრივ, კახეთის დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, დაკარგვის საფრთხე შეუქმნა თუშების ისტორიულად კუთვნილ ვრცელ ტერიტორიას კახეთის ბარში.

XIX საუკუნეში, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, იმპერიის ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, რომელიც ითვალისწინებდა ქართული ტრადიციული სოციალური ურთიერთობების მოსპობასა და მათთვის სასურველი ეთნიკური სიტუაციის შექმნას, გარკვეული გავლენა მოახდინა საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის მდგომარეობაზე. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, დემოგრაფიულ ექსპანსიასთან ერთად, საქართველოში მოსახლეობის დეპორტაცია წარმოადგენდა. ცარიზმი სხვადასხვა გზით ახდენდა ჩრდილოეთ კავკასიის მთის მოსახლეობის იძულებით აყრას და ბარის აუთვისებელ ტერიტორიებზე დასახლებას. მიგრაციული პროცესები განხორციელდა თუშების კუთვნილ ბარის ტერიტორიაზეც.

საარქივო დოკუმენტების მიხედვით, 1798 წ. 22 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის ბრძანებით, სამეფო კარზე კარგი სამსახურისთვის თუშეთის წოვათა საზოგადოებას გადაეცა ტბათანა. 1800 წ. 3 ივნისს მეფის მიერ თავისი შვილის, ბაგრატ ბატონიშვილისათვის გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ მას დავალებული ჰქონდა შეეკრიბა ფშავლები და თუშები და თუშთა მოურავ

დურმიშხანთან და თიანეთელ დიმიტრისთან ერთად ფშავთა სამემკვიდრო ტბათანა და პანკისი გადაეცა თუშებისათვის [**სეა ცსა**,ფ.26,ს.1421: 131-132]. ამავე დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ თუშებსა და ფშავლებს შორის ზემოთ დასახელებული ტერიტორიები თუშეთის წოვათა საზოგადოებას დაუმტკიცდა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე დანიშნული რუსეთის მინისტრის პიოტრ კოვალენსკის მიერ, სახაზინო ექსპედიციის მრჩევლის, პოდპოლკოვნიკ ანდრონიკაშვილის ბრძანებით.

სამოქალაქო გუბერნატორის საქმიდან ჩანს, რომ საქართველოს მთავარმმართებლის, გენერალ ალექსეი ერმოლოვის (1816-1827), წინადადების საფუძველზე, ფშავლებსა და თუშებს შორის დაწყებული დავა საზღვრების შესახებ უნდა გადაწყვეტილიყო მედიატორების მეშვეობით. 1819 წლის სახაზინო ექსპედიციის მრჩევლის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ფშავლებსა და თუშებს შორის დაწყებული დავა გადაწყდა ხალხის მიერ არჩეული მედიატორების მიერ, რომელთაც გაითვალისწინეს ერეკლე II-ის მიერ 1781 წ. 24 სექტემბერს გამოცემული ბრძანება, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, *„რომ თუშებს საზამთრო სადგომად გადაეცეს სამი ადგილი, ანუ ლოპოტის ხეობა, ალვანი და პანკისი. ... თუ სამი ადგილი საკმარისი არ იქნება, სადგომისათვის, თუშებს შეუძლიათ კახეთის სოფლებში დააყენონ ორ-ორი ცხვრის ფარა“* [**სეა ცსა**,ფ.26,ს.1421:129-130]. ზემოთ დასახელებული მეფეების მიერ გაცემული ბრძანებებისა და სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტბათანა და პანკისი თავისი საზღვრებით გადაეცა თუშებს, ხოლო მიწისხედი, ქვაჩადავალა და მასარა – ფშავლებს. საქართველო-იმერეთის გუბერნიის მმართველობის 1842 წ. 24 იანვრის ბრძანება #1292-დან ირკვევა, რომ თუშებსა და ფშავლებს შორის ტერიტორიისთვის დავა კვლავ გრძელდებოდა.

1818 წელს, როდესაც თუშებსა და ფშავლებს შორის დავა იყო ტბათანას კუთვნილების თაობაზე, მომხდარა სტიქიური უბედურება, თუშეთის წოვათა თემის სოფელი საგირთა ზვავებსა და ნიაღვრებს მთლად დაუნგრევია, ამის შესახებ თუშებმა სპეციალურად მიმართეს მთავრობას, რომ ტბათანა მათთვის მიეცათ და თანდათან დასახლდნენ კიდეც. ამ ფაქტს ადასტურებენ იასონ აბაშიძე და კონსტანტინე ჭრელაშვილი თავიანთ სტატიაში: „ტბათანა“ [**აბაშიძე, ჭრელაშვილი**,

1979: 3]. დიმიტრი ბუქურაულის გადმოცემით, მიხეილ ბუქურაულს ქვაზე ამოუკვეთავს ტბათანაში დასახლების თარიღი: *„ეს ქვა დამიწერია მე, თუშსა მიხეილ ბუქურაულსა ხალხისა ტბათანაში დადგომისა წელს ჩყლ – 1830 წელი“* [**ბუქურაული**, 2019: 81]. 1970 წელს ქვა ტბათანიდან ზემო ალვანში ჩამოიტანეს. დღეს იგი ზემო ალვანის მუზეუმში ინახება. ამავე პერიოდიდან იწყება თუშების ჩასახლება პანკისის ხეობასა და ალვანის ტერიტორიაზე, მაგრამ ცხელი კლიმატური პირობების გამო, თუშები აქ მხოლოდ ზამთარში რჩებოდნენ, ზაფხულში კი კვლავ ტბათანაში მიდიოდნენ. ალვანის ტერიტორიაზე მათ გააშენეს სოფლები: ალვანი, გურგალჭალა (რგვალი ჭალა), ფხაკალ ყორე (ფხაკალ – კურდღელი), წიწალყურე, ბაჩულყურე, მუხროვანი, ჩერქეზყურე და ჯანჯაანი.

ბარში ჩამოსახლებულ თუშებს, ძირითადად, მესაქონლეობის გამოცდილება ჰქონდათ, ამიტომ ადგილობრივ სამეურნეო პირობებთან ადაპტაცია უხდებოდათ. ისინი აშენებდნენ დროებით საზამთრო შენობებს და ეწეოდნენ შინამეურნეობას. თუშთა სამეურნეო ყოფის შესახებ ალექსანდრე ხახანაშვილი აღნიშნავდა, რომ *„წოვა თუშები ცოლ-შვილს ზამთარს ატარებინებენ ალვანში და ზაფხულობით მიდიან მთაში, იმათი საზაფხულო ბინა არის ტბათანა, ალაზნის თავი საყორნე“* [**ხახანაშვილი**, 1888: 2]. მართალია, ამ პერიოდში თუშებმა ბარში დაიწყეს ჩამოსახლება, მაგრამ ისინი ცხოვრობდნენ არა მუდმივად, არამედ სეზონურად, რამაც ხელი შეუწყო ცხოვრების მთა-ბარული სისტემის ჩამოყალიბებას.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა საგრძნობლად შეცვალა კახეთის დემოგრაფიული მდგომარეობა. რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის პირობებში, როდესაც რამდენადმე დამყარდა მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდი და კახეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები შეექმნათ, კავკასიის დაპყრობის პარალელურად ცარიზმი ხელს უწყობდა კახეთის დაუსახლებელ ტერიტორიებზე კავკასიის მთის ხალხების დასახლებას და მშვიდობიანი ცხოვრების პირობების შექმნას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიელთა რამდენიმე ჯგუფის დეპორტაცია, მათგან აღსანიშნავია ვაინახები (ქისტები), რომელთა ჩამოსახლებაც მეფის ხელისუფლებამ დაიწყო XIX საუკუნის დასაწყისში და, ძირითადად, კახეთში,

ალვანის მეზობლად მდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, პანკისის ხეობაში. გარდა ამისა, ამ ტერიტორიებზე დასახლება დაიწყეს დაღესტნელი ლეკებისა და ჩეჩნების თავდასხმისაგან შეწუხებულმა ფშავლებმა, ხევსურებმა და ოსებმა. ცხადია, ბარში ჩამოსახლებული ხალხი დაიწყებდა ხვნა-თესვას, რამაც შეამცირა საძოვრების რაოდენობა.

1807 წლიდან თუშები ბახტრიონის ტერიტორიაზე მცხოვრებთ ედავებოდნენ ალვანის მიწის იმ ნაწილს, რომელსაც ბახტრიონელები სახნავად იყენებდნენ, ხოლო თუშები მასზე სამამულო უფლებას აცხადებდნენ. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ბახტრიონი ალვანის ველის ნაწილი იყო და XVIII საუკუნის დასასრულიდან აქ ცხოვრობდა პანკისის ხეობიდან გადმოსახლებული 19 კომლი [**ალბანელი**, 1897: 918]. 1804 წელს თუშთ მოურავი დურმიშხან ჩოლოყაშვილი საქართველოს მმართველს, თავად დმიტრი ციციანოვს (1802-1806) წერდა: *„რაც საქართველოს მეფისგან თუშეთი დაჭერილია იმ ჟამიდან მოკიდებული მამა-პაპით მოურავი მე გახლავარ. ბახტრიონიც ზედ თუშეთზე რომ სხდებიან, იმათ მოურავიც მე გახლდით“*[**სეა ცსა**, 1753: 423]. ჩვენთვის საინტერესოა რუსი მოხელის პიოტრ ლიტვინოვის 1806 წლის 19 ნოემბრის წერილი, სადაც მთავარმართებელ ივან გუდოვიჩს (1806-1809) ატყობინებს, რომ ივნისის თვეში მთიდან გადმოსული 300 თუში თავს დაესხა თელავის მაზრის სოფ. ბახტრიონის მოსახლეობას და დაანგრიეს მათი საცხოვრებელი სახლები [**ელანიძე,**1988:350]. საარქივო დოკუმენტებით დგინდება, რომ თუშებმა მიმართეს ადგილობრივ მთავრობას და ბახტრიონში მცხოვრები ხალხის კვლავ პანკისში გადასახლება მოითხოვეს. დავა თუშებსა და ბახტრიონელებს შორის, რომელიც 1831 წლამდე გაგრძელდა, სენატმა ვერ მოაგვარა. პირიქით, მათ შორის დაპირისპირება ზემოქმედების საშუალებად გამოიყენა და ორივე მხარეს ალვანის მიწებით სარგებლობის უფლება მიაკუთვნა: „თუშებმა და ძველ ბახტრიონელებმა ერთად ისარგებლონ ალვანის მინდვრით“ [**ალბანელი,** 1897: 915]. მოყვანილი ფაქტებით დასტურდება, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, თუშებს ბრძოლა ჰქონდათ საკუთარი მიწების შენარჩუნებისთვის. საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თუშებს ტერიტორიებისთვის ბრძოლა უხდებოდათ ფშავლებთან, ოსებთან და ქისტებთან, ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რამაც დააჩქარა თუშების მიგრაცია ბარის ტერიტორიაზე.

XIX საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ წოვა თუშები მხოლოდ ზაფხულობით ადიოდნენ მთაში.მათი ადგილმონაცვლეობის შესახებ როლანდ თოფჩიშვილი აღნიშნავს:,,დროებითი სადგომი მათ ტბათანასთან ჰქონდათ, რომელიც მდ. ალაზნის ხეობის სათავეში მდებარეობს. შემდეგ თანდათან ტბათანა წოვა-თუშების მხოლოდ საზაფხულო სადგომად იქცა, ზამთარში კი დაიწყეს თუშების კუთვნილი საზამთრო საძოვრებზე – დღევანდელი სოფლების ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის ტერიტორიაზე, მთების ძირში, დროებითი საზამთრო ბინების აშენება. ზემო ალვანში დასახლებამდე, ზამთრობით თუშები კახეთის ბარის რამდენიმე სოფელში ცხოვრობდნენ: ბახტრიონის, ხორხელის, ქისტაურის მიწებსა და პანკისის ხეობაში“[**თოფჩიშვილი,** 2010: 156]. მისი მოსაზრებით, წოვა თუშებს ალვანის ტერიტორიაზე სახლების მშენებლობა დაუწყიათ XIX– XX საუკუნეების მიჯნაზე და მათი ნახევარი ამ დროისათვის ზამთარს უკვე აქ ატარებდა.

თუშების სამი თემის (გომეწარი, ჩაღმა და პირიქითი) მოსახლეობის ჩამოსახლება ალვანის ტერიტორიაზე შედარებით უფრო გვიან დაიწყო. საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ თუშები ამ ტერიტორიებს, ძირითადად, ზამთრის საძოვრებად იყენებდნენ. *„ალავერდის მეზობლად ალონის, თუშების სოფელში, რომელიც მეცხვარეთა სოფელია, არსად ვენახი, მხოლოდ სახლები, შემოღობილი მწვანე ყორულები და გომ-ბაკებია. თვით ჰაერის განსაკუთრებული სურნელებაც ამას გვამცნობს: ყველგან ცხოვართა და ცხოველთა სუნი, თუშები ზაფხულის ცხელ ჰაერს ვერ ეგუებიან და დედა ბუდიანად მთაში იკრიბებიან“*[**მგზავრის**,1884: 2]. ალექსანდრე ხახანაშვილის აღწერით: *„გომეწრელებს, ჩაღმელებს და პირიქითელებს აქვთ ხვნა-თესვა და ბინადარი ცხოვრება, თითო ოროლა თუში ამ თემისა ჩამოდის ზამთრობით ალვანში, რომელიც შედგენს საზოგადო ოთხისავე თემისას. ყოველ თუშს შეუძლია ალვანში საცა სურს, ააშენოს სახლი და აძოვოს ცხვარი“*[**ხახანაშვილი,** 1888: 2]. ხოლო რაფიელ ერისთავი კახეთის ბარის ტერიტორიაზე ასახელებს იმ სოფლებს, სადაც მთის (ფშავის, წოვის და გომეწრის)მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მხოლოდ ზამთარში სახლდებოდა. მისი აღწერით: ,,კახეთის ბარის ტერიტორიაზე, მთებსა და ვაკე ადგილებზე მიმოფანტულია სოფლები, სადაც ზამთარში სახლდებიან და საქონელს აძოვებენ ფშავლები და თუშეთის გომეწრისა და წოვების საზოგადოება“ [**ერისთავი**, 1855: 95].ამ პერიოდის საისტორიო წყაროების

შესწავლით დასტურდება, რომ XIX საუკუნეში თუშების სამი თემის (გომეწარი, ჩაღმა და პირიქითი) საზოგადოება ალვანის ტერიტორიას იყენებდა საძოვრად, თუმცა მათი დასახლება მცირე ყოფილა, რადგან მთის ჰავას ჩვეული თუშები ვერ ეგუებოდნენ ალვანის ჭაობიან, ნესტიან ჰავას.

საეკლესიო წყაროების მონაცემები, სასულიერო პირების მიერ შედგენილი დოკუმენტები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს თუშების ბარად ჩამოსახლების შესახებ, რადგან საეკლესიო მოღვაწეებს უშუალო კავშირი ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან და კარგად იცნობდნენ არსებულ ვითარებას. საინტერესო და საყურადღებოა საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიაში დაცული 1913 წ. 24 სექტემბრის დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია:*„ყოველი წლის სექტემბრის თვის ბოლოს მთათუშეთიდან თუში მოსახლეობის დიდი ნაწილი, უმცირესობის გამონაკლისით, ჩამოდის კახეთში (სოფ. ალვანში), და რჩება აქ მომდევნო წლის მაისის ბოლომდე. ყველა სასულიერო მოთხოვნილებების შესასრულებლად სოფ. ალვანში დასახლებულ თუშებს 1910 წლის 30 სექტემბრის საქართველოს იმერეთის კანტორის №1686 განჩინების შესაბამისად, ზამთარში რჩებათ ერთი მღვდელი, რომელიც ითვლება ალვნის გამგებლად. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყველა მსახურების შესრულება ერთი მღვდლისთვის ფრიად რთულია. ამიტომ ალვნელების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, საჭიროა და სწორია დადგინდეს მღვდლების მორიგეობითი მსახურება, ისე რომ სამი მღვდელი ზამთარში იმყოფებოდეს მთათუშეთში, ხოლო სამი მღვდელი – კი ხალხთან ერთად ჩამოდიოდეს ალვანში სხვადასხვა სასულიერო მსახურებისათვის. ველით თქვენი უწმინდესობის განკარგულებას ზემოდ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით* [**სეა ცსა,**ფ.488,ს. 23016: 1-2].

რაპორტს თანდართული აქვს თუშეთის საზოგადოების განცხადება: *„1913 წლის ივნისის თვის 24 დღეს, ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი (25 კაცი) – ტიფლისის გუბერნიის თიანეთის მაზრის ნაციხვარის სოფლის მოსახლეობა, რაც შეადგენს სახლის პატრონთა მოსახლეობის 2/3-ზე მეტს, რომლებსაც აქვთ სოფლის სხდომაზე ხმის მიცემის უფლება, ჩვენი საზოგადოების მამასახლის იაკობ ხახოიძის თანდასწრებით ვისაუბრეთ ჩვენი საზოგადოებისათვის რელიგიური საჭიროების შესახებ. ვიღებთ რა მხედველობაში იმას, რომ ჩვენი თემის მოსახლეობის უმეტესი*

ნაწილი რჩება როგორც მთათუშეთში, ასევე სოფ. ალვანში, ზამთარში ისინი ჩამოდიან კახეთში და ცხოვრობენ ს.ალვანში თავის ოჯახებთან ერთად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი თიანეთის დართლოს საზოგადოების 2/3, რომელსაც აქვს ხმის უფლება, შეკრებაზე მოვითხოვთ, რომ სოფ. ალვანში დადგინდეს მღვდლების მორიგეობა ზამთრის პერიოდში" [**სეა ცსა,ფ.**488, ს.23016: 3-4]. ამავე საარქივო მასალების მიხედვით, 1914 წლის 17 ივლისს, ლეონტი ღვინიევის დავალებით, დართლოს წმინდა ილურთის ეკლესიასთან შეკრებილმა ხალხმა და სასულიერო პირებმა იმსჯელეს თუშეთსა და სოფელ ქვემო ალვანში ღვთისმსახურობის შესახებ. კრებამ მიიღო დადგენილება: *„იმისთვის, რომ ზამთარში დაკმაყოფილდეს რელიგიური მოთხოვნები, დაწესდეს მორიგეობა – სამი მღვდელი იმსახურებს სოფ.ქვემო ალვანში, ხოლო სამი თუშეთში"* [**სეა ცსა,**ფ.488, ს.23016:5-6]. საარქივო დოკუმენტების შესწავლით დასტურდება, რომ კახეთის ბარის ტერიტორიაზე თუშეთის სამი თემის ეტაპობრივი ჩამოსახლება იწყება XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პირობებში, რაც მათი სამეურნეო საქმიანობით იყო განპირობებული.

სერგი მაკალათია ალვანის ტერიტორიაზე თუშეთის თემების (გომეწრი, ჩაღმა და პირიქითი) ბარად მიგრირების დასაწყისად XX საუკუნის 10- იან წლებს ასახელებს. მისი ცნობით, *„სამოქალაქო ომის დროს, პირიქითის მოსახლეობა ვერ უმკლავდებოდა ქისტების* (ჩეჩნები – **თ.ლ.**) *ყაჩაღურ თავდასხმებს, მათ ძარცვა-გლეჯას და ამ მიზნით პირველად ჭონთიოელები აიყარნენ აქედან, რომლებსაც მიჰყვნენ ჰელოს, დაქიურთისა და ნაკუდურთის მცხოვრებნი და ესენი ალვანში დასახლდნენ"*[**მაკალათია,** 1983: 124]. მისი მოსაზრებით, თუშეთის საზღვრისპირა სოფლების მცხოვრებნი ვერ უმკლავდებოდნენ ჩეჩნების გამუდმებულ თავდასხმებს და ამ მიზეზით დაიწყეს ბარის ტერიტორიაზე დასახლება.

მართალია, XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე პროცესებმა დააჩქარა თუშების მიგრაცია კახეთის ბარის, კერძოდ, ალვანის ტერიტორიაზე, ისინი ასევე დასახლდნენ პანკისის ხეობის სოფლებში, კერძოდ, ბირკიანში, საკობიანოსა და ქორეთში, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუშეთი მოსახლეობისაგან დაიცალა, მთაში დარჩა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც არ მიატოვა მამა-პაპეული ადგილები და ჩვეული ტრადიციული წესით განაგრძო ცხოვრება. აქვე

გვინდა დავსძინოთ, რომ უკვე XX ს. 10-იანი წლებიდან, როცა თუშებმა ალვანის სამოსახლოდ გამოყენება დაიწყეს, ცხვრის გამოსაზამთრებელ ადგილად შირაქის მდიდარი ველები აირჩიეს. როგორც ჩანს, თუშები ჯერ კიდევ XVIII ს. 90-იანი წლებიდან იყენებდნენ შირაქის საძოვარ ადგილებს.

ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ გარემოებაზე: საარქივო მასალების მიხედვით, გასული საუკუნის დასაწყისიდან თუშეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ეტაპობრივად მკვიდრდებოდა კახეთის ბარის ტერიტორიაზე, მოითხოვდა თუშეთის საზოგადოების თიანეთის მაზრიდან გამოყოფას და თელავის მაზრასთან შეერთებას. 1919 წლის 23 მარტს თელავის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობის სხდომაზე საკითხი განსახილველად წარადგინა ალ. ბობღიაშვილმა. კრებამ მიიღო დადგენილება: *„1. ალვანი იყოს თელავის მაზრასთან შემოერთებული. 2. დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ეს დადგენილება დასამტკიცებლად. 3. ერობის წარმომადგენელი იყოს ეხლავე გაგზავნილი ალვანში ერობის ხმოსანთა არჩევნების მოსაწყობად“* [**სეა ცსა,** 1921, 208: 18].

ეს საკითხი კანონპროექტის სახით ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სახელით 1919 წ. 16 დეკემბერს დამფუძნებელი კრების სხდომაზე წარადგინა გაბრიელ ცისკარიშვილმა. მოხსენებიდან ირკვევა, რომ კავკასიის კოლონიზაციის პერიოდში რუსეთის ხელისუფლების უპირველეს მიზანს კავკასიის საზღვრების გამაგრება და მთის ხალხის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) გამოყენება წარმოადგენდა. ცარიზმი სარგებლობდა იმ გარემოებით, რომ მეზობელი მუსლიმანური სახელმწიფოების თავდასხმით შეწუხებული ქრისტიანი მთის ხალხი მტრულ დამოკიდებულებას ავლენდა მათ მიმართ. ამიტომ მეფის ხელისუფლებამ XIX საუკუნის 40-იან წლებში ხელოვნურად შექმნა თიანეთის სამხედრო ოლქი (Тионетский военный округъ), რომლის დაარსების მიზანი იყო შამილთან მებრძოლი რაზმების – „დრუჟინების» შექნა. ისტორიულად თუშებს მჭიდრო სავაჭრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ქალაქ თელავთან, რასაც ხელს უწყობდა ტერიტორიული სიახლოვე (ალვანი თელავიდან 18 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, ხოლო თიანეთი 35 კილომეტრით). ეკონომიკური კუთხით თუშებს დიდი რაოდენობით შეჰქონდათ სასაქონლო ნაწარმი ქალაქში, ხოლო კულტურული თვალსაზრისით თუში ახალგაზრდები დაწყებით თუ უმაღლეს

განათლებას თელავში იღებდნენ [**საქართველოს,** 2019: 253-254]. ამავე დოკუმენტის მიხედვით, კრებამ ერთხმად აღიარა დეკრეტი და სარედაქციო კომისიასგადაეცა.

ამ ფაქტს ადასტურებს თედო ბაინდურაშვილ ითავის მოგონებებში, სადაც ვკითხულობთ: „მეფის ხელისუფლებამ დღევანდელი ახმეტის რაიონის ტერიტორია ორ ნაწილად გაყო. ერთი ნაწილი თუშეთი, პანკისი, თვით ახმეტა და მატანი მიაკუთნა თიანეთის მაზრას, ხოლო დანარჩენი ტერიტორია, კერძოდ, ზემო ხოდაშენი და ოჟიო თელავის მაზრას'' [**კრა**, ფ. 192, ს. 29: 8].აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ახმეტის რაიონის ტერიტორია ჯერ თელავის მაზრას, ხოლო 1930 წელს მაზრების რეორგანიზაციის შემდეგ, თელავის რაიონს შეუერთა. 1945 წლის 11 იანვრის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების მიხედვით, ახმეტა კვლავ გამოეყო თელავის რაიონს და დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ რაიონად ჩამოყალიბდა [**კრა, ფ.** 192,ს. 30: 4]. 1963 წელს კვლავ მოხდა რაიონის რეორგანიზაცია, ახმეტის რაიონი შეუერთდა თელავის რაიონს, თუმცა იმავე წლის ნოემბერს დაშალეს და ცალკე რაიონებად გამოცხადდა [**კრა,** ფ. 192,ს. 30: 13].

ამრიგად, XIX საუკუნის დასაწყისში ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ ჯერ საფრთხე შეუქმნა თუშების უფლებას კახეთში მათ კუთვნილ ტერიტორიაზე, ხოლო საუკუნის განმავლობაში, ამ ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვა გამოიწვია. კავკასიური ომების პერიოდში მეფის რუსეთის ხელშეწყობით კახეთში, ალვანის მეზობლად მდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, პანკისის ხეობაში დასახლდნენ დაღესტნელი ლეკებისა და ჩეჩნებისაგან შევიწროებული ვაინახები (ქისტები), ფშავლები, ხევსურები და ოსები. ამ პროცესმა დააჩქარა მთიდან ბარში თუშების მიგრაცია და საძოვარი ადგილების საცხოვრებლად ათვისება. სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ცვლილებამ განაპირობა მათი ცხოვრების მთაბარული სისტემის ჩამოყალიბების დაწყება, ხოლო ადგილობრივ სამეურნეო პირობებთან ადაპტაციამ და ახალ ცხოვრებაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თუშების საზოგადოებრივ თუ ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

§3. თუშეთის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა XIX- XX საუკუნეების მიჯნაზე

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებამ შეცვალა საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურა. ცვლილებები მოხდა თუშეთის საზოგადოებაშიც. იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ XX საუკუნის 20-80-იან წლებში განხორციელებული „კომუნისტური ექსპერი-მენტების“ უარყოფითი შედეგები საზოგადოების განვითარებაში, მნიშვნელოვანია თვალი გავადევნოთ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში თუშეთის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს, რომელიც გავლენას ახდენდა სოციალურ სფეროზეც.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ თუშეთის საზოგადოება ფეოდალური ფორმაციის მთელ მანძილზე ინარჩუნებდა ცხოვრების თემურ-გვაროვნულ წყობილებას. საუკუუნების მანძილზე „სათუშოს“ გვაროვნულ-ნათესაურ ტრადიციებზე დაფუძნებული ურთიერთობის გადმონაშთებში შეთავსებული იყო დემოკრატიისთვის დამახასიათებელი კერძო საკუთრების, თანასწორობის, სიტყვის თავისუფლების, ყოფისა და კულტურის ინსტიტუტები. ყოველივე ამან განსაზღვრა თუშეთის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სისტემის თავისებურება. თუშეთში სასოფლო თემის ფარგლებში, მიწათსარგებლობის სისტემისგან განსხვავებით, მესაქონლეობის განვითარება, ძირითადად, ეფუძნებოდა კერძო მესაკუთრეობას.

XIX საუკუნეში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ღონისძიებებმა გარკვეული გავლენა მოახდინა თუშეთის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, რაც მკვეთრად გამოვლინდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პირობებში. მიგრაციულმა პროცესებმა და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსთან ადაპტაციამ დააჩქარა თუშეთის საზოგადოების დიფერენციაცია და ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კაპიტალიზმის განვითარების პირობებში, სავაჭრო სასაქონლო ურთიერთობა განვითარდა თუშეთშიც, რაც უზრუნველყოფდა დარგის შემდგომ განვითარებას.ერთი ინფორმაციით,*„1885 წლისთვის ზემო ალვანში თუშეთის წოვათა საზოგადოების სამ უმდიდრეს გლეხს კომლზე ჰყავდა 3-5 ათასი*

ცხვარი, ესენი იყვნენ: იოსებ ბეროშვილი, ივანე ოჟილაური და ალექსი ბუქურაული. 8 გლეხს 1-2 ათასი, 25 გლეხს 500-1000, 33 გლეხს 300-500, 137 გლეხს 100-300 სული. 30 კომლს კი ცხვარი არ ჰყავდა. ისინი დაქირავებულ მწყემსებად მუშაობდნენ“ [**მაჩაბელი,** 1887: 417]. თუშების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ პლატონ ცაგარელი წერდა: *„აქ ისეთ ნაკლებ ოჯახს ვერ იპოვი, რომ 500 სული ცხვარი, 10-20 ცხენი არ ჰყავდეს. ცხვარი ამათ წელიწადში ორჯერ აძლევს მოგებას:გაზაფხულზედ და შემოდგომაზედ... გაზაფხულზე გაკრეჭილი მატყლიდამ და ყველიდამ 140 თუმანს ამოიღებს, შემოდგომის მატყლიდამ კი ამაზე მეტს. ერთი სიტყვით თუშები ფულით საკმაოდ მდიდრები არიან...“* [**ცაგარელი,** 1875: 2]. მოცემული მასალიდან დგინდება, რომ XIX საუკუნის დასასრულს თუშეთის წოვათა საზოგადოებაში თითქმის არ იყვნენ ღარიბი გლეხები, ისინი, ძირითადად, ქმნიდნენ საშუალო და მდიდარ-მესაკუთრე გლეხთა კატეგორიას.

XIX საუკუნის 80-იან წლებში 500 სული ცხვრის მთელი წლიური შემოსავალი (მატყლის, ტყავის, ყველის, ნამატის და სხვა სახით) 2300 მანეთს აღწევდა, ხარჯი – 1500 მანეთს. ხოლო სუფთა შემოსავალი – მოგება 850 მანეთს შეადგენდა. ამდენად, 10 ათასიან ფარის მფლობელთა მთელი შემოსავალი 50 ათასი მანეთით განისაზღვრებოდა, სამეურნეო ხარჯები – 31500 მან., ხოლო სუფთა შემოსავალი, მოგება – 17850 მანეთით... 3-5 ათასი სული ცხვრის მფლობელთა შემოსავალი 14 154 მანეთიდან 23 500 მანეთამდე მერყეობდა, სამეურნეო ხარჯები 9-15 ათას მანეთს, სუფთა შემოსავალი კი 5100-8550 მანეთს უდრიდა. საკმაოდ დიდ მოგებას იღებდნენ 1-2 ათასი ცხვრის მფლობელები. შეძლებულად ითვლებოდნენ 500-1000 ცხვრის პატრონებიც. ამ მსხვილ მეურნეობათა ხარჯებში მნიშვნელოვანი იყო დაქირვებული მუშის ხელფასი. ზოგიერთ მესაკუთრეს 40-50 მწყემსი ჰყავდა დასაქმებული, ზოგს კი 10-20 მწყემსი ''[**ბენდიანიშვილი,** 1971: 72]. თუშეთში მეცხვარეობის განვითარების შესახებ სერგი მაკალათია წერდა: *„1880 წელს ყოფილ თიანეთის მაზრაში თუშების ცხვარი შეადგენდა 59% (172.408 სული) და თუშების თითოეულ კომლზე მოდიოდა 175 სული ცხვარი. აქედან წოვათას ეკუთვნოდა 72.420 სული და თითოეულ კომლზე მოდიოდა საშუალოდ 232 სული ცხვარი“* [**მაკალათია,** 1983: 60]. მოყვანილი ციფრებით დასტურდება, რომ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების პირობებში, თუშეთში გლეხური მეურნეობის ხვედრითი მოგება მნიშვნელოვნად

გაიზარდა, რაც უზრუნველყოფდა დარგის შემდგომ გაფართოებასა და გლეხთა დაინტერესებას.

XIX საუკუნეში საქართველოდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ მატყლი საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში. განსაკუთრებით გაიზარდა თუშურ მატყლზე მოთხოვნილება. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში თუშური მატყლის შესაძენად მოქმედებდა ფრანგული ფირმა „სუკონი“. თუში ქადაგიძე სომეხი ვაჭრების შუამავლობის გარეშე, პირდაპირ უგზავნიდა მატყლს მეფაბრიკეებს მარსელში [**ლაგაზიძე,** 1968: 38}, ხოლო ჯიჯურიძეებს პირადად უკავშირდებოდნენ ვაჭრები და დიდი რაოდენობით გაჰქონდათ მატყლი საზღვარგარეთ [**ითონიშვილი,** 2012: 146]. მატყლით ვაჭრობასთან დაკავშირებით აბრამ შავხელიშვილი აღნიშნავს, რომ თუშებს თვითონ გაჰქონდათ მატყლი საზღვარგარეთ გასაყიდად: *„რამდენიმე თუშმა ინტელიგენტმა გადაწყვიტა თუშეთის მატყლი მარსელში წაეღო გასაყიდად. იქ ვერ გაყიდეს საჭირო ფასად და გადაიტანეს ინგლისში. ამას ხელმძღვანელობდა ლეო ცისკარიშვილი“* [**შავხელიშვილი,** 2018: 126]. ხოლო გაზ. *„ივერიის“* კორესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს, რომ *„თუშობაში საკმაოდ მოიპოვებიან ფულის პატრონები, რომლებსაც შინ შენახვა ეძნელებათ ფულისა და სხვაგან აძლევენ სარგებლით შესანახავად. სკოპინის ბანკში თუშებს ასობით და ათასობით ჰქონდათ ფული შენახული“*[**დანილოვი,** 1888: 3].

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სავაჭრო ურთიერთობისთვის დამახასიათებელი რეალიები გაჩნდა ქვემო ალვანშიც: *„სავაჭრო დუქნები, სამღებროები, სამჭედლოები, მატყლისა და ყველის შემსყიდველი პუნქტები. აქვე მუშაობდა ჯიჯურიძეების აგურის ქარხანა“* [**ჯალაბაძე,** 1967: 31]. როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თუშები მესაქონლეობის განვითარებასთან ერთად დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ სამრეწველო პროდუქციას, ქმნიდნენ დოვლათს და ინდივიდუალურად ეწეოდნენ წარმოების რეალიზაციას. ასეთი მოგება კი ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას.

XX საუკუნის 10-იან წლებში თუშეთის საზოგადოების გლეხური მეურნეობის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა. თემში შეიმჩნეოდა მეურნეობის გამსხვილების ტენდენდენციები, მაგალითად *„ზემო ალვანში ძმებს მიტრო და კოტე ბუქურაულებს ჰყავდათ 10 ათასი ცხვარი, 200-მდე ცხენი, 90-მდე ვირი და 100-მდე ძროხა.*

მეურნეობაში ჰყავდათ 40-50 დაქირავებული მწყემსი. მათ იჯარით ჰქონდათ აღებული მიწა თრიალეთში, შირაქსა და აზერბაიჯანში. ბუქურაულები დიდი რაოდენობით ყიდიდნენ მატყლს, ყველს, ცხვარს. ზემო ალვანში იყვნენ 3-5 ათასიანი ცხვრის ფარების მფლობელი გლეხები, რომელთაც ჰყავდათ 10-20 მწყემსი. ესენი იყვნენ: იოსებ ბეროშვილი, ალექსი ჭყოპიშვილი, ლეო უშარაული, ივანე ოჟილაური, ალექსი ბუქურაული და სხვა. მრავლად იყვნენ საშუალო შემლების გლეხები, რომელთაც ჰყავდათ 700-1000 სული ცხვარი. გლეხების უმრავლესობას 100-300 სული ცხვარი ჰყავდა. ხოლო ღარიბი გლეხები, რომლებიც თემში შედარებით ნაკლებად იყვნენ, დაქირავებულ მწყემსთა კონტიგენტს შეადგენდნენ.

მესაკუთრე გლეხთა ფენა საკმაოდ ძლიერი იყო ქვემო ალვანშიც. XX საუკუნის 10-იან წლებში იქ 2-3 ათასიანი ცხვრის ფარების მფლობელი იყო 15-20 კომლი, ათას სულიანი ფარებისა – 25-30 კომლი, უმრავლესობას ქვემო ალვანშიც 100-300 ცხვარი ჰყავდა. მრავალრიცხოვანი ცხვრის ფარების მფლობელები იყვნენ: ბახტურიძეები, მურთაზაშვილები, ანწუხელიძეები, თიბელაიძეები, თხელიძეები, ჯიჯურიძეები“ [**ბენდიანიშვილი,** 1971: 69-70].

XX საუკუნის 10-იან წლებში გეოგრაფიულად იზოლირებულ თუშეთშიც ჩნდებიან დიდმეცხვარეები. მაგალითად, *„თუშეთში ქოთილაიძეთა ოჯახს 5000 ცხვარი, 80 ცხენი, 20 ვირი და 30 ძროხა ჰყავდა, ოჯახში ბევრი მუშახელი იყო, მაგრამ ქოთილაიძეს მაინც ჭირდებოდა 10 დაქირავებული მწემსის აყვანა. ბევრი მუშახელი ჰყავდა სოფელ შენაქოში მცხოვრებ ფილიპე ჩიღოელიძეს. მას საკუთრებაში ჰყავდა 4000 ცხვარი, 70 ცხენი და მრავალი ძროხა. სოფელ ჩიღოში ძლიერ ოჯახს წარმოადგენდა გიორგი ალიაიძე. მის ქონებას შეადგენდა 1000 ცხვარი, 20 ცხენი, 15 ძროხა და სხვა“*[**ბენდიანიშვილი,** 1971:72]. გიორგი ბოჭორიძის ცნობით, *„თუშეთში პატარა მეცხვარეს ჰყავდა 50-100 ცხვარი, საშუალოს – 300-400, ხოლო დიდ მეცხვარეს – 1000-1500-ის ზემოთ“* [**ითონიშვილი,**2013: 62]. მოყვანილი მასალა ნათლად ადასტურებს, რომ თუშების ეკონომიკის ძირითადი დარგის – მესაქონლეობის მთა-ბარულ სისტემაზე გადასვლამ დააჩქარა მეურნეობის შემდგომი განვითარება და რენტაბელურ დარგად ჩამოყალიბება. სამართლიანად აღნიშნავს გიორგი ბოჭორიძე: *„თუშეთის ეკონომიკაში მეცხვარეობამ წამყვანი ადგილი XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიკავა და ეს განაპირობა შირაქის საძოვარი ადგილების ათვისებამ“*

[**ითონიშვილი,** 2013: 64]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისთვის თუშები მრავალრიცხოვანიცხვრის ზამთრის საძოვრად იყენებდა შირაქის, აზერბაიჯანის, ყარსის, არდაგანის ვრცელ ტერიტორიებს.

ზემოთ მოყვანილი მონაცემებით შეიძლება ვივარუდოთ, რომ კერძო საკუთრების პირობებში, როდესაც თუშეთის საზოგადოებას გამოეყო ეკონომიკურად და უფლებრივად დაწინაურებული გლეხობა, ქონებრივი დიფერენციაცია ისეთივე შესამჩნევი ვერ იქნებოდა, ვერ იქნებოდა ექპლუატაციის ისეთი ფორმები, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, რადგან თუშეთის საზოგადოებაში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო თემურ-გვაროვნული წყობილების ურთიერთდახმარების ინსტიტუტები, როგორიცაა: „მონარეობა (მეცხვარეთა შეამხანაგება)“ [**პავლიაშვილი,** 2006: 72], ბინათმესაკუთრეობა (ცხვრის იჯარით გაცემა) და სხვა. მეტად საყურადღებოა ზურაბ მურთაზაშვილის მოგონებებში დაცული ცნობა თუშეთში დამკვიდრებული ურთირთთანადგომის შესახებ: *„თუშობაში ცხვრის მოთხოვნა არ იყო აუგი, თუმცა ცხვრის მთხოვნელი სხვადასხვა მიზეზით უნდა ყოფილიყო დაზარალებული, ცხვარ-ბინის ცეცხლში დამწვარი, ან მტრის (ლეკ-ჩეჩნების) მიერ ცხვარგარეკილი. ასეთ შემთხვევში მეცხვარეს შეუძლია მოითხოვოს 100-200 სული ცხვარი“* [**მურთაზაშვილი,** 1961: 34]. მესაქონლეობაში დამკვიდრებული ტრადიციული, ურთიერთდახმარების ეს უნიკალური წესი კიდევ უფრო ავითარებდა მათ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას.

ამრიგად, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თუშეთში მოწათსარგებლობის სისტემისაგან განსხვავებით, რომელიც ეფუძნებოდა გვაროვნულ-თემური წესით მიწის განაწილებას, მესაქონლეობამ სავაჭრო-სასაქონლო ხასიათი მიიღო. მესაქონლეობის კერძო-მესაკუთრული ცხოვრების პირობებში თუშეთის საზოგადოებამ მარტივად შეძლო კაპიტალისტური ურთიერთობის პროცესებში ძალების კონცენტრაცია და ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარება-გაფართოვება, ხოლო მესაქონლეობის მთაბარულმა სისტემამ და შირაქის საძოვარი მიწების ათვისებამ გააძლიერა და რენტაბელურ დარგად ჩამოაყალიბა მეცხვარეობა.

თავი II. თუშეთის სოციალური და ეკონომიკური ვითარება XX საუკუნის 20-50-იან წლებში

§1. წინასაკოლმეურნეო მდგომარეობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და საკოლმეურნეო მშენებლობა თუშეთში XX ს-ის 20-30-იან წლებში

1921 წლის თებერვალ-მარტშისაბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქვეყანა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადავიდა. საბჭოთა მთავრობამ სოფლის მეურნეობის დარგში გაატარა მთელი რიგი რეფორმები. გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სოფლად იქმნებოდა თემსაბჭოები და გლეხკომები, რომლებშიც, ძირითადად, ადგილობრივი ღარიბი გლეხები ერთიანდებოდნენ.

გლეხკომის მოვალეობას შეადგენდა გლეხების გააქტიურება სოფლის მნიშვნელოვანი საკითხების, კერძოდ, გადასახადის აკრეფის, მიწის განაწილების, სასმელი წყლის მომარაგების, ჭაობების ამოშრობისა და სხვა საკითხების მოწესრიგებაში, რასაც მოჰყვებოდა, ერთის მხრივ, ღარიბ და უღარიბეს გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება და, შესაბამისად, ახალი წყობილების მხარდამჭერი სოციალური ძალის ფორმირება, მეორეს მხრივ, ეს რეფორმა დააჩქარებდა „კულაკური“ მეურნეობის მოსპობას და საბჭოურ სისტემაზე გადასვლას.

1924 წლის მარტში სოფლებში ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში დაარსდა გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტები, ანუ გლეხკომები. 1925 წ. 16 მაისს შედგა ზემო ალვანის თემსაბჭოს სხდომა, სადაც განიხილეს გლეხკომის მუშაობის შედეგები. სხდომის ანგარიშიდან დასტურდება, რომ წლის განმავლობაში ზემო ალვანის გლეხკომმა სოფლის ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ვერ გადაწყვიტა. ვერ წარადგინა მოსახლეობისაგან აკრეფილი და გაყიდული 1000 ფუთი პურის დავთარი, ვერ წარადგინა ფარჩის, მატყლის, ყველის, ერბოსა და სხვა წვრილმანის გაყიდვის დავთარი, უსწორ-მასწოროდ და უკანონოდ იყო გაწერილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შემოსავლების მოცულობისა და სოციალური ხარისხის მიხედვით [**კრა,** ფ. 6, ს. 4: 16]. საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ყველა ამ პრობლემის მიზეზი გლეხკომის გაუნათლებლობა, დაუდევრობა და ბოროტება იყო. უფრო მეტიც, ვინაიდან სოფელში არ ტარდებოდა გლეხკომის საერთო კრებები, სოფლის მოსახლეობის დაბეგვრა მიმდინარეობდა არა გლეხკომის ყრილობის

გადაწყვეტილებით, არამედ თემსაბჭოს მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის ინტერესების მიხედვით.

მთავრობამ შემოიღო მოსახლეობის დაყოფა ათ ხარისხად. მაგალითად: „ხორბლის აკრეფა ათ ხარისხად, ხალხის დაყოფა შესაძლებლობების მიხედვით“ [**კრა,** ფ. 6, ს. 4 :22]. პირველი ხარისხის მეკომური იხდიდა 44 მანეთს.

2- 25 მან.	7- 6.50 მან.
3- 22 მან.	8- 5.50 მან.
4- 16 მან.	9- 3.50 მან.
5- 12 მან.	10- 2.50 მან.
6- 8.50 მან.	11- 1.50 მან.

ამ პრინციპით დაიბეგრა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სექტორი. 1925 წელს თელავის მაზრის აღმასკომის N3713 დადგენილებით, სოფ. ზემო ალვანის თემსაბჭოს ყრილობაზე გლეხკომმა წარადგინა იმ პირთა სია, რომელთაც უნდა გადაეხადათ არა მხოლოდ მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და სოფლის დარაჯისა და მუშა-მოსამსახურეების ხვედრი ჯამაგირი, არამედ წინა წლის ზაფხულის სანაპირო რაზმელებისა და დარაჯებისთვის მისაცემი ჯამაგირი [**კრა**, ფ. 6, ს. 6: 11].

სასოფლო-სამეურნეო ბეგარა-გადასახადებმა მოსახეობის უკმაყოფილება და ქაოსი გამოიწვია, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ადგილობრივმა გლეხობამ ამხანაგობა *„მწყემსის“* შუამდგომლობით მიმართა მთავრობას: *„ვინაიდან სოფ. ზემო ალვანის მცხოვრებნი არიან მეცხვარე-მესაქონლე ხალხი და საქონელი გასულ წელს არ იყო სამართლიანად შეფარდებული მიწასთან და საერთოდ კულტურულად დამუშავებული მამულთან, ჯეროვანი ყურადღება იქნეს მიქცეული მთავრობის მიერ და შეგვიმცირონ გადასახადები, რადგანაც ჩვენს ქონებას მეცხვარეთა უმეტესი ნაწილისას შეადგენს საქონელი, რომლის გადასახადსაც იხდის მესაქონლე რამდენაირათ და რამდენჯერმე. მაგ.*

1. *მთის საბალახე;*
2. *ზამთრის საძოვრების საბალახე;*
3. *მგ ზავრობის დროს სხვადასხვა ალაგას საბალახე“*[**კრა,** ფ. 6, ს. 4: 19].

სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტურად გარდაქმნის, „კულაკების," როგორც კლასის, ლიკვიდაციის ნაწილში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გადასახადებს, რაც დააჩქარებდა მდიდარი გლეხების ეკონომიკურ დასუსტებას. 1925 წლის თებერვალში ზემო ალვანის თემსაბჭომ განიხილა თელავის მაზრის აღმასკომის დადგენილება N214 გადამხდელთა დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვისა და გადასახადთა გაწერა-აკრეფის შესახებ [**კრა,** ფ. 6, ს. 8: 29]. დადგენილების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდა დაეკისრათ 25-100%-ით.

1926 წლის თემსაბჭოს ანგარიშებიდან ირკვევა, რომ წლის განმავლობაში თემსაბჭომ თუშეთის ვერც ერთი პრობლემა ვერ მოაწესრიგა. კერძოდ, თუშეთის გზის გაყვანა, ალაზანზე ხიდის მშენებლობა, მიწისა და საძოვრების უთანასწორო განაწილება, სახალხო სასამართლოების მოწყობა, გადასახადების აკრეფა. მიუხედავად ხალხის მოთხოვნისა, თემსაბჭომ ვერ მოაწესრიგა საკითხი იმის თაობაზე, რომ სოფლის აღმასკომის ერთი წევრი ყოფილიყო სოფ. დართლოში, ხოლო მეორე – სოფ. ილიურთაში.

ამ პერიოდის საგაზეთო სტატიებში გამოქვეყნებული ინფორმაცია ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თუშეთის მდგომარეობის შესახებ. 1925 წელს თუშეთში მცხოვრები ვაქსო ლეკაიძე პრესის საშუალებით იუწყება, რომ რვა თვის განმავლობაში ზამთრობით ეს კუთხე სრულიად მოწყვეტილია მთელ ქვეყანას და უპატრონოდ არის მიტოვებული, გლეხობა დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი, *„მოძალადეებისგან მოსვენება არ გვაქვს. ხშირად აქ სხვადასხვა ბოროტმოქმედება ხდება: კაცის კვლა, ყაჩაღობა, საჭიროა აქაური მილიციის გაძლიერება წესრიგის დასაცავად... შარშანდლის აქეთ გავრცელდა მუნი, დიდ გაჭირვებას განიცდის ხალხი ამ სნეულებისაგან, საქონელი კი იხოცება თუშეთში გაჩენილი მსხვილი საქონლის ჭირისაგან „ჩუმა". თუშეთს არ აქვს ექიმის დახმარება"* [**ლეკაიძე,** 1925: 4].

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ კურსი აიღო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისაკენ *(„ნეპი")*, რომელიც ეფუძნებოდა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარებას. ამან თუშეთის სოციალ-ეკონომიკური პირობები რამდენადმე გააუმჯობესა მესაქონლე გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების ხარჯზე. საარქივო დოკუმენტების მიხედვით, თუშები აქტიურად ერთიანდებოდნენ

იმ პერიოდში საქართველოში შექმნილ სასოფლო-სამეურნეო კოოპერტივებსა და ამხანაგობებშიდა ავითარებდნენ თავიანთ მეურნეობას. მეცხვარეთა გაერთიანება *„მწყემსი“* და *„ბირლიკი“*აგრონომიულ დახმარებას უწევდა მეცხვარეებს, ხელს უწყობდა პროდუქტის რეალიზებასა და მეურნეობის განვითარებაში.

1923 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული გაერთიანება. ვინაიდან მეცხვარეობა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა, ქ. თბილისში, თვითმმართველობის შენობაში, ალექსანდრე მაჩაბლიშვილისა და ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა მეცხვარეთა კოოპერატიული ამხანაგობა *„მწყემსი“.* ამხანაგობის საბჭოს თავმჯდომარე იყო დავით ქადაგიძე, ხოლო გამგეობის წევრები გ. ბერძენიშვილთან და ს. კუხიანიძესთან ერთად იყვნენ: აგრონომი გიორგი ბაძოშვილი და ლაზარე მურთაზაშვილი [**სეა ცსა,** ფ. 392, ს. 22: 9].

გარდა ამისა, ისინი თანამშრომლობდნენ ამიერკავკასიის კოოპერატივ *„ზაკსაიუზთან“* [**კრა**, ფ. 6, ს. 11: 41], რაც ხელს უწყობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას. ამხანაგობა „მწყემსი“ მეცხვარეებს ეხმარებოდა მატყლის, ყველისა და ცხვრის სხვა ნაწარმის გასაღებასა და გაყიდვაში. მაგ: თუშურ მატყლზე სამართლიანი ფასების დაწესებაში, საძოვრების საკითხების მოწესრიგებაში და სხვა. საარქივო მასალაში დაცული განცხადებებიდან ირკვევა, რომ 1924-1925 წლებში ჩეჩნები ხშირად თავს ესხმოდნენ თუშ მეცხვარებს და ათასობით ცხვარს მწყემსებთნ ერთად იტაცებდნენ. ამხანაგობა *„მწყემსის“* გამგეობის შუამდგომლობით მთავრობამ ხსენებული საძოვრების საზღვრებზე ჩააყენა 80 კაცისგან შემდგარი რაზმი, რომელსაც ევალებოდა ჩეჩნეთიდან გადმოსასვლელი გზების მეთვალყურეობა [**კრა,** ფ. 6, ს. 28: 19]. ამხანაგობის შუამდგომლობით შეიქმნა „საძოვართა მილიცია“, სასაზღვრო რაზმი, ხოლო ადგილობრივ სამაზრო აღმასკომთან მოლაპარაკების შემდეგ შირაქის საძოვარი ადგილები თანაბრად განაწილდა მეცხვარეებს შორის.

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაში თუში მწყემსების გაწევრიანების შესახებ საინტერესო ინფორმაციაა დაცულია საარქივო დოკუმენტებში. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საქართველოში ფუნქციონირებდა კიდევ ერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი *„ბირლიკი“.* კოოპერატივში თუში მეცხვარეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი და მეცხვარეობის განვითარების თვალსაზრისით, სამეურნეო მუშაობა

წარმატებით მიმდინარეობდა. მაგ: *„1928 წლის აგვისტოს თელავის მაზრის ზემო ალვანის მცხოვრებ იოსებ პეტრეს ძე ლაგაზიძემ ერთი წლის ვადით ხელშეკრულება დადო ამხანაგობა „ბირლიკთან“. ხელშეკრულების თანახმად, მეურნეობა თავისი ხარჯებით იძენს ყველაფერს, რაც საჭიროა ყველის წარმოებისთვის: ტყავი, მარილი და სხვა. ასევე ყველა მწყემსი იკვებება მეურნეობის ხარჯზე. ხოლო ლაგაზიძე პასუხისმგებელია ყველის წარმოების ხარისხზე და უვარგისობის შემთხვევაში ზარალი მისი კუთვნილი წილიდან დაკავდება, გარდა ამისა ვალდებულია მეურნეობას ყოველი ცხვრიდან ჩააბაროს 2 კგ მატყლი“*[**სეა ცსა**, ფ. 393, ს. 37: 28].

1929 წლის აპრილში ერთი წლის ვადით თელავის მაზრის ზემო ალვანისმცხოვრებმა პავლე მაჩაბლიშვილმა ხელშეკრულება გააფორმა ამხანაგობა *„ბირლიკთან“*. გამგეობა მას ნიშნავდა „შეფმეისტერად“ ყიზლარის მეცხვარეთა მეურნეობაში. ხელშეკრულების თანახმად, *„მაჩაბლიშვილი პასუხისმგებელია საკოოპერატივო მეურნეობის მეტისი ცხვრის სწორ კვებასა და მოვლა-პატრონობაზე, სადაც განთავსებულია მირინოსისა და თუშური ცხვრის ჯიშები. ასევე ყურადღება უნდა მიაქციოს ყველის მომზადების, ცხვრის გაპარსვისა და ვარგისიანობის საკითხებს. „ბერლიკი“ ვალდებულია იზრუნოს ცხვრის საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე, ხოლო მაჩაბლიშვილს ყოველთვიურად უნდა გადაუხადოს 120 მან“*[**სეა ცსა,** ფ. 393, ს. 36: 31]. როგორც ვხედავთ, კოოპერატივის მუშაობა, ძირითადად, ეფუძებოდა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რაც თუშ მეცხვარეებს ინდივიდუალური მეურნეობის განვითარების საშუალებას აძლევდა.

ტრადიციული გლეხური მეურნეობის შენარჩუნების პირობებში, პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება ყოველწლიურად იზრდებოდა, რაც უზრუნველყოფდა დარგის შემდგომ განვითარებას. კოოპერატივების საქმიანობის მასშტაბურობაზე მიუთითებს კოოპერატივებში გლეხთა გაწევრიანების რაოდენობაც. საარქივო დოკუმენტების მიხედვით: ,,

- 1926 წელს კოოპერატივის წევრთა რიცხვს შეადგენდა 325 წევრი, სრულპაიანი 5 მან.
- 1927 წელს წევრთა რიცხვი უდრიდა 491 – ს, სრულპაიანი 5-10 მან.
- 1928 წელს წევრთა რიცხვი უდრიდა 616-ს, სრულპაიანი 10 მან.

ბოლო2 წელიწადში სრულპაიანი წევრთა რიცხვი უდრის 309-ს.

- წმინდა მოგება 1926/1927წ.წ. 1520 მან. 28 კაპ.
- წმინდა მოგება 1927/1928 წწ. 2147 მან 47 კაპ.

კოოპერატივი აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილების 65%-ს“ [**კრა,** ფ. 6, ს. 28: 98

მართალია, ამხანაგობა-კოოპერატივის შემოღებით გლეხის საქონელი ან პროდუქცია მთავრობის საკუთრებად ცხადდებოდა და საქონლის ჩაბარებისთვის სახელმწიფოს გარკვეული საფასური უნდა გადაეხადა, თუმცა საქართველოში არსებულმა კოოპერატიულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

აღნიშნული მონაცემები მეტყველებს, რომ იდეოლოგიური გავლენებისაგან გათავისუფლებულმა ეკონომიკამ მოკლე პერიოდში მოახერხა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, გაამდიდრა თუშეთის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც იდეოლოგიზებული საბჭოთა საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესში „კლასობრივ მტრად“ გამოცხადდა. მაგრამ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მშენებლობის შედეგად ამხანაგობა-კოოპერატივების საქმიანობა შეწყდა.

კოლექტივიზაციის პროცესში საბჭოთა ხელისუფლების მთავარ მიზანს სოფლად გლეხების გააქტიურება წარმოადგენდა. მათგან ქმნიდა სასოფლო გაერთიანებებს: თემსაბჭოებსა და გლეხთა კომიტეტებს. მათ ევალებოდათ ღარიბი და საშუალო ფენის გლეხების გააქტიურება. მსგავსი გაერთიანებები შეიქმნა ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში.

1927 წელს თუშეთის საზოგადოების ოთხივე თემიდან შეიქმნა თემსაბჭო, რომელშიც ხალხის მიერ არჩეული 40 გლეხი გაერთიანდა. მათგან 7 ქალი იყო. თემსაბჭოს წევრების დაუსწრებლობის შემთხვევაში მათ 12 კანდიდატი ჩაანაცვლებდა. თემსაბჭოს წევრებს ევალებოდათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და ინდივიდუალური დაბეგვრის საკითხების მოწესრიგება, დაქირავებულ მწყემსთა და მოჯამაგირეთა აღწერა, ჭაობიანი ადგილების ამოშრობა, წისქვილების აღწერასთან ერთად მეწისქვილეთა ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა. თემსაბჭოს ანგარიშების ანალიზმა აჩვენა, რომ გლეხების მუშაობა დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდა. დაგეგმილი ღონისძიებებიდან, კერძოდ, თემში

არსებული კოოპერატივის, სკოლების, საექიმო პუნქტების, ბიბლიოთეკების მუშაობის გაკონტროლება სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ განხორციელდა. ჯერ ერთი, საბჭოს წევრები დაკავებულნი იყვნენ თავიანთი პირადი მეურნეობით, და მეორე თემსაბჭოს სხდომებს ესწრებოდა მოსახლეობის მხოლოდ 55%, რადგან გლეხების ძირითადი ნაწილი მუშაობდა შირაქსა და მთაში [**კრა**, ფ. 6, ს. 18: 49].

1928 წელს ზემო და ქვემო ალვანში შეიქმნა გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტი – გლეხკომი, რომელშიც ორივე სოფლიდან მხოლოდ 202 გლეხი გაერთიანდა. მათ ქონებას შეადგენდა: *„ფიცრული სახლი, ერთი საკერავი მანქანა, ინვენტარი, თანხა 602 მანეთი. საერთო ქონება შეფასებული იყო 1942 მანეთით“* [**კრა,** ფ. 6, ს. 18: 56-57]. გლეხკომს ევალებოდა გლეხური მეურნეობების გაერთიანება არტელებსა და კოოპერატივებში, ასევე გლეხების მომარაგება სასურსათო პროდუქტით (პური, სიმინდი, ქერი). 1927-1928 წლების დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ წლის განმავლობაში გლეხკომმა დაკისრებული მოვალეობა ვერ შეასრულა. მიზეზად კი ღარიბი და მწყემსი გლეხების უპასუხისმგებლობა და უმოქმედობა დასახელდა.

1928 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ იდეოლოგიის გაძლიერებისა და გლეხთა აქტივის გააქტიურების მიზნით სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისგან გაათავისუფლა 525 გლეხი, ხოლო 1928-1929 წლებში – 369 გლეხი. თემში სავალდებულო გადასახადი ეხებოდა 764 ოჯახს, თუმცა ირკვევა, რომ გადაუხდია გადასახადი მხოლოდ 534 ოჯახს [**კრა,** ფ.6, ს.21:39]. დოკუმენტში აღნიშნული იყო ისიც, რომ თემში სავალდებულო გადასახადის დარღვევისთვის დაჯარიმდა 74 მოქალაქე [**კრა,** ფ.6, ს. 21:42]. საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები გლეხებში იწვევდა დიდ უკმაყოფილებას. ისინი თავს არიდებდნენ ბეგარა-გადასახადებს, ხშირ შემთხვევაში უარს ამბობდნენ და მიმართავდნენ საქონლის გადამალვას ან გასხვისებას. გარდა ამისა, ზოგჯერ მათი მხრიდან გამოვლენილ წინააღმდეგობასა და მღელვარებას მსხვერპლი მოჰყვებოდა.

ინდივიდუალური დაბეგვრისა და საარჩევნო ხმის უფლება-ჩამორთმევის შესახებ საკითხი თემსაბჭომ განიხილა საარჩევნო კომისიის სხდომაზე 1928 წელს. სხდომას ესწრებოდა თელავის მაზრის მიერ გამოგზავნილი ვანო ნაცვლიშვილი. აღნიშნულ საკითხზე კრების მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, ზემო და

ქვემო ალვანში საარჩევნო ხმის უფლება ჩამოერთვა 280 მოქალაქეს. აქედან 185 მოქალაქე იყო წოვათა თემიდან, 35 – პირიქითის თემიდან, ხოლო ქვემო ალვნიდან – 76 მოქალაქე [**კრა,** ფ.6, ს.27:52]. ამავე კრებაზე საარჩევნო ინსტრუქციის მიხედვით დაამტკიცეს საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა სიები. ორივე სოფელში საარჩევნო ხმის უფლება მიენიჭა 1906 მოქალაქეს. დადგენილების მიხედვით, საარჩევნო ხმის უფლების აღდგენის შემთხვევაში, პირი დაწერდა განცხადებას, სადაც იქნებოდა ინფორმაცია მისი ვინაობის შესახებ იმის აღნიშვნით, თუ რა მიზეზით ჰქონდა ჩამორთმეული ხმის უფლება, რა საქმიანობას მისდევდა იმჟამად და სხვა.

სამაზრო საარჩევნო კომისიის თანახმად, გლეხის მოქალაქეობრივ უფლებებში აღდგენა მოხდებოდა საქართველოს ცაკის 1925 წლის 1 ოქტომბრის N47 დადგენილებისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 31 ოქტომბრის N2 ინსტრუქციის მიხედვით [**კრა,** ფ.6, ს.28: 67]. საარქივო დოკუმენტებმა აჩვენა, რომ საარჩევნო ხმის უფლების აღდგენაზე უარს ეუბნებოდნენ როგორც დაქირავებული შრომით მოსარგებლეებს, ისე ყოფილ ვაჭრებს. მაგ. ზემო ალვანის მცხოვრებ შალვა ფილიშვილს, რომელსაც საარჩევნო ხმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა ვაჭრობის გამო, უარი ეთქვა მის აღდგენაზე, რადგან სამაზრო საარჩევნო კომისიამ ვაჭრობისათვის თავის დანებებიდან რვა თვე საკმარისად არ მიიჩნია. საარჩევნო ხმის უფლების აღდგენაზე უარი ეთქვა აგურის ქარხნის ყოფილ მფლობელს, ქვემო ალვანის მცხოვრებ შაქრო უთურგაიძეს, რომელიც ქურას კვლავ ამუშავებდა. ქვემო ალვანის მცხოვრებ ყოფილ დიაკვანს, ელიზბარ გიგინაშვილს კი სამაზრო საარჩევნო კომისიამ თელავის მაზრის აღმასკომის წინაშე რეკომენდაცია გაუწია საარჩევნო ხმის უფლების აღდგენასთან დაკავშირებით, რადგან მას დიაკვნობისთვის თავი სამი წლის წინ ჰქონდა დანებებული [**კრა,** ფ.7, ს.18:43].

მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებდა სავალდებულო გადასახადები. საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ რიგში ყურადღება მიაქცია საფინანსო დარგში სასოფლო სამეურნეო გადასახადების გადახდის საკითხს. მეცხვარე გლეხებზე ვრცელდებოდა მესაქონლეობის პროდუქტების წარმოების კანონი. მომთაბარული ცხოვრების პირობებში ისინი ვალდებულნი იყვნენ, ეწარმოებინათ ყველი, მატყლი, ხორცი და გადასახადი გადაეხადათ წელიწადში ორჯერ. შემოდგომასა და გაზაფხულზე [**კრა**, ფ.6, ს.24:12]. გადაუხდელობის შემთხვევაში გლეხი

დაჯარიმდებოდა ადმინისტრაციული წესით. გარდა ამისა, ისინი გადასახადს იხდიდნენ სკოლების, ბიბლიოთეკების, საგზაო მშენებლობისთვის, ხიდების აგებისთვის და სხვა. როგორც ვხედავთ, საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის მთავარ მიზანს არა „ადამიანური სოციალიზმის“ მშენებლობა, არამედ მკაცრად რეგლამენტირებული საზოგადოების შექმნა წარმოადგენდა, რომლის საფუძველზეც განხორციელდებოდა საკოლმეურნეო მშენებლობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ შემლებული გლეხების მატერიალური მდგომარეობის შესუსტება ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებით განიზრახა. 1929 წელს თემსაბჭომ მიიღო დადგენილება გლეხთა ინდივიდუალური დაბეგვრის სიების დამტკიცების შესახებ. დადგენილების თანახმად, თუშეთის საზოგადოება დაიყო ორ ჯგუფად: *„პროცენტიან კულაკებად და უპროცენტო ღარიბი გლეხებად“* [**კრა,** ფ. 6, ს. 28: 47]. ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის „კულაკური“ მეურნეობა დაიბეგრა არა ნორმის მიხედვით, არამედ მისი ინდივიდუალური შემოსავლის მიხედვით, ანუ შემოსავლის 100%-ით, მაშინ როდესაც გლეხურ მეურნეობას უნდა გადაეხადა მხოლოდ 3%. საარქივო ჩანაწერებით, სტატისტიკური მონაცემებითა და ჩვენს მიერ გამოთვლილი ციფრებით დასტურდება, რომ ამ პერიოდისთვის დაიბეგრა 224 ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე, დაიბეგრა აგრარული სექტორის ყველა დარგი.

1929 წელს თემსაბჭოს მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, გლეხთა კატეგორიის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე ხარისხის გლეხს ეკრძალებოდა ტყითა და საძოვარი ადგილებით სარგებლობა [**კრა,** ფ. 6, ს. 27: 17].

მეცხვარე გლეხები, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ და ქონებრივ პოტენციალს ფლობდნენ და რომელთა ქონებაც „ნეპის“ პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა, ადვილად არ თმობდნენ მას. თუშეთში „მტრად“ გამოცხადებული „კულაკი“ იყო ჩვეულებრივი მეცხვარე მშრომელი გლეხი, რომელმაც წლების განმავლობაში საკუთარი შრომით შექმნა დოვლათი, ჰყავდა მრავალი ცხვარი, ძროხა და რამდენიმე დაქირავებული მწყემსი, რომლებსაც სამსახურისთვის გასამრჯელოს უხდიდა. ასეთი გლეხი, რა თქმა უნდა, უარს იტყოდა უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოსთვის თავისი უძრავ-მოძრავი ქონება და შესულიყო კოლექტიურ

მეურნეობაში. ისინი გრძნობდნენ, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის კვალდაკვალ საფრთხე ემუქრებოდა მათ ეკონომიკურ მდგომარეობას. ამიტომ საკუთარი ქონებისა და პირადი უფლებების დასაცავად მიმართავდნენ ბრძოლის სხვადასხვა მეთოდს, ავრცელებდნენ ჭორებს, მიმართავდნენ საქონლის გადამალვას, გაყიდვას. 1929 წლის 12 ივნისს ზემო ალვანის თემსაბჭოს აღმწერი კომისიის მიერ შედგენილი ოქმის თანახმად მეცხვარე იოსებ გიორგის ძე ლაგაზიძემ გადამალა 60 სული ცხვარი, ხოლო გიგო ნიკოლოზის ძე უთურგაიძემ – 25 სული ცხვარი [**კრა,** ფ. 6, ს. 31: 64]. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმა ტარდებოდა იძულებითი მეთოდებით, დიქტატით, დასმენებით, რაც თვალნათლივ აღწერილია თემსაბჭოს სხდომის ოქმებსა და დადგენილებებში.

მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ თემსაბჭოს დადგენილებით რწმუნებულებს გზავნიდნენ შირაქში, მთაში, ყიზლარში. მათ ევალებოდათ საქონლის, მწყემსების აღწერა. წინააღმდეგობის შემთხვევაში კი გლეხი გადაეცემოდა „სახალხო სასამართლოს“ სათანდო სასჯელის დასადებად.

1929 წლის შემოდგომაზე რწმუნებულებმა შირაქში მყოფ მეცხვარეებს ჩამოართვეს 36 000 სული ცხვარი, 1700 ცხენი და სხვა საქონელი. გარდა ამისა, ისინი ხვდებოდნენ მათ გზაზე და იძულებით ართმევდნენ საქონელს. 1930 წლის გაზაფხულზე რწმუნებლებმა მეცხვარეებს ჩამოართვეს 25 000 სული ცხვარი. ცხვრის გარეშე დარჩენილი მეცხვარეები ისევ მთაში ბრუნდებოდნენ. კოლექტივიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში თუშ მეცხვარეებს ჩამოართვეს 200 000-ზე მეტი ცხვარი [**კომუნისტი,** 1930: 4]. როგორც ვხედავთ, საკოლმეურნეო მშენებლობა და საქონლის საერთო საკუთრებად ქცევა კოლმეურნეობებში, თუშეთში მეტად რთულად მიმდინარეობდა.

საბჭოთა ხელისუფლება ყურადღებას აქცევდა აგიტაცია-პროპაგანდას და თავის ხალხს ასაქმებდა. მასობრივი დაპატიმრებებისა და დასმენების გამო მოსახლეობაში უნდობლობა და შიში იყო გამეფებული. მიმდინარე პროცესმა უარყოფითი გავლენა მოახდინა თუშეთის მესაქონლეობის მდგომარეობაზე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეცხვარეობა. კოლექტივიზაციის პროცესში მეცხვარეობამ უკუქცევითი მიმართულება მიიღო. მეურნეობის ასეთი კატასტროფული დაცემა გამოიწვია თუში მეცხვარეების მიერ საქონლის განზრახ განადგურებამ. 1929 წლის 16

დეკემბერს თემსაბჭომ განიხილა სახალხო კომისარიატის საბჭოს დადგენილება ცხვრის დაკვლის აკრძალვასთან დაკავშირებით. კრების დადგენილების თანახმად, კანონის*„დარღვევისათვის დამნაშავეს დაედება ადმინისტრაციული წესით ჯარიმა 100 მანეთამდე ან იძულებითი შრომა ერთ თვემდე“* [**კრა,** ფ.6,ს.18:43]. საარქივო დოკუმენტების მიხედვით, XX საუკუნის 30-იან წლებში თუშეთში ცხვრის რაოდენობა შემცირდა 60%-ით.

ამ ფაქტს ადასტურებს თედო ბაინდურაშვილის მოგონებაც: *„ჩვენ ქვეყანაში პირუტყვის დიდი შემცირება სწორედ ამ პერიოდში მოხდა. მაგალითად, საქართველოში, სტატისტიკის მონაცემებით 1928 წელს მსხვილფეხა 1591 ათასი იყო, ღორი 471 ათასი, ცხვარი და თხა 2035 ათასი, მთლიანი კოლექტივიზაციის შემდეგ, 1934 წელს მსხვილფეხა 1233 ათასი, ღორი 115 ათასი, ცხვარი 1055, მდგომარეობა კატასტროფული იყო“*[**კრა,** ფ. 192, ს. 29:17].მოყვანილი ციფრებით დასტურდება, რომ ძალადობის გზით განხორციელებულმა კოლექტივიზაციამ ორჯერ შეამცირა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის რაოდენობა. 1929 წლის 20 ოქტომბერს ზემო ალვანის სოფლის საბჭომ განიხილა ცირკულარი N122, ზემო და ქვემო ალვანში კოლექტივის დაარსებისა და იქ მოსახლეობის გაერთიანების შესახებ (მომხს. ი. ცისკარიშვილი) [**კრა,** ფ. 6, ს. 27:31].ასევე კახეთის საოლქო აღმასკომის დადგენილებით, N3488 დაევალა თემსაბჭოს, ხელი შეეწყო ქვემო ალვანის გლეხობისთვის კოლექტივების ჩამოყალიბებაში: *,,წარმოებულ იქნას მუშაობა სოფლის საბჭოს მიერ სოფელ ქვემო ალვანში ნიადაგის მომზადებით კოლექტივის დასაარსებლად“* – ნათქვამია დადგენილებაში [**კრა,** ფ. 7, ს. 13:24]. როგორც ჩანს, კოლექტივში შესული თანხა ვერ აკმაყოფილებდა მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებას სურსათსა და სამრეწველო ნედლეულზე, რაც საფრთხეს უქმნიდა კოლექტივიზაციის პროცესს.

1929 წლიდან ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში დაიწყო კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბება. თემსაბჭოს კრების ჩანაწერებიდან დასტურდება, რომ ზემო ალვანში შეიქმნა კოლექტიური მეურნეობა, რომელშიც გაერთიანდა 25 გლეხი. მართალია, მაზრიდან მოიწვიეს მიწის მზომელი და კოლექტივს მიწის ნაკვეთი გადასცეს, თუმცა ის მალევე დაიშალა, რადგან თემში არც ერთი სასოფლო სამეურნეო მექანიზმი არ იყო [**კრა,** ფ. 6, ს. 28: 103]. 1929 წელს შეიქმნა მეცხვარეთა არტელი,

რომელშიც შევიდა მხოლოდ ერთი გლეხი – ილიკო მიხეილის ძე იმედიძე [**კრა,** ფ. 6, ს. 16:27]. 1930 წელს ქვემო ალვანში შეიქმნა კოლექტივი *„წითელი მწყემსი“* [**კრა,** ფ. 7, ს. 13: 76]. მაგრამ ეს მეურნეობაც მალევე დაიშალა. მოყვანილ ფაქტს ადასტურებს ხარიტონ მურთაზაშვილის მოგონება: *„კოლექტივიზაციის პერიოდში გიორგი მურთაზაშვილს ჩამოართვეს ქონება, ცხვარ-ძროხა ტრესტს მიუერთეს, ხოლო კამეჩები კოლმეურნეობას. მაგრამ კოლმეურნეობა მალევე დაიშალა, ცხვარი ტრესტს დარჩა, ხარები კი დაუბრუნეს“* [**მურთაზაშვილი,** 1961: 46]. მოყვანილი ფაქტებით დასტურდება, რომ ძალდატანებით შექმნილი მეურნეობები იმდენად სუსტი იყო, რომ მალევე წყვეტდა არსებობას. ამის მთავარი მიზეზი საუკუნეების განმავლობაში თუშეთში არსებული ის ტრადიციული კერძო მესაკუთრული მეურნეობა და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტები იყო, რომელიც განსაზღვრავდა თუშეთის საზოგა-დოების სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის სისტემას და რომლისთვისაც მიუღებელი იყო იდეოლოგიზებული, ადამიანის ბუნებისათვის უცხო და მიუღებელი ინსტიტუტები.

საარქივო დოკუმენტების მიხედვით, 1935 წელს, ზემო ალვანში დაარსდა მესაქონლეობის სამი არტელი: *„წითელი წოვათას“* [**კრა,** ფ. 123, ს. 1: 2], ლავრენტი ბერიას [**კრა,** ფ. 69, ს. 1: 2] და გიორგი დიმიტროვის [**კრა,** ფ. 68, ს. 1: 1] სახელობის კოლმეურნეობები. 1938 წელს ქვემო ალვანში დაარსდა *„წითელი თუშეთის“* [**კრა,** ფ. 72, ს. 1: 2] სახელობის კოლმეურნეობა, ხოლო 1944 წელს – ლენინის [**კრა,** ფ. 71, ს.1: 1] სახელობის კოლმეურნეობა.

თავიდანვე წინააღმდეგობებით დაიწყო *„წითელი წოვათას“* კოლმეურნეობის ჩამოყალიბება. მართალია, გლეხები ერთიანდებოდნენ კოლმეურნეობაში და შეჰქონდათ საწევრო გადასახადი 20-40 მანეთი, მაგრამ უარს ამბობდნენ პირადი საკუთრების კოლმეურნეობაში კონტრაქტაციაზე, რაც აფერხებდა არტელის განმტკიცებას. 1935 წ. 25 დეკემბერს სარევიზიო კომისიამ წარმოადგინა *„წითელი წოვათას“* არტელის ინვენტარიზაცია. დადგენილების მიხედვით, კოლმეურნეობაში აღირიცხებოდა: „ხარი – 8 , ცხენი – 12, სახედარი – 2, ძაღლი – 4, ცხვარი და თხა – 186, სასოფლო სამუშაო იარაღები – 7, სასოფლო დანიშნულების შენობა – 1 ფიცრული სახლი, 1 – ქვიტკირის სახლი კანტორისთვის, ნარგავები ხეხილის ბაღი – 0,28, ვენახი – 0,5. ასევე დასახელებულია უძრავი ქონება, კერძოდ, გუთნები, სკამები, მაგიდა,

თოკი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები [**კრა,** ფ. 123, ს. 2: 17-22]. საარქივო დოკუმენტების ანალიზმა აჩვენა, რომ განცხადების საფუძველზე კოლმეურნეობაში შესული გლეხის მიზანი კერძო საკუთრების შენარჩუნება და სახელმწიფო გადასახადებისაგან გათავისუფლების მცდელობა იყო.

გლეხთა მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებდა სავალდებულო საკოლმეურნეო შრომა-ბეგარა, რაც გაწერილი იყო შრომადღეების ანაზღაურებით. გლეხები თავს არიდებდნენ და არ ასრულებდნენ საკოლმეურნეო საქმეს, ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლება მიმართავდა გლეხების დაჯარიმების სხვადასხვა მეთოდს. 1936 წლის 18 იანვარს შედგა *„წითელი წოვათას“* კოლმეურნეობის სხდომა. სხდომას ხელმძღვანელობდნენ ს. ცისკარიშვილი და ი. წოტოიძე. სხდომაზე განიხილეს აღმასკომის დადგენილება კოლმეურნეობის დისციპლინის დამრღვევი პირების შესახებ. დადგენილების თანახმად, *„პირველად მიეცეს გაფრთხილება, მეორე შემთხვევაში მიეცეს საყვედური, მესამე დარღვევის შემდეგ დაჯარიმდება 5-10 შრომა დღით“* [**კრა,** ფ. 123, ს. 3:4]. ამავე კრებაზე დაასახელეს შრომადღეებით დაჯარიმებული პირები. მაგალითად. *„დიმიტრი ცისკარიშვილი დაჯარიმდეს 5 შ/დ, გიორგი ცისკარიშვილი 3 შ/დ, გაბო უშარაული ხუთი შ/დ, დავით შანქიშვილი 3 შ/დ....“* [**კრა,** ფ. 123, ს. 3: 7-8]**.** ასეთი დადგენილება მიანიშნებს იმას, რომ შრომადღეებით დაჯარიმება იყო საბჭოთა ხელისუფლების ერთგვარი მეთოდი სახელმწიფოს მიერ გლეხის დაყმევებისთვის.

„წითელი წოვათას“ კოლმეურნეობის სხდომებზე მუდმივად განიხილებოდა დაუმორჩილებელი პირების საქმე, რომლებიც უარს ამბობდნენ კოლმეურნეობაში გაწევრიანზე და მისდევდნენ კერძო მეურნეობას. 1937 წ. 17 აპრილის კრების დადგენილების მიხედვით *„მიტო და ერისტო ქადაგიძეები და დავით წოტოიძე გაირიცხნენ არტელიდან, როგორც შრომის დეზერტირები, სიმულიანტები და მოქიშპე პიროვნენებები. ლეო ბართიშვილი, როგორც ურჩი გადამხდელი სახელმწიფო გადასახადების, არტელის დადგენილების მოწინააღმდეგე და შრომის დეზერტირი გარიცხულ იქნეს წევრობიდან. რაც შეეხება ალექსი ჩარხოშვილს, მას მიეცეს უკანასკნელი გაფრთხილება, შემოიტანოს განცხადებაში აღნიშნული იარაღები, საწევრო გადასახადები და დაიწყოს კოლმეურნეობაში მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება მისი გარიცხვის საკითხი“* [**კრა,** ფ. 123, ს. 4: 21]**.**

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო დაწესებულებების მშენებლობისათვის დადგინდა თვითდაბეგვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხი მიეცემოდა პასუხისგებაში.

ბრიგადირები ვერ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ხშირი იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარეების ცვლილება. მაგალითად, 1936 წ. 21 დეკემბერს კრებამ მიიღო დადგენილება: *„არტელში შრომის ორგანიზება არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ბრიგადირი ერისტო ქადაგიძე ვერ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას და მოისუსტებს, მიეცეს გაფრთხილება სამი დღის განმავლობაში გამოასწოროს ნაკლოვანებები, წინააღმდეგ შემთხვევაში გათავისუფლდება თანამდებობიდან“* [**კრა,** ფ. 123, ს. 5: 9]**.** 1937 წ. 12 აპრილს კრებაზე არტელის თავჯდომარე ს. ცისკარიშვილმა განაცხადა: *„ვინაიდან არტელში შეიქმნა ისეთი ატმოსფერო, რომ იქ მუშაობა ყოვლად შეუძლებელია, დღეიდან თავს ვანებებ ჩემი მოვალეობის შესრულებას“* [**კრა,** ფ. 123, ს. 5: 14]**.** კოლმეურნეობის ბრიგადირები და თავმჯდომარეები ვერ უზრუნველყოფდნენ გლეხების მობილიზებას და ტოვებდნენ თანამდებობას.

საკოლმეურნეო სისტემის განსამტკიცებლად საბჭოთა ხელისუფლება ფართოდ მიმართავდა სააგიტაციო საქმიანობას. კოლმეურნეობის კრების დადგენილებით კოლმეურნეობაში გაერთიანებულნი იყვნენ სკოლის მასწავლებლები, რომლებსაც ევალებოდათ გლეხების გააქტიურება და აღმზდელობითი საქმიანობა, რაც არ სრულდებოდა. კოლმეურნეობის კრებაზე განიხილებოდა კანონდამრღვევი მასწავლებლების არტელიდან გარიცხვის საკითხი.

კრების ოქმების შესწავლამ აჩვენა, რომ კოლმეურნეობაში შემოღებულ ღონისძიებებს და ბრძანებებს გლეხები ვერ უმკლავდებოდნენ და თავის არიდების მიზნით მიმართავდნენ სხვადასხვა გზას. მაგალითად, უკანონოდ მიიწერდნენ გამომუშავებულ შრომადღეებს. 1936 წლის მაისში კრებაზე სარევიზიო კომისიამ წარადგინა მოხსენება კანონის დამრღვევი პირების შესახებ:

1. ლ. შანქიშვილს გამომუშავებული აქვს 304 სამუშაო დღე, გაწერილი აქვს 418 შ/დ. მეტია 114 შ/დ.
2. სანდრო ცისკარიშვილს ერგებოდა 267 შ/დ და მიღებული აქვს 329 შ/დ. მეტია გაწერილი 62 შ/დ.

3. ფილიპე ლონგიშვილს ერგებოდა 184 შ/დ, მაგრამ მიღებული აქვს, 206 შ/დ. მეტია 22 შ/დ. [**კრა,** ფ. 123, ს. 8: 16].

მიუხედავად თელავის რაიაღმასკომის მცდელობისა, ზემო ალვანის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო კოლმეურნეობის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა-განმტკიცება. ამიტომ 1938 წელს კოლმეურნეობა *„წითელი წოვათა“* დაიშალა.

დიმიტროვის სახელობის მესაქონლეობის კოლმეურნეობა, რომელიც აერთიანებდა 37 კომლს, თავდაპირველად დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საკოლმეურნეო საქმინობას (თავჯდომარე შ. ედიბერიძე). გლეხები იხდიდნენ ყველის, მატყლის, ხორცის, ერბოს გადასახადებს. მაგრამ კოლმეურნეობა, რომელიც ეფუძნებოდა „ნებაყოფლობითობის“ პრინციპებს, მალე მოიშალა. კრების სხდომებზე მუდმივად განიხილებოდა ურჩი გადამხდელების, დარჩენილი გადასახადების გადახდის, ფულადი სახსრების მობილიზების, გადაჭარბებული ხუთწლიანი გეგმების შესრულების საკითხი. კოლმეურნეობაში იყიდებოდა საკოლმეურნეო საქონელი, ფლანგავდნენ თანხებს, ქურდობდნენ, უკანონოდ იწერდნენ შრომა-დღეებს. გლეხები არ ესწრებოდნენ კოლმეურნეობის კრებებს, რამაც გამოიწვია კოლმეურნეობის პარალიზება. 1950 წლის კრების დადგენილებიდან დასტურდება, რომ კოლმეურნეობა არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ გამოყო კომისია და მიიღო ზომები კოლმეურნეობაში შეცდომების დასაძლევად, თუმცა ვერ შეძლო. იგი დაიშალა 1950 წელს.

რთულად დაიწყო სოფელ ქვემო ალვანის *„წითელი თუშეთის“* კოლმეურნეობის შექმნაც. კოლმეურნეობაში შესული გლეხები უარს ამბობდნენ პირადი საქონლისა და საწარმოო საშუალებების კოლმეურნეობაში შეტანაზე. განსაკუთრებით მძიმე იყო სახელმწიფო სავალდებულო გადასახადები და საკოლმეურნეო შრომადღეების გამომუშავება, რაც ასუსტებდა გლეხის მატერიალურ დაინტერესებას. კრებებზე მუდმივად განიხილებოდა იმ პირთა საქმე, რომლებიც არღვევდნენ დისციპლინას და არ ასრულებდნენ გამგეობის დადგენილებებს. კოლმეურნეობებში გახშირდა შრომითი დეზერტირობა. ცხვრის სულადობის გაზრდაზე ორიენტირებულმა მეურნეობამ ვერ გაუძლო „კომუნისტურ

ექსპერიმენტებს," კოლმეურნეობის ცხვარი განადგურდა, ხოლო უსაქონლოდ დარჩენილი მეურნეობა 1945 წელს დაიშალა.

ბერიას სახელობის კოლმეურნეობის შექმნაც რთულად დაიწყო. საარქივო დოკუმენტების მიხედვით დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა ამ კოლმეურნეობის დაშლის მცდელობას, თუმცა კოლმეურნეობის თავმჯდომარის იობ ცაძიკიძის ხელმძღვანელობით ნელი ტემპით განხორციელდა არტელის განმტკიცება და საკოლმეურნეო გეგმების „გადაჭარბებით" შესრულება.

ზემო ალვანისა და ქვემო ალვანისკოლმეურნეობების შესწავლის ანალიზი ცხადყოფს, რომ საბჭოთა საკოლმეურნეო მშენებლობის ფარგლებში გლეხური მეურნეობების გაერთიანება და საზოგადოებრივი დისციპლინის გამტკიცება რთულად განხორციელდა. ზოგიც დაიშალა, ნაწილი კი ჩაერთო „სოციალისტურ მშენებლობაში".

ამრიგად, XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში განხორციელებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად გაუმჯობესებული თუშეთის სოციალ-ეკონომიკური ვითარება, 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაუარესდა, რისი მიზეზიც კოლექტივიზაცია იყო. ის ზემო და ქვემო ალვანში მძიმე სოციალური და ეკონომიკური დაპირისპირებით მიმდინარეობდა. კოლმეურნეობებში გლეხური მეურნეობების გაერთიანება და საზოგადოებრივი დისციპლინის გამტკიცება რთულად განხორციელდა, ბევრი ახლად შექმნილი მეურნეობა კი დაიშალა. „ნეპის" პერიოდში ეკონომიკურად გაძლიერებული თუშები არ თმობდნენ კერძო საკუთრებას და უპირისპირდებოდნენ საკოლმეურნეო მშენებლობას, თუმცა ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და სოციალური გარემო პირობების შედეგად, ძირითადად, მდიდარი გლეხების ქონების ექსპროპრიაციის საფუძველზე, აქ მაინც ჩამოყალიბდა საბჭოთა კოლმეურნეობები, რომლებიც „აქტიურად" ჩაერთვნენ „სოციალისტურ მშენებლობაში".

§2. ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის სოფლებად გაშენება

საქართველოს გასაბჭოებიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო მიწის რეფორმის გატარება. 1921 წ. 6 აპრილს „საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა" გამოსცა დეკრეტი „მიწის მშრომელი ხალხის

საკუთრებად გამოცხადების შესახებ“. დეკრეტის თანახმად, საბჭოთა ხელისუფლება მიწაზე კერძო საკუთრებას არ ცნობდა. მართალია, ის გლეხს მიწას აძლევდა პირად საკუთრებაში, თუმცა მისი გაყიდვის ან გასხვისების უფლება ამ უკანასკნელს არ ჰქონდა.

ცნობილია, რომ საუკუნეების მანძილზე თუშეთის სათემო მიწათსარგებლობის განვითარება ეფუძნებოდა თავისუფალ გადანაწილებას, რაც განპირობებული იყო მტკიცედ ჩამოყალიბებული „სათუშოს“ ტრადიციითა და სახნავ-სათესი მიწის ფართობის სიმცირით. მ. მაჩაბელის მონაცემების მიხედვით, *„1880 წელს თუშეთის მიწის ფონდი შეადგენდა 975,50 დესეტინას, აქედან სახნავ-სათესად ვარგისი იყო 565,30 დესეტინა, ხოლო დარაჩენი ანუ 410,20 დესეტინა სათიბებს ეკავა. თუშეთში სახნავი მიწა იმდენად მცირე ოყო, რომ თითოეულ კომლზე დაახლოებით 0,75-1 დესეტინამდე მოდიოდა“* [**მაჩაბელი,** 1887: 436]. გიორგი იჩუაძის ცნობით, მთაში სახნავ-სათესი მიწა საკმარისი არ იყო. ამ მხრივ თუშეთი განიცდიდა დიდ გაჭირვებას, რაც გარკვეულ გავლენას ახდენდა ცხოვრების პირობებზე, მეურნეობის წარმოების ხასიათზე. მისივე გადმოცემით, თუშეთში ოჯახს საშუალოდ 0.55-1 დესეტინამდე სახნავი მიწა ჰქონდა. მსხვილ მეცხვარეებს, რომელთაც ჰყავდათ 1000 სულამდე ცხვარი და 20 სულამდე ძროხა, ჰქონდათ 6-7 დღიური სახანავი მიწა. თუშეთში მიწის ასეთი სარგებლობა ეფუძნებოდა ტრადიციულ სამეურნეო სისტემას. ცნობილია, რომ თუშეთში, ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, იქმნებოდა დიდი ოჯახი, რომელიც ასევე ქმნიდა საოჯახო არტელს და მიწათმოქმედება-მესაქონლეობის თავისებურ სიმბიოზს, რაც განაპირობებდა საოჯახო მეურნეობის მდგრადობას.

ამრიგად, თუშეთში გარემო პირობებმა და ცხოვრების წესმა განსაზღვრა თუშეთის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება, რაც ხასიათდებოდა თემური წყობილების თავისებურებებით.

XIX საუკუნეში თუშების მიერ ალვანის ტერიტორიის სახნავ-სათესად ათვისებამ კერძო ინდივიდუალური ხასიათი მიიღო. ძლიერი მეცხვარეები იჯარით თუ შესყიდვით ბარში მცხოვრებ თუშთა მიწებს ამუშავებდნენ და ავითარებდნენ თავიანთ მეურნეობას. საისტორიო მასალებიდან ირკვევა, რომ ამ გარემოებამ თუშეთის საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია და მათ მოითხოვეს

ტრადიციული წესით მიწის რეფორმის გატარება. *„1882 წლის 21 მაისს თუშეთის თემის საბჭომ მიიღო დადგენილება ალვნის ტერიტორიაზე დასახლებულ კომლზე 3 დღიური, ანუ 1,5 დესეტინა მიწის გადაცემის შესახებ, როგორც სახლის მშენებლობისთვის, ისე სახნავ-სათესად“* [**ჯალაბაძე,** 1986: 30]. ამავე დადგენილების მიხედვით, *„ალვნის ველი ოთხთვალი ტყიანად თაობიდან თაობას გადაეცემოდა სათემო მფლობელობაში“*[**ჯალაბაძე,** 1986: 31]. მონაცემები ნათლად მეტყველებს, რომ თუშები მიწის განაწილების თემური მფლობელობის ტრადიციულ წესს მტკიცედ იცავდნენ, თუმცა XIX საუკუნის მეორე ნახევარიდან სოფლად სასაქონლო კაპიტალიზმის განვითარების პირობებში, შეუძლებელი გახდა მიწათსარგებლობის ძველი სისტემის შენარჩუნება. შესყიდვით თუ მისაკუთრებით თემში გაჩნდნენ მიწის მესაკუთრე გლეხები, რომლებიც ზრდიდნენ გლეხური მეურნეობის მასშტაბებს.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მთიდან ბარში, კერძოდ, ალვანის ტერიტოტიაზე თუშების მიგრაციამ მაშტაბური ხასიათი მიიღო, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ცხოვრების მთაბარული სისტემის ჩამოყალიბება. საკავშირო აღწერის მიხედვით, 1926 წელს თუშეთის საზოგადოება შეადგენდა 5451-ს, აქედან თუშეთში ცხოვრობდა 2571, ხოლო 1939 წლის აღწერის მიხედვით – 6820, აქედან თუშეთში ცხოვრობდა 1883, ზემო ალვანში – 3234, ქვემო ალვანში კი – 1700-ზე მეტი კაცი [**კრა,** ფ. 192, ს. 1: 21]**.** მონაცემებიდან ნათლად ირკვევა, რომ ამ პერიოდისთვის კახეთის ბარის ტერიტორიაზე თუშები ეტაპობრივად იწყებენ ჩამოსახლებას, თუმცა თუშეთში დარჩა საზოგადოების ნაწილი, რომელიც ადგილობრივი, ტრადიციული განვითარების გზით განაგრძობდა ცხოვრებას.

როგორც აღვნიშნეთ, XX საუკუნის დასაწყისიდან თუშეთის საზოგადოების ნაწილი ალვანის ტერიტორიაზე დასახლდა და ხვნა-თესვას მიჰყო ხელი, მაგრამ ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის სოფლებად გამიჯვნა და განაშენიანების დაგეგმარება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაიწყო. პროექტის შედგენა დაკავშირებულია დავით აბაშიძის სახელთან, რომელიც იმხანად მუშაობდა თელავის მაზრის აღმასკომში მიწათმოქმედების განყოფილების გამგედ. პროექტის თანახმად: *„ზემო და ქვემო ალვანის ტერიტორია დაიგეგმოს სწორ ნაკვეთებად და მოსახლეობას შორის განაწილდეს კენჭისყრის შედეგად“*[**კრა,** ფ. 6, ს. 12: 21]**.**

1925 წლის მარტში ზემო ალვანის თემსაბჭომ განიხილა თელავის მაზრის საადგილმამულო კომისიის დადგენილება N12 საფონდო მიწების დაარსებისა და N5 სამოსახლო მიწების მოსახლეობაზე განაწილების შესახებ [**კრა,** ფ. 6, ს. 12: 38]. დადგენილების მიხედვით, ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის ტერიტორიაზე მოსახლეობის განაშენიანება განხორციელდებოდა ორი გზით: 1) მიწების მუნიციპალიზაციით და უმიწო და მცირე მიწიანი გლეხებისათვის მათი გადაცემით; 2) დაწესებული ნორმის ფარგლებში მიწა ახალ მეპატრონეს გადაეცემოდა უფასოდ ან შეღავათიან ფასებში.

თემსაბჭოს სხდომის ოქმის ანალიზმა აჩვენა, რომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული მიწის რეფორმა ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში ინტენსიურად ვერ განხორციელდა. დაგეგმვის პროცესში ადგილი ჰქონდა დარღვევებს, ხშირ შემთხვევაში მიწის ნაკვეთების უკანონოდ მითვისებას როგორც სამოსახლო, ისე სახნავი და საძოვარი ადგილების მიმართულებით, რაც განპირობებული იყო მიწის ნორმის დადგენისა და გლეხობაზე განაწილების არასწორი წესით.

სამოსახლო მიწის განაწილების პროცესში მესაკუთრე გლეხების ნაწილმა დადგენილი მიწის ნორმის ფარგლებში შეინარჩუნა საუკეთესო მამულები, კერძოდ, მრავალწლიანი ნარგავები, საძოვარი ადგილები, ხოლო გლეხების ნაწილმა, რომლებიც პირად სარგებლობაში ფლობდნენ „ნახ-ნახევარ დესეტინა მიწას“, ისიც დაკარგეს და უმიწოდ დარჩნენ [**კრა,** ფ. 6, ს. 18: 9]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მესაკუთრე გლეხებმა კანონით დადგენილი მიწის ყიდვა-გაყიდვის შედეგად შეღავათიან ფასებში შეისყიდეს საძოვარი თუ ხეხილიანი ბაღები. დოკუმენტების ანალიზმა აჩვენა, რომ 1925-1926 წლებში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული რეფორმა განაშენიანების შესახებ გეგმის მიხედვით ვერ განხორციელდა, რამაც გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება. 1926 წლის სექტემბერში ერთ-ერთი განცხადების მიხედვით, ზემო ალვანის თემის მოსახლეობა (70 ხელმოწერა) ითხოვდა მიწის მესაკუთრე გლეხებისთვის ნორმაზე ზევით დარჩენილი მიწის ჩამორთმევასა და უმოწოდ დარჩენილი გლეხებისათვის გადაცემას [**კრა,** ფ. 6, ს. 18: 31].

ამ პერიოდის საარქივო დოკუმენტებში ინახება მრავალი განცხადება, რომლის თანახმადაც, მთაში მცხოვრები თუშები ითხოვდნენ სამოსახლო მიწის ნაკვეთს კახეთის ბარში, კერძოდ, ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის ტერიტორიაზე, მაგრამ თემსაბჭოს დადგენილების თანახმად, თუშებს, რომლებიც ზამთარ-ზაფხულს მთაში ცხოვრობდნენ და კავშირი არ ჰქონდათ ბართან, უარი ეთქვათ მიწის გადაცემაზე. მაგალითად: ,,საბედა ბაბოს ასულ გაწირიძეს, რომელიც თხოულობდა N65 სამოსახლო ნაკვეთს ქვემო ალვანში, უარი ეთქვა, როგორც მთაში მცხოვრებს“ [**კრა,** ფ. 7, ს. 10: 23].*„ლაზარე ხოხიაიძე და ეროდი სისაური ითხოვენ სამოსახლო ნაკვეთს ქვემო ალვანში. უარი ეთქვათ, ვინაიდან მთათუშეთის მცხოვრებნი არიან და არც აპირებენ ჩამოსახლებას“* [**კრა,** ფ. 7, ს. 10: 34]. როგორც ვხედავთ, 1925-1926 წლებში ზემო და ქვემო ალვანის სოფლების განაშენიანება წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ვერ განხორციელდა.

ამას ემატებოდა ის გარემოებაც, რომ ძალიან მცირე იყო სახელმწიფო მიწის ფონდი. განცხადებებში გლეხები მოითხოვდნენ მიწის ფონდის გადასინჯვას და დამატებითი სახსრების გამონახვას. კერძოდ, ჭაობიანი ადგილების ამოშრობას, ჯაგნარი მიწების გაწმენდას. თელავის მაზრის აღმასკომმა გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და 1927 წელს მიიღო დადგენილება ზემო ალვანის ჭაობიანი ტყის – *„საჩალე“* ტერიტორიების ამოშრობის, ოთხითვალის ტყის ჭალის გაჩეხვის, ბახტრიონის მამულების ალვანის მიწებთან შეერთებისა და უმიწოდ დარჩენილი გლეხებისათვის გადაცემის შესახებ [**კრა,** ფ. 6, ს. 23: 17-22].

მეტად საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. 1925 წლიდან მოყოლებული პანკისის ხეობაში, კერძოდ, საკობიანოში, ბირკიანში, ფიჩხოვანში, ქორეთში, ბაბანეურსა და სხვა სოფლებში, მცხოვრები თუშები განცხადების საფუძველზე ითხოვდნენ ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის ტერიტორიაზე სამოსახლო მიწის გადაცემას. მაგალითად, 1929 წლის 3 მარტს ზემო ალვანის თემსაბჭომ მიიღო დადგენილება სოფელ ბირკიანში მცხოვრები რევაზ იუკურიძის ალვანის ტერიტორიაზე დასახლების შესახებ. კრების დადგენილებით:,, მიუხედავად მიწის სივიწროვისა მიეცეს უფლება რევაზ ეგნატეს ძე იუკურიძეს ალვნის ფარგლებში ჩამოსახლების და ისარგებლოს მიწით როგორც ადგილობრივი მკვიდრი“ [**კრა,** ფ. 6, ს. 28: 11].

ამ მოვლენამ შექმნა თუშების კუთვნილი ამ ტერიტორიების დაკარგვის საშიშროება, რაც თვალნათლივაა აღწერილი თემსაბჭოს საარქივო დოკუმენტებში. ზემოთ ხსენებული სოფლების ტერიტორიებით, რომლებსაც თუში დარაჯები იცავდნენ და მიწის გადსახადსაც თუშები იხდიდნენ, მეზობლად მცხოვრები ოსები სარგებლობდნენ და ხშირ შემთხვევაში მიწას იჯარით გასცემდნენ, რაც იწვევდა თუშების უკმაყოფილებას.

როგორც ჩანს, თელავის სამაზრო აღმასკომმა გაითვალისწინა ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში არსებული ვითარება და 1926 წელს მიიღო დადგენილება N233. დადგენილების თანახმად სოფლები: ფიჩხოვანი, არგოხი, ბაბანეური და მაღრაანი, რომლებიც თუშებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში „ყოფილი თავადებისგან“ შეისყიდეს, ფშავლის თემს გამოეყო და ქვემო ალვანის თემს შეუერთდა [**კრა,** ფ. 6, ს. 26: 13-14]. გარდა ამისა, 1927 წელს თელავის მაზრის სახალხო სასამართლომ მიიღო რეზოლუცია ზემოხსენებული სოფლების მიწების თუშეთის თემის უმიწოდ დარჩენილი გლეხებისთვის გადაცემის შესახებ [**კრა,** ფ. 6, ს. 26: 42]. ამავე წელს თელავის აღმასკომის სადგილმამულო კომისიამ მიიღო დადგენილება საკობიანოსა და ფიჩხოვანში თუშების კუთვნილი ტრიტორიების სარგებლობის აკრძალვის შესახებ [**კრა,** ფ. 6, ს. 31: 16]. როგორც ვხედავთ, დავა ოსებსა და თუშებს შორის იმდენად რთულად მიმდინარეობდა, რომ ეს პროცესი 1928 წელსაც არ იყო დამთავრებული.

მართალია, საარქივო დოკუმენტების ოქმიდან ხსენებული მამულების ოსებისთვის გადაცემის ფაქტები არ დასტურდება, თუმცა რეალობა ასეთია: ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში რეფორმის „საბჭოური მეთოდის“ წყალობით, რომელსაც თან სდევდა მოსახლეობის მიგრაცია, თუშებმა ხსენებული სოფლები დაკარგეს და, ფაქტობრივად, ადგილობრივმა ოსებმა დაისაკუთრეს.

ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ 1928 წლიდან საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესში ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში განხორციელდა აგრარული რეფორმის მეორე ეტაპი, რომელსაც საფუძვლად დაედო სოფლის მოსახლეობის განცხადებები, რომელთა მიხედვითაც, გლეხები ხაზგასმით მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ მოსახლეობის სოფლის გეგმაზე განაშენიანება მიმდინარეობდა მიწათმომწყობი კომისიის მუშაობის გარეშე. ამასთან, ისინი

საფონდო მიწის სიმცირის მიზეზად ასახელებდნენ მიწის მესაკუთრე გლეხთა კატეგორიას, რომლებიც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას და ავითარებდნენ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას,„*არიან შეძლებული გლეხები, რომლებიც ცხოვრობენ გეგმის გარეთ ძველს ადგილზე განცხრომით, აქვთ აუარებელი ცარიელი მინდვრები შემოღობილი და სრულიად არ ფიქრობენ ახალ გეგმაზე დასახლებას...*“ [**კრა,** ფ. 6, ს. 34: 9-11].

ამ მიზნით, 1928 წლის ოქტომბერს მოწათმოქმედების სახალხო კომისარიატის #8153 ბრძანებით დამტკიცდა კანონი *„მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ“*. დადგენილების მიხედვით, გლეხს ეკრძალებოდა პირად საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვა, უფრო მეტიც, ნორმაზე ზევით დარჩენილი მიწა გლეხს უნდა ჩაებარებინა სახელმწიფო მიწის ფონდში, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გადაეცემოდა „სახალხო სასამართლოს“. გარდა ამისა, საბჭომ მიიღო დადგენილება ეკლესია-მონასტრების დახურვისა და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შესახებ, რომლის თანახმადაც, ზემო და ქვემო ალვანში მცხოვრებ რელიგიის მსახურებს პირად საკუთრებაში არსებული მიწა უნდა ჩაებარებინათ სახელმწიფო მიწის ფონდში. მაგალითად, ქვემო ალვანში მცხოვრებ დიაკვან ილია არშაულიძე სტეფანეს ძეს სახნავი მიწა ჩამოართვეს იმ მიზეზით, რომ ატარებდა რელიგიურ მსახურებას [**კრა,** ფ. 7, ს.31: 36], ხოლო სასოფლო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე მომხსენებელმა ი. ცისკარიშვილმა თავის მოხსენებაში რელიგიური დღესასწაული „ალავერდობა“ გამოაცხადა „დამკვრელ დღედ“ [**კრა,** ფ. 6, ს. 46: 51]. როგორც ვხედავთ, საბჭოთა ხელისუფლება სოფლად გატარებული რეფორმების შედეგად ასუსტებდა შეძლებული გლეხების ეკონომიკურ მდგომარეობას.

1929-1930 წლების თემსაბჭოს სხდომის ოქმების შესწავლის ანალიზმა აჩვენა ,რომ ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის სოფლების გეგმაზე განაშენიანება, სამოსახლო და სახნავი მიწის თანაბრად განაწილება ინტენსიურად განხორციელდა.1930 წლის მარტს თემსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება : ,,თემ-საბჭოს ინიციატივობით მთელი თემის სოფლები გადაყვანილია გეგმაზედ“- [**კრა,** ფ. 7, ს. 23: 5]

ამრიგად, XX საუკუნის 20-30-იან წლებში ალვანის ტერიტორიაზე თუშების მიგრაციამ მაშტაბური ხასიათი მიიღო, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ცხოვრების

მთაბარული სისტემის ჩამოყალიბება და თუშეთის საზოგადოების გამიჯვნა – მთაში მცხოვრები თუშები ანუ ,,თუშურაები“ და კახეთის ბარში მცხოვრები თუშები ანუ ,,კახურაები“. მიწების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებისა და მოსახლეობაზე სარგებლობის უფლებით მიწის თანაბრად განაწილების შემდეგ კახეთის ბარში გაშენდა ორი ძლიერი სოფელი: ზემო ალვანი და ქვემო ალვანი. თუშები დასახლდნენ სოფელ ლალისყურშიც. ეს პროცესი ეთნიკური და საყოფაცხოვრებო პირისპირების ნიადაგზე განხორციელდა.

§ 3.საკოლმეურნეო მშენებლობა თუშეთში XX საუკუნის 40-50 წლებში

XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ საკოლმეურნეო ღონისძიებების გატარება დაიწყო თუშეთში. ჩვენ მიერ შესწავლილია თუშეთის ხუთი: დიკლოს სტალინის [**კრა,** ფ. 74, ს. 1: 2], დართლოს *„წითელი კავკასიონის“*[**კრა,** ფ. 75, ს. 1: 2-3], ომალოს კიროვის [**კრა,** ფ. 94, ს. 1: 2], შენაქოს ჩარკვიანის [**კრა,** ფ. 73, ს. 1: 1-2] და ჭანჭახოვანის *„მე-18 პარტყრილობის“*სახელობის კოლმეურნეობები [**კრა,** ფ. 76, ს. 1: 2]. პირველი სამი შეიქმნა 1939 წელს, მეოთხე – 1947 წელს, ხოლო მეხუთე – 1950 წელს. ეს უკანასკნელი გაუქმდა 1954 წელს, ხოლო შენაქოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა საბჭოთა ხელისუფლებამ დაშალა და 1958 წელს ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობას შეუერთა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კახეთის ბარში (ზემო ალვანი და ქვემო ალვანი) კოლმეურნეობების ჩამოყალიბება, ძირითადად, განხორციელდა კერძო გლეხური მეურნეობის ქონების ექსპროპრიაციის საფუძველზე, ხოლო მთაში, სადაც XX საუკუნის 40-იან წლებში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ტრადიციული სოციალური ურთიერთობის ელემენტები, მდიდარი მესაკუთრე გლეხები თითქმის არ იყვნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თითოეულ კომლს ჰქონდა 0,25 ჰექტარი (3-4 დღიური) სახნავ-სათესი მიწა, 200–300 სული ცხვარი, რამდენიმე ცხენი და ძროხა. მათი შემოსავალი მხოლოდ პირადი საარსებო საშუალებებით შემოიფარგლებოდა. ეს განპირობებული იყო მკაცრი გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობებით, რაც აფერხებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. მართალია, იმ პერიოდისთვის იყვნენ მთაბარულ სისტემაზე მცხოვრები თუშები და აფართოებდნენ პირად მეურნეობას, მაგრამ მთაში ცხოვრობდა მკვიდრი საზოგადოების ის ნაწილი,

რომელიც „სათუშოს“ ჩვეული ტრადიციული ცხოვრებით ცხოვრობდა. ასეთ ვითარებაში თუშეთის ტრადიციული ღირებულებები უპირისპირდებოდა საბჭოთა ეკონომიკურ პოლიტიკას.

1939 წლის 6 აგვისტოს შედგა ომალოს სასოფლო საბჭოს კრება, რომელსაც ესწრებოდნენ წარმომადგენლები თელავიდან, თელავის რაიკომის მდივნის ნიკო ბაჩიაშვილის ხელმძღვანელობით. კრებაზე შეთავაზებული აგრარული რეფორმა და სოციალური „კეთილდღეობის“ იდეები ომალოს საზოგადოებამ არ მიიღო. კოლმეურნეობაში გაერთიანების სურვილი გამოთქვა მხოლოდ ორმა მცხოვრებმა (სამსონი შაამე, მიტრო ბექურიძე). ამიტომ ადგილობრივმა გამგეობამ მიმართა აგრარული რეფორმის სხვა ფორმას. მესაქონლეობის ბაზის შესაქმნელად კრებამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც *„გლეხი პირად სარგებლობაში დაიტოვებდა 30-40 სულ ცხვარს, 2-3 ცხენს, ძროხას ნამატით, ხოლო დანარჩენს გააერთიანებდა კოლმეურნეობაში“* [**კრა,** ფ. 94, ს. 1: 23]. საარქივო დოკუმენტებში დაცული განცხადებებიდან დასტურდება, რომ გლეხები სრულად არ ასახელებდნენ პირადი ცხვრის რაოდენობას და მალავდნენ საქონელს.

1939 წ. 14 აგვისტოს დიკლოს კოლმეურნეობაში შევიდა ოცი განცხადება, 60 სული ცხვარი და ორი ცხენი. ამიტომ კრებამ მიიღო დადგენილება *„ვინაიდან კოლწევრები არიან მცირე საქონლის პატრონები, კოლმეურნეობაში შესულმა 10 სულ ცხვარზე უნდა გააერთიანოს 5 ცხვარი, 20 სულზე 10 ცხვარი“* [**კრა,** ფ. 74, ს. 1: 10-11]**.** კრების ოქმებისა და კოლმეურნეობაში შესული განცხადებების შესწავლამ აჩვენა, რომ გლეხები თანხმდებოდნენ მხოლოდ საწევრო გადასახადის გადახდაზე, ხოლო უარს ამბობდნენ კოლმეურნეობებში მიეტანათ საყოფაცხოვრებო ნივთები, სასოფლო-სამეურეო ინვენტარი, საწარმოო საშუალებები, გაერთიანებინათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.

1939 წელს 9 აგვისტოს დართლოს კოლმეურნეობის კრების ოქმიდან (თავმჯდომარე ბესო ელანიძე) დასტურდება, რომ პრიქითის თემის საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამდა საკოლმეურნეო ვალდებულებებზე. განცხადებების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ კოლმეურნეობაში გაერთიანდა მხოლოდ 24 გლეხი. გლეხი ვალდებული იყო კოლმეურნეობაში გააერთიანებინა ორი მუშა ხარი ერთი გუთნით, წისქვილი, სამჭედლო იარაღები, ცხვარი, ძროხა, მიწა და საწევრო

გადასახადი 35-40 მანეთი. ხოლო მესაქონლეობის ფერმის შესაქმნელად ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ მიიღო დადგენილება ნორმაზე მეტი საქონლის სახელმწიფოსთვის შესყიდვის შესახებ. *„კოლმეურნეობის წევრი ვალდებული იყო სახელმწიფოსთვის მიესყიდა დამატებით 3 თხა, 3 ცხვარი, 1 ძროხა, ხოლო მემინდვრეობის განვითარებისათვის ქერი და ჭვავი“* [**კრა,** ფ. 75, ს. 1: 27]**.** საარქივო დოკუმენტების ანალიზმა აჩვენა, რომ დართლოს კოლმეურნეობის (რომელიც აერთიანებდა პირიქითის თემის რამდენიმე სოფელს, კერძოდ, კვავლოს, ჩიღოს და დანოს სოფლებს), წევრები გამგეობის დადგენილებებს არ ემორჩილებოდნენ.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა თუშეთის ცხოვრების ტრადიციული წესები და აგრარული რეფორმის გატარება გლეხების სრული ექპლუატაციით დაიწყო.

1939 წლის შემოდგომისთვის თუშეთში აგრარული რეფორმა გატარდა, მეურნეობაში დიდი რაოდენობით გაერთიანდა საქონელი, მაგრამ არტელში გაერთიანებული საქონლის მოვლა და საკვებით მომარაგება გაჭირდა. ამიტომ კოლმეურნეობის გამგეობამ მიიღო დადგენილება ფერმის საქონლის შენახვის (გაპირონების) შესახებ. *„კოლმეურნეობის წევრი ოქტომბრიდან მაისამდე თუ თავისი საკვებით შეინახავს, დაერიცხება 28 სამუშაო დღე, ხოლო კოლმეურნეობის საკვებით შემნახს – 18 სამუშაო დღე, მოზვრების და დეკეულების შემნახს 15 მაისამდე დაერიცხება 22 სამუშაო დღე, საერთო საკვებით შემნახს – 14 დღე. 20 ცხენის მოვლა-პატონობისთვის დაეწერება 1 სამუშაო დღე, 200 სული ცხვრის შენახვაზე 1 სამუშაო დღე. თუ პირადი მეურნეობისთვის გამოიყენა მუშა-საქონელი, ერთ ხარზე გადაიხდის 10 მანეთს, ხოლო უღელ ხარზე 20“* [**კრა,** ფ. 75, ს. 3: 13].გლეხობა ეწინააღმდეგებოდა გამგეობის დადგენილებებს, მას განსაკუთრებით აღშფოთებდა ის გარემოება, რომ კოლმეურნეობაში გაერთიანებული პირადი საქონლის გამოყენებისთვის უნდა გადაეხადა საფასური, რაც იწვევდა გლეხთა უკმაყოფილებას.

საბჭოთა საკოლმეურნეო სისტემის მიმართ გლეხმა დაკარგა მატერიალური ინტერესი და პასუხისმგებლობა. ისინი „გაპიროვნებულ“ საქონელს უკან აღარ აბრუნებდნენ და პირადი სარგებლობისთვის იყენებდნენ. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ 1940 წლის 13 მაისის დართლოს კოლმეურნეობის კრების დადგენილება. დადგენილების თანახმად, კოლმეურნეობის მესაქონლეობის ბაზის შესაქმნელად

გამგეობამ შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა ანაბარი საქონლის მოგროვება. მაგალითად, *„დაევალოს ფერმის გამგე ანტონ ლეკაიძეს მოაგროვოს ანაბარი ცხენები, ხოლო ალექსი იდოიძეს ანაბარი ცხვარი“* [**კრა,** ფ. 94, ს. 16: 34]. საარქივო დოკუმენტების ანალიზმა აჩვენა, რომ კოლმეურნეობის გამგეობამ საქონლის ფერმა ვერ შექმნა. ამიტომ გამგეობამ გამოყო სარევიზიო კომისია, რომელსაც დაავალა კერძო მეურნეობის ცხვრების აღწერა, ნორმაზე მეტი საქონლის ჩამორთმევა და კოლმეურნეობებში გაერთიანება.

სასოფლო სამეურნეო არტელის გაზრდა-განმტკიცება ვერ მოხდა დიკოლოსა და ომალოს კოლმეურნეობებშიც. 1940 წ. 23 აგვისტოს ომალოს კოლმეურნეობის კრებამ განიხილა საკითხი საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-განიავების შესახებ. მაგალითად, *„იასე კუშტანაშვილი მიცემულ იქნეს პასუხიგებაში, ვინაიდან გაიტაცა ფერმის ცხვარი (60) და ეწევა კერძო მეურნეობას, გაბრო კუშტანაშვილი და თეიმურაზ ფხაკაშვილი დაკავებულნი არიან პირადი მეურნეობით, ატყუებენ კოლმეურნეობის გამგეობას და არ ცხადდებიან საბჭოში“*[**კრა,** ფ. 94, ს. 19: 9-10]. ეს და ანალოგიური ფაქტები ნათელი დასტურია იმისა, რომ თუშეთში საკოლმეურნეო მშენებლობა დიდ წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული. თუშეთის კოლმეურნეობის წევრები არ ემორჩილებოდნენ გამგეობას, არ გამოდიოდნენ საკოლმეურნეო სამუშაოებზე, არ ესწრებოდნენ კრებებს. პირიქითის თემში საკოლმეურნეო მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა.

კოლმეურნეობის გამგეობა ვერ უზრუნველყოფდა შრომის ორგანიზებას. გლეხები თვითნებურად ტოვებდნენ კოლმეურნეობას, ამიტომ დისციპლინის განსამტკიცებლად 1940 წ. 27 სექტემბერს გამგეობამ მიიღო დადგენილება კანონდამრღვევი გლეხების შრომადღეებით დაჯარიმების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გლეხი გადაეცემოდა სახალხო სასამართლოს. დადგენილების თანახმად, *„დაუმორჩილებელი პირი პირველ რიგში იქნება გაფრთხილებული, მეორეჯერ მიეცემა საყვედური, მესამედ მოხდება მისი დაქვეითება, მეოთხედ კი დაჯარიმდება 5 სამუშაო დღით, ხოლო უკანასკნელად გამოუსწორებელი გაირიცხება კოლმეურნეობიდან“* [**კრა,** ფ. 75, ს. 4: 23]. საბჭოთა ეკონომიკური რეფორმები და ადგილობრივი დადგენილებები გლეხებში იწვევდა საპროტესტო განწყობას.

გლეხების მატერიალურ მდგომარეობას კიდევ უფრო ასუსტებდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები. კერძოდ, ფულადი გადასახადები, ჯარიმები ნატურით და სავალდებულო შრომადღეები. კოლმეურნეობის კრებებზე მუდმივად განიხილებოდა იმ დაუმორჩილებელი კოლწევრების საქმეები, რომლებიც არ ასრულებდნენ კოლმეურნეობის დადგენილებებს, უარს ამბობდნენ გამოსულიყვნენ ხე-ტყის დამზადებისა და სამხედრო გზის მშენებლობაზე. ხელმძღვანელებსა და ბრიგადირებს უჭირდათ მათი გაკონტროლება. მაგალითად, 1940 წ. 14 ოქტომბერს დართლოს კოლმეურნეობის კრებაზე ბრიგადირმა პავლე იდოიძემ დაასახელა კოლმეურნეობის 10 დაუმორჩილებელი პირი, რომლებმაც უარი თქვეს საკოლმეურნეო საქმინობის შესრულებაზე. ესენი არიან : *„1. ზურაბ ხვედელაიძე. 2. თინა ქიქაიძე. 3. მოსე ჭაბუკაიძე. 4. ევგენა ბასხაჯაური 5. იორამ ჭაბუკაიძე. 6. ერისტო ფარეულიძე 7. ანიკო ფარეულიძე. 8. კობა ქიქაიძე და სხვა. დასახელებული პირები დაჯარიმდნენ 5 სამუშაო დღით“* [**კრა,** ფ. 75, ს. 4: 54]. ამ მხრივ საყურადღებოა დიკლოს კოლმეურნეობის კრების ოქმები. დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა, რომ კოლმეურნეობის წევრები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საკოლმეურნეო საქმიანობას. ერთ-ერთი ოქმის მიხედვით 1941 წელს სამხედრო მნიშვნელობის ხე-ტყის დამზადებაზე გამოყოფილი ჯგუფის არც ერთი წევრი არ გამოცხადდა [**კრა,** ფ. 74, ს. 1:2]. ამიტომ კოლმეურნეობის გამგეობამ მიიღო დადგენილება მათი კოლმეურნეობიდან გარიცხვისა და პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

კოლმეურნეობის წევრს არ ჰქონდა უნებართოდ მგზავრობის (გადადაადგილების) ან ტრანსპორტირების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჯარიმდებოდა სამუშაო დღით. 1940 წელს დართლოს კოლმეურნეობის საერთო კრებაზე დაასახელეს ის დაუმორჩილებელი პირები, რომლებიც პირად საქმეზე მიდიოდნენ მთიდან ბარში ან ცხვარი გადარეკეს შირაქის ველებზე. კრებამ მიიღო დადგენილება: *„არსენა მარხვაიძე დაჯარიმდება 10 შრომადღით, ვინაიდან თავისუფლად გადაადგილდება, კოლმეურნეობიდან გაირიცხოს ვახტანგ ნავგურაიძე, რადგან დაუკითხავად წავიდა ბარში. ერისტო ელანიძეს მიეცეს გაფრთხილება, ვინაიდან პირველად წავიდა ბარში. კრებაზე აქტიური შრომისთვის 5 შრომადღით დააწინაურეს მხოლოდ ერთი წევრი – დანიელ გაწირიძე“* [**კრა,** ფ. 75, ს.

5: 32]. კოლმეურნეობის წესდების მიხედვით, გლეხს მხოლოდ ოფიციალურად გაცემული პასპორტით შეეძლო თავისუფალი გადაადგილება.

1940-1945 წლის თუშეთის კოლმეურნეობის კრების ოქმების ანალიზმა აჩვენა, რომ საკოლმეურნეო საქმიანობა დიდ წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული. სახელმწიფო გადასახადები, სავალდებულო შრომადღეები, ჯარიმები, თვითდაბეგვრა, სავალდებულო ხუთწლიანი გეგმების შესრულება – მძიმე ტვირთი იყო თუშეთის საზოგადოებისთვის. გლეხი ვალდებული იყო წელიწადში 300–350 დღე გამოემუშავებინა. ისინი მუშაობდნენ სახელფასო ანაზღაურების გარეშე, ძირითადად, ანაზღაურება ხდებოდა ნატურით, კერძოდ, დარიცხული შრომა დღეების მიხედვით. საბოლოოდ კი გლეხს რჩებოდა საარსებო მინიმუმი, რაც კარგად ჩანს თუშეთის კოლმეურნეობის კრების ოქმებიდან. მაგალითად, 1942 წელს ომალოს კოლმეურნეობის კრებაზე ბუღალტერმა ვ. თელაურიძემ კოლწევრებს გააცნო გახარჯული შრომადღეების და განაწილებული პროდუქტის რაოდენობა. დადგენილების თანახმად: ,,ერთ შრომა დღეზე კოლწევრს ერგება შემდეგი პროდუქტი: სკელი(ჭვავი) – 0,800 გრ, ქერი 0,300 გრ, ყველი – 0,02 გრ, კალტი (ხაჭო) – 0,01 გრ. პროდუქტები გაიცემა ავანსის სახითაც. თუ ავანსი არ ექნება ჩაბარებული დაეკავება სკელი (ჭვავი) და ქერი“ [**კრა,** ფ. 94, ს, 26: 34]. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი გლეხს გადაეცემოდა მხოლოდ სახელმწიფო გეგმის შესრულების შემდეგ.

XX საუკუნის 40-50 წლებში თუშეთის საზოგადოების ანტისაკოლმეურნეო პოლიტიკამ ანტისაბჭოთა ხასიათი მიიღო. გლეხები სხვადასხვა მეთოდით უპირისპირდებოდნენ საკოლმეურნეო სისტემის მშენებლობას და არ ასრულებდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ ბრძანებებს. ისინი აზიანებდნენ ფერმებს, უგულოდ და უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ საკოლმეურნეო საქმეს. დართლოს კოლმეურნეობის საარქივო დოკუმენტების შესწავლით ცნობილი გახდა, რომ კოლმეურნეობა, ფაქტობრივად, ვერ ჩამოყალიბდა. ამ ფაქტს ადასტურებს გიორგი ბაინდურაშვილის პირადი არქივიც. დოკუმენტის მიხედვით, *„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებით 1947 წელს გაუქმდა თუშეთის დართლოს სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფლებით შეუერთდა ომალოს სასოფლო საბჭოს“* [**კრა,** ფ. 192, ს. 30: 14].

გლეხები ტოვებდნენ კოლმეურნეობას და გადადიოდნენ სხვა კოლმეურნეობაში, რაც გახდა მათი თავის დაღწევის ერთგვარი საშუალება. გარდა ამისა, მუდმივად ხდებოდა დაუმორჩილებელი და დისციპლინის დამრღვევი კოლწევრების გარიცხვა და ახალი წევრების მიღება. მაგ., 1950 წელს ომალოს კოლმეურნეობის გამგეობამ მიიღო დადგენილება კოლმეურნეობაში 10 ახალი წევრის გაერთიანების შესახებ. საწევრო გადასახადი იყო 100 მანეთი [**კრა,** ფ. 94, ს, 32: 9-10]. 1951 წელს სოფელ ომალოს კრებაზე მომხსენებლებმა განიხილეს საკითხი კოლმეურნეობაში არასაკმარისი მუშახელის შესახებ. ამავე კრების დადგენილებიდან ირკვევა, რომ კოლმეურნეობის განსამტკიცებლად საჭირო გახდა დაქირავებული შრომის გამოყენება.

საბჭოთა ხელისუფლება რადიკალური აგრარული რეფორმების გატარებით ცდილობდა გლეხების დასუსტებას და ინდივიდუალური მეურნეობის ხარჯზე კოლმეურნეობის განმტიცებას. ამიტომ გამგეობა სისტემატიურად აჯარიმებდა გლეხებს. ,,გლეხი, თუ საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო გეგმას 100%-ით არ შეასრულებდა, დაჯარიმდებოდა 50 მანეთით. თუ ბრიგადირს არ დაემორჩილებოდა 2 ს/დ, ხოლო თუ არც ერთი შრომადღეს არ გამოიმუშავებდა, ჩამოერთმეოდა საკარმიდამო ნაკვეთი [**კრა,** ფ. 94, ს, 33: 14]. როგორც აღვნიშნეთ, გლეხის მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებდა სავალდებულო სახელმწიფო გადასახადები. მაგალითად, 1951 წელს ომალოს კოლმეურნეობის კრებამ მიიღო დადგენილება სასოფლო-სამეურნეო რესურსების თვითდაბეგვრის შესახებ. დადგენილებიდან ირკვევა, რომ *„კოოპერირებული შინამრეწველობისა და ხელოსნური მეურნეობისათვის გლეხს უნდა გადაეხადა 40 მანეთი, ხოლო ერთპიროვნული მეურნეობისათვის, რომელსაც ჰქონდა რამდენიმე ნათესი და მუშა პირუტყვი, თითოეულ მეურნეობაზე 75 მანეთი“* [**კრა,** ფ. 94, ს, 35: 29]. გარდა ამისა, გლეხი ვალდებული იყო კოლმეურნეობისთვის გადაეხადა მარცვლეულის, ყველის, მატყლის ხორცის გადასახადი.

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის 50-იან წლებში თუშეთში საკოლმეურნეო სისტემის მშენებლობის მანძილზე, რომელსაც თან სდევდა შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირისპირება, თუშეთის საზოგადოება შეძლებისდაგვარად, გარკვეული ფორმით ინარჩუნებდა კერძო საკუთრებას.

კოლმეურნეობაში არსებული ფინანსური ხარჯების ანაზღაურება ხდებოდა საკოლმეურნეო ბაზარზე ცხვრის გაყიდვათ. 1952 წლის ომალოს კოლმეურნეობის კრების ოქმიდან ირკვევა, რომ *„კოლმეურნეობის გადასარჩენად და ხარჯების დასაფარად საკოლმეურნეო ბაზარზე გაიყიდა 10 ცხვარი“*[**კრა,** ფ. 94, ს, 39: 17]**.** 1954 წლის კრების ოქმიდან ცხადი ხდება, რომ კოლმეურნეობამ ვერ შეძლო სახელმწიფო გადასახადის გადახდა, ამიტომ კოლმეურნეობამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, *„დაევალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს იშოვოს 6 მაისისთვის 1 კოდი სიმინდი და 40 მანეთად ჩააბაროს სახელმწიფოს კოლწევრების შრომადღეებზე კუთვნილი პროდუქტებზე დაკლებით“*[**კრა,** ფ. 94, ს. 51: 12]**.** საბჭოთა ხელისუფლება თუშეთის მიუდგომელი მდებარეობის გამო ვერ აკონტროლებდა აქ შექმნილი კოლმეურნეობების საქმიანობას, შესაბამისად, მათი საბჭოთა მოდელზე გადაყვანა საბოლოოდ ვერ მოხდა.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ნათელი გახდა, რომ სოფლად, განსაკუთრებით მთის რეგიონში, აგრარული პოლიტიკა ვერ განხორციელდებოდა გარკვეული ზომების გარეშე, 1950 წლიდან საქართველოში დაიწყო კოლმეურნეობების გამსხვილება. ბაინდურაშვილის პირადი არქივის მიხედვით, ახმეტის რაიონში 1945 წ. 1 იანვრის აღრიცხვით ახმეტის რაიონის ტერიტორიაზე იყო 80 კოლმეურნეობა, 1950 წელს კოლმეურნეობების რიცხვი ჯერ 34-მდე შეამცირეს, შემდეგ კი 22-მდე.[კრა,192, ს.29:4]

თუშეთის კოლმეურნეობების საარქივო დოკუმენტების შესწავლიმ აჩვენა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ თუშეთში დაგეგმილი ღონისძიებებიდან ვერც ერთი აგრარული რეფორმა ვერ გაატარა. სავალდებულო სახელმწიფო გადასახადები, შრომადღეები, გაწერილი გეგმები და სხვა ვალდებულებები თუშეთის საზოგადოებაში დიდ წინააღმდეგობას იწვევდა. კოლმეურნეობის წევრები სახელმწიფოსგან ითხოვდნენ შეღავათებს: *„არსებული კანონის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩამოკლებას.“* ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო კოლმეურნეობაში გაერთიანებული გლეხების მობილიზება და ორგანიზება. მთავარი ბერკეტი, რაც აფერხებდა მთიან რეგიონში საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური პოზიციების გამტკიცებას, იყო საუკუნეების განმავლობაში შენარჩუნებული და ცხოვრების ტრადიციად დამკვიდრებული კერძო

მეურნეობა, რომლის ლიკვიდაციას ხელისუფლება რამდენიმე ათეული წლები ცდილობდა.

სწორედ საბჭოთა ეკონომიკური რეფორმის შედეგი იყო მთიდან ბარში მოსახლეობის მიგრაცია. საბჭოთა ხელისუფლებამ საკუთარი ტოტალიტარული პოლიტიკის განსამტკიცებლად თუშეთში მოსპო ცხოვრების პირობები, მოსახლეობა კი აიძულა დაეტოვებინა მამაპაპეული ადგილი და ჩამოსახლებულიყო ბარის სოფლებში, კერძოდ, ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში. 1958 წელს ჯერ პირიქითის თემის მოსახლეობა აყარეს თავისი საქონლით და ბარში დაასახლეს, შემდეგ კი რამდენიმე თვეში ომალოსა და ჭანჭახოვანის მეურნეობები გააუქმეს და ბარის, ქვემო ალვნის საბჭოთა მეურნეობას შეუერთეს.

ამდენად, XX ს. 40-50-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მცდელობა თუშეთის კოლექტივიზაციისა, ფაქტობრივად, მარცხით დასრულდა. წარუმატებლობა კი განპირობებული იყო მთის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურით, „სათუშოს“ ტრადიციის არსებობით. ეს უკანასკნელი საფუძველშივე უპირისპირდებოდა საბჭოთა ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც რადიკალური აგრარული რეფორმების გატარებით ცდილობდა ისედაც მკაცრ პირობებში მცხოვრები გლეხების დასუსტებას და ინდივიდუალური მეურნეობის ხარჯზე კოლმეურნეობების შექმნასა და განმტიცებას. სწორედ საბჭოთა ეკონომიკური რეფორმების შედეგი იყო თუშეთში სოფლის მეურნეობის არარენტაბელურ დარგად გადაქცევა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დამძიმება, მთიდან ბარში მისი მიგრაცია და თუშეთის საზოგადოების ანტისაბჭოთა განწყობა, რომელიც გამოვლინდა და ფართო ხასიათი მიიღო მეორე მსოფლიო ომის დროს.

თავი III. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარება XX საუკუნის 20-40-იან წლებში

§1. პოლიტიკური რეპრესიები თუშეთში XX საუკუნის 30-იან წლებში

თუშეთში, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, კოლექტივიზაცია რეპრესიების ქვეშ მიმდინარეობდა, რომელიც ყველაზე მეტად გლეხობის შეძლებულ ნაწილს, ე.წ. „კულაკებს“ შეეხო. საბჭოთა კავშირის მასშტაბით განკულაკების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო, როგორც საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 21 მაისის დადგენილებით განსაზღვრული ნებისმიერი ნიშანი: ოჯახის წევრზე 300 მანეთზე მეტი წლიური შემოსავალი;ვაჭრობა; მანქანების, სათავსოების გაქირავება; დაქირავებული შრომის გამოყენება;წისქვილის, ზეთსახდელის, საცეხვის, ხილის ან ბოსტნეულის საშრობის ფლობა და სხვ.ამ ნიშანთა არარსებობის შემთხვევაში, სასოფლო საბჭოებში დაცული მონაცემები,გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მაუწყებელთა მოხსენებები და მეზობლების დასმენები.

საბჭოთა კავშირის მასშტაბით მასობრივი განკულაკება 1930 წელსდაიწყო. განკულაკების დროს გლეხებს სამ კატეგორიად ანაწილებდნენ: ნაწილს აპატიმრებდნენ და გზავნიდნენ ციხეებსა და შრომა-გასწორების ბანაკებში, მათ ოჯახებს კი ასახლებდნენ; კოლექტივიზაციის ყველაზე აქტიურ მოწინააღმდეგეებს ხვრეტდნენ, ნაწილს ოჯახთან ერთად ასახლებდნენ სპეციალურ დასახლებებში ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) ცალკეულ რაიონებში ან ქვეყნის შორეულ რეგიონებში, ხოლო ნაწილს ასახლებდნენ კოლმეურნეობის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. ჩამორთმეული ქონება, საქონელი, საკვები და საოჯახო მარაგები გადაეცემოდა კოლმეურნეობებს ან გაიყიდებოდა. ასე ხდებოდა „კულაკების“ქონების ექსპროპრიაცია. მათ უარსეუბნებოდნენ კოლმეურნეობაში გაწევრიანებაზე და ართმევდნენ საარჩევნო ხმის უფლებას.

საარქივო დოკუმენტების მიხედვით, 1930 წ. 7 თებერვალს ზემო ალვანისსასოფლო საბჭოს სხდომაზე, რომელსაც 67 გლეხი ესწრებოდა, მთავრობის წარმომადგენელმა ლ. სუჯიაშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება „კულაკების“ კატეგორიებად დაყოფისა და მათი, როგორც კლასის ლიკვიდაციის შესახებ.*„ალვნის პირველი კატეგორიის ზედაფენის კულაკობა გადასახლებულ იქნას ოლქის გარეთ,*

ხოლო მეორე კატეგორიის კულაკობა გადასახლებულ იქნას სოფლის გარეთ მთელი ქონების კონფისკაციით, რაც შეეხება მეორე კატეგორიიდან გამოყოფილ „41“ კომლის შესახებ, ეთხოვოს თელავის რაიაღმასკომს იშუამდგომლონ სადაც ჯერ არს, რათა იგინი განთავისუფლებული იქმნენ მეორე კატეგორიის სიიდან და აღედგინოთ მოქალაქეობრივი უფლებები‘[**კრა,** ფ. 6, ს. 31: 33]**.** ამავე დოკუმენტით დგინდება, რომ სოფლსაბჭოს კრების წევრები: პლატო ქააძე, ბაგრატი ელანიძე, ფორე ცისკარიშვილი, ზურაბი ყიზილაშვილი და გაბრიელ მეოტიშვილი დაუპირისპირდნენ მთავრობის წარმომადგენელ ი. თანდილაშვილს. ქვემო ალვანის სკოლის მასწავლებელმა ბაგრატ ელანიძემ განაცხადა *„მე ასეთი კანონი არ მომწონს“*, ხოლო კომკავშირელ ფორე ცისკარიშვილს, რომელიც გამოექომაგა სოფლის გლეხობას, საყვედური გამოუცხადეს [**კრა,** ფ. 6, ს. 31: 35]**.** მეტად საყურადღებოა ქალთა საპროტესტო გამოსვლა სოფლის ქუჩებში. ისინი მოითხოვდნენ საკოლეურნეო მშენებლობის შეჩერებას, გადასახადების გაუქმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელმძღვანელების დახოცვითა და საწყობების დაშლით იმუქრებოდნენ [**კრა,** ფ. 6, ს. 32: 46]**.**საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლის – სუჯიაშვილის დავალებით სოფლსაბჭოს პრეზიდიუმმა გარკვეული ზომები მიიღო ქალთა მოძრაობის აღსაკვეთად. ზემოთ მოყვანილი მონაცემებით დასტურდება, რომ თუშეთის საზოგადოებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა საკოლმეურნეო მშენებლობა.

როგორც საარქივო მასალების ანალიზი გვიჩვენებს, თუშეთის საზოგადოების ეკონომიურად ძლიერი ფენა, რომელსაც ქონება საკუთარი შრომით ჰქონდა შექმნილი, კატეგორიებად დაყვეს: გლეხების ნაწილი გადაასახლეს იმპერიის შორეულ მხარეებში – ციმბირში, ურალში, ყაზახეთში, ხოლო ნაწილი ოჯახთან ერთად ქონების კონფისკაციის შემდეგ სოფლის გარეთ გაასახლეს; ნაწილს,ქონების ექსპროპრიაციის შემდეგ აღუდგინეს მოქალაქეობრივი უფლებები.სასოფლო საბჭოს სხდომებზე მიღებული დადგენილებებისა და ჩვენს მიერ გამოთვლილი სტატისტიკური მონაცემებით თუშეთის საზოგადოებაში „კულაკად“131 გლეხიგამოაცხადდა [**კრა,** ფ. 6, ს. 31: 37]**.** მათ ბრალი ასეთი სახით ჩამოუყალიბეს: *„სარგებლობს დაქირავებული შრომით“, „ცხოვრობს უშრომო შემოსავლით, როგორიცაა კაპიტალის სარგებელი,“ „ეწევა სარწმუნოების და კულტის რელიგიურ მსახურებას“.* მაგალითისთვის დავასახელებთპირველი კატეგორიის 17კომლს.ზემო

ალვანის პირველი კატეგორიის კულაკები: ჭყოპიშვილი ალექსი ივანეს ძე, უშარაული ლეო იობის ძე, უშარაული მიხეილ იობის ძე, ედიშერიძე ილიკო თევდორეს ძე, ბართიშვილი ივანე პავლეს ძე, ბუქურაული ალექსი ადალეს ძე, ცისკარიშვილი ილიკო იორდანეს ძე, ცისკარიშვილი ბათო იორდანეს ძე, ზარიძე იოსებ გიორგის ძე, ლაგაზიძე იოსებ გიორგის ძე, ლაგაზიძე ციმო ტიმოთეს ძე, უშარაული თევდორე დავითის ძე, იდიძე გაბრო გიორგის ძე, ლუხუმაიძე ეგნატე დიმიტრის ძე; ქვემო ალვანის 1-ლი კატეგორიის კულაკები: თხელიძე რეზო სტეფანეს ძე, ბახტურიძე როსტომი იაკობის ძე, ბაკურიძე თევდორე ბაბოს ძე. რაც შეეხებამეორე კატეგორიას, ზემო ალვანში „გააკულაკეს“ 51 კომლი, ხოლო ქვემო ალვანში – 43 კომლი [**კრა,** ფ. 6, ს. 31:34-36]. კოლექტივიზაციის შედეგად თუშეთში სრულიად განადგურდა შეძლებული და შრომისუნარიანი გლეხობა.

ზუსტი ცნობა, თუ რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა თუშეთში დიდ ტერორს და, ზოგადად, კულაკურ რეპრესიებს, დღეს არ არსებობს, თუმცა გადარჩენილი საარქივო მასალა, რეპრესირებულთა ოჯახის წევრების მოგონებები ადასტურებს, რომ საბჭოთა რეპრესიებს თუშეთში მრავალი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

აქ წარმოდგენილი მასალა, ძირითადად, ეფუძნება ჩვენ მიერ მოპოვებულ საველე გამოკითხვებს. მოძიებული ზეპირი ისტორიები წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას პირველი კატეგორიის გლეხების ანუ „მტრულად განწყობილი ელემენტების“ მდგომარეობის შესახებ. ჩანაწერებში მთელი სიცხადით გამოვლინდა თუშეთში განხორციელებული საკოლმეურნეო სისტემისა და მასთან დაკავშირებული საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკა, რომელმაც XX ს. 30-40 წლებში მასობრივი ხასიათი მიიღო და უამრავი უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა. კვლევის ფარგლებში ცნობილი გახდა, რომ პირველი კატეგორიის გლეხების ნაწილი გადასახლეს საბჭოთა კავშირის შორეულ რეგიონებში, ხოლო ნაწილი ქონების ექსპროპრიაციის შემდეგ უფლებაჩამორთმეული გლეხის სტატუსით გაათავისუფლეს „კულაკის“ კატეგორიიდან. წარმოვადგენთ ინფორმაციას რამდენიმე განკულაკებული გლეხის შესახებ:

იდიძე გაბრო გიორგის ძე. მასჰყავდა 3000 სული ცხვარი, 27 ცხენი და 10 ხარი; ჰქონდა ადგილ-მამულები და ვაშლის პლანტაციები ტყის პირას. ცხვარს უვლიდა

მწყემსების დახმარებით. გარდა ამისა, ოჯახში ჰყოლია ორი დიდოელი შინამოსამსახურე და კიდევ ერთი მეხრე, რომელიც ხარებს მწყემსავდა. ასევე ჰქონდა აგურით აშენებული ორსართულიანი სახლი დიდი ეზოთი, ჰყავდა მეუღლე თეკო რაინაული და სამი ვაჟი. 1930 წელს იდიძე გაბრომ დაიწყო მეორე სახლის მშენებლობა, თუმცა ხელისუფლებამ ამის საშუალება არ მისცა, ხე-მასალა ჩამოართვა და სოფლის საბჭოს მშენებლობას მოახმარა, მალე კულაკად გამოაცხადა, ჩამოართვა საქონელი, სახლ-კარი, სადაც სოფლის საბჭო გახსნა და სოფლის გარეთ ფხაკალ ყურეში პატარა მიწურში დაასახლა. იქ ელოდებოდა მისი ოჯახი განაჩენს, თუ სად გადაასახლებდნენ.

გაბრო იდიძე სოფელში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამიტომ ხალხის დახმარებითა და კარგი დახასიათებით გადაურჩა ციმბირში გადასახლებას, ფხაკალ ყურეში რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდა, შემდეგ კი საკუთარ სახლში დააბრუნეს, თუმცა ის დაცარიელებული დახვდა, გატანილი იყო საყოფაცხოვრებო ნივთები: მოჩუქურთმებული კარადები, სკივრები, ხალიჩები. კედელზე ჩამოკიდებული იყო სტალინისა და ლენინის სურათები. აღარ დაუბრუნეს საქონელი, ცხვარი, ადგილ-მამულები. შვილებს მხოლოდ საშუალო განათლების უფლება მისცეს. ოჯახს სახელმწიფო ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა, ავიწროებდა. ოჯახში ჩაუსახლეს სიღნაღიდან მოწვეული სკოლის მასწავლებელი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ოჯახმა აღიდგინა უფლებები. გაბრო იდიძე დანიშნეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ. ის წლების განმავლობაში მუშაობდა და ერთგულად ემსახურებოდა სოფელს. მისი საშუალო ხელფასი 20 მანეთი იყო(მთხრობ. **აბრამ იდიძე, 22 წლის, ზემო ალვანი).**

ჭყოპიშვილი ალექსი ივანეს ძე. 1905 წლამდე მწყემსად მუშაობდა სხვა შეძლებულ გლეხებთან, შემდეგ შეიძინა საკუთარი ცხვარი. გამოკითხვებით ირკვევა, რომ მას ჰყავდა 10000 სული ცხვარი, მრავალი ცხენი, ძროხა და ჰქონდა კარგი ორსართულიანი სახლი. 1930 წელს განაკულაკეს და ჩამოართვეს მთელი ქონება, დაუტოვეს მხოლოდ 2 ცხენი, ერთი თხა და ძაღლი. ბინაში გახსნეს დაწყებითი კლასები. ქონების ექსპროპრიაციის დროს გულის შეტევით გარდაიცვალა. **(მთხრობ. ავთანდილ გარსევანიშვილი, 82 წლის, ზემო ალვანი)**

ბართიშვილი ივანე პავლეს ძე. ზემო ალვანში მცხოვრებ ივანე ბართიშვილს ჰქონდა აგურის ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი, ჰყავდა 3000 სული ცხვარი. კოლექტივიზაციის დროს ივანეს საქონელი და სახლი ჩამოართვეს. მას საბჭოთა ხელისუფლების ღალატი დასწამეს იმ მოტივით, რომ ჰქონდა სანადირო თოფი თავისი ტყვიებით. იგი გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში. საინტერესოა ივანე ბართიშვილის წერილი, რომელიც გადასახლებიდან რამდენიმე თვეში ოჯახს გამოუგზავნა და შეატყობინა მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა. წერილში ვკითხულობთ: *,,მეც დღევანდლამდის ცოცხალი ვარ და ამას იქით ღმერთმა იცოდეს სული კიდევ მიდგა. ვარ ამ ცივ ციმბირში, არც ლოგინი ისევ ჩემ ტანისამოსის სინაგარას, ერთი პატარა პალატკა მამცეს და იმის ინაგარა ვარ. არც დღე მაქვს ძილი და არც ღამე აქამდინ ვმუშაობდი ეხლა ერთი კვირაა ველარ ვმუშაობ, ფეხები დამისივდა, ვართ ერთ ფიჭვიან ტყეში და ვმუშაობთ...10 წელი გადამიწყვიტეს. 400 კაცი ვართ. ყველას ერთი მუხლი გვაქვს. გთხოვთ ფული და პასელკა გამომიგზავნეთ...პური გვეძლევა თუ ვიმუშავეთ 800 გრამი, თუ არა 300 გრამი“. წერილს დართული აქვს მისამართი: ,,აღმოსავლეთი ციმბირი, რკინიგზის სადგური – ,,Станция Тайшет”,პირველი რაიონი, კოლონია # 28“. ივანე ბართიშვილი მუშაობდა ხე-ტყის დამზადებაზე. იქვე გარდაიცვალა* (მთხრობ.**გელა ბართიშვილი, 57 წლის, ზემო ალვანი).**

ცისკარიშვილი ლეო იორდანეს ძე. მისი ქონება განისაზღვრებოდა 2000 სული ცხვრით, საქონლითა და ცხენებით. მამულები არ ჰქონდა, საძოვრებად იყენებდა სოფლის განაპირა ადგილებს, ბინაზე ჰყავდა მომუშავე მწყემსები, მათ ყოველ თვეს აძლევდა ბატკნიან ცხვარს, ანუ წელიწადში 24 სულს. 1930 წელს გააკულაკეს. ჩამოართვეს საქონელი, მის სახლში გახსნეს დაწყებითი სკოლა, ლეო გადაასახლეს მაგადანში. წლების შემდეგ ოჯახს სახლი დაუბრუნეს (მთხრობელი **გიორგი ცისკარიშვილი, 80 წლის, თელავი).**

ცისკარიშვილი ბათო იორდანეს ძე იყოთუშეთის ცნობილი მეცხვარე. ჰყავდა 4000 სული ცხვარი, მსხვილფეხა საქონელი, ცხენების რემა. ჰქონდა ორი ცხვრის სადგომი ბინა, თითო ბინას 10-12 მწყემსი ემსახურებოდა. 1930 წელს ჩამოათვეს ცხვარი, ძროხა, ცხენი, ხოლო სახლში გახსნეს კოლმეურნეობის კანტორა (მთხრობელი **გიორგი ცისკარიშვილი, 80 წლის, თელავი).**

ლაგაზიძე იოსებ გიორგის ძე. ჰყავდა 3000 სული ცხვარი, ძროხა, ჰქონდა კარგი ორსართულიანი სახლი, ადგილ-მამულები, ასევე საკუთარი წისქვილი. 1930 წელს გააკულაკეს, ყველაფერი ჩამოართვეს და ოთხ შვილთან ერთად სახლის გვერდით საბძელში ჩაასახლეს.მის სახლში კანტორა გახსნეს, ხოლო ეზოში სტალინის ძეგლი დადგეს (მთხრობელი **ნოდარი უშარაული,77 წლის, ზემო ალვანი).**

თხელიძე რეზო სტეფანეს ძე. *„თუშეთის კეთილშობილი მეცხვარე“* – ასე მოიხსენიებენ თუშები. ჰყავდა 3000 სული ცხვარი, მრავალი ცხენი, ძროხა და ხარი. ჰქონდა ადგილ-მამულები, ხეხილის ბაღი სოფლის განაპირას, ულამაზესი გრძელი ფიცრის სახლი. ყოფილა ხელგაშლილი და სტუმართმოყვარე, განსაკუთრებით ეცოდებოდა ღარიბი ხალხი. ხშირად სტუმრობდა თუშების ღარიბ ოჯახებს და აძლევდა ხარს, ძროხას, ცხვარს. განკულაკების შემდეგ ოჯახთან ერთად გადაასახლეს ციმბირში, სადაც ეწეოდა შინამეურნეობას. სამშობლოში დაბრუნდა სტალინის გარდაცვალების შემდეგ (მთხრობელი **ელენე მურთაზაშვილი, 81 წლის, მაღრაანი).**

ქააძე ილია ბასილის ძე. სოფელში ერთ-ერთ მდიდარ კაცად ითვლებოდა. ორი უმაღლესი ჰქონდა დამთავრებული: საბუღალტრო და პედაგოგიური. წლების განმავლობაში სოფელში ორივე თანამდებობაზე მუშაობდა. მამამისი ბასილ ქააძე ბევრი ცხვრის და საქონლის პატრონი ყოფილა, მთიდან ბარში ჩამოსახლების შემდეგ, პირველი ქვიტკირის სახლი მას აუშენებია, კარგი ოთახებითა და სარდაფებით. 1930 წელს განკულაკებას ვერც ილია ქააძე გადაურჩა. მოახდინეს მისი ქონების კონფისკაცია, ჩამოართვეს თანამდებობა, სახლ-კარი, ძვირფასი ნივთები, საყოფაცხოვრებო ავეჯი, მისი სახლის ერთ ნაწილში მაღაზია გახსნეს, სარდაფები კი საპყრობილედ აქციეს. ოჯახის წევრებს ერთი ოთახი გამოუყვეს, სადაც წლების განმავლობაში უფლებაჩამორთმეული სტატუსით ცხოვრობდნენ. ოჯახის წევრების გადმოცემით, რეაბილიტაციის შემდეგ სარდაფის კედლებზე თუშურ გვარებთან ერთად კითხულობდნენ არათუშურ გვარებსაც (მთხრობელი **დალი ქააძე, 60 წლის, ზემო ალვანი).**

ლუხუმაიძე ანდრო დემეტრეს ძე.ჰყავდა 2,500 სული ცხვარი, 9 ცხენი და რამდენიმე ძროხა. ჰქონია 1927 წელს აშენებული დიდი სახლი. უარს ამბობდა კოლმეურნეობაში შესვლაზე და ეწეოდა შინამეურნეობას, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ იგი დაუმორჩილებლებების სიაში ჩაწერა. 1930 წელს ანდრო

ლუხუმაიძე კულაკად გამოაცხადეს, ჩამოართვეს ცხვარი, ძროხა, ყველაფერი, რაც კი გააჩნდა და კოლმეურნეობას გადასცეს, თუმცა დაცარიელებული სახლი ხელისუფლებამ მალევე დაუბრუნა (მთხრობელი **ოთარი ლუხუმაიძე, 65 წლის, ზემო ალვანი).**

ბუქურაული ალექსი ადალეს ძე. „ნეპის“ პერიოდში გამდიდრდა, ჰყავდა 5000 ცხვარი, მრავალი ცხენი და მსხვილფეხა საქონელი. ეწეოდა დაქირავებულ შრომას. ჰქონდა კარგი საცხოვრებელი სახლი. 1930 წელს განკულაკების პროცესში ჩამოართვეს მხოლოდ საქონელი, ხოლო სახლი ოჯახს დაუტოვეს (მთხრობელი **დიმიტრი ბუქურაული, 64 წლის, ზემო ალვანი).**

ბუქურაულიდიმიტრი ალექსის ძე. მისი მამა, ალექსი ბუქურაული, ბევრი ცხვრის პატრონი და ღრმად განსწავლული კაცი ყოფილა. მას ჰყავდა 15000 სული ცხვარი, 500 ცხენი, მსხვილფეხა საქონელი: ძროხა, ხარი. სოფლის განაპირას ჰქონდა აგურით აშენებული ორსართულიანი სახლი, ასევე ადგილ-მამულები, კერძოდ, საძოვარი ადგილები, ხეხილის ბაღი, ვენახი სარწყავი არხებით (მუხის შუახერხილი). მისი გარდაცვალების შემდეგ შვილებმა კოტემ და მიტრომ (დიმიტრი), რომლებიც იმხანად უნივერსიტეტში სწავლობდნენ, მიატოვეს სწავლა, ზემო ალვანში დაბრუნდნენ და მამის დანატოვარ მეურნეობას მიხედეს, ხოლო უმცროსი ძმა, ივანე ბუქურაული, თბილისში დარჩა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში.კოტეს გარდაცვალების შემდეგ დიმიტრის გაუჭირდა მრავალრიცხოვანი ცხვრის მეურნეობის მარტო გაძღოლა და ცხვარი 5000 სულამდე შეამცირა; მეორე სახლი ააშენა და რამდენიმე მწყემსით ეწეოდა კერძო მეურნეობას. 30-იანი წლების განკულაკების პროცესი დიმიტრი ბუქურაულს მკაცრად არ შეეხო. მისი ცხენებით ხშირად შინსახკომის რაზმელები სარგებლობდნენ და ამის გამო მისი ოჯახი მკაცრად არ დაუსჯიათ. შავ სიაში მოხვედრილ დიმიტრის ქონების კონფისკაციის შემდეგ აღუდგა მოქალაქეობრივი უფლებები (მთხრობელი **დიმიტრი ბუქურაული, 64 წლის, ზემო ალვანი**).

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ საკოლმეურნეო მშენებლობის კვალდაკვალ ძირითადი დარტყმა მიაყენათუშეთის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ეკონომიკური ლიბერალიზაციის პროცესში გაიზარდა და შემდგომ „კლასობრივ მტრად“ გამოცხადდა. სწორედ მათი ქონების

ექსპროპრიაციის ხარჯზე განახორციელა საბჭოთა ხელისუფლებამ კოლმეურნეობების შექმნა და განმტკიცება. მათ საქონელს კოლმეურნეობებში აერთიანებდნენ, მათი გამოსახლების შემდეგ სახლებში ხსნიდნენ სკოლებს, საბავშო ბაღებს, სამედიცინო პუნქტებს, ადმინისტრაციულ განყოფილებებს (კანტორებს), სარდაფებში კი – საპატიმროებს. ამ ფაქტებს ადასტურებს საარქივო დოკუმენტებში დაცული მასალა. 1930 წელს სოფლსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით არსენა ქაამის ოროთახიანი კარგად მოწყობილი ბინა მუნიციპალიზაციის სახით გადაეცა საექიმო პუნქტს [**კრა,** ფ.7,ს.28:41], ხოლო თხელიძე რეზოს ფიცრული სახლი დაშალეს და ხე-მასალა ქვემო ალვანის დაწყებითი სკოლის მშენებლობას მოახმარეს [**კრა,** ფ.7,ს.29:48]. საბჭოთა ხელისუფლების მიერმდიდარი გლეხების სარდაფების საპატიმროებად გამოყენების ფაქტი დამაჯერებლადაა აღწერილი ხარიტონ მურთაზაშვილის მოგონებებში: *„1930 წლის 5 მარტს, როდესაც პარტიის ხაზით გაკულაკება მიმდინარეობდა და ბევრი მდიდარი მეცხვარე დააპატიმრეს, სახლში შემოვიდა მთვრალი ატრიადის უფროსი, ვინმე საგარეჯოელი თავისი ჯარისკაცებით, დამიწყეს ცემა-ტყეპა, შემდეგ წამიყვანეს და დიდოანთის დაბლა პადვალში ჩამაგდეს, სადაც იყვნენ გიგო უთურგაიძე, ალექსი ბაკურიძე და ესტატე ჯამრულიძე. იმ ღამეს აიყვანეს სამივენი და დაგეშილმა რაზმის უფროსებმა უმოწყალოდ სცემეს, შემდეგ ისევ ჩემთან ჩამოიყვანეს, მეორე დღეს კი კანვოითი თელავისკენ გაამგზავრეს სხვა ზემო ალვნელ მდიდარ მეცხვარეებთან ერთად“* [**მურთაზაშვილი,** 1961:42]. მოპოვებული საველე მასალებით დასტურდება, რომ ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში მსგავსი შიდა საპატიმროები აქტიურად მოქმედებდა.

„შავ სიაში“ შესული გლეხების დაბეგვრა მიმდინარეობდა არა დადგენილი ნორმის მიხედვით(3%), არამედ მისი შემოსავლის ინდივიდუალური წესით[**კრა,** ფ. 6, ს. 28: 65]. მათ აიძულებდნენ კოლექტიურ მეურნეობებში შესვლას და უძრავ-მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემას. საარქივო მასალების შესწავლამ აჩვენა, რომ გადასახადი კერძო სექტორის ხარჯზე იზრდებოდა ყოველწლიურად. მაგალითად, ქონების დაბეგვრის მიხედვით 1932 წელს ერთ კულაკურ მეურნეობაზე საშუალოდმოდიოდა 505 მანეთი, ხოლო 1933 წელს– 1040მან [**კრა,** ფ. 6, ს. 31: 47-49]. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის განმტკიცებისთვის მიმართული რეპრესიები, მიგრაცია,

რომელსაც თან სდევდა თუშეთის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ხშირი ცვალებადობა და ახალ სისტემაზე გადასვლა, შემდეგ წლებშიც გაგრძელდა.

XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაგეგმილი საკოლმეურნეო რეფორმა სოფლად გლეხების სოციალურ-ეკონომიკურ გათანაბრებას, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას და სოციალური დასაყრდენის შექმნას ითვალისწინებდა. გათანაბრების საფუძველი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების კონფისკაცია და საზოგადოებრივი მეურნეობების მშენებლობა იყო. საქართველოში აგრარულმა რეფორმამ ღარიბ გლეხთა მატერიალური მდგომარეობა შედარებით გააუმჯობესა. ფაქტობრივად, გლეხი თავისი ქონებით კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანდა, პირად საკუთრებაში რჩებოდა საკუთრების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. საბოლოოდ, კი ის ჩადგა „სოციალისტური საზოგადოების“ მშენებლობის სამსახურში.

მიუხედავად იმისა,რომ სოფლებში – ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში- გლეხების „განკულაკების“ პროცესი წარმატებით განხორციელდა, საბჭოთა ხელისუფლებამ სასოფლო-სამეურნეო არტელებში მოსახლეობის მობილიზება მაინც ვერ შეძლო, რაც ნათლად წარმოდგენილია საარქივო დოკუმენტებში. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, 1930 წლის დეკემბერში გლეხთა გაერთიანებულ კრებაზე, რომელსაც 57 გლეხი ესწრებოდა, სოფლსაბჭოს მუშაობა არადამაკმაყოფილად შეფასდა. კრებაზე აღინიშნა,რომ გლეხებმა ვერ შეძლეს ბიბლიოთეკების გახსნა, გზა-ხიდების მშენებლობა, საფინანსო სექციების გააქტიურება, სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. მიზეზად დასახელდა გლეხთა აქტივის უმოქმედობა: *„ვერ იქნა მოსახლეობა სათანადოდ დარაზმული კოლმეურნეობების მშენებლობის ირგვლივ, რის შედეგადაც ჩვენი კოლმეურნეობა მცირე რიცხოვანია“.* ამავე კრებაზე სასოფლო საბჭომ დაადგინა კულაკური მეურნეობების 100% -ით დაბეგვრის საკითხი [**კრა,** ფ. 7, ს. 26: 18].

1933 წ. 18 ოქტომბერს ქვემო ალვანის სოფლსაბჭომ სოფლის მოსახლეობის აღწერის შემდეგ დაადგინა, რომ საარჩევნო ხმის უფლება მიენიჭა 802 ამომრჩეველს, ხოლო „შავ სიაში“ შეიყვანეს 11 გლეხი, რომელთაც ბრალად ედებოდათ ვაჭრობა, სახელმწიფო ბეგარა-გადასახადების მიმართ უპასუხისმგებლობა, დაქირავებული შრომის გამოყენება. მაგალითად, მოვიყვანთ პანტო იაკობის ძე ბახტურიძის

განცხადებას: *„მე ვარ ხმის უფლება ჩამორთმეული პირველ გასაბჭოებისთანავე, ვითომ მყვანდოდეს დაქირავებული მწყემსი და მე კი 1927 წლიდან მწყემსი არა მყვანია, მე ვარ 59 წლის, ცოლი ფეფე 53 წლის. შვილები მყავს სამი, მცირეწლოვანი და არაფერი დამიმახინჯებია ხელისუფლების წინააღმდეგ. მასთანვე ცოლ-ქმარი ვართ შრომის უნარს მოკლებულები, ხელების ინვალიდობით. სხვა შეძლება და ღონისძიება არსაიდან მაქვს. ამისთვის გთხოვთ, აღმიდგინოთ ხმის უფლება, რითაც დიდად კმაყოფილი ვიქნები“* [**კრა,** ფ. 7, ს. 27:36]. ამ პერიოდის საარქივო დოკუმენტებში ინახება მრავალი განცხადება ჩამორთმეული მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენის შესახებ:

- *„ანთაიძე დავითი გიორგის ძე მოყოლილია შავ სიაში, როგორც მეცხვარე დამქირავებელი, იგი გაკულაკებულია 1930 წლის დეკემბერს. მართალია დაქირავებულ შრომას თავი დაანება, მაგრამ საკანდიდატო სტაჟი არ აქვს შერულებული...*
- *ბახტურიძე მათე მოყოლილია შავ სიაში 1928 წელს, როგორც მეცხვარე დამქირავებელი, უარი ეთქვას საარჩევნო ხმის უფლებაზე...*
- *არშაულიძე ილიკო მოყოლილია შავ სიაში 1926 წელს, როგორც კულტმსახური (დიაკვანი), უარი ეთქვას საარჩევნო ხმის უფლებაზე...*
- *მოურავიძე ნესტორი მოყოლილია შავ სიაში 1929 წელს, როგორს წისქვილის მეპატრონე, უარი ეთქვას საარჩევნო ხმის უფლებაზე“* [**კრა,** ფ. 7, ს. 27:40-41].

კვლევამ აჩვენა, რომ 1930-1935 წლებში კახეთის ბარის სოფლებში – ზემო და ქვემო ალვანში „კლასობრივი“ და ეკონომიკური გათანაბრება მძიმედ მიმდინარეობდა. ამის მიზეზი კი თუშეთის საზოგადოების წინააღმდეგობა და დაუმორჩილებლობა იყო. 1935 წელს ზემო ალვანის სოფლის საბჭომ განიხილა რაიაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება „შავ სიაში“ შეყვანილ პირთა შესახებ, რომელთაც ჩამოერთვა საარჩევნო ხმის უფლება. საარქივო მასალის შესწავლით დადგინდა, რომ „შავ სიაში“ შეიყვანეს 7 გლეხი: მაგალითად, *„ასადაშვილი ევა ლაზარეს ასული მოყოლილია შავ სიაში, როგორც დაქირავებული შრომის მოსარგებლე... ბაჩულაშვილი ივანე მიხეილის ძე მოყოლილია შავ სიაში 1933 წელს, როგორც მოვაჭრე“* [**კრა,** ფ. 6, ს. 29:14].

„შავ სიაში“ შესული გლეხების ნაწილს ქონების ექსპროპრიაციის შემდეგ აღუდგა საარჩევნო ხმის უფლება და გათავისუფლდა„კულაკის“ კატეგორიიდან მასშემდეგ, რაც გლეხს დარჩა: *„სახლი ერთი ოთახით, სახნავი მიწა 0,15 ჰ., თხა და ცხვარი – 0, ცხენი, ძროხა – 0, სამუშაო საქონელი, კამეჩი – 0, ვენახი – 0. ოჯახში არის ოთხი სული, მათში მუშა ხელი 2. სამეურნეო გადასახადი 30.50 მანეთი“* (კახოიძე ფიდო იაკობის ძე) [**კრა,** ფ. 6, ს. 31: 81]. გლეხების ნაწილი, რომელიც დახვრეტას გადაურჩა, გადაასახლეს ან გაგზავნეს საბჭოთა იმპერიის შორეულ რეგიონებში, ხოლო ნაწილი 1937 წლის „სისხლიან ტერორს“ ემსხვერპლა.

პოლიტიკური რეპრესიები შეეხო ეკლესიასაც. XX საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა რეჟიმი დაუპირისპირდა სასულიერო ხელისუფლებას, რადგან სარწმუნოებრივი იდეოლოგია ყოველთვის იდგა ეროვნულ ღირებულებებზე და დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის სუვერენიტეტის საკითხში, რაც ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა იდეოლოგიას. საბჭოთა ხელისუფლება ავიწროვებდა და სდევნიდა ღვთისმსახურებს, არბევდა ეკლესიებს, ხოლო საეკლესიო ქონებას სახელმწიფო საკუთრებად აცხადებდა. ანტირელიგიურ პოლიტიკას მრავალი სასულიერო პირი შეეწირა, გამონაკლისი არც თუშეთი იყო.

ამ პერიოდში თუშეთში მოღვაწე სასულიერო პირები იყვნენ: ქვემოალვანის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზი ბაგრატ ცოცანიძე, თუშეთის ილურთის ეკლესიის მთავარხუცესი, დეკანოზი იოანე ქააძე, თუშეთის ფარსმის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი პავლე აზიკური, ბერი თორნიკე აჭაიძე. მიუხედავად მკაცრი რეპრესიული პერიოდისა, ისინი მთასა და ბარში აგრძელებდნენ ღვთისმსახურებას და საქართველოს უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის (იგი 1930-1950 წლებში შეთავსებით ალავერდის ეპარქიასაც განაგებდა) ყველა დავალებას ასრულებდნენ.

1937 წელს შინსახკომმა იოანე ქააძეს სოფელ შენაქოში სამღვდელო კაბის გახდა და წვერის გაპარსვა მოსთხოვა. დაუმორჩილებლობის შემდეგ იგი დააპატიმრეს, ჯერ თელავის საპატიმროში გამოკეტეს, შემდეგ კი სამეულის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. მოძღვრის ძმა, არსენი, სვერდლოვსკში გადაასახლეს. ქონების კონფისკაციის შემდეგ ობლად დარჩენილ ოჯახს არაფერი დაუტოვეს. იგივე სასჯელი ელოდა ბაგრატ ცოცანიძესაც. მას სდევნიდნენ, ოჯახის დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ

ის იძულებული გახდა სამღვდელო კაბა გაეხადა. ბაგრატ ცოცანიძეს პირადი ქონების ჩამორთმევის შემდეგ აღუდგინეს სამოქალაქო უფლებები: *„გადაახდევინეს 173 მანეთი, კიდევ მოსთხოვეს 120 მანეთი. მისი წლიური შემოსავალი იყო 500 მანეთი. ადმინისტრაციამ ჯერ 800 მანეთი შეაწერა, შემდეგ კი – 1277 მანეთი, რისი გადახდაც ვერ შეძლო, ამიტომ ჩამოართვეს მიწა, სახლი...“* [**საპატრიარქო,** 2011: 18]. რეპრესიები შეეხო პავლე აზიკურის ოჯახსაც. მის ვაჟს, მოსე აზიკურს, შინსახკომი ხშირად აპატიმრებდა, ფიზიკურად უსწორდებოდა, აწამებდა. იგი დასუსტდა და 1940 წელს გარდაიცვალა. მოცემული ფაქტები ნათელი დასტურია იმისა, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერგანხორციელებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა თუ ანტირელიგიურმა პოლიტიკამ, ეტაპობრივად, თუმცა საბოლოოდ გაანადგურა თუშეთის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ „კლასობრივ მტრად“ გამოაცხადა. საარქივო დოკუმენტების შესწავლითა და ჩვენს მიერ გამოთვლილი სტატისტიკით დგინდება, რომ თუშეთის საზოგადოების ოთხივე თემიდან 1931 წელს დაიბეგრა 131 „კულაკური“ მეურნეობა, 1932 წელს – 52 მეურნეობა, ხოლო 1933-1935 წლებში – 18 მეურნეობა.

ამრიგად, XX საუკუნის 30-იან წლების პოლიტიკური რეპრესიები თუშეთში, უპირველეს ყოვლისა, შეეხო მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც კოლექტივიზაციის პროცესით იყო უკმაყოფილო. საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაგეგმილი საკოლმეურნეო რეფორმა სოფლად გლეხების სოციალურ-ეკონომიკურ გათანაბრებას, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას და სოციალური დასაყდენის შექმნას ითვალისწინებდა. გათანაბრების საფუძველი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების კონფისკაცია და საზოგადოებრივი მეურნეობების მშენებლობა იყო.საბჭოთა ხელისუფლებამ საკოლმეურნეო მშენებლობის კვალდაკვალ ძირითადი დარტყმა მიაყენა თუშეთის საზოგადოების ეკონომიურად ძლიერ ფენას, რომელსაც ქონება საკუთარი შრომის შედეგად ჰქონდა შექმნილი და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ეკონომიკური ლიბერალიზაციის პროცესში კიდევ უფრო განმტკიცდა. სწორედ ამ კატეგორიის გლეხობა გამოცხადდა „კლასობრივ მტრად“ და მათ წინააღმდეგ საბჭოთა სახელმწიფოს რეპრესიული მანქანა ამოქმედდა, მოხდა მათი „განკულაკება“. კატეგორიებად დაყოფილი მდიდარი გლეხების ნაწილი გადაასახლეს იმპერიის შორეულ რეგიონებში, ნაწილი,

ოჯახთან ერთად, ქონების კონფისკაციის შემდეგ, სოფლის გარეთ გაასახლეს, ნაწილს ქონება ჩამოართვეს. პოლიტიკური რეპრესიების ინსტრუმენტები იყო დახვრეტა, დაპატიმრება, შრომა-გასწორების ბანაკებში გამწესება, გადასახლება, საცხოვრებელი ადგილიდან გასახლება, უძრავ-მოძრავი ქონებისა და საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

§2.ანტისაბჭოთა ორგანიზაცია *„სამანი“*

XX საუკუნის 30-40-იანი წლებიჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ მეტად ტრაგიკულ პერიოდს განეკუთვნება. საბჭოთა ხელისუფლებამ პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, განახორციელა საზოგადოების წმენდა იმ „საშიში ელემენტებისაგან,“ რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს. საბჭოთა რეპრესიების ტალღამ არაერთხელ გადაუარა საქართველოს და ბევრი უდანაშაულო, მშრომელი და კეთილშობილი მამულიშვილის სიცოცხლე შეიწირა. კოლექტივიზაციის პროცესი ძალზე რთული იყო, რადგან მას მოჰყვა „კულაკებად“ წოდებული ადამიანების რეპრესიები, რასაც თან სდევდა მათი ქონების ექპროპრიაციაც. ამან გარკვეული დაძაბულობა შეიტანა თუშეთის მოსახლეობაშიც და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განაწყო.

ანტისაბჭოთა განწყობა განსაკუთრებით გამოვლინდა მეორე მსოფლიო ომის დროს. თუშეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა უარი თქვა სამხედრო სამსახურზე, რადგან იცოდა, რომ სხვის ომში „ბრძენი“ და გმირი ვერ გახდებოდა და დადგა იმ პატრიოტი ხალხის გვერდით, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე ოცნებობდნენ. თუშ ახალგაზრდებს ღრმად სწამდათ, რომ გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში, საქართველო აღიდგენდა დამოუკიდებლობას, გაუქმდებოდა კოლმეურნეობები და აღდგებოდა ცხოვრების განვითარების ბუნებრივი გზა.

თუშეთში მოქმედი არალეგარული ანტისაბჭოთა ორგანიზაცია *„სამანი“*იყო იდეური გაგრძელება თბილისში შექმნილი ორგანიზაციისა. *„სამანი“* – საქართველოს აყვავებისთვის მებრძოლი ახალგაზრდობა, რომლის წევრებიც იყვნენ ცნობილი ქართველი მეცნიერის მიხეილ ზანდუკელის თუში ასპირანტები: გიორგი ქადაგიძე

და ადამ ბობღიაშვილი, 1941 წლის სექტემბერში საბჭოთა უშიშროებამ გამოავლინადა სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა ორგანიზაციის 17 წევრს, მათ შორის იყო გიორგი ქადაგიძე. ამ გარემოებამ საქართველოში მოქმედი არალეგალური ორგანიზციების დისონანსი გამოიწვია, ზოგი ჯგუფი დაიშალა, ზოგიც დაიქსაქსა.

1942 წელს საბჭოთა რეპრესიებს გადარჩენილმა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებმა და მასთან დაკავშირებულმა ჯგუფებმა ისარგებლეს მსოფლიოში შექმნილი ვითარებით, კერძოდ, გერმანიის ჯარების გამარჯვებებით ბრძოლის ველზე, ფრონტების სიახლოვით და აქტიურ ქმედებაზე გადავიდნენ. ანტისაბჭოთა განწყობამ მოიცვა სრულიად კავკასიის ქვეყნები, საბჭოთა რეჟიმით უკმაყოფილო ხალხებმა მიმდინარე მოვლენები შესაფერის დროდ მიიჩნია და საერთო იდეის გარშემო გაერთიანდა.

თავდაპირველად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის წევრებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნეს პოლიტიკური ორგანიზაცია *„სამანი“*, რომელიც აერთიანდება პროფესორ-მასწავლებლებს, ასპირანტებისა და სტუდენტების მცირე ნაწილს. *„სამანს“* დღეს სხვადასხვანაირად განმარტავენ: 1. *„საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ინტერნაციონალი“*; 2. *„სამანო“ – „საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ნაციონალისტური ორგანიზაცია“* [**იუკურიძე,** 1997: 5]. 1941-1943 წლების თუშთა შეთქმულების აქტიური მონაწილე ივანე მაჩაბლიშვილი თავის „მოგონებებში“ ამ სახელწოდების გაშიფვრის მისეულ ვარიანტს გვთავაზობს: *„სამანი“ – „საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლ ახალგაზრდა ნაციათა ინტერნაციონალი“*. ივანე მაჩაბლიშვილის გადმოცემით, *„მასთან ერთად სასჯელს იხდიდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი სამანისტები“* [**იუკურიძე,** 1997:3]. როგორც ჩანს, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციები მოქმედებდნენ სომხეთსა და აზერბაიჯანში. თუ გავითვალისწინებთ სამანელების კავკასიურ პოლიტიკასაც, ეს ვერსია სარწმუნოდ შეგვიძლია მივიღოთ. საარქივო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ორგანიზაციის წევრები კარგად აცნობიერებდნენ საერთოკავკასიური ანტისაბჭოთა მოძრაობის შექმნის მნიშვნელობას კავკასიისა და საქართველოს საბჭოთა მარწუხებისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სანამ კონკრეტულად შევეხებოდეთ თუშეთში მოქმედი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის *„სამანის“* შექმნისა და მოღვაწეობის საკითხს, საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე გავეცნოთ საერთაშორისო მოვლენების ფონზე პოლიტიკურად განწყობილი არალეგალური ჯგუფების მოღვაწეობას, რომელთაც ამოძრავებდათ მხოლოდ ერთი მიზანი – სამშობლოს ნათელი მომავალი. ვფიქრობთ, იმ პერიოდში საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების მოღვაწეობის გაცნობა და მათი ანალიზი გარკვეულ წარმოდგენას შექმნის ამ არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემდეგში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში.

თბილისში მოქმედი ანტისაბჭოთა არალეგალური ჯგუფების საქმიანობის შესახებ ცნობები დაცულია სამსონ სულაკაურის საგამოძიებო მასალებში. იგი იყო იმხანად საქართველოს კინომრეწველობის დრამატურგი. ჯერ კიდევ ორგანიზაციაში შესვლამდე თავის ნაცნობთა წრეში, თბილისში, ატარებდა აქტიურ პროფაშისტურ პროპაგანდას, აცხადებდა საბჭოთა კავშირის გარდაუვალ მარცხს გერმანიასთან, ავრცელებდა სხვადასხვა ხმას, რომელიც გადმოცემული იყო გერმანულ პროპაგანდისტულ ფურცლებზე. სამსონ სულაკაურმა საკუთარი ანტისაბჭოთა განწყობა საგამოძიებო პროცესის დროსაც არ დამალა და მტკიცედ განაცხადა: *„უნდა ვაჩვენო ჩემი მტრული დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ჩემი განწყობა და სიხარული გერმანელების თავდასხმისა და იერიშის შესახებ მე არ დამიმალავს ჩემს მეგობრებთან, რომელთა წინაშეც მე ვადასტურებდი, რომ საბჭოთა ხელისუფლების განადგურება გერმანელებთან ომის დროს გარდაუვალი იყო, და ჩემი მეგობრებიც ჩემებრ გერმანელების მოსვლას მოუთმენლად ელოდნენ“* [**სშსსა,** ფ.6,ს.421575:442].

საქართველოში პროგერმანული განწყობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1942 წელს ქერჩთან ბრძოლაში საბჭოთა არმიის დამარცხების შემდეგ. საქართველოს ინტელიგენციის ნაწილი დააფიქრა ფრონტებზე გერმანიის არმიის გამარჯვებამ და კავკასიის მიმართულებით წინსვლამ. ისინი შეშფოთებით აკვირდებოდნენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ეძებდნენ ქვეყნის გადარჩენის გზებს. ქართველი ხალხი რთული ამოცანის წინაშე იდგა. ერთი მხრივ, ქვეყანა უნდა გადაერჩინა საომარი მოქმედებებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, გაჩნდა საქართველოს

დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი. ისინი გერმანიის არმიის საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩენას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხელსაყრელ მომენტად მიიჩნევდნენ, *„სამშობლო განსაცდელშია და ქვეყნის ბედი უნდა გადავწყვიტოთ, ისტორია არ გვაპატიებს, თუ ჩვენ უმოქმედობას გამოვიჩენთ“* – მსჯელობდნენ *„სამანის“* წევრები [ჩხეიძე, 1992: 20].

XX საუკუნის 40-იან წლებში პოლიტიკურად განწყობილმა საზოგადოებამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყებისთვის დაიწყო მზადება. საქართველოს მასშტაბით განახორციელეს არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნა,რაც დასტურდება სამსონ სულაკაურის საგამოძიებო მასალებიდან. იგი დეტალურად ასახელებს თბილისში შექმნილ ანტისაბჭოთა ჯგუფებს და შეხვედრის ადგილებს. ჩვენების მიხედვით, *„სალექციო ბიუროს ერთ-ერთ პატარა ოთახში იგორ ურუშაძესთან და ნიკოლოზ კეჟერაძესთან ერთად ტარდებოდა ანტისაბჭოთა შეხვედრები, ბერიაშვილთან და ციცაგისთან – თეატრალურ მუზეუმში, ხოლო გაჩეჩილაძესთან – ქუჩაში“* [**სშსსა,** ფ.6, ს.421575:443]. ცნობილია, რომ 1923 წელს საქართველოში ეროვნულ – განმათავისუფლებელი აჯანყების გეგმა და მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა ქუჩაში, რაც იყო ერთგვარი მეთოდი არალეგალური მუშაობისა.

სალექციო ბიუროს მუშაკთა ჯგუფში შედიოდნენ ლექტორები: იგორ აპოლონის ძე ურუშაძე და ნიკოლოზ დიმიტრის ძე კეჟერაძე. შეხვედრა ტარდებოდა 3-4 დღეში ერთხელ. ყოველ ახალ კრებაზე, ძირითადად, განიხილავდნენ ფრონტებზე გერმანიის არმიის გამარჯვებისა და საქართველოში შემოჭრის გარდაუვალობის საკითხებს. გერმანელთა საომარი მოქმედებებისა და გადაადგილებების შესახებ დასკვნებს აკეთებდა იგორ ურუშაძე, რომლისთვისაც ცნობილი იყო გერმანიის ჯარის მიმართულებები. მაგალითად, ,,პროგნოზებით“. *,,როდესაც გერმანელებმა მეორედ დაიკავეს ქერჩი, კეჟერაძე ამტკიცებდა, რომ ახლა გერმანელები შავი ზღვის სანაპიროზე გადმოსხავენ დესანტს და წავიდოდნენ კრასნოდარზე, მაგრამ ურუშაძე ამას არ ეთანხმებოდა და ამბობდა, რომ ასე არ იქნებოდა, და რადგან ბრძოლები მიდიოდა ქალაქ ვოროშილოვგრადთან, გერმანელთა ერთი ჯგუფი წავიდოდა სტალინგრადზე, ხოლო მეორე – როსტოვზე და ისინი გამოაღწევდნენ კავკასიონზე... საუბრის დროს იგი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ყველაფერი იცოდა: ,,დიდი*

ადამიანებისაგან....., სანდო წყაროებისგან... აქვს კავშირები, საიდანაც იღებდა სწორ ინფორმაციებს“ [**სშსსა,** ფ.6, ს.421575:445]. როგორც ჩანს, გერმანიის ჯარის კავკასიონთან მოახლოებამ და შემოჭრის საშიშროებამ დააფიქრა საქართველოს ინტელიგენცია და ქვეყნის გადარჩენის საკითხს დახურულ კრებებზე განიხილავდა.

ამავე კრებაზე განიხილებოდა ზემო ალვანში დაწყებული ანტისაბჭოთა მოძრაობის საკითხები. საუბრობდნენ გერმანიის ჯარის საქართველოში შემოჭრის დროიდან სოფელ ზემო ალვანში გასვლის შესახებაც. როგორც ჩანს, მათი მიზანი საქართველოში არსებულ ჯგუფებთან კავშირის დამყარება და ერთობლივი გეგმის შემუშავება იყო. სალექციო ბიუროში სხდომებს ხშირად ესწრებოდა ვასილ მოსაშვილი. იგი მუშაობდა სალექციო ბიუროსმახლობლად (ჯორჯაძის ქუჩა #6) არსებულ სამხედრო საწყობში. მოსაშვილი კრებაზე საუბრობდა ჰიტლერის პიროვნებისა და ქართველებთან ნათესაური კავშირის შესახებ. მისი გადმოცემით:*„ქუთაისში ცხოვრობდა ერთი მდიდარი ადამიანი – დათეშიძე, მას გერმანელი ცოლი ჰყავდა, რომელიც ჰიტლერის დეიდა იყო, ქმრის გარდაცვალების შემდეგ იგი თავის ორ ვაჟთან ერთდ გაემგზავრა გერმანიაში, ამჟამად დათეშიძეები ჰიტლერის ყველაზე დაახლოებული პირები არიან, და, რასაკვირველია, ისინი არ მისცემენ ჰიტლერს უფლებას რომ საქართველოს რაიმე ზიანი მიაყენონ*“ [**სშსსა,** ფ.6, ს.421575:445]. ეს გულუბრყვილო მსჯელობაც ნათელყოფს, რომ ქართველი ინტელიგენციის მთავარი საზრუნავი გერმანული აგრესიის თავიდან აცილება იყო.

თეატრალური მუზეუმის თანამშრომელთა ჯგუფში შედიოდნენ თეატრალური მუზეუმის თანამშრომელი ტატე ბერიაშვილი და რუსთაველის სახელობის თეატრის რეჟისორი ლავრენტი ციცაგი. ტატე ბერიაშვილის ოთახში, მუზეუმში,სხვა თანამშრომლებთან ერთად მსჯელობა მიმდინარეობდა საომარ მოქმედებებზე: .,,ჩვენი გულახდილი საუბრების დროს ციცაგი ამბობდა, რომ გერმანელთა საქართველოში შემოსვლა გარდაუვალი იყო, რადგან გერმანელებმა დაიპყრეს დიდი ტერიტორიები, ხორბლითა და მრეწველობით მდიდარი რაიონები, მოსახლეობის დაახლოებით 100 მლნ. დარჩა გერმანელთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე, მათ დაიკავეს მთელი ევროპა, მათი რეზერვები და რესურსები იზრდება სულ უფრო და უფრო მეტად და ამიტომ გერმანელებს ჩვენ ვერაფერს ვერ მოვუხერხებთ – საბჭოთა კავშირის დამარცხება გარდაუვალია. გერმანელების მიერ ყოველი ახალი ქალაქის

დაპყრობის შემდეგ ციცაგი ხელში იღებდა სახაზავს, რუქაზე მანძილებს ზომავდა და ამტკიცებდა, რომ გერმანელებს ძალიან პატარა მანძილი დარჩათ გასავლელი, და მალე გერმანელები დაასრულებენ ომს და საბჭოთა ხელისუფლება აღარ იარსებებს“ [**სშსსა,** ფ.6, ს.421575:446]. მათი მიზანი გერმანიის ჯარის ადგილსამყოფლის დადგენა და მათთან დაკავშირება იყო.

ასეთივე ანტისაბჭოთა ჯგუფი არსებობდა მწერალთა შორისაც, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პოეტები დავით გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ ნადირაძე და პატარიძე. ამ ჯგუფის წევრები ერთმანეთს ხვდებოდნენ 3-4 დღეში ერთხელ სხვადასხვა ადგილას: ხშირად იკრიბებოდნენ სამსონ სულაკაურთან სახკინმრეწვში, ზოგჯერსტალინის სახ. დახურულ ბაზარში, მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრობდნენ ქუჩაშიც – „პიონერთა სასახლესთან,“ სადაც ერთმანეთს ატყობინებდნენ საერთაშორისო მდგომარეობას, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩეჩნეთში დაწყებულ აჯანყებას, რომ საქართველო მთლიანადაა სავსე გერმანელთა პარაშუტისტებით და გერმანელების თბილისში მოსვლის საკითხი მხოლოდ რამდენიმე დღის ამბავია [**სშსსა,** ფ.6, ს.421575:446].

ანტისაბჭოთა ჯგუფი შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობაში. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: გაქირავების განყოფილების თანამშრომელი გიორგი დოლიძე, პედაგოგი ალექსი ბოჭორაშვილი (გვარი არაზუსტია – **თ.ლ.**), სასამართლოს მუშაკი დავით ვასილის ძე ტურიაშვილი და იონია წერეთელი. ჯგუფის მუდმივი შეკრებების ადგილი იყო გაქირავების განყოფილების გამგის – ვიკენტი ნადარეიშვილის კაბინეტი. ჯგუფი იკრიბებოდა 4-5 დღეში ერთხელ და განიხილავდა ანტისაბჭოთა თემებს. განსაკუთრებით უყვარდათ ქუჩის ახალი ამბებისა და ჭორების განსჯა, მაგალითად, იონია წერეთელი ამბობდა, რომ გერმანელებმა დასავლეთ უკრაინაში გადმოსხეს პარაშუტისტები, რომელთა შორისაც ბევრი ქართველია. მაშინ ჩემი თანამოსაუბრენი, ანუ წერეთელი და ბოჭორიშვილი იწყებდნენ დამტკიცებას, რომ საბჭოთა კავშირს აღარ დარჩა ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია გააჩეროს გერმანელთა შემოტევა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ბედი უკვე გადაწყვეტილია. ხოლო *დოლიძის მტკიცებით:,,კავკასიის დაცვა არავის და არაფერს აღარ შეუძლია., რომ საბჭოთა ხელისუფლებას ამჟამად დარჩა მხოლოდ განადგურებული არმიის პატარა ნაწილები, რომლებიც უსუსურები არიან*

გერმანელების წინააღმდეგ, რადგან მათ ხელში მთელი ევროპაა, რომ ომის გაგრძელება – არის მხოლოდ ხალხის უმიზნოდ განადგურება, რომ ბოლშევიკებს სიკვდილის გარდა არაფერი აღარ დარჩენიათ, და სწორედ ამიტომ ისინი კვდებიან და თავის თავთან ერთად ანადგურებენ ხალხსაც“ [**სშსსა,** ფ.6, ს.421575:446]. ასევე იხილავდნენ იმ საკითხებს, რაც ფრონტს ეხებოდა. ამ ჯგუფის წევრებს აიმედებდა სტალინგრადთან ბრძოლაში გერმანიის ჯარების გამარჯვების გარდაუვლობა და მათ საქართველოში მოსვლას მოუთმენლად ელოდნენ.

სამსონ სულაკაურის საარქივო დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა, რომ თბილისში შექმნილი ანტისაბჭოთა ჯგუფების მიზანი საერთაშორისო მოვლენებში გარკვევა და სწორი გადაწყვეტილების მიღება იყო. საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურის თითქმის ყველა სფეროში ანტისაბჭოთა განწყობა აშკარა ხასიათს ატარებდა.

უკვე ნახსენები ანტისაბჭოთა ჯგუფების გარდა, საქართველოში არსებობდა სხვა არალეგალური ჯგუფებიც, მათი მიზანი სსრ კავშირის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. 1942 წელს ქალაქ თელავში სოლომონ (ცუგრი) თევზაძის მიერ დაფუძნდა ანტისაბჭოთა ორგანიზაცი, სახელწოდებით: *„ადოლფ ჰიტლერი“.* სოლომონ თევზაძემ სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროს გადაწყვიტა შეესწავლა გერმანული ენა. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა გერმანული ენის მასწავლებელს ივან ივანოვის ძე ბეკმანს [**სშსსა,** ფ.6, ს.20285-60:2-3]. ანტისაბჭოურად განწყობილმა მასწავლებელმა დიდი როლი შეასრულა თევზაძის ფაშისტური სულის ჩამოყალიბებასა და ანტისაბჭოთა ელემენტად გადაქცევაში.

საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ სოლომონ თევზაძემ გადაწყვიტა შეექმნა არალეგალური ორგანიზაცია *„ადოლფ ჰიტლერი“.* თავისი განზრახვის განსახორციელებლად იგი წავიდა თელავში და ვახტანგ ბოჭორიშვილის დახმარებით დაიწყო არალეგალური საქმიანობა. შტაბად გამოიყენეს ივანე ხარატიშვილის დის, ნინო ხარატიშვილ-ბოჭორიშვილის, სახლი [**ჩხეიძე,** 1995: 77]**.** იმ ხანად ბეკმანი სოფ. ქისტაურში გერმანული ენის მასწავლებლად მუშაობდა. მან იცოდა, რომ თელავის რაიონში მოქმედებდა პოლიტიკური ორგანიზაცია მიხეილ იმედაძის მეთაურობით. ბეკმანის დახმარებით სოლომონი დაუკავშირდა ქრისტო ლუხუმაიძეს, შემდეგ მისი დახმარებით – იმედიძეს. მათ შორის შედგა კავშირი.

სოლომონ თევზაძე იმედიძეს დაჰპირდა იარაღს და საბეჭდ მანქანას. თბილისში დაბრუნებულმა თევზაძემ და ზალდასტანიშვილმა ვერ შეძლეს საბეჭდი მანქანის მოპარვა, თუმცა ვახტანგ ბოჭორიშვილის დახმარებით მოახერხეს თელავის სამხედრო გარნიზონში შეექმნათ საიდუმლო ჯგუფი, რომლის დახმარებითაც იარაღი გადაგზავნეს შტაბში, ხოლო იქიდან – თუშ რაზმელებს გაუგზავნეს [**სშსსა,** ფ.6, ს.20285-60:7-9].

ქ. თბილისში თევზაძემ თავისი ნაცნობის, მეტრეველის, დახმარებით შეძლო პროკლამაციის 50 ეგზემპლარის დაბეჭდვა და მთლიანად ალვანში ლუხუმაიძისთვის გაგზავნა [**სშსსა,** ფ.6, ს.20285-60:12]. ტყეში გასული მებრძოლების გასამხნევებლად პროკლამაციაზე მითითებული იყო: *„ქართველო, ხელი ხმალს იკარ, დრო მოდის გამარჯვებისა“* [**ჩხეიძე,** 1995: 78]. თელავში კი პროკლამაციების გავრცელება იკისრა ვახტანგ ბოჭორიშვილმა. XX საუკუნის 40-იან წლებში თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში მსგავსი არალეგალური ჯგუფები არსებობდა.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით ნათელია, რომ 1941 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მოქმედი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის მხოლოდ ნაწილი მოსპო, ხოლო გადარჩენილმა ნაწილმა ისარგებლა მსოფლიო ომის ფრონტებზე არსებული ვითარებით და აქტიურ ქმედებაზე გადავიდა, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა გააგრძელა. ანტისაბჭოთა განწყობამ მოიცვა საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. გერმანიის არმიის ყოველი ახალი გამარჯვება ქართველ ინტელიგაციის ერთ ნაწილს უძლიერებდა ანტისაბჭოთა განწყობას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რწმენას.

„სამანის“ არალეგალური ჯგუფები ზემო და ქვემო ალვანში. 1942 წელს ადამ ბობღიაშვილმა და მიხეილ იმედიძემ, რომლებიც ზემო და ქვემო ალვანის ტყეს აფარებდნენ თავს, დეზერტირებთან დაიწყეს საიდუმლო შეხვედრა და მოლაპარაკება არალეგალური ორგანიზაციის ჩამოყალიბების თაობაზე. მათ თელავის რაიონის სოფლებში – ზემო და ქვემო ალვანში – დაიწყეს აქტიური მოქმედება. შემოიკრიბეს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი თანასოფლელები, წითელი არმიის დეზერტირები, ამ რაიონში მცხოვრები თანამოაზრეები და შექმნეს

ანტისაბჭოთა ორგანიზაცია *„სამანი“*, რომელიც დაკავშირებული იყო თბილისში მოქმედ არალეგალურ ანტისაბჭოთა ორგანიზაციასთან.

ორგანიზაცია *„სამანის“* ხელმძღვანელები: ადამ ბობღიაშვილი, მიხეილ იმედიძე და გიგო ქააძე კრებებზე ხალხს აცნობდნენ საქართველოში არსებულ მდგომარეობას და ეწეოდნენ ფართო ახსნა-განმარტებით საქმიანობას, რაც კარგად ჩანს საარქივო დოკუმენტებში. აბრამ ბობღიაშვილის ჩვენების მიხედვით, ადამ ბობღიაშვილმა კრების წევრებს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციის მუშაობა შემდეგი შინაარსით გააცნო: *„...ასეთი ორგანიზაცია არსებობდა ქ. თბილისში და ახლა არალეგალურად არსებობს, იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობამ გაგვიგო და ბევრი ჩვენი ორგანიზაციის წევრი დააპატიმრა. მე კი შევძელი გამოქცევა, ცენტრი კი, როგორც ასეთი, არსებობს ქ. თბილისში და თელავში. ჩვენი სამანისტური ორგანიზაციის მიზანი ის არის, რომ შევასუსტოთ საბჭოთა კავშირი ყველა მხრიდან, ამიტომ საჭიროა აქტიური მონაწილეობა და აგიტაციის გაწევა ხალხში“* [**სშსსა,**ფ. 6, ს. 421575: 12].გიგო ქააძე იყო ქერჩთან ომის მომსწრე და თვითმხილველი, იგი აღფრთოვანებას არ მალავდა და კრებაზე გერმანიის პოლიტიკის მიმართ გამოხატავდა კეთილგანწყობას.ფირუზ ბექურაიძის დაკითხვის ოქმის მიხედვით, *„გიგო გვარწმუნებდა, რომ გერმანელებთან საბჭოთა კავშირის დამარცხება გარდაუვალია. გერმანელებს ძლიერი შეიარაღება აქვთ და მათი დამარცხება შეუძლებელია. ამიტომ არ მოხვდეთ წითელ არმიაში. აიღეთ იარაღი და გადით არალეგალურ მგომარეობაში, რადგან მალე საქართველოში გერმანელები მოვლენ და საბჭოთა ხელისუფლება აღარ იარსებებს“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 355]. საარქივო დოკუმენტების ანალიზით დასტურდება, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელები ზემო და ქვემო ალვანში აქტიურად ეწეოდნენ გადამბირებელ საქმიანობას. კრებები ხშირად ტარდებოდა ორგანიზაციის წევრების სახლში, სოფლის ახლოს, ასევე ხუფრისა და მათურის მთების მიდამოებში, იმ იმედით, რომ საქართველო კვლავ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას, გაუქმდებოდა კოლმეურნეობები და აღდგებოდა კერძო საკუთრება. თუში ახალგაზრდები ფიცს დებდნენ და შედიოდნენ ორგანიზაციაში.

ორგანიზაციის შექმნის შემდეგ მათ მიზნად დაისახეს, შეექმნათ ორგანიზაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნებოდა შემდეგ ამოცანებს:

,,1. კოლმეურნეობების საწყობებზე თავდასხმა;

2. საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განსახორციელებლად პროკლამაციების თავდასხმა;

3. თელავის რაიონში (ზემო და ქვემო ალვანში, თუშეთსა და თელავში) არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შექმნა;

4. ორგანიზაციის წევრებისთვის იარაღოს შეძენა;

5. ბანდიტთა და დეზერტირთა გაფანტული დაჯგუფებების ორგანიზაციაში გაერთიანება;

6. ჩეჩნეთში მოქმედი იდრის მაგომედოვის პოლიტიკურ ორგანიზაციასთან დაკავშირება;

7. წითელარმიელებზე თავდასხმა და მათი განიარაღება;

8. პარტიისა და მთავრობის პირებზე ტერორისტულ აქტების განხორციელება“ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 95].

მორიგ კრებაზე შეიმუშავეს მუშაობის სტრუქტურა, აირჩიეს არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი „ოთხეული“ ადამ ბობღიაშვილის, მიხეილ იმედიძის, გიგო ქააძის და ელიზბარ აბაშიძის ხელმძღვანეობით. აქვე მიიღეს გადაწყვეტილება ორგანიზაციაში რკინის დისციპლინის დამყარების თაობაზე, რომლის დამრღვევნიც დაიხვრიტებოდნენ. ადამ ბობღიაშვილმა შეკრებილებს განუცხადა: *„არ უნდა მივცეთ არც ერთ ჩვენგან წევრს, რათა მან თავისი ნებით იაროს, დავიცვათ წესი და კონსპირაციულობა, არ ვენდოთ არავის, თუ ვინმე ჩვენს ირგვლივ გამოიჩენს გულგრილობას და თვითნებობას, მკაცრად დაისჯება“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 47]. ამავე შეკრებაზე გადაწყდა, განეხორციელებინათ მთავრობისა და პარტიის წარმომადგენლებზე ტერორისტული აქტები, გარდა ამისა, მათ ევალებოდათ ხალხში ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელება, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა საბჭოთა მთავრობის ნაკლოვანებები და ფაშისტური გერმანიის ქება-დიდება.

ჯგუფის წევრების მოვალეობას შეადგენდა ფარული სააგიტაციო საქმიანობა, ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათის პროკლამაციების მომზადება და გავრცელება. ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შექმნის შემდეგ ადამ ბობღიაშვილმა ელიზბარ აბაშიძე გაგზავნა თბილისში, მუხრაანის ხიდის მახლობლად მცხოვრებ ანდრო უშარაულთან. ეს უკანასკნელი კი ორგანიზაციის წევრს ალექს ჭელიძეს შეახვედრებდა: *„იმედიძემ*

და ბობღიაშვილმა ჭელიძესთან დამაბარეს, გამეგო ორგანიზაციის მუშაობა, თუ რას აკეთებდა ორგანიზაცია ქადაგიძის დაპატიმრების შემდეგ, სად იყო სტამბა, შეეძლო თუ არა წამოელო სტამბა ან თუ იყო საშუალება, რომ აემუშავებინათ სტამბა თბილისში“ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 284]**.** ხოლო კიმოთე ლაგაზიძის (თელავის ჯანდაცვის განყოფილების გამგე) დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ ბობღიაშვილის დავალებით ჩავიდა თბილისში და პაროლით „ავდრიანი ღამის საქმეები,“ დაუკავშირდა ორგანიზაციის წევრს, ხევსურ მწერალ ბალიაურს, რომელიც იმჟამად იმყოფებოდა არალეგალურ მდგომარეობაში და სთხოვდა კახეთში გადასვლას [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 103]**.**

გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1941 წლიდან პოეტი ბალიაური, ალექსი ჭელიძე, მეტყევე მიხეილ იმედიძე იყვნენ *„სამანის“* წევრები და კარგი მეგობრები. ალექსი ჭელიძემ ორგანიზაციაში შეიყვანა ახმეტის სკოლის პედაგოგი გიორგი ჭიაბრიშვილი. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ თბილისში, ბობღიაშვილის ბინაში, სადაც ბჭობდნენ საქართველოს ბედზე: *„იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში დამარცხდება, საქართველოში დაიწყება ქაოსი, განსაკუთრებით სოფლებში, ამისთვის კი მათ ხელი უნდა შეუშალოთ, საჭიროა სწრაფი ზომების მიღება“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 22]. 1941 წლის ნოემბერში ორგანიზაციის ჯგუფმა „ხუთეულმა“ (ალექსი ჭელიძე, მიხეილ იმედიძე, ადამ ბობღიაშვილი, გიორგი ჭიაბრიშვილი, ბალიაური) გადაწყვიტა საბეჭდი მანქანის ყიდვა, რათა ორგანიზაციის სახელით გამოექვეყნებინათ ანტისაბჭოთა პროკლამაციები. გიორგი ჭიაბრიშვილმა გამოთქვა სურვილი საბეჭდი მანქანის კახეთში, კერძოდ, ახმეტაში წაღების შესახებ, სადაც დაბეჭდავდნენ პროკლამაციებს. ეს აზრი მოიწონეს და მხარი დაუჭირეს გიორგი ქადაგიძემ და ადამ ბობღიაშვილმა, თუმცა მიხეილ ზანდუკელის დაპატიმრების შემდეგ ქადაგიძის მოთხოვნით საბეჭდი მანქანა ჯერ ალექსანდრე ჭელიძის მამიდის ბინაში დამალეს თბილისში, ხოლო გიორგი ქადაგიძის დაპატიმრების შემდეგ კი მამიდამ მიწაში დამარხა [**სშსსა,** ფ. 6, ს. 20285-60: 14]**.**

მას შემდეგ, რაც ადამ ბობღიაშვილისთვის ცნობილი გახდა კავკასიის ფრონტზე მიმდინარე მოვლენები, ორგანიზაციის წევრებს მოქმედებისკენ მოუწოდა. პირველ რიგში, ყურადღება მიაქცია საბეჭდი მანქანის არსებობას. იმ მიზნით, რომ ხალხში გაევრცელებინათ გაზეთები და პროკლამაციები, მან საჭიროდ მიიჩნია საბეჭდი

მანქანის შემენა, ან გატაცება თელავის რაიშინგანიდან, მაგრამ კიმოთე ლაგაზიძემ მალევე გადააფიქრებინა, რადგან ამას შეიძლება მთავრობის მხრიდან მოჰყოლოდა ორგანიზაციის წევრების დევნა-დაპატიმრება. მაშინ როდესაც თუშები თბილისიდან და თელავიდან კარგად მარაგდებოდა პროკლამაციებით.

აბაშო აბაშიძის დაკითხვის ოქმიდან ვიგებთ: *„შეხვედრაზე ადამ ბობღიაშვილმა მოგვიწოდა, რომ „ჩვენი არალეგალური ორგანიზაციის მიზანია კავშირი დაამყაროს გადარჩენილ გერმანელ მედესანტეებთან, გამოძებნოს კავშირები გერმანიის ჯარებთან და საქართველოს ოკუპაციის დაჩქარების საქმეში პრაქტიკული დახმარება გაუწიოს“* [**სშსსა,** ფ.6, ს.21725:11].ეს საქმე დაევალა გოგალე მინდაძეს, რაც კარგად ჩანს გოგალე მიდაძის დაკითხვის ოქმში. ჩვენების მიხედვით: *„ხშირად ვიყავი ტყეში, გიგო ქაძის დავალებით ვეძებდი დეზერტირებს, არალეგალურ ჯგუფებს, გერმანელ მედესანტეებს. მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა მიმეწოდებინა აბაშო და ელიზბარ აბაშიძეებისათვის“* [**სშსსა,**ფ. 6, ს. 421575: 21]. დაკითხვის ოქმების მიხედვით, მიუხედავად ძებნისა, გოგალე მინდაძე გერმანელ მედესანტეებს ვერ შეხვდა.

როგორც ცნობილია, საქართველოში შექმნილ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გერმანიაში მყოფ ქართველებთან. მათი ძირითადი ნაწილი მსახურობდა გერმანიის ჯარში და კავკასიური წარმოშობის ყოფილი ტყვეებისა და მოხალისე ქართველი ემიგრანტებისგან ქმნიდა სამხედრო შენაერთებს. ამას მოწმობს ქართველი ემიგრანტების –შალვა მაღლაკელიძის და გივი გაბლიანის – მოგონებები. შალვა მაღლაკელიძე დეტალურად აღწერს გერმანიის ჯარში ეროვნული ბატალიონების შექმნისა და სამთო-სადაზვერვო ბატალიონის *„ბერგმანის“* მოქმედების ისტორიას, რომელიც სადივერსიო და საჯაშუშო მიზნებს ისახავდა. *„მისი უფროსი ობერლენდერი იყო, მოადგილე კესტერი და რამდენიმე ასეული ქართველი. ამ ბერგმანის ერთი ასეულის მეთაური იყო მიშა დადიანი, ყოფილი ოფიცერი პოლონეთისა, „თეთრი გიორგის“ წევრი. მეორე ასეულს ხელმძღვანელობდა ჭავჭავაძე, ესეც პოლონეთის ოფიცერი. „ბერგმანის“ რიცხვი იზრდებოდა ან მცირდებოდა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენ კაცს გადასვამდნენ საქართველოში“*[**რცხილაძე,** 1994: 223-224].

სწორედ გერმანიის მიერ საიდუმლოდ გადმოსროლილ სპეცდანიშნულების (პარაშუტისტების) სამხედრო შენაერთებთან დაკავშირება და საქართველოში

მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ევალებოდათ თუშებს. ქ. თელავში მყოფი სოლომონ თევზაძეც ასევე ცდილობდა დაკავშირებოდა გერმანელ პარაშუტისტებს და მათთვის გადაეცა სარეკომენდაციო „დაშიფრული წერილი“ გერმანიის კონსულის, ფრანც ფონ პაპენის და დაპყრობილი აღმოსავლეთ ტერიტორიების სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ალფრედ როზენბერგის სახელზე, სადაც გერმანული ენის მასწავლებელი ბეკმანი სოლომონ თევზაძეს ახასიათებს, როგორც გერმანელებისთვის სანდო პიროვნებას: *„ამის წარმომდგენი არის დიდი მეხსიერებით დაჯილდოებული პიროვნება, გამოსაყენებელია ყველაფერში. ენდეთ“* [**რიკაძე,** 2001: 27].

ორგანიზაციის წევრების რაოდენობა სულ უფრო მეტად იზრდებოდა. ძირითადად, ერთიანდებოდნენ დეზერტირები და არსებული ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო პირები. მალე მათი რიცხვი 50-60 კაცამდე გაიზარდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის პროცესში, როდესაც თუშეთის საზოგადოების ნაწილი ქართველებთან ერთად საბჭოთა ჯარის რიგებში იდგა, ნაწილმა უარი თქვა სამხედრო სამსახურზე დადაუპირისპირდა საბჭოთა იმპერიას. ამ მხრივ საინტერესოა ტასო შავხელიშვილის საყვედურით სავსე წერილი,რომელიც გაუზავნა ფრონტზე მყოფ შვილს: *„გიგო, ადამი, ფანცალა რაზმით ტყეში გავიდნენ და საქართველოს გათავისუფლებისათვის იბრძვიან, შენ კი მანდ ვისი სამშობლო უნდა დაიცვა, ვის ომში უნდა იომო“* [**იუკურიძე,** 1997: 5].უნდა ითქვას, რომ თუშეთში ანტისაბჭოთა განწყობამ თუშეთის საზოგადოება ერთი იდეის გარშემო გააერთიანა.

ზემო და ქვემო ალვანში მოქმედი არალეგალური შეიარაღებული ჯგუფების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია დეტალურად აღწერილია გოგალე მინდაძეს საგამოძიებო დოკუმენტებში. მისი გადმოცემით, ზემო ალვანის ტყეში მოქმედებდა რამდენიმე შეიარაღებული ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელებიც იყვნენ: ბაგრატ თავბერიძე და აბრამ ბობღიაშვილი [**სშსსა,** ფ.6, ს.421927:38-39].

მსგავსი ჯგუფები არსებობდა ახმეტის რაიონში, კერძოდ, პანკისის ხეობის სოფლებში, რომლებშიც ძირითადად ერთიანდებოდნენ დეზერტირები, წითელი არმიიდან გამოქცეულები, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო

საზოგადოება. ჩვენ მიერ დეტალურად შეწავლილია ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრების ჩვენებები, დაკითხვის ოქმები და ურთიერთდაპირისპირების მასალები.

არალეგალური ჯგუფების საქმიანობა. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა თვალყურს ადევნებდა იარაღით, ტყვია-წამლითა და საკვებით იმ ჯგუფის წევრების მომარაგებას, რომლებიც იყვნენ არალეგალურ მდგომარეობაში და ხელმძღვანელების დავალებით მოქმედებდნენ. კრებებზე ხშირად განიხილავდნენ იარაღის მოპოვების სხვადასხვა გზას, მათ შორის, სამხედრო ნაწილებსა და საწყობებზე თავდასხმის ვარიანტებს.

ორგანიზაციის წევრები იარაღით მარაგდებოდნენ თელავიდან. მიხეილ იმედიძის მეგობარი, ფინაგენტი გიორგი ცაცაშვილი, რომელიც დაკავშირებული იყო ქ. თელავში მოქმედ ორგანიზაციასთან, ეხმარებოდა მათ იარაღის შოვნაში, ხშირად მოდიოდა ალვანში და კოტე მანჭარაულის ოჯახში ხვდებოდა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, სადაც განიხილავდნენ ორგანიზაციის იარაღით მომარაგების სხვადასხვა საშუალებას.

ელიზბარ აბაშიძის 1942 წ. 11 დეკემბრის დაკითხვის ოქმის მიიხედვით, 1942 წლის ზაფხულში აბაშო აბაშიძე მოელაპარაკა თავის ძველ ნაცნობს, ყვარლის რ-ნის სოფ. შილდაში მცხოვრებ არჩილ მამუკიშვილს, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა ყვარლის მილიციასთან, ის ყველის სანაცვლოდ შეძლებდა იარაღის შეძენას. *„ივლისში აბაშო აბაშიძე და ბაგრატ თავბერიძე წავიდნენ სოფ. შილდაში და შეხვდნენ არჩილ მამუკიშვილს. იგი არალეგალური ორგანიზაციისათვის დიდი რაოდენობით იარაღის შოვნას დაპირდა, მაგრამ არჩილმა აბაშო აბაშიძეს იარაღი ვერ აშოვნინა, თუმცა იმავე სოფელში მაინც შეძლო 21 რევოლვერისა და 23 შაშხანის ტყვიის შეძენა. დაბრუნებულმა კი იარაღი და ტყვიები ორგანიზაციის წევრებს დაურიგა (9 ფუთ ხორბალში გადაცვალა), ხოლო გოგალე მინდაძემ 32 შაშხანის ტყვია გადასცა ევა ოჟილაურს ორგანიზაციის საჭიროებისათვის“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21111: 9-10].

ორგანიზაციის წევრები იარაღით მარაგდებოდნენ თბილისიდანაც. 1942 წლის სექტემბერში სოფ. ზემო ალვანში ჩამოვიდა იოსებ დავითის ძე ყვითელაშვილი (ბესო). იგი დაუკავშირდა ორგანიზაციის წევრებს: ელიზბარ აბაშიძეს, აბაშო აბაშიძეს, ილია ჭარელიშვილს და ყველის სანაცვლოდ იარაღის შოვნას დაპირდა. ელიზბარ აბაშიძის ჩვენების მიხედვით, 1942 წლის სექტემბერში კოლმეურნეობის

თავმჯდომარე ფილიპე ლონგიშვილმა თავისთან დაპატიჟა ელიზბარ აბაშიძე, დიმიტრი უჯილაური, ილია ჭარელიშვილი, ანდრეი მაჩაბლიშვილი და დიმიტრი ითოშვილი. კრებას ესწრებოდა კოლმეურნეობის წევრი ლეო ბაიხოიძე და თბილისიდან ჩამოსული ვინმე ბესო. მათ ისაუბრეს „ბიჭების“ იარაღით მომარაგების შესახებ. *„რამდენიმე დღეში აბაშო აბაშიძესთან ზემო ალვანის საბჭოს თავჯდომარე იოსებ ყიზილაშვილი თბილისელ ბესოსთან ერთად მივიდა და იარაღის შესაძენად ყველი სთხოვა. ყიზილაშვილმა თქვა, რომ მათ უკვე ჰქონდათ ყველის განსაზღრული რაოდენობა, რომელიც უნდა ჩაეტანათ თბილისში რაღაცის გასაცვლელად ერთი „საქმისათვის“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 36].

ამავე წლის ნოემბერში თბილისში ჩავიდა ზემო ალვანის „შინსახკომის“ სახელობის საწყობის გამგე ილია ჭარელიშვილი და ორგანიზაციის სახელით შეხვდა ბესარიონ ყვითელაშვილს, რათა მისთვის ეყიდა რევოლვერი. როგორც დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა, ყვითელაშვილმა ფარულად შეიძინა პისტოლეტი „TT” და გადასცა ილია ჭარელიშვილს [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 35].

არალეგალური ჯგუფები იარაღით მარაგდებოდნენ სხვა გზებითაც. იარაღის მოპოვების მიზნით წითელარმიელებს ესხმოდნენ თავს: აბრამ ბობღიაშვილის ჩვენების მიხედვით, კრებაზე ადამ ბობღიაშვილი საუბრობდა: *„ჩვენ უნდა ვაწარმოოთ შეიარაღებული დაცემები კახეთში მდგარ წითელი არმიის ჯარებზე და საწყობებზე, არც ერთი წითელარმიელი ცოცხალი არ უნდა გავუშვათ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც გაივლის, გარდა ამისა წ/არმიელის დახოცვით ჩვენ ვასუსტებთ მათ ძალებს, რითაც საშუალებას არ მივცემთ, რომ მათ დაუწყონ დევნა გერმანელ ჯარისკაცებს...“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 113].

1942 წლის ივლისში აბაშო აბაშიძის ბინაზე იმყოფებოდნენ ორგანიზაციის წევრები: ელიზბარ აბაშიძე, დიმიტრი უჯირაული, ივანე მაჩაბლიშვილი. ისინი მსჯელობდნენ ორგანიზაციის წევრებისთვის იარაღის შოვნაზე. მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თავს დასხმოდნენ ხუფრის მთაზე მდგარ НКВД-ს ჯარს, რომლის უმრავლესობაც შეიარაღებული იყო გერმანული იარაღით. ამ იდეაზე ადამ ბობღიაშვილმა თქვა უარი, რადგან გაიგო, რომ ჯარში იმყოფებოდნენ თუშები: *„ბეგუნიშვილი იოსები, მეოტიძე მიხაკო და ყიზილაშვილი ფორე. ყველა ესენი*

ფარულად არიან ჩვენი ორგანიზაციის წევრები, თუ ჩვენ დავესხმებით, მათ დაიჭერენ და ბრალს დასდებენ ღალატში“ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 21].

ამავე თვეს ადამ ბობღიაშვილმა, მიხეილ იმედიძემ, გიორგი ვეშაგურიძემ, ივანე არინდაულმა და ადამ ნაკვეთაურმა მიიღეს შეტყობინება, რომ ხუფრის მთის მისადგომებში უნდა გაევლო შეიარაღებულ რაზმს, რომლის შემადგენლობაშიც იქნებოდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჩხუბიანიშვილი, თელავის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ციხისთავი და სხვები. ისინი კარგად იყვნენ შეიარაღებულნი და მიდიოდნენ ომალოში. ჯგუფის წევრებმა ბურუსი შესაფერის მომენტად მიიჩნიეს და გადაწყვიტეს მათი განიარაღება, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი – დახოცვა, მაგრამ დასახელებულ რაზმს დადევნებულნი უკანვე გამობრუნდნენ, რადგან, როდესაც მიუახლოვდნენ, ნისლი გაიფანტა. ადამ ბობღიაშვილმა და ივანე მაჩაბლიშვილმა დაინახეს, რომ ჩხუბიანიშვილისა და ციხისთავის თანმხლები პირები თუშები აღმოჩნდნენ და მათთვის სროლის ატეხა ვერ გაბედეს [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 22].ციხისთავის წინააღმდეგ, მოგვიანებით კიდევ ორჯერ განხორციელდა ტერორისტული აქტი, მაგრამ წარუმატებლად [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 65-67; **სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 45].

საბჭოთა ჯარში მყოფ თუშებს საიდუმლოდ ურთიერთობა ჰქონდათ არალეგალურ ჯგუფებთან და ატყობინებდნენ წითელი არმიის ადგილსამყოფელს. 1944 წ. 13 ნოემბრის ბაგრატ თავბერიძის დაკითხვის ოქმის მიხედვით, 1942 წლის ნოემბერში მათურის ტყეში შედგა კრება. კრებას ესწრებოდნენ: **გიორგი ვეშაგურიძე, ივანე მაჩაბლიშვილი,იუსუფა ქავთარიშვილი, ილიკო ცისკარიშვილი, ადამ ნაკვეთაური, ივანე არინდაული, ირაკლი გარსევანიშვილი, გიორგი ჩაჩქანიშვილი, გოგალე მინდაძე, აბრამ ბობღიაშვილი, გაბრო კაიშვილი, მატე აბაშიძე, ბაგრატ თავბერიძე.** კრებაზე ილიკო ცისკარიშვილმა ორგანიზაციის წევრებს აცნობა, რომ *„ალექსი ცისკარიშვილს (ლეიტენანტი) გადაწყვეტილი აქვს იარაღი გვაშოვნინოს. იგი თავისი წითელარმიელებით დაბანაკებულია სოფ. ლეჩურში, სადაც სამხედრო ნაწილს აქვს იარაღის საწყობი“.* გადაწყდა, სამი დღის შემდეგ ჯგუფი თავს დასხმოდა წითელარმიელებს, თუმცა თავდასხმა ვერ შედგა. მეხუთე დღეს ორგანიზაციის ჯგუფი, ბაგრატ თავბერიძის ხელმძღვანელობით, სოფ. ფშაველში ერთი პატარა ბიჭის დახმარებით დაუკავშირდა ალექსი ცისკარიშვილს, მან კი თავდამსხმელებს ასეთი

გეგმა გააცნო: *„მყავს მომზადებული ოთხი წითელარმიელი, რომლებიც იქნებიან საჯინიბოში. ჩამოხვალთ იქ ღამის 12 საათზე, სადაც მე ვიქნები. მე პირადად ტყუილად წავივლებ ნაგანზე ხელს, ხოლო წითელარმიელებს წინასწარ ექნებათ ჩემს მიერ ამოცლილი ვაზნები და ცარიელი თოფებით ვერას იზამენ. ამ თავდასხმის დროს გაიტაცებთ იარაღს და მეც დამაპატიმრებთ.“* წითელარმიელებზე თავდასხმაში მონაწილეობდა ორი არალეგალური ჯგუფი. პირველი ჯგუფის წევრები იყვნენ: **ბაგრატ თავბერიძე,ივანე მაჩაბლიშვილი, ადამ ნაკვეთაური, ილია ცისკარიშვილი.** მეორე ჯგუფში შედიოდნენ: **გიორგი ვეშაგურიძე, მათე აბაშიძე, ჩიტო საგიშვილი, გოგალე ჩაჩქანიშვილი, იუსუფა ქავთარიშვილი,ივანე არინდაული, გოგალე მინდაძე.** მონაწილეობაშე უარი თქვეს ირაკლი გარსევანიშვილმა და აბრამ ბობღიაშვილმა. ამ თავდასხმის დროს მოკლეს ორი წითელარმიელი და წამოიღეს იარაღი, სახელდობრ: *„10 ცალი სასროლიანი იარაღის თოფი სამი ვაზნით, რუსული შაშხანა, ავტომატი, ნაგანი და ორი ცალი ხელის ყუმბარა, ხოლო ალექსი ცისკარიშვილი შეუერთდა ანტისაბჭოთა ორგანიზაციას, რომელმაც წამოიღო ნაგანი და რამდენიმე ხელის ყუმბარა“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 221-222]. ამ თავდასხმის შემდეგ ჯგუფის წევრები წავიდნენ პანკისის ხეობაში, ბაწარის ხეობის სამხრეთ აღმოსავლეთით და გაზაფხულამდე „ეშმკის ხევზე“ იმყოფებოდნენ.

1943 წლის ივნისში ბაგრატ თავბერიძემ, დავით ცაძიკიძემ და სიმონ ბაშინურიძემ ორ წითელარმიელს წაართვეს ერთი შაშხანა ათასი ტყვიით და ერთი ავტომატი „PPШ“ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 225]. გიორგი ვეშგურიძის ჩვენებიდან დასტურდება, რომ ბაგრატ თავბერიძემ წითელარმიელები დაპირისპირების დროს დახოცა [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 62].

როგორც ვხედავთ, არალეგალური ჯგუფები დასახული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ, ისინი საბჭოთა არმიის განიარაღებით, ერთი მხრივ, ასუსტებდნენ მათ ბრძოლისუნარიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, იარაღით ამარაგებდნენ მთის და ბარის ანტისაბჭოთა ჯგუფებს. ცხადია, შეიარაღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აჯანყების დასაწყებად.

საგამოძიებო მასალებიდან ცნობილია, რომ 1942-1944 წლებში კახეთის, კერძოდ, ახმეტის რაიონის ტერიტორიაზე, დეზერტირებისაგან შექმნილი ჯგუფები არბევდნენ და ძარცვავდენ საკოლმეურნეო საწყობებს, ცხვრის ფერმებს, წისქვილებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემო ალვანისა და ქვემო ალვანისმოსახლეობამ იცოდა ქურდობის ფაქტების შესახებ და არაფერს აკეთებდა მათი მხილებისთვის, პირიქით, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზებით ეხმარებოდა შეიარაღებულ ჯგუფებს, პერიოდულად უკავშირდებოდა და საჭირო ინფორმაციით, იარაღითა და პროდუქტებით ამარაგებდა კიდეც. კოლექტივიზაციის პროცესით უკმაყოფილი თუშები დარწმუნებული იყვნენ, რომ გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში, საქართველო დაიბრუნებდა დამოუკიდებლობას, დაიშლებოდა კოლმეურნეობები და გაუმჯობესდებოდა მათი მატერიალური ცხოვრების პირობები.

გაქურდვის ფაქტები დეტალურად აღწერილია გიორგი(ფაცო) ვეშაგურიძის, ბაგრატ თავბერიძის, აბრამ ბობღიაშვილის, გიორგი ჩაჩქანიშვილის, ილიკო ბართიშვილისა და სხვა მონაწილეების საგამოძიებო მასალებში. გიორგი ვეშაგურიძის დაკითხვის ოქმის მიხედვით, 1943 წლის მაისში ,,შინსახკომის“ სახელობის კოლმეურნეობის ფერმიდან მოიპარეს ორი ცხვარი, ამავე თვეს ალავერდის ტყესთან მგზავრს ჩამოართვეს სამი უნაგირი, აზიური ჩექმები, ტილოს და ტყავის ჩექმები, ივნისის თვეში გაძარცვეს ქორეთის წისქვილი, საიდანაც გაიტანეს დაახლოებით 4 კოდი ფქვილი და ხორბალი. ნაძარცვი გადამალეს სოფელ ბირკიანის კოლმეურნეობის ბუღალტერ ვასო ბექაურის სახლში, რომელიც დაჰპირდა ხორბლის დაფქვას. სამი კოდი ფქვილი შეინახეს ზუროს გორის და ტბათანის ტყეში. მალევე გაძარცვეს დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის ბინა, საიდანაც გაიტანეს ერთი ფუთი ერბო და შეინახეს აღნიშნულ ადგილას. ბინის ძარცვის შემდეგ ზემო ალვანის კოლმეურნეობის საწყობიდან გაიტანეს 22 თავი ყველი, ეს ნაძარცვიც შეინახეს ვასო ბექაურის ბინაში, სანაცვლოდ ბექაური დაჰპირდა იარაღისა და ტყვიების შოვნას [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 51-53].

1943 წლის ზაფხულში მსუბუქ მთაში მყოფი მწყემსები გაქურდეს და წამოიღეს დაახლოებით 4 კილოგრამი კარაქი. ამის შემდეგ გადავიდნენ ფშავლის მთაში, სადაც ორმხრივი სროლის დროს შემოაკვდათ მწყემსი, ხოლო მისი ბინიდან წამოიღეს ერთი ნაბადი, ერთი შინელი, საჭმელი და წამოვიდნენ ისევ ალვანის ტყეში. სექტემბრის თვეში გაძარცვეს ქისტაურის წისქვილი, საიდანაც წამოიღეს დაახლოებით 15 ფუთამდე ხორბალი და ფქვილი, გაძარცვეს ზემო ალვანში მცხოვრები დიმიტრი (მიტო) ცისკარიშვილის ბინა, საიდანაც წამოიღეს პირადი ტანსაცმელი, საოჯახო

ნივთები, მათ შორის, პატეფონი, ნაძარცვი გაიყვეს. ნაქერალას გორაზე გაძარცვეს მწყემსის ბინა, თავს დაესხნენ სოფ. ზემო ალვანის წისქვილს, საიდანაც წამოიღეს დაახლოებით ტონანახევარი ხორბალი, ნაძარცვი წამოიღეს იმავე სოფელში მცხოვრებ კოტე უშარაულის კამეჩებით. გიორგი ვეშაგურიძის საგამოძიებო ოქმში ვკითხულობთ: *„აბაშიძე აბაშომ გვამცნობა, რომ ხვალისთვის მზად მეყოლება ჩვენი კოლმეურნეობის საწყობის ყარაული და თქვენ უნდა საწყობს დაეცეთ, საიდანაც დიდი რაოდენობით ყველი უნდა გაიტანოთ. აბაშიძე აბაშოს წინადადებას ჩვენ დავეთანხმეთ. მეორე დღეს საწყობი გავტეხეთ. ყარაულებმა წინააღმდეგობა არ გაგვიწიეს და თავისუფლად შეგვიშვეს საწყობში, საიდანაც გამოვიტანეთ დიდი რაოდენობით ყველი. გატაცების შემდეგ ყველი წავიღეთ და გადავმალეთ ტყეში“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 78-81].ამ ფაქტს ადასტურებს ელიზბარ აბაშიძის ჩვენებაც: *„ღამით „ყველმრეწვის საწყობიდან“ გატაცებული იქნა 60 ფუთამდე ყველი, ამასთან დაკავშირებით რამოდენიმე დღის შემდეგ ჩემმა ძმამ აბაშომ თქვა, რომ ამ გატაცებული ყველის ნაწილი იმყოფება ჩვენი კოლმეურნეობის ბრიგადირის – კიმო ყიზილაშვილის სახლში. ჩემთვის ცნობილია, რომ ამ ძარცვამდე ათიოდე დღით ადრე, იმავე საწყობიდან აბრამ ბობღიაშვილმა, თავბერიძემ, არინდაულმა, მაჩაბლიშვილმა, ცისკარიშვილმა გაიტაცეს 20 ფუთი ყველი. ამ საწყობის გამგე არის ჩვენი არალეგალური ორგანიზაციის წევრი – იკალე ქააძე“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 42-43]. ნაძარცვი, ძირითადად, ხმარდებოდა დეზერტირების გამოკვებასა და იარაღის შეძენას.

ამ ფაქტს ადასტურებს 1944 წ. 17 ივნისს საქართველოს შინსახკომის თელავის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილის, მილიციის კაპიტან ალხაზოვის მიერ შედგენილი აქტი: *„ჩვენს მიერ წაყვანილი იქნა სოფ. ზემო ალვანის მცხოვრები გიორგი (ფაცო) ვეშაგურიძე, სახელდობრ ტბათანის მთაზე მის მიერ შენახული ნაძარცვების აღმოსაჩენად. ძებნის შედეგად ჩვენს მიერ ტბათანისა და ქოჩადალის შუაზე ტბათანის ძირში, ჩრდილოეთით უდაბნო კლდის ძირში აღმოჩენილი იქნა ორი ფუთი ერბო, ექვსი ფუთი ფქვილი, სრულიად უვარგისი, სუნდაცემული, ორი ცალი წამოსასხამი სრულიად დამპალი და ორი ცალი თოკი“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 43737: 51].

1943 წლის გაზაფხულზე გიორგი (ფაცო) ვეშაგურიძის ჯგუფს შეუერთდნენ სოფ. მატანში მცხოვრები იოსებ ჭიჭიაშვილი და გიგა ფეიქრიშვილი. რამდენიმე ხნის

შემდეგ, ანუ როდესაც ფშავლის მთიდან მოდიოდნენ ქისტაურის წისქვილის გასაძარცვად, მუცოს ხეობაში გზად გადაეყარნენ წითელარმიელებს. ორმხრივი სროლის დროს ჭიჭიაშვილმა და ფეიქრიშვილმა მოკლეს თიანეთის გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლები:გიგო ბესტავაშვილი და ყაზბეგ გიგოს ძე თამაზაშვილი, შემდეგ მათ წამოიღეს ორი ცალი რუსული თოფი, 100 ცალი საბრძოლო ტყვია [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 53].

მართალია, ზემო და ქვემო ალვანში მოქმედი არალეგალური ჯგუფები სამოქმედო გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ, ორგანიზაციის ხელმძღვანელების ყველა დავალებას დაუყოვნებლივ ასრულებდნენ და საკუთარი ქმედებით ზიანს აყენებდნენ კოლმეურნეობების საწყობებსა და ცხვრის ბინებს. მაგრამ იყო მათი მხრიდან ორგანიზაციის წესების დარღვევისა და და თვითნებურად მოქმედების შემთხვევებიც.

ახმეტის რაიონში მოქმედი არალეგალური ჯგუფების საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ელიზბარ აბაშიძე. ჩვენების მიხედვით, 1942 წლის ოქტომბერში ორგანიზაციის ხელმძღვანელების სამსონ სულაკაურთან შეხვედრის შემდეგ ორგანიზაციაში არსებული ჯგუფების რეორგანიზაცია ანუ ჯგუფების დაშლა უფრო მცირე 4-5 კაციან ჯგუფებად ვერ განხორციელდა მიზეზად ჯგუფის წევრების მოუმზადებლობა დასახელდა. ეს ფაქტი დასტურდება სამსონ სულაკაურის დაკითხვის ოქმშიც, სადაც სამსონ სულაკაურმა ადამ ბობღიაშვილისგან შეიტყო, რომ ალვნის დეზერტირებთან ურთიერთობა შეწყვიტა, რადგან ალვანში დროს ძარცვაში და ლოთობაში ატარებენ, ისინი აპირებენ თუშეთში წასვლას, სადაც მათ თავიანთი ადამიანები ჰყავთ და სურთ შექმნან არალეგალური ორგანიზაცია რგოლური სისტემით [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 457].

როგორც ირკვევა, ორგანიზაციასა და ჯგუფებში დადგენილი წესები მიუღებელი აღმოჩნდა ჯგუფის წევრებისთვის. ცნობილია, რომ ირაკლი გარსევანიშვილის ჯგუფმა, რომელშიც გაწევრიანებული იყო 5-6 კაცი, თავიდანვე უარი თქვა შესულიყო ორგანიზაციაში, ხოლო სხვა ჯგუფის წევრები ასახელებენ მკაცრ წესებს. მაგალითად, გიორგი ვეშაგურიძის ჩვენების მიხედვით, „ჯგუფის არც ერთ წევრს არ ჰქონდა უფლება თავისი ნებით წასულიყო სადმე, ხოლო ვინც გამოავლენდა გულგრილობას და თვითნებობას, ისჯებოდა მკაცრად (მოკვდებოდა

თავისი ამხანაგის ხელით). მსგავს ინფორმაციას ვკითხულობთ გაბო ლაგაზიძის საგამოძიებო დოკუმენტშიც, ჩვენების მიხედვით, ორგანიზაციის წევრები გაფრთხილებულები იყვნენ, ვინც გასცემდა საიდუმლოს, დაისჯებოდა სიკვდილით [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 21]. საყურადღებოა აბრამ ბობღიაშვილიც ჩვენებაც. მისი გადმოცემით, კრებაზე ადამ ბობღიაშვილმა სამკაციანი ჯგუფების შექმნა და წესების დაცვა მოითხოვა, რამაც „ბიჭების“ უკმაყოფილება გამოიწვია [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 115]. ამიტომ ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დროებით გასცლოდნენ ალვანს.

ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში განვითარებულმა ფაქტებმა ცხადყო, რომ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა, რომელებიც დღითიდღე აუარესებდა ხალხის მდგომარეობას, არსებული რეჟიმის წინააღმდეგ განაწყო მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი, რომელიც ძლიერ პოლიტიკურ ძალად იქცა. მათი მიზანი საბჭოთა სისტემის მოშლა-მოსპობა იყო და არა ადგილობრივი ხალხისთვის ზიანის მიყენება. ისინი სხვადასხვა მეთოდებით გამოხატავდნენ პროტესტს საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, განსაკუთრებული სისასტიკით ესხმოდნენ თავს პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლებს.

აღნიშნული არალეგალური ორგანიზაცია ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის მიდამოებში აქტიურად ახორციელებდა თავის დასახულ მიზნებს. შეიარაღებული ჯგუფები საჭიროების შემთხვევაში უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს კომუნისტური პარტიის მეთაურების წინააღმდეგ და იღებდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს თავდასხმების განსახორციელებლად.

ელიზბარ აბაშიძის საგამოძიებო დოკუმენტების მიხედვით, 1942 წლის სექტემბერში მას იკალე ფარეულიძემ შეატყობინა, რომ სოფ. ახმეტაში ადრე მილიციის უფროსად მუშაობდა ზაქარია დეკანოზიშვილი, რომელიც ახლა თბილისიდან ახმეტაში გამოგზავნეს და არალეგალი ბანდიტებთან ბრძოლის ბატალიონს ხელმძღვანელობს. დეკანოზიშვილმა იცის მისი არალეგალური საქმიანობის შესახებ და შეიძლება დააპატიმროს. საწრაფოდ საჭიროა მისი მოშორება. დეკანოზიშვილზე ტერაქტი დაიგეგმა ელიზბარის ძმის, აბაშო აბაშიძის, სახლში,რაც მალევე „ბიჭებმა“ სისრულეში მოიყვანეს [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 33].

1942 წლის სექტემბერში გოგალე მინდაძემ ადამ ბობღიაშვილსა და მიხეილ იმედიძეს შეატყობინა, რომ აქტივისტი, სკკპ წევრი, მაღაზიის გამყიდველი აბესალომ

იმანოვი სოფელში ტრაბახობს, ბობღიაშვილისა და იმედიძის მთელ ბანდას დავაპატიმრებო. ელიზბარ აბაშიძის ჩვენების მიხედვით, გოგალე მინდაძე აბო ცისკარიშვილის სახლში შეხვდა ადამ ბობღიაშვილს, მიხეილ იმედიძეს, გიგო ქააძეს, ილია ცისკარიშვილს და შეატყობინა იმანოვის განზრახვა. კრებაზე გადაწყდა იმანოვზე ტერაქტის მოწყობა, მაგრამ არ იყო ნათქვამი ვინ შეასრულებდა დავალებას. მორიგ შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება იმანოვზე განეხორციელებინათ თავდასხმა და მოეშორებინათ. ეს გადაწყვეტილება იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 16]. საგამოძიებო დოკუმენტები არ ასახელებს იმანოვზე განხორციელებული ტერორისტული აქტის ჯგუფის წევრებს. როგორც დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა, დავალების შესრულება უკისრია გოგალე მინდაძეს, თუმცა აღნიშნულ ფაქტს ეს უკანასკნელი უარყოფდა [**სშსსა, ფ. 6, ს. 421575:** 98]. ის აღიარებდა 1942 წ. 29 ოქტომბერს სოფ. ლალისყურისა და ე.წ. ტახტის ბოგირებს შორის მიმავალ გზაზე ზემო ალვანის აქტივისტის ირაკლი აფთარაულის მკვლელობის ფაქტს: *„აფთარაული მოვკალი, როგორც აქტივისტი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას ყოველმხრივ ეხმარებოდა, ვთვლიდი, რომ დამსმენი იყო“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 100].

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ისინი ერიდებოდნენ თუშების სისხლის ღვრას, უფრთხილდებოდნენ მათ სიცოცხლეს და ყველა ხერხით ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ მშვიდობიანი ხალხის დარბევა-დაპატიმრება. ამიტომაც იყო, რომ წითელარმიელების ძარცვა-რბევას და ტერორისტულ აქტებს ახორციელებდნენ არა სოფლებში, არამედ სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, გზებზე. ამგვარი ქმედებით ორგანიზაციის ხელმძღვანელები „თავის ხალხთან“ ერთად, ერთი მხრივ, ანადგურებდნენ წითელარმიელებს და ასუსტებდნენ მათ ბრძოლისუნარიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, იცავდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებას.

სამანელების კავშირი საერთო კავკასიურ ანტისაბჭოთა ორგანიზაციასთან. 1942 წლისგაზაფხულზეთუშეთში ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შექმნის იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ჩეჩნეთში მოქმედებდა არალეგალური ორგანიზაცია, რომელსაც კავშირი ჰქონდა კავკასიონის მთებთან მოახლოებულ გერმანელებთან.ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩეჩნეთ-ინგუშეთის

ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებდა ჰასან ისრაილოვის ანტისაბჭოთა ორგანიზაცია *„კავკასიელი ძმების განსაკუთრებული პარტია,“* რომლის მიზანიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან ჩრდილოეთ კავკასიის გამოყოფა და დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. ჰასან ისრაილოვს კავშირი ჰქონდა კავკასიის ფრონტზე გერმანიის სამხედრო დაზვერვასთან. მისი ხელშეწყობით გერმანელებმა ჩეჩნეთში შემოიყვანეს სამხედრო დესანტი, რომელმაც ტყეებში დაამონტაჟა რადიომიმღები. გარდა ამისა, ჩეჩნებს გერმანელებისაგან ჰქონდათ დავალება, ეწარმოებინათ აგიტაცია და ჩაეშალათ სამხედრო ჯარის მობილიზაცია, რამაც გაზარდა დეზერტირების რიცხვი.

საარქივო დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ ამ ანტისაბჭოთა ორგანიზაციასთან თუშებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ. საარქივო მასალების მიხედვით, 1942 წელს *„სამანის“* ხელმძღვანელების დავალებით ბაგრატ თავბერიძე დაუკავშირდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაძე მოქმედ ანტისაბჭოთა ორგანიზაცია *„კავკასიელი ძმების განსაკუთრებული პარტიის“* წევრებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ბაგრატ თავბერიძის ჩვენების რამდენიმე ვარიანტი. 1944 წ. 13 ნოემბრის დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ 1942 წლის აპრილში თელავის შინასკომის თავჯდომარე ჯაფარიძისგან მან მიიღო დავალება, შემოერიგებინა თუში დეზერტირები, რომლებიც თავს არიდებდნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს და იმალებოდნენ თუშეთში. იმავე წლის მაისში ბაგრატ თავბერიძისთვის ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ იგი დეზერტირად გამოაცხადა და დაპატიმრების მიზნით ძებნას ექვემდებარებოდა. ამავე ჩვენების მიხედვით, დეზერტირად გამოცხადების შემდეგ, ბაგრატ თავბერიძემ ცხვრის ფერმიდან წამოიყვანა კუთვნილი შვიდი ცხვარი და გადავიდა ინგუშეთის საბჭოთა რესპუბლიკის ითომხალის (ითუმ-ყალეს) რაიონში, სადაც გაყიდა ორი სული ცხვარი, ხოლო დანარჩენი დატოვა იქვე მცხოვრებ მეცხვარე მიცასთან. თუშეთისკენ მიმავალ გზაზე, ხილდიხაროს რაიონში, სახელდობრ, სოფელ ლობში, იგი შეხვდა იდრის მაგომედოვს, რომელსაც თან ახლდა 10-12 შეიარაღებული დეზერტირი. გაცნობის შემდეგ იდრისმა ბაგრატს მასთან დარჩენა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა შესთავაზა. *„თუშეთში დაბრუნებამდე მაჩუქა*

ერთი გერმანული სისტემის თოფი 25 ცალი საბრძოლო ვაზნით, როდესაც მოვედი ქაჩუს მთის მახლობლად, იქ დამხვდა ქილაევი ჯაბრალი და მითხრა: დღეს იდრის მაგომედოვმა დახოცა შინსახკომის წარმომადგენლები და ეს თოფი, რომელიც მოგცა, არის მათი“ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 112]. დოკუმენტის შესწავლამ აჩვენა, რომ ინგუშეთის საბჭოთა რესპუბლიკაში გადასვლამდე ბაგრატ თავბერიძისთვის ცნობილი იყო იდრის მაგომედოვის ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ და მასთან შეხვედრა ჰქონდა გამიზნული.

სოფელ ლობში ბაგრატ თავბერიძის იდრის მაგომედოვთან შეხვედრის შესახებ ცნობა დაცულია 1945 წ. 17 აპრილის დაკითხვის ოქმში, სადაც თავბერიძე დეტალურად აღწერს ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებთან შეხვედრას. ჩვენების მიხედვით, 1942 წლის მაისში იგი წავიდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის სოფელ მუგემედკაში მცხოვრებ მიცა ილდიმოვთან, რომელთანაც იმყოფებოდა სამი კვირის განმავლობაში. ამ პერიოდში ჩეჩენ დეგოგოს (გვარი და მამის სახელი არ იცის) დახმარებით დაუკავშირდა იდრის მაგომედოვის ჯგუფს. იდრისმა კრება მოიწვია სოფელ ლობში, რომელსაც დაესწრო 14 კაცი, მათ შორის იყო ჩეჩენი იბი, რომელსაც 1940 წელს რვა თუში ჰყავდა მოკლული. კრება მიმდინარეობდა სამი საათის განმავლობაში. *„მაგომედოვი მესაუბრებოდა (ქართულად კარგად მეტყველებდა) საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ: იყო თუ არა ბევრი დეზერტირი, როგორი მდგომარეობაა, რა სიახლეებია ამჟამად. წამოსვლისას მაგომედოვმა მაჩუქა გერმანული ვინტოვკა 25 ტყვიით“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 232]. მოყვანილი მასალებით დასტურდება, რომ ბაგრატ თავბერიძე „სამანის“ ხელმძღვანელების დავალებით ჩეჩნეთში დაუკავშირდა იდრის მაგომედოვის ანტისაბჭოთა ორგანიზაციას, სადაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის კავშირი შედგა.

ჩეჩნეთში იდრის მაგომედოვთან დაკავშირებას დეტალურად აღწერს იორამ ქააძე. იორამ ქააძის 1943 წ. 17 აპრილის დაკითხვის ოქმით დასტურდება, რომ 1942 წ. მაისში გიგო ქააძე და ბაგრატ თავბერიძე, რომლებიც თავს არიდებდნენ ჯარში გაწვევას, წავიდნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ითომკალის (ითუმ-ყალეს) რაიონში მცხოვრებ თავიანთ ძველ ნაცნობ იდრის მაგომედოვთან (1930 წლიდან მაგომედოვი ვაჭრობას ეწეოდა და თუშეთის ყველა მცხოვრები იცნობდა. მას განსაკუთრებით

კარგი ურთიერთობა ჰქონდა გიგო ქააძესთან, ოზო სულაკაურთან და სამსონ ინაურიძესთან). 5-6 დღის შემდეგ ჩეჩნეთიდან დაბრუნებულმა გიგო ქააძემ იორამ ქააძეს გაანდო, რომ ბაგრატ თავბერიძე იდრისის ორგანიზაციაში დარჩა და რომ, ისიც მალე აპირებდა უკან დაბრუნებას. შეთავაზების შემდეგ, ივნისის თვეში, იორამ ქააძე, რომელიც ასევე თავს არიდებდა სამხედრო ვალდებულებას, გიგო ქააძესთან ერთად წავიდა ჩეჩნეთში და შეუერთდა იდრის მაგომედოვის არალეგალურ ორგანიზაციას, რომელიც იმყოფებოდა ხილდიხაროს ტყეში, სადაც იდრისი 15 ჩეჩენთან ერთად თავს აფარებდა. იქვე იმყოფებოდა ბაგრატ თავბერიძე და კიდევ ერთი ხევსური(ვინაობა უცნობია) [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 289-290].

ბაგრატ თავბერიძის და იორამ ქააძის საგამოძიებო მასალის შესწავლისა და ანალიზის შედეგად შეიძლება დავადასტუროთ, რომ 1942 წლის მაისში გიგო ქააძე და ბაგრტ თავბერიძე ერთად წავიდნენ ჩეჩნეთში იდრის მაგომედოვთან, რათა დააკავშირებოდნენ იმ პერიოდში ჩეჩნეთსა და დაღესტანში შექმნილ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებს.

იორამ ქააძის ჩვენების მიხედვით, 1942 წლის ივნისში იდრისის ჯგუფი დაუპირისპირდა შინსახკომის თანამშრომლებს. ამ შეტაკების დროს მათ შემოაკვდათ შინსახკომის ორი თანამშრომელი; ბაგრატ თავბერიძემ მოკლა მილიციის უფროსი, ხოლო იორამ ქააძემ და გიგო ქააძემ – დაღესტნის შინსახკომის ერთი თანამშრომელი. *„როდესაც ჩვენ მოვკალით* НКВД-ს *ორი თანამშრომელი, დანარჩენი 6 კაცი ჩაგვბარდა, ერთ-ერთმა მილიციის თანამშრომელმა იარაღები მოაგროვა და გადასცა იდრის მაგომედოვს. იდრისმა ეს თანამშრომელი გვერდზე გაიხმო და ცოტახანს ესაუბრებოდა, ამ დროს ნისლი ჩამოწვა, მილიციელებმა ამით ისარგებლეს და გაიქცნენ. ჩვენ სროლა ავუტეხეთ, მაგრამ დიდი ნისლის გამო ვერც ერთი ვერ მოვკალით“.* ამავე დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ *„იდრისმა ერთ მკვდარ მილიციელს ჯიბიდან ამოაცალა დოკუმენტები და გახადა ტანსაცმელი, ხოლო მეორეს ჩამოართვა იარაღი. ჩამორთმეული იარაღებიდან გამორჩეული, გერმანული სისტემის ვინტოვკა გადაეცა ბაგრატ თავბერიძეს. წამოსვლისას იდრისმა თავბერიძეს ერთი ხელის ყუმბარაც აჩუქა“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927:290-291].

იორამ ქააძის 1943 წ. 20 აპრილის დაკითხვის ოქმიდან დასტურდება ის ფაქტიც, რომ იდრის მაგომედოვმა იორამ ქააძეს, გიგო ქააძეს და ბაგრატ თავბერიძეს დაავალა

თუშეთიდან ჩეჩენეთის არალეგალურ ორგანიზაციაში ათი შეიარაღებული თუშის მიყვანა, ასევე გერმანული სისტემის იარაღისთვის ტყვიების მიტანა [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 291-292]. როგორც ჩანს, იდრის მაგომედოვი თუშებს მის ჯგუფთან შეერთებას და საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ერთობლივ სამხედრო მოქმედებას სთავაზობდა.

ამავე დოკუმენტიდან ცნობილია, რომ ზემოთ დასახელებული პირების გარდა სხვა თუში მაგომედოვის ჯგუფში არ ყოფილა. იორამ ქააძის ჩვენების მიხედვით, მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, 1942 წლის ზაფხულში გიგო ქააძე და ბაგრატ თავბერიძე გერმანელებს ვერ დაუკავშირდნენ. საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება, ჩეჩნეთიდან დაბრუნების შემდეგ ბაგრატ თავბერიძემ გიგო ქააძისგან მიიღო დავალება დაეხოცა იმ პერიოდში თუშეთში მყოფი საბჭოთა НКВД-ს წარმომადგენლები – ვანო მოლაძე და მიხეილ პაპოევა. *„სოფელ დანოში ჩემთან მოვიდა ლავრენტი მელაძე და გადმომცა გიგო ქააძის დავალება, მომეკლა ვანო მოლაძე და მიხეილ პაპოევა“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 218]. ეს დავალება მალევე შესრულდა, თუმცა ბაგრატ თავბერიძემ დაკითხვისას მათი დახოცვის ბრალდება უარყო. მოყვანილი ფაქტები ცხადყოფს, რომ ბაგრატ თავბერიძე ზემო ალვანში მოქმედი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი და საიდუმლო დავალების შემსრულებელი იყო.

საყურადღებოა ელიზბარ აბაშიძის ჩვენება, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედ ანტისაბჭოთა ორგანიზაციასთან *„კავკასიელი ძმების განსაკუთრებული პარტია“ (ОПКБ)* ბაგრატ თავბერიძის კავშირის შესახებ. ჩვენების მიხედვით, 1942 წელს ბაგრატ თავბერიძეს კავშირი ჰქონდა ჩეჩნეთ-იგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ ანტისაბჭოთა ორგანიზაციასთან *„კავკასიელი ძმების განსაკუთრებული პარტია“(ОПКБ).* 1942 წ. 17 ივლისს თელავის რაიონის სოფელ ომალოში ერთმანეთს შეხვდნენ ჰასან ისრაილოვი, იდრის მაგომედოვი და ხამზაევი. ამ კრებას, რომლის მუშაობაში 14 კაცმა მიიღო მონაწილეობა, ბაგრატ თავბერიძეც ესწრებოდა. კრებაზე განიხილეს 1942 წლის აგვისტოს აჯანყების მომზადების საკითხი [**თეთვაძე,** 2021: 152]. 1945 წ. 11 აპრილის დაკითხვის ოქმის მიხედვით, მოწმეთა ჩვენება იმის თაობაზე, რომ ბაგრატ თავბერიძე იყო *„ОПКБ“*წარმომადგენელი თუშეთში და რომ ის ამ პარტიის მიერ იყო წარდგენილი გერმანიის მთავრობის ჯილდოზე, ბაგრატ თავბერიძემ არ

დაადასტურა. თუმცა არ უარყო კითხვაზე ჰასან ტერლოევისა და ჰასან ისრაელოვის იდენტობა. გამომძიებელს მან განუცხადა, რომ ამ პიროვნებას იგი იცნობდა ჰასანის სახელით [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 241]. ცნობილია, რომჰასან ისრაელოვი ატარებდა ფსევდონიმს „ტერლოევი“ [**ჩეჩნები მეორე მსოფლიო ომის დროს**]. მოყვანილი ფაქტები ადასტურებს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხების ერთობლივ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

1942 წლის ივნისში იორამ და გიგო ქააძები კვლავ წავიდნენ ჩეჩნეთში. სოფ. ზემო ალვანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, გიორგი მამულაშვილმა მათ გასაყიდად გაატანა მოპარული 25 ცალი ცხვარი. მათ ცხვარი მიუყვანეს ითომკალის(ითუმ-ყალე) რაიონის სოფელ ქერიბოს მცხოვრებ ძველ ნაცნობ ჯაბრაილ ქილაევს, რომელსაც სანაცვლოდ მათთვის ორი ცხენი უნდა მიეცა. ქააძეებს ცხენები არ წამოუყვანიათ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 295], რადგან მათი მიზანი არა ცხვრების გაყიდვა, და ცხენების წამოყვანა, არამედ ფრონტზე არსებული ვითარების და ჩეჩნეთში მოქმედი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელის, იდრის მაგომედოვის დახმარებით გერმანელებთან დაკავშირება და მათთვის ინფორმაციის მიწოდება იყო საქართველოში, სახელდობრ თუშეთში მოქმედი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის არსებობის, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად მზადყოფნის შესახებ. ვფიქრობთ, ეს დავალება თუშებს ცენტრიდან ჰქონდათ მიღებული, რადგან შსს-ის არქივში დაცული დოკუმენტებით დასტურდება, რომ საქართველოში შექმნილი არალეგალური ორგანიზაციები ცდილობდნენ გერმანიის მთავრობასთან დაკავშირებას.

ცნობილია, რომ ადამ ბობღიაშვილი და მიხეილ იმედიძე 1942 წლის ზაფხულში აპირებდნენ ჩეჩნეთში გადასვლას, რაც დასტურდება ელიზბარ აბაშიძის დაკითხვის ოქმით. ჩვენების მიხედვით, ადამ ბობღიაშვილმა, მიხეილ იმედიძემ და გიორგი ვეშაგურიძემ ზაფხული თუშეთში გაატარეს, შემდეგ კი კვლავ დაბრუნდნენ ზემო ალვანში და არალეგალური მუშაობა გააგრძელეს [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 23]. ასევე საყურადღებოა 1942 წლის 18 ოქტომბრის ალექსანდრე (შურა) ჭელიძის დაკითხვის ოქმი, სადაც ვკითხულობთ: *„1942 წლის 25 ივლისს ჩემთან მოვიდა ადამ ბობღიაშვილის ნათესავი ილო, რომელიც არის დაახლოებით 25 წლის და სწავლობს სასოფლო ან ზოოვეტ ინტიტუტში. მან მითხრა, რომ ადამ ბობღიაშვილი და მიხეილ*

იმედიძე წავიდნენ თუშეთში და მთებში იმალებიან. ბობღიშვილის დედამ იცის მათი ადგილსამყოფელი, თუმცა სოფელში ჭორს ავრცელებს, რომ ისინი იმყოფებიან სვანეთში. მე უარი ვთქვი მათთან წასვლაზე“ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 17].

ასევე საყურადღებოა დიმიტრი ბაკურიძის საგამოძიებო მასალა. ჩვენების მიხედვით, 1942 წლის აგვისტოში სოფ. დართლოში ორგანიზაციის წევრის პანტო ერისტოს ძე იდოიძის სახლში შედგა საიდუმლო შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ არალეგალური ორგანიზაციის წევრები: ბაგრატ თავბერიძე, სოფ. დართლოს კოლმეურნეობის მდივანი ბესო პეტრეს ძეელანიძე, მისი ძმა პანტო პეტრეს ძე ელანიძე, მწყემსები: თადო ალექსის ძე თილიძე, როსებ ეგნატეს ძე ოსიძე, რეზო პეტრეს ძე ჩაკოიძე, პანტო ერასტის ძე იდოიძე [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 248].

კრებაზე ბაგრატ თავბერიძემ თუშებს გააცნო, რომდავალება ჰქონდა ზემო ალვანიდან მიღებული იდრის მაგომედოვისათვის შეეხვედრებინა თბილისიდან ჩამოსული ორი პიროვნება, ადამ ბობღიაშვილი და მიხეილ იმედიძე და ასევე გიგო ქააძე. მაგომედოვი მათ დაეხმარებოდა ქალაქ გროზნოში ჩასვლაში, სადაც ისინი შეძლებდნენგერმანელ პარაშუტისტებთანდაკავშირებას. შეხვედრაზე უნდა გარკვეულიყო თუშების ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობის საკითხები, რადგან იდრისი გერმანელებთან კავშირის სანაცვლოდ თუშებს მათ ჯგუფთან შეერთებას და საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ერთობლივად სამხედრო მოქმედებას სთავაზობდა.

სოფელ დართლოში მოწვეული კრების გადაწყვეტილებით, რამდენიმე დღეში ბაგრატ თავბერიძე და დიმიტრი ბაკურიძე გაემგზავრებოდნენ ჩეჩნეთში იდრისთან მოსალაპარაკებლად, ხოლო პანტო იდოიძე და პეტრე ელანიძე კახეთში ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან ამბის შესატყობინებლად [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 249]. საარქივო დოკუმენტების ანალიზის შედეგად, როგორც ჩანს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1942 წლის ზაფხულში ადამ ბობღიაშვილს და მიხეილ იმედიძეს კი ჰქონდათ ჩეჩნეთში გადასვლის მცდელობა, მაგრამ ვერ შეძლეს.

საგამოძებო მასალების მიხედვით, 1942 წლის ზაფხულში თუშეთში იკალე ქააძის ხელმძღვანელობით დაიწყო ანტისაბჭოთა ათკაციანი ჯგუფების შექმნა. *„გიგო ქააძის დავალებით ყველა საქმეში მან შეკრა და შეაჯგუფა თუშეთის საზოგადოება“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 249; **სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 233]. თუშეთში ანტისაბჭოთა

მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ ბაგრატ თავბერიძე და ლუარსაბ მელაიძე.

1942 წლის ზაფხულში თუშეთში, სოფელ კვავლოში, დიმიტრი ბაკურიძე და ბაგრატ თავბერიძე ერთმანეთს შეხვდნენ და ჩეჩნეთში გამგზავრება დაგეგმეს იდრის მაგომედოვთან შესახვედრად, რაც განახორციელეს კიდეც იმავე წლის აგვისტოში [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 233]. იდრის მაგომედოვთან ყოფნის დროს მათ მონაწილეობა მიიღეს წითელარმიელებთან ბრძოლაში [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 234]. ბაგრატ თავბერიძის ჩვენებით, მაგომედოვთან ყოფნის დროს, 1942 წლის სექტემბერში, იგი მონაწილეობდა წითელარმიელთა ნაწილებზე შეიარაღებულ თავდასხმაში სოფ. ტებლოს მიდამოებში. ამ თავდასხმისას ჯგუფის წევრებმა ხელთ იგდეს 14 შაშხანა, 2 ტყვიამფრქვევი, 3 ნაგანი [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 163].აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს დიმიტრი ბაკურიძეც [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 235].ამავე წყაროს ცნობით, მეორე დღეს იდრისის რაზმი შეებრძოლა საბჭოთა არმიის ნაწილებს სოფელ მაისტთან. ამ შეტაკების შემდეგ იდრისი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამიტომ მან რაზმი 2-3 კაციან ჯგუფებად დაშალა და სხვადასხვა სოფლში გაგზავნა, ხოლო თავისთან დაიტოვა ექვსი კაცი, რომელთა შორის იმყოფებოდა დიმიტრი ბაკურიძეც [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 236]. ცხადია, ბაგრატ თავბერიძისა და დიმიტრი ბაკურიძის მიზანი გერმანელებთან კავშირის დამყარება და კავკასიაში არსებულ ანტისაბჭოთა ძალებთან ურთიერთობის შენარჩუნება იყო. სწორედ მისგან გაიგეს სამანის წევრებმა ჩეჩნეში *НКВД*-ს მიერ განხორციელებული რეპრესიების შესახებ, იდრისის ჯგუფი დაიშალა; სოფლები, ქალაქები *НКВД*-ს ჯარმა გადაწვა, დანგრია, დააპატიმრა ყველა, მათ შორის ქალებიც.

საბჭოთა სამხედრო ქვედანაყოფთან დაპირისპირების შემდეგ იდრის მაგომედოვმა ბაგრატ თავბერიძე თავის ხალხთან ერთად, რომლებიც მთარგმნელის ფუნქციებს ასრულებდნენ, სოფელ ტერლოს ახლოს მდებარე ტყესთან დაბანაკებულ გერმანელ პარაშუტისტებთან გაგზავნა.ამ ფაქტს ადასტურებს ბაგრატ თავბერიძეც, რომელმაც გერმანელებისაგან შეიტყო მათი საბჭოთა არმიის ნაწილებთან შეტაკების შესახებ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 232]. ამავე ჩვენების მიხედვით: *„ისინი* (ჩეჩნები – **თ.ლ.**) *მითითებებს გერმანელებისაგან იმ ქისტების მეშვეობით იღებენ, რომლებიც გერმანიის ჯარში მსახურობდნენ, ახლა კი იდრისთან არიან“.* საყურადღებოა, საარქივო დოკუმენტებში დაცული ცნობა, სადაც აღნიშნულია: *„იდრის მაგომედოვის*

ჯგუფში იმყოფება ორი ათეული გერმანელი დესანტი, რომელთაც აქვთ სამოქმედო სქემა-რუკა და, რომელზეც აღნიშნული იყო თუშეთი“ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 43737: 5].

ამრიგად, 1942 წლის სექტქემბერში ჩეჩნეთში ბაგრატ თავბერიძესა და გერმანელებს შორის კავშირი შედგა. შეთანხმების თანახმად, ჩეჩნეთში *„სამანის“* ხელმძღვანელებს გერმანელები შეხვდებოდნენ. ამასთანავე, თავბერიძეს შესთავაზეს, რომ მათთან კავშირი არ გაეწყვიტათ. გერმანელებთან წარმოებული მოლაპარაკების შემდეგ ბაგრატ თავბერიძისა და დიმიტრი ბაკურიძის სოფელ თებლოში შეხვედრისას გადაწყდა, რომ ბაგრატ თავბერიძე დაბრუნდებოდა თუშეთში, ხოლო დიმიტრი ბაკურიძე დარჩებოდა იდრის მაგომედოვის რაზმში *„სამანის“* ხელმძღვანელების ჩეჩნეთში ჩასვლამდე გერმანელებთან კავშირის შენარჩუნების მიზნით [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 266-267].

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება, რაც კარგად ჩანს დიმიტრი ბაკურიძის და სამსონ სულაკაურის დაკითხვის ოქმებში. ჩვენების მიხედვით, დიმიტრი ბაკურიძე დაკავშირებული იყო თავის ბიძა სამსონ სულაკაურთან. 1942 წლის სექტემბერში ჩეჩნეთიდან დაბრუნებული დიმიტრი ბაკურიძე თბილისში შეხვდა სულაკაურს და გადასცა ჩეჩნეთში მომხდარი ამბები: *„იდრისმა სიტყვა მომცა, როგორც კი ჩამოვლენ ბობღიაშვილი, იმედიძე და ქააძე გიგო, მაშინვე გერმანელებს დავაკავშირებო“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 121].

ცნობილია, რომ სამსონ სულაკაურსა და იდრის მაგომედოვს დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდათ. სამსონ სულაკაურის დაკითხვის ოქმის მიხედვით *„იდრის მაგომედოვს ვიცნობდი 1932 ან 1933 წლიდან. პირველად ჩემმა ძმამ ოზომ, რომელიც აწ გარდაცვლილია, ჩამოიყვანა იგი თბილისში. მაშინ ჭიჭიძე ლეონტის დახმარებით (ჩიჩიძე) მე იდრისი მოვაწყვე გუშაგად, მადატოვსკის კუნძულზე, რაღაც საწყობების ტერიტორიაზე. იქ მან რამდენიმე თვე იმუშავა, იდრისი შემდეგ დაბრუნდა თავის სამშობლოში. ამის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს ვწერდით წერილებს 1936 წლამდე. მე მას გავუგზავნე სულ 2 წერილი, მეტი აღარ დამიწერია. უფრო მეტად ის მწერდა. მისი თბილისიდან წასვლის შემდეგ, მე მას მხოლოდ ერთხელ შევხვდი მთათუშეთში 1934 წელს. იდრისი რამდენიმეჯერ მკითხულობდა თბილისში ჩამოსული თუშების მეშვეობით, ისინი გადმომცემდნენ, რომ თუ მე მესაჭიროებოდა რაიმე დახმარება იგი მზად იყო დამხმარებოდა. ორჯელ მისი მოკითხვა გადმომცა ჩემმა მეორე ძმამ,*

მელიტონმა, ეს იყო უკანასკნელად გასულ წელს და იდრისი ისევ იმეორებდა, რომ მზად იყო დამხმარებოდა, თუ საჭირო იქნებოდა“ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 447]. ამ ფაქტით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სულაკაურმა თბილისიდან თავისი კაცი გაგზავნა მოსალაპარაკებლად ძველ ნაცნობ იდრის მაგომედოვთან.

საარქივო მასალების მიხედვით, ჩეჩნეთიდან დაბრუნებული ბაგრატ თავბერიძე 1942 წლის სექტემბერში, თავს აფარებდა ჯერ სოფელ ლალისყურში მცხოვრებ ავეტო მოლაძეს, ხოლო შემდეგ ალვანის ტყეს. მან ფორე ლეკაიძის დახმარებით შეძლო ზემო ალვანის*„სამანის“* ჯგუფთან დაკავშირება. ელიზბარ აბაშიძის 1942 წ. 11 დეკემბრის ჩვენებაში წერია: *„იკალე ქააძემ მამცნო, რომ ფორე ლეკაიძე, იმყოფება ბაგრატ თავბერიძესთან, და იგი მე თავისთან მიხმობდა.ფორე ლეკაიძე არის თავბერიძის ნათესავი და მათი საუბრიდან ჩანდა, რომ ლეკაიძე ხშირად ხვდებოდა თავბერიძეს და მას მალავდა“*[**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 30].

იდრის მაგომედოვის შეიარაღებული რაზმის მცირე ჯგუფებად დაშლის შემდეგ 1942 წლის სექტემბერში ჩეჩნეთიდან დაბრუნებული დიმიტრი ბაკურიძე შეხვდა გიგო ქააძეს, ადამ ბობღიაშვილს, მიხეილ იმედიძეს, არჩილ კიტოშვილს, ბაგრატ თავბერიძეს და ორგანიზაციის სხვა წევრებს. შეხვედრაზე განიხილეს ჩეჩნეთში არსებული ვითარება და მიიღეს გადაწყვეტილება ორგანიზაციის რამდენიმე წევრის თუშეთში გამგზავრების თაობაზე ჩეჩნეთში გადასასვლელად გერმანელებთან შეხვედრის მიზნით [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 132, 136]. იმავე თვეში ორგანიზაციის წევრები: ადამ ბობღიაშვილი, მიხეილ იმედიძე, იორამ ქააძე, ზემო ალვანში, გიგო ქააძის სახლში, შეხვდნენ თბილისიდან ჩამოსულ სამსონ სულაკაურს. კრებაზე სამსონ სულაკაურმა, რომელიც საუბრობდა „ცენტრის“ სახელით, გააცნო თბილისში მოქმედი არალეგალური ორგანიზაციის მუშაობის გეგმები. მისი გადმოცემით, *„1941 წლის სექტემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ გახსნა და გაანადგურა ორგანიზაციის მხოლოდ რამდენიმე ჯგუფი, მათ შორის მიხეილ ზანდუკელის. როგორც ორგანიზაცია, არ განადგურებულა, იგი კვლავ აგრძელებს მუშაობას“.* თბილისის „ცენტრის“ მიზანი გერმანელებთან დაკავშირება იყო [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 424].

ჩეჩნეთში იდრისთან ორგანიზაციის წარმომადგენლების დაკავშირების ფაქტი დასტურდება სამსონ სულაკაურის საგამოძიებო მასალებითაც. ჩვენების მიხედვით, *„გიგო ქააძემ თქვა, რომ დაუკავშირდება იდრის მაგომედოვის ბანდას ჩვენთან მყოფ*

იორამ მოსეს ძე ქააძის დახმარებით. ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორ შეძლებდა ეს ქააძე იდრის მაგომედოვთან დაკავშირებას, გიგო ქააძემ მრავალმნიშვნელოვნად მიპასუხა, რომ ეს ეჭვგარეშეა, რადგან იორამ ქააძე ზაფხულში იყო იდრისთან და მისივე თქმით, იდრის მაგომედოვის ბანდასთან დაკავშირებას შეძლებდა. გიგო ქააძემ კრებაზე აღნიშნა, რომ იგი ლეგალურად იცხოვრებს სოფ. ომალოში, რადგან უკვე აქვს ვეტექიმის საჭირო დოკუმენტები, და მას შემდეგ, რაც იგი გააერთიანებს „თავის ხალხს“, ეცდება გაიჩინოს საჭირო კავშირები, ასევე მთათუშეთში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილთან, სადაც რადისტი ქართველია, და მისი მეშვეობით იგი „ყველაფერს“ მოაგვარებს“ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 446].

ამავე დოკუმენტის მიხედვით, გიგო ქააძემ სამსონ სულაკაურს აცნობა, რომ *„იდრის მაგომედოვთან ბანდაში არის ერთი ემიგრანტი – ქისტი, რომელიც გერმანელთა არმიის წარმომადგენელია. იმის შემდეგ, რაც ისინი მთათუშეთში შექმნიან არალეგალურ ორგანიზაციას, გაიჩენენ თავის ხალხს ასევე საჯარო ნაწილებშიც, და მას შემდეგ რაც ისინი იდრისთან გაერთიანდებიან, ისინი თავს დაესხმებიან წითელარმიელებს და ხელში ჩაიგდებენ მათ მთელ იარაღს, ხოლო თუ წინააღმდეგობას გაუწევენ, ისინი ყველა წითელარმიელს დახოცავენ“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 422]. *„სამანის“* ხელმძღვანელების მთავარი ამოცანა ჩეჩნეთის ანგისაბჭოთა ორგანიზაციასთან გაერთიანება და საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა იყო.

1942 წლის ოქტომბერში გიგო ქააძის სახლში ორგანიზაციის წევრები რამდენჯერმე შეხვდნენ სამსონ სულაკაურს და თუშეთში ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შექმნის შესახებ ისაუბრეს. სულაკაურმა მათ გადასცა პარიტეტული კომიტეტის დავალება, რომ დაეტოვებინათ ზემო ალვანი და გადასულიყვნენ თუშეთში, რასაც ისინი დაეთანხმნენ. მათ ევალებოდათ ფართო გადასაბირებელი მუშაობის განხორციელება და მოსახლეობის მომზადება გერმანიის ჯარის შემოჭრის შემთხვევაში. გარდა ამისა, ისინი უნდა დაკავშირებოდნენ ჩეჩნეთში მოქმედ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრს იდრის მაგომედოვს, რომელიც გერმანიის შეიარაღებულ ძალებთან თანამშრომლობდა. სამსონ სულაკაურმა კრების წევრებს გააცნო არალეგალური ორგანიზაციის „რგოლური“ სისტემით მუშაობის პრინციპები, რომელიც იმუშავებდა 4-5 კაციანი მცირე ჯგუფებით და ერთმანეთს

დაუკავშირდებოდნენ მხოლოდ ჯგუფის ერთი წევრის საშუალებით. ამგვარად, *„ერთი რგოლი არ იცნობს მეორე რგოლს, იცნობს მხოლოდ მოკავშირეს“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 426]. მან კრებაზე მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობის, ფრონტზე მიმდინარე მოვლენების შესახებ. მეტი სიფრთხილისათვის სულაკაურმა თავად იტვირთა, კავშირი დაემყარებინა თბილისისა და თელავის ორგანიზაციებთან, რეგულარულად მიეწოდებინა ინფორმაციები ფრონტზე მიმდინარე და საერთაშორისო მოვლენების შესახებ, ასევე ალექსანდრე ჭელიძეს გადასცემდა ბობღიაშვილის დავალებას.

1942 წ. 26 დეკემბრის საგამოძიებო მასალაში სამსონ სულაკაური საუბრობს თბილისში იმ გერმანული სააგიტაციო ფურცლების გავრცელების შესახებ, რომელიც ზემო ალვნიდან თბილისში მიიტანა მისმა ცოლმა. იგი იმჟამად მუშაობდა საავადმყოფოში ექიმად. ჩვენების მიხედვით, *„გერმანელთა სააგიტაციო ფურცლები, რომელიც ჩამოიტანა ალვანიდან ჩემმა ცოლმა და გადმომცა, ვაჩვენებდი ჩემს ნაცნობებს და ვაცნობდი მათ შინაარსს“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 445-446]. პროკლამაცია, რომელიც გამოძიებამ აღმოაჩინა სამსონ სულაკაურის ოჯახში, დაცულია საქმეში.მოყვანილი ფაქტები ნათელი დასტურია იმისა, რომ 1942 წელს, მიუხედავად მკაცრი რეპრესიებისა, საქართველოს პატრიოტი ინტელიგენცია აქტიურად ეწეოდა ანტისაბჭოთა სააგიტაციომ უშაობას.

თბილისის „ცენტრთან“ კავშირის შესახებ ცნობა დაცულია დიმიტრი ბაკურიძის საგამოძიებო მასალებშიც. დაკითხვის ოქმის მიხედვით, ჩეჩნეთიდან ახლად დაბრუნებულ დიმიტრი ბაკურიძეს ავეტო მოლაძემ შეატყობინა, რომ *„თბილისიდან ჩამოვიდა ორგანიზაციის ორი ჩვენი წევრი: სამსონ სულაკაური და ექიმი კოკოჩაშვილი მიხეილ ივანეს ძე, შეხვედრა გაიმართა ორგანიზაციის მუშაობის გეგმების შესახებ. შემდეგ ჩამოსვლაზე ალვანში ორგანიზაციის წევრებს ჩამოუტანენ და დაურიგებენ მანდატებს. ამ მანდატების საფუძველზე გერმანელები რომ მოვლენ თუშეთში „მათ არაფერს დაუშავებენ“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 253]. ნათელია, *„სამანის“* ხელმძღვანელები თბილისის „ცენტრის“ დავალებას ასრულებდნენ. შსს არქივში დაცული დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ საქართველოში მოქმედი არალეგალური ორგანიზაციები ცდილობდნენ გერმანიის მთავრობასთან დაკავშირებას.

1942 წ. 18 ოქტომბერს ადამ ბობღიაშვილმა და გიგო ქააძემ სამსონ სულაკაურს შეატყობინეს მათი თუშეთში გამგზავრების შესახებ. ასევე შეუთვალეს, რომ იკალე ქააძის მეშვეობით თუშეთში გაეგზავნა გაზეთები, ჟურნალები, ასევე გაეგზავნა შეტყობინება თბილისში მოქმედი არალეგალური ორგანიზაციის მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ. *„ეს წერილები მე უნდა გამეგზავნა ჩემს ძმა პავლესთან, რომელიც პედაგოგად მუშაობდა მთათუშეთში. წერილების შინაარსი მხოლოდ თვალის ასახვევად იყო, იქ ერთ მხარეზე ეწერა მოკითხვა, ხოლო მეორე მხარეზე არალეგალური მუშაობის და ომზე არსებული ამბების შესახებ საიდუმლო შრიფტით უნდა დამეწერა – ხახვის წვენის გამოყენებით“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 449].

მთაში გამგზავრებამდე ორგანიზაციის ხელმძღვანელები ზემო ალვანში კრებებს მართავდნენ და თუშეთში გამგზავრების საკითხებს აწესრიგებდნენ. 1942 წლის ოქტომბერში ადამ ბობღიაშვილი, გიგო ქააძე, მიხეილ იმედიძე და გოგალე მინდაძე აბაშო აბაშიძის სახლში შეხვდნენ ქვემო ალვანში მცხოვრებ შოთა ბაკურიძეს, გარსევან კურდღელაიძეს და ფირუზ ბექურაიძეს. შოთა ბაკურიძემ თუშეთში მათ დახმარება და სანდო ხალხთან ერთად ორგანიზაციის შექმნის ორგანიზება აღუთქვა. კრებაზე ბაკურიძემ განაცხადა, რომ ამ დღეებში მილიციის უფროს შალვა ხეცურიანთან ერთად თუშეთში მიდიოდა, თუმცა ის მათ პრობლემას არ შეუქმნიდა [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 138]. ზემო ალვანში შეხვედრის ფაქტი აღწერილია გარსევან კურდღელაიძის მოთხრობაში. გადმოცემის მიხედვით, ის და შოთა ბაკურიძე გიგო ქააძეს შეხვდნენ ზემო ალვანში. კრებაზე ისაუბრეს მნიშვნელოვან საკითხებზე: კერძოდ, კოლმეურნეობის საწყობიდან დიდი რაოდენობით ხორბლისა და ყველის გატანის, ორგანიზაციაში მთავრობის ინფორმატორების საქმიანობის შესახებ. საუბრის შემდეგ შოთა ბაკურიძე ცალკე შეხვდა „წვეროსნებს“ (ადამ ბობღიაშვილს, გიგო ქააძეს და მიხეილ იმედაძეს). ამავე მოთხრობის მიხედვით, მეორე დღეს გარსევან კურდღელაიძე, შოთა ბაკურიძე და შალვა ხეცურიანი წავიდნენ თუშეთში [**კურდღელაიძე,** 1983: 103-104].

შეხვედრიდან ორი დღის შემდეგ გიგო ქააძის ბინაზე შეიკრიბნენ ადამ ბობღიაშვილი, მიხეილ იმედიძე, გიგო ქააძე, ივანე იმედიძე, გოგალე მინდაძე, ივანე თუგიშვილი-ცისკარიშვილი და ელიზბარ აბაშიძე. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ მათ მიიღეს გადაწყვეტილება ორგანიზაციის ხელმძღვანელების მთათუშეთში

გამგზავრების შესახებ. დასახელებულ თუგიშვილს, რომელიც კოლმეურნეობაში მეეტლედ მუშაობდა, დაავალეს კოლმეურნეობის კუთვნილი მარხილის მიყვანა, კიმოთე ლაგაზიძეს კი საველე აფთიაქის მომზადება. გიგო ქააძე დამოუკიდებლად გაემგზავრა დიმიტრი ბაკურიძის („ჯღუნია“) სანახავად, რომელიც, როგორც იდრის მაგომედოვის ჯგუფის წევრი, შეძლებდა მათ დახმარებას ამ ჯგუფთან დასაკავშირებლად. დიმიტრი ბაკურიძის დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ: *„ოქტომბრის ბოლოს ჩემთან მოვიდა გიგო ქააძე. მე მას ვუთხარი, რომ ამჟამად იდრისის ბანდა დაყოფილია რამდენიმე ჯგუფად, ხოლო იდრისი თავის ექვს მეგობართან ერთად იმყოფება ითომკალეს რაიონში, სოფლების გეოლოსა და მაისტის ხეობაში“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421927: 255]**.** ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ ცხადყოფსამ ორ ორგანიზაციას შორის არსებული მჭიდრო კავშირის შესახებ. ორგანიზაციის წევრების გადაწყვეტილებით იდრის მაგომედოვის დახმარებით გერმანელებთან შეხვედრა უმოკლეს დროში უნდა მომხდარიყო. საარქივო მასალების დეტალური გაცნობის შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ,,სამანის“ ხელმძღვანელების მთათუშეთში გამგზავრების მიზეზი მთის მოსახლეობის გადაბირება, მათთვის ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, აქ არსებული არალეგალური ჯგუფების გაძლიერება, ჩეჩნეთ-ინგუშეთში მოქმედი იდრის მაგომედოვის რაზმთან შეერთება და ამ უკანასკნელის დახმარებით გერმანელებთან დაკავშირება იყო.

„სამანის“ ორგანიზაციის ხელმძღვანელების გერმანელებთან დაკავშირების მიზანი, გარდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა, თუშეთის ტერიტორიაზე გერმანელების შემოსვლის დროს, რაშიც მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, საომარი ოპერაციების თავიდან აცილებაც იყო. ამას მოწმობს ვახტანგ ცისკარიშვილის 1943 წ. 15 იანვრის დაკითხვის ოქმი, რომელშიც ვკითხულობთ: *„მთათუშეთი გახდება ომის კერად, რისთვისაც ჩვენ უნდა ვიბრძოლოდ იმაზედ, რომ ხელი შეუშალოდ მთათუშეთში ომსაო ე.ი. ომი არ უნდა მოხდეს აქ და გზა გაუხსნათ აქ გერმანელებს და თავისუფლად შემოვიდნენო, რისთვისაც ომის საწინააღმდეგო მოქმედებაში ხელი შეუშალოთ ბოლშევიკებსო“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: **271**]**.** „სამანის“ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს შემუშავებული ჰქონდათ თუშეთის მთასა და ბარში მოქმედ ორგანიზაციის წევრებთან ინფორმაციებისა და შეტყობინებების ურთიერთგაცვლის სისტემა როგორც კავკასიაში მყოფ გერმანელებსა და იდრის

მაგომედოვის ორგანიზაციასთან, ისე თელავსა და თბილისში მოქმედ ანტისაბჭოთა ჯგუფებთან [**სშსსა,** ფ. 6, ს. 21725: 142].

ამრიგად, საარქივო დოკუმენტების ანალიზმა აჩვენა, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით, *„სამანის“* ხელმძღვანელები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ ანტისაბჭოთა ორგანიზაციას და გერმანელ პარაშუტისტებს დაუკავშირდნენ. მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე გერმანელების გამარჯვებებმა მათ საბჭოთა კავშირის დამარცხებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი ჩაუსახა. ბოლშევიზმთან მებრძოლ ჩეჩენ-ინგუშეთის ხალხებთან გაერთიანებასა და მათ ერთობლივ საბრძოლო მოქმედებებს ხელი უნდა შეეწყო გერმანელების გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში, რაც მათ საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტად მიაჩნდათ. ამავე დროს, გერმანელებთან კავშირს თავიდან უნდა აერიდებინა თუშეთის გადაქცევა ომის პოლოგონად გერმანელების საქართველოში შემოსვლის დროს, რაშიც ისინი დარწმუნებული იყვნენ.

ანტისაბჭოთა ორგანიზაცია *„სამანის“* მოღვაწეობა თუშეთში. თუშეთში ანტისაბჭოთა ორგანიზაციის *„სამანის“* ხელმძღვანელების მოღვაწეობას დეტალურად აღწერს გოგალე ხოხიაიძე.იგი იყო ორგანიზაციის აქტიური წევრი და საიდუმლო დავალებების შემსრულებელი. ამავე დროს მსახურობდა შინსახკომის ჯარში და სხვა თუშებთან ერთად დარაჯობდა კავკასიის გადმოსასვლელებს. მისი გადმოცემით, ორგანიზაციის ხელმძღვანელების ასვლამდე თუშეთში მოქმედებდა ანტისაბჭოთა არალეგალური ათი ჯაჭვური რგოლი, რომლიც შეიქმნა ხუთი თვით ადრე – 1942 წლის ზაფხულს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია გოგალე ხოხიაძის 1943 წ. 10 აპრილის ჩვენება, რომლის მიხედვით ცნობილი ხდება, რომ თელავის ანტისაბჭოთა ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა თელავის რაიჯანდაცვის განყოფილების გამგე კიმოთე ლაგაზიძე და რომ ანტისაბჭოთა ორგანიზაციები არსებობდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც, მათ შორის სვანეთშიც [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 180].

ამავე მასალიდან დასტურდება, რომ ადამ ბობღიაშვილი, მიხეილ იმედიძე და გიგო ქააძე ჩეჩნეთში არ წავიდნენ და აქცენტი მოსახლეობის გადაბირებაზე გადაიტანეს [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 183]. 1942 წ. 11 ნოემბერს სოფელ დოჭუში შედგა პირველი არალეგალური კრება, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. კრებაზე

გიგო ქააძემ ისაუბრა საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ასევე გააცნო არალეგალური ორგანიზაციის შექმნის მიზანიდა სამოქმედო გეგმა. კრებებზე *„სამანის“* ხელმძღვანელები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენკოლექტივის დაშლაზე და კოლმეურნეობის მიერ წართმეული ქონების დაბრუნებაზე. *„საბჭოთა კავშირის საქმე წასულია, გერმანელები კავკასიას მოადგნენ, ზარბაზნების გრიალი ჩვენამდე აღწევს. მთელი ქისტეთი მათ მხარეზეა, მომავალ ზაფხულს აქაც მოვლენ, კოლექტივებს მოსპობენ, ხალხს კერძო საკუთრებას დაუბრუნებენ, ამდენ გასაჭირსა და უსამართლობას ბოლო მოეღება.....“* – ნათქვამია საგამოძიებო მასალებში [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 291]. კრებაზე თუშებმა შეადგინეს „ფიცის წიგნი“ – პირობის ფურცელი (ფიცის ქაღალდი, ასე უწოდებდნენ ორგანიზაციის წევრები – **თ. ლ.**) რომელიც შედგებოდა შვიდი მუხლისაგან.

„ვეცნობი ორგანიზაცია „სამანის“ მოკლე შინაარს და როგორც ორგანიზაციის წევრი ხელს ვაწერ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ:

1) *შევდივარ ორგანიზაცია სამანში;*
2) *ვიბრძოლებ კომუნიზმის წინააღმდეგ;*
3) *შევასრულებ ორგანიზაციის ყველა დავალებას და არანაირ პირობებში არ გავცემ ჩემს ორგანიზაციას“* [**სშსსა,** ფ.6,ს.421575:293].

გოგალე ხოხიაიძის გადმოცემით „ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებდა არსებული საბჭოთა წეს-წყობილების დამხობას, საქართველოს გათავისუფლებას, თავისუფლებას, ქართველთა არგარუსებას, რუსეთ-საქართველოს ომიდან ქართველთა უვნებლად გამოყვანას“ [**იუკურიძე,** 1992: 7]. ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შექმნას თუშეთის საზოგადოება დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა, რადგან თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო ერთგვარი გზა საკუთარი ოცნებების ასახდენად. საქართველოში განხორციელებული კოლექტივიზაციის პროცესი და საბჭოთა ეკონომიკურ-პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული უღელი იმდენად მძიმე იყო თუშებისთვის, რომ ის საპროტესტო განწყობამ მოიცვა. კრებაზე მისული თუშები „ფიცის ქაღალდს“ ხელს აწერდნენ და ორგანიზაციაში შედიოდნენ.

თუშეთში ორგანიზაციის ხელმძღვანელები ხეობის სოფლებში აწყობდნენ კრებებს და აცნობდნენ ორგანიზაცია *„სამანის“* სამოქმედო გეგმას. სააგიტაციო

მუშაობის შესახებ, ცნობები დაცულია ომალოს სკოლის მასწავლებლის ვახტანგ ცისკარიშვილის დაკითხვის ოქმებში. ჩვენების მიხედვით, იგი დაესწრო სოფელ ომალოში ჩატარებულ კრებას, სადაც გიგო ქააძემხალხს გააცნო ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები:*„ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ გერმანიის ჯარს, სწრაფად მოახდინონ თუშეთის ოკუპაცია. უნდა გაცნობოთ, რომ თუშეთი მალე გადაიქცევა საბრძოლო მოქმედებებისა და სისხლისღვრის ასპარაზეად. ეს რომ არ მოხდეს, ჩვენმა ორგანიზაციამ უნდა განაიარაღოს თუშეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა სამხედრო ნაწილი, ამით, ერთი მხრივ ნგრევასა და სისხლისღვრას შევეწინააღმდეგებით, მეორე მხრივ კი ხელს შევუწყობთ გერმანელებს საქართველოს ოკუპაციაში“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 210].

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელები მიმართავდნენ დაშინება-მუქარისა და ძალის გამოყენების მეთოდებსაც. *„კრებაზე მისული თუშები ხელს აწერდნენ ჯგუფურად, 7-8 კაცი ერთად, იყო შემთხვევა, როდესაც ადამ ბობღიაშვილი, მიხეილ იმედიძე და გიგო ქააძე გზაზე მიმავალ გლეხებს ხვდებოდნენ და ძალით აწერინებდნენ ხელს „ფიცის წიგნზე“. სოფელ ბოჭორნაში დააკავეს გზად მიმავალი გამანადგურებელი ბატალიონის წევრი კონსტანტინე იჭირაული, ჩამოართვეს იარაღი, მიიყვანეს შტაბში და მოსთხოვეს ხელი მოეწერა „ფიცის ფურცელზე“, წინააღმდეგ შემთხვევაში გაასამართლებდნენ და არ მისცემდნენ ბატალიონის იარაღს. კონსტანტინე იჭირაული იძულებული გახდა ხელი მოეწერა და შესულიყო ორგანიზაციაში“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 215].ამავე მასალის მიხედვით, მას ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია, მხოლოდ პერიოდულად გამოჩნდებოდა ხოლმე საგუშაგოზე. ასევე სოფელ დოჭუში „ფიცის ქაღალდზე“, ხელის მოწერა მოსთხოვეს ილია გაგოიძეს, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელებს სთხოვდა *„ავადმყოფი კაცი ვარ და ხელს ნუ მომაწერინებთ-ო“*. მართალია, მან ხელი იძულებით მოაწერა, მაგრამ არც კრებაზე და არც საგუშაგოზე არ გამოცხადებულა. ამიტომ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ილია გაგოიძეს გადაცემული ბერდენკის ტიპის იარაღი უკანვე ჩამოართვეს [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 222].

საინტერესოა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარისათვის პატიმარ ანდრია გაგოიძის მიცემული ჩვენება. ის 1943 წ. 19-22

ნოემბრით დათარიღებულ საგამოძიებო მასალებში წერდა: *„ერთ დღეს შებნელებულის ხანზედ მომიცვივდნენ ჩემს საცხოვრებელში ჩემთვის უცნობი 3 (სამი) პირი, რომლებიც შემდეგ გამოირკვა, რომ ყოფილიყვნენ შემდეგი პირები: ბაშინურიძე სამსონი, რომელიც იყო სამხედროდან გამოქცეული დეზერტირი, ცაძიკიძე დავითი, ასევე დეზერტირი და ბობღიაშვილი ადამი (ხელმძღვანელი). ეს სამი კაცი მოვიდა ჩემთან და მითხრეს: მოგვიწერ ხელს თუ არა ჩვენს ორგანიზაციაზეო. მე სასტიკი უარი განუცხადე ხელის მოწერაზე, მაგრამ ჩემს უარის თქმაზე მათ დამიპირეს სიკვდილით დასჯა და მასთან ერთად ცოლ-შვილის და სახლის დაწვას და მთელი საქონლის დახოცვას დამემუქრნენ. მე ვარჩიე დროებით ისევ ხელი მომეწერა“* [**კერესელიძე,** 2018: 62].

რადგან კარგად არის ცნობილი საბჭოთა სადამსჯელო სისტემის მეთოდები, ჩვენ სიფრთხილით ვუდგებით პატიმრების ამ აღიარებით ჩვენებებს „იძულებით“ ხელმოწერებთან დაკავშირებით, მით უფრო, რომ საარქივო მასალებით არ დასტურდება თავის არიდების შემთხვევაში მათი დასჯის ფაქტები სამანელების მიერ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამხედრო საქმის მცოდნე ხალხის გადაბირებას. სამანის ორგანიზაციის ერთ ერთი ხელმძღვანელი არჩილ კიტოშვილი საბჭოთა არმიის ლეიტენანტი იყო, რომელიც გამოქცეული იყო ჯარიდან და თავს აფარებდა რა თუშეთს, ხელმძღვანელობდა ორგანიზაციის საქმიანობის სამხედრო მიმართულებას. თუშეთში მოქმედი ამ ორგანიზაციის ათკაციანი ჯაჭვური რგოლის მეთაურიც სამხედრო საქმის კარგი მცოდნე იყო. მათგან გამოირჩეოდნენ: ვასილ ოთიურიძე, დევანოზ თავბერიძე და მათე დევდარაიძე [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 185].

ორგანიზაცია *„სამანის“* ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაჯგუფება *„თუშეთის“* სახელწოდებით მოქმედი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: სოფ. ომალოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე დანიელ ბიღოიძე, ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლუარსაბ მელაიძე, ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირები ლეო ხუცაიძე და არჩილ იჭირაული, ამავე კოლმეურნეობის ბუღალტერი ფიდო თავბერიძე, საწყობის გამგე ვლადიმერ იჭირაული, სოფელ დართლოს კოლმეურნეობის ბუღალტერი ბესო ელანიძე, გამანადგურებელი ბატალიონის ოცმეთაური სამსონ ინაურიძე და მებრძოლები შოთა ბაკურიძე,

გარსევან კურდღელაიძე, პლატო უშიძე, გოგალე ხოხიაძე, ლაზარე ხიზანაიძე, წითელი არმიიდან გამოქცეული დავით ცაძიკიძე, ახალგაზრდები სამო ჩაგაიძე და კოტე იჭირაული [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 268].

აღსანიშნავია, რომ თუშეთის ორგანიზაცია *„სამანის“* ჯგუფებში გარდა დეზერტირებისა, იმყოფებოდნენ საბჭოთა არმიაში გაწვეული მებრძოლები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადაცებულ იარაღს იყენებდნენ ორგანიზაციის საჭიროებისამებრ. ეს ფაქტი დასტურდება გოგალე ხოხიაიძის 1943 წ. 19 აპრილის დაკითხვის ოქმით. ჩვენების მიხედვით, იგი იყო საბჭოთა არმიის გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლი და გადაცემული ჰქონდა მანჩესტერის სისტემის თოფი 50 ვაზნით,რომელიც შემდეგ მისცა *„სამანის“* ჯგუფის წევრს როსა ღულელაურს. გამანადგურებელი ბატალიონის მეომარი იოსებ ბეგუმიშვილი ინფორმაციას აწვდიდა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ბატალიონის გადაადგილების შესახებ, როცა ასეთი მოძრაობა ხიფათს უქმნიდა ორგანიზაციას. მსგავსი არაერთი ცნობა დაცულია საარქივო დოკუმენტებში [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 309].

„სამანის“ ხელმძღვანელების სააგიტაციო საქმიანობას დეტალურად აღწერს იორამ ქააძე. 1943 წლის აპრილის დაკითხვის ოქმის მიხედვით, 1942 წლის ნოემბერში ადამ ბობღიაშვილი, მიხეილ იმედიძე და გიგო ქააძე გომეწრის ხეობის სოფლებში, კრებებზე ხალხს მოუწოდებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისკენ, *„ჩვენი ორგანიზაციის მიზანია შეიარაღებული დახმარება აღმოვუჩინოთ კავკასიონის ქედთან მოახლოებულ გერმანიის ჯარებს, ზურგიდან იერიშს მივიტანთ საბჭოთა ჯარებზე, შემდეგ კი ერთად, ჩვენ და გერმანელები დავიკავებთ ქალაქ თელავს. ამ ქმედებით თუშეთი დახმარებას გაუწევს გერმანიის მეომრებს“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 270]. მოყვანილი დოკუმენტით დასტურდება, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ სამანელები თუშეთის სტრატეგიულ მდებარეობას გერმანელებისთვის.

საარქივო დოკუმენტების ანალიზმა აჩვენა, რომ 1942 წლის დეკემბერიდან ორგანიზაციის წევრები აქტიურ ქმედებაზე გადავიდნენ. ისინი კრებებს ატარებდნენ პირიქითის, ჭანჭახოვანისა და გომეწრის ხეობის სოფლებში და ეწეოდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციას. ამ საქმეში მათ გვერდით ედგნენ: შოთა ბაკურიძე და გარსო

კურდღელაიძე, რომლებიც სააგიტაციო საქმიანობას ეწეოდნენ დიკლოსა და შენაქოში, ლუარსაბ მელიაძე ომალოში, პლატო უშიძე ჩიგლაურთაში, შტროლთაში, ხახაბოსა და ხისოში [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 293]. იორამ ქაადის დაკითხვის ოქმიდან ცნობილია, რომ *„1942 წლის 7 დეკემბერს მელაიძე ლუარსაბი და ინაურიძე სამსონი სოფ. ომალოში კრებაზე ხალხს მოუწოდებდნენ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში გაწევრიანებისკენ“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 268],*ხოლო პირიქითის ხეობის სოფლებში: კვავლოს, დართლოსა და ჩიღოში მოსახლეობასთან შეხვედრებს აწყობდა ელანიძე ბესო“*[**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 269].

კრებებზე თუში ახალგაზრდები მსჯელობდნენ საქართველოს ბედზე, ოცნებობდნენ უკეთეს მომავალზე. ისინი ფიქრობდნენ, რომ ქართველი ხალხი თუ დიპლომატიურ ნაბიჯს არ გადადგამდა, გადაითელებოდა და გაპარტახდებოდა ქვეყანა. ეს საპასუხისმგებლო დიპლომატიური მისია სწორედ თუშებმა იტვირთეს. *„ვინც არ უნდა ყოფილიყო, გერმანია თუ ინგლისი, მათთან უნდა გავერთიანებულიყავით საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, რადგან ვიცოდით, რომ ხუთმილიონიანი საქართველო რუსეთის დამარცხებას ვერ შეძლებდა“* – იხსენებს გადასახლებიდან დაბრუნებული *„უკანასკნელი სამანელი“* გოგალე ხოხიაიძე [**არაბული**, 2010:7].

საქართველოს დამოუკიდებლობის სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ საბჭოთა არმიის დამარცხების შემთხვევში, მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენლები, მოლაპარაკება ეწარმოებინათ გერმანიასთან, მაგრამ თუ მათი მცდელობა მიზანს ვერ მიაღწევდა, სამშობლოსათვის სიცოცხლეს გაწირავდნენ. კავკასიაში გერმანიის დამარცხებით გაოგნებულ ადამ ბობღიაშვილს ემოციურად მიუმართავს „სამანის“ წევრებისთვის:*„მეც, ალბათ, დავმარცხდები. ძნელია ბრძოლა რუსულ ხიშტებთან, მოვა დრო და იქნებ..., თუმცა იქნებ სიკვდილი სჯობდეს ამათ მონობას“* [**ნარიმანიძე,** 1991: 3].ერთ-ერთ შეხვედრაზე კი სამშობლოს ბედზე დაფიქრებულ ადამს უთქვამს: *„გერმანელები თუ არა, ინგლისელები მაინც მოვლენ, ხალხისთვის სულ ერთია, თავისუფლებას ხომ ეღირსებიან“*[**კურდღელაიძე,** 1983:76].

საყურადღებოა საარქივო მასალებში დაცული ცნობა, თუშეთის ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში დაღესტნელი აქტივისტების საქმიანობის შესახებ. გოგალე

ხოხიაიძის 1943 წ. 19 აპრილის დაკითხვის ოქმის მიხედვით, ორგანიზაციაში იმყოფებოდნენ დაღესტნელი დეზერტირები. ესენი იყვნენ: გაზიევი მურთაზი – სოფელი ხუშეთიდან, აბულ რახმანი – საცხოვრებელი ადგილი უცნობია, ჭანჭახოვანის ხეობის ჯგუფში მოღვაწეობდა, ყურბანა – გვარი და საცხოვრებელი ადგილი უცნობია, მუხამა – გვარი და საცხოვრებელი ადგილი უცნობია. ეს დაღესტნელი დეზერტირები იყვნენ აბულ რახმანის ჯგუფის წევრები. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ჯგუფში იყვნენ სხვა დაღესტნელებიც, თუმცა მან დაასახელა მხოლოდ ის პირები, ვისი გვარი ან სახელი იცოდა [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 199-200]. მოცემული მასალა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში არსებობდა სრულიად კავკასიის ხალხის ერთობის იდეა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

თუშეთში ორგანიზაციის ხელმძღვანელობა აქტიურად განაგრძობდა მოქმედებას.ერთ-ერთ კრებაზე ადამ ბობღიაშვილმა და ორგანიზაციის წევრებმა გომეწრისა და ჭანჭახოვანის ხეობაში ხალხს აუსრულეს ოცნება და საბჭოთა ხელისფლება დამხობილად გამოაცხადეს, საბჭოები გააუქმეს და ძალაუფლება პირველმა მიკროეროვნულმა ხელისუფლებამ აიღო. თუშეთის ორი უდიდესი ხეობის სოფლებში ექვსი თვის განმავლობაში საბჭოთა კანონები აღარ მოქმედებდა *„თუშეთი რესპუბლიკად გამოაცხადეს და თავისუფალი საქართველო უწოდეს“* – იხსენებს ივანე მაჩაბლიშვილი [**ნარიმანიძე,** 1991: 3]. ეს ფაქტი დასტურდება გოგალე ხოხიაიძის დაკითხვის ოქმშიც. ჩვენების მიხედვით *„თუშეთის ყველა გზა ჩაკეტილი გვქონდა, მთელი თუშეთი ჩვენს განკარგულებაში იყო, სინამდვილეში ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენ გვქონდა ხელში, ამიტომ როგორც გვინდოდა ისე ვასრულებდით საქმეს“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 195].უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს პროცესი მიმდინარეობდა სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოს სხვა რეგიონებში ლიკვიდირებული იყოანტისაბჭოთა ორგანიზაციები.

რაც შეეხება ორგანიზაციის ხელმძღვანელების მოღვაწეობას, მათ თუშეთის გომეწრისა და ჭანჭახოვანის ხეობის სოფლები სამოქმედო ტერიტორიად დაყვეს და აქ საგუშაგო პუნქტები დააარსეს, ბოჭორნა გომეწრის, ხახაბო კი ჭანჭახოვანის ხეობას იცავდა, ხოლო საცხოვრებლად და შტაბად სოფელი დოჭუ აირჩიეს. აქ მათ შემოიკრიბეს მხარდამჭერები და შექმნეს ძლიერი შეიარაღებული დაჯგუფებები,

რომლის საშუალებითაც ახორციელებდნენ არა მარტო ორგანიზაციულ-პოლიტიკურ საქმიანობას, არამედ თავდასხმებს იარაღის მოსაპოვებლად.

სადარაჯოზე მდგომი თუშები აკონტროლებდნენ ხეობის სოფლებიკენ მიმავალ გზებს, გოგალე ხოხიაიძის თქმით, მათი მიზანი იყო გზების გაკონტროლება, რომ არ შემოსულიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები და საბჭოთა არმიის ნაწილები [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 202].

გოგალე ხოხიაიძის 1943 წ. 19 აპრილის საგამოძიო მასალის მიხედვით, 1943 წლის იანვარში თუშეთში, ღელეზე ჯგუფის წევრებმა: გოგალე ხოხიაიძემ, დავით ცაძიკიძემ, არჩილ კიტოშვილმა, მოსე ლილაურმა და რეზო ცაძიკიძემ საბჭოთა ჯართან შეტაკების დროს მოკლეს ორი საბჭოთა მებრძოლი, სამი კი დაჭრეს. მოკლული საბჭოთა მეომრების გაძარცვის შემდეგ მათ წამოიღეს შემდეგი ნივთები: ფეხსაცმელები, ქამრები, ქუდები და იარაღი. *„ადამ ბობღიაშვილისგან დავალებული გვქონდა, რომ ნაძარცვი ტანსაცმელი უნდა მიგვეცა ჯგუფში მყოფი ლეკებისთვის, რათა მათი გული მოგვეგო.“* ამავე მასალის მიხედვით, ტანსაცმელი გადაეცა გაზიევ მურთაზს, ხოლო ავტომატები – არჩილ კიტოშვილს [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 198-199].

1943 წლის იანვარში არჩილ კიტოშვილმა, გოგალე ხოხიაიძემ, სვიმონ ბაშინურიძემ და ირაკლი ლილაურმა დააკავეს საბჭოთა მეომარი გრიშა ვორონტოვი. მას წაართვეს ავტომატი და გაათავისუფლეს, რაზეც ხელმძღვანელებისაგან შენიშვნა მიიღეს: „მტერი, მტერია და უნდა მოსპოთ“ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 186]. ამავე თვეს გიგო ქააძემ, არჩილ კიტოშვილმა და მიხეილ იმედიძემ განიზრახეს იარაღის გაძარცვის მიზნით თავს დასხმოდნენ სოფელ შენაქოში მყოფ საბჭოთა მეორებს. თუმცა თავდასხმა ვერ განხორციელდა, რადგან ადგილზე მისულ თუშებს საბჭოთა სამხედრო ნაწილი სოფელში აღარ დახვდათ, რადგან ის სასწრაფოდ გადაეყვანათ სოფელ ომალოში.

საარქივო დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა, რომ თუშეთში ანტისაბჭოთა ორგანიზაცია *„სამანის“* ჯგუფის წევრებს საბჭოთა არმიის სამხედრო ნაწილებთან საბრძოლო დაპირისპირება, ძირითადად, არ ჰქონდათ. ასევე არ დასტურდება საკოლმეურნეო საწყობების გაძარცვისა და საქონლის გატანის ფაქტები. ორგანიზაციის წევრები ძირითადად მარაგდებოდნენ თუშებისაგან. გოგალე ხოხიაიძის საგამოძიებო მასალის მიხედვით *„მთელი სასმელ-საჭმელი ჩვენ*

მიგვქონდა ჩვენი ოჯახებიდან. ვეხმარებოდით როგორც დეზერტირებს, ისე ორგანიზაციის ხელმძღვანელებს. მხოლოდ ერთხელ მოვიხმარეთ ოთხი კოდი ჰურის ფქვილი, რომელიც დარჩათ საბჭოთა ჯარის ნაწილებს სოფელ გოგრულთაში“ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 194].უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის წევრების მოღვაწეობა მომხრეთა რიცხვის გაზრდითა და იარაღის შოვნით შემოიფარგლებოდა.

საარქივო დოკუმენტების ანალიზმა აჩვენა, რომ ადამ ბობღიაშვილი, გიგო ქააძე და მიხეილ იმედიძე ცდილობდნენ მუდმივ კავშირში ყოფილიყვნენ ჩეჩნეთის და დაღესტნის არალეგალურ ორგანიზაციებთან. იდრის მაგომედოვთან დაკავშირების ფაქტს ადასტურებს 1943 წ. 22 აპრილს შემდგარი გოგალე ბაგრატის ძის ხოხიაიძის და დანიელ ივანეს ძის ბიღოიძის დამაპირისპირებელი დაკითხვა. დაკითხვას აწარმოებდა საქ. შინსახკომის ბანდასთან მებრძოლი განყოფილების უფროსის ოპერწმუნებული კაპიტანი რიგავა,მათ დაპირისპირებას დაესწრო თელავის რაიონის პროკურორი გიგაური. დაკითხვა ეხებოდა ომალოს კოლმეურნეობის თავჯდომარე დანიელ ბიღოიძის მიერ „სამანის“ წევრებისთვის ყალბი მოწმობის გადაცემის საკითხს. გოგალე ხოხიაიძის გადმოცემით, დანიელმა გიგო ქააძის თხოვნა არ დააკმაყოფილა, მიზეზად კი დასამოწმებელი ბეჭდის დაკარგვა დაასახელა [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 210], რაც დანიელ ბიღოიძემაც დაადასტურა. საარქივო დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ ჩეჩნეთში უცხო პირების გადაადგილება ბეჭედდარტყმული საბუთის გარეშე შეუძლებელი იყო.

იორამ ქააძის 1943 წ. 20 აპრილის დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ 1942 წ. 1 დეკემბერს სოფელ კვავლოში მასთან მივიდა არჩილ კიტოშვილი და მისცა დავალება, გადასულიყო ჩეჩენ-ინგუშეთში და ფრონტზე მიმდინარე მდგომარეობა გაერკვია [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 266]. კრების გადაწყვეტილებით 10 დეკემბერს იორამ ქააძე და ორგანიზაციის წევრი სვიმონ ღუბაქელიძე წავიდნენ ჭეშოს გზით ჩეჩნეთისკენ, თუმცა შუა გზიდან მობრუნდნენ, რადგან გზა თოვლით იყო დაფარული და გადასვლა ვერ შეძლეს. ამავე მასალის მიხედვით, ფრონტზე არსებული მდგომარეობის გასარკვევად ორგანიზაციის წევრი (ვინაობა უცნობია) გაგზავნეს დაღესტანში.

დაღესტანსა და ჩეჩნეთში ორგანიზაციის წევრის გაგზავნის შესახებ ცნობას გვაწვდის სოფელ ომალოს სკოლის მასწავლებელი ვახტანგ ცისკარიშვილი. მისი

დაკითხვის ოქმიდან ცნობილია, რომ 1943 წლის იანვარში სოფელ დოჭოში, კრებაზე ორგანიზაციის წევრებმა განიხილეს ჩეჩნეთსა და დაღესტანში (დიდო) მოქმედ თანამოაზრეებთან დაკავშირების საკითხი. *„გიგო ქააძის დავალებით ფრონტზე მიმდინარე მდგომარეობის გასარკვევად ორგანიზაციის ორი წევრი უნდა წასულიყო ჩეჩნეთში, ორი წევრი კი დაღესტანში (დიდო). კრებაზე დანიელ ბიღოიძემ და ლუარსაბ მელაიძემ ამ დავალების შემსრულებლად დაასახელეს საბჭოთა არმიის გამანადგურებელი ბატალიონის ხელმძღვანელი სამსონ ინაურიძე“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421575: 283]**.** იგი იყო კარგი მონადირე და მთამსვლელი. აქვე აღვნიშნავთ ერთ საინტერესო ფაქტს. 1938 წელს სამსონი დაეხმარა დიკლოს (ხუშეთის) მთისკენ მიმავალ ლევან გოთუას, რომლის წერილიც გადასცა მწვერვალზე მყოფ გერმანელს [**შატაიძე,** 1978: 3].

კრების გადაწყვეტილებით, მეორედ, 1943 წლის იანვარში გიგო ქააძის დავალებით იორამ ქააძე სამსონ ღუბაქელიძესთან ერთად ჩეჩნეთში უნდა გადასულიყო და მაგომედოვისთვის გადაეცა წერილი, რომელიც საგანგებოდ მოთავსებული იყო კონვერტში, თუმცა მათ გადასვლა ვერ შეძლეს, რადგან ჩეჩნეთისკენ გადასასვლელი საიდუმლო გზა თოვლით იყო დაფარული, ხოლო მთავარ გზაზე საბჭოთა მილიცია იდგა. ამიტომ ვერ შედგა იდრის მაგომედოვთან კავშირი [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 267]. მართალია, საარქივო დოკუმენტებში 1942-1943 წლის ზამთრის პერიოდში არალეგალური ორგანიზაცია *„სამანის“* წევრების იდრის მაგომედოვთან დაკავშირების ფაქტი არ დასტურდება, მაგრამ ვვარაუდობთ ჩეჩნეთთან დამაკავშირებელი საიდუმლო გზის საშუალებით შესაძლებელი იყო კავშირის არსებობა.

გარდა ამისა, ორგანიზაციის ხელმძღვანელები ცდილობდნენ კავშირი არ გაეწყვიტათ თბილისსა და თელავში მოქმედ ანტისაბჭოთა არალეგალურ ორგანიზაციებთან. 1942 წ. 13 დეკემბერს სოფელ დოჭუში შედგა *„სამანის“* წევრების კრება. კრებას ესწრებოდნენ სოფელ ომალოს კოლმეურნეობის თავჯდომარე ლუარსაბ მელაიძე, გოგალე ხოხიაიძე, ჯაფარა, გიორგი რაინაული, სოფელ ომალოს სასოფლო საბჭოს თავჯდომარე დანიელ ბიღოიძე, სოფელ ომალოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ლეო ხუცაიძე, ამავე სოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი არჩილ იჭირაული და სკოლის მასწავლებელი ვახტანგ

ცისკარიშვილი. გიგო ქააძემ ორგანიზაციის წევრებს გააცნო კახეთიდან – ზემო და ქვემო ალვანიდან – თუშეთში 30 დეზერტირის ამოსვლის შესახებ. *„ზამთრის პერიოდში თითოეულ ჩვენგანს მოუწევს დამალვა და გამოკვება 30 დეზერტირის, რომლებიც იმყოფებიან არალეგალურ მდგომარეობაში“* – განუცხადებია მას [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 293]. მათი მიზანი თუშთა რაზმის მობილიზება და ბრძოლისთვის მზადყოფნა იყო. კრებაზე ასევე განიხილეს ზემო ალვანში გასაგზავნი ჯგუფის საკითხი, რომ გაეგოთ, თუ რას აკეთებდა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია ზემო და ქვემო ალვანში, ასევე გაერკვიათ ფრონტის მდგომარეობა და მასების შეხედულება არსებული ხელისუფლების მიმართ. ეს დავალება დაევალა სოფ. ომალოს საშუალო სკოლის პედაგოგ ვახტანგ ცისკარიშვილს, გოგალე ხოხიაიძეს და ჯაფარას. გიგო ქააძემ დაავალა: *„ზემო ალვანში მუშაობის შემდეგ დაუკავშირდით აბაშიძე ელიზბარს, აბაშიძე აბაშოს, უჯირაულ მიტოს, მაჩაბლიშვილ ანდროს, იმედიძე ივანეს, ხოლო თელავში დაუკავშირდი ჯანმრთელობის განყოფილების გამგეს კიმოთე ლაგაზიძეს“.* ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში ჩამოსულებმა დასახელებულ პირებთან შეხვედრა ვერ შეძლეს, რადგან შინსახკომის მიერ ყველა დაპატიმრებული დახვდათ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 421562: 263].

თუშეთში ასული „სამანის“ წევრები სრულ იზოლაციაში მოექცნენ. ისინი მხოლოდ ომალოს ამბებს იგებდნენ, არც ფრონტზე მიმდინარე მდგომარეობის შესახებ იცოდნენ და არც გერმანელების უკან დახევის ამბავი. ზამთრის პირობების გამო ვერც ჩეჩნეთში გადასვლა შეძლეს. საარქივო მასალებში ინახება დოკუმენტი – წერილი „საიდუმლო შეტყობინება“, რომელიც დათარიღებულია 1942 წ. 13 დეკემბრით. მასში „მაცნე“ საბჭოთა ხელისუფლებას დეტალურად ატყობინებდა ახმეტის რაიონის სოფლებში დეზერტირებისგან შემდგარი ჯგუფების ანტისაბჭოთა მოქმედებების, კოლმეურნეობის საწყობების და წისქვილების ძარცვა-რბევის შესახებ. ამავე დოკუმენტით „მაცნე“ ხელისუფლებას აცნობდა თუშეთში მოქმედი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის საქმიანობას, *„სამანის“* ხელმძღვანელების კავშირს ჩეჩნეთის არალეგალური ჯგუფის ხელმძღვანელ იდრის მაგომედოვთან და მასთან მყოფ გერმანელ მედესანტეებთან. ინფორმატორი ახმეტის რაიონის სოფლებში მოქმედ ჯგუფების 80 წევრს ასახელებს, ხოლო თუშეთში 60-ს [**სშსსა,** ფ. 6, ს. 43737: 43].დოკუმენტში წარმოდგენილი მასალა იმდენად ზუსტ და უტყუარ ფაქტებს

შეიცავს სამანელთა მოღვაწეობის შესახებ, რომ აშკარაა მათ რიგებში ინფორმატორის არსებობის ფაქტი.

ამ ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო ზემო ალვანში ორგანიზაციის წევრების დაპატიმრება-დაკითხვები, რომლის საფუძველზე მთავრობისათვის ცნობილი გახდა თუშეთში მოქმედი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ფართო ქსელის არსებობის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლება „გამცემლების“ ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემით ახერხებდა ცალკეული სამანელების გადმობირებას და მათგან საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებას. საბჭოთა ხელისუფლებამ ეჭვმიტანილთა „შემორიგება“ – გადაბირებით ორგანიზაციის წევრებს შორის განხეთქილება ჩამოაგდო.

საარქივო დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ რეპრესიები განახორციელა ორ ეტაპად. პირველი ეტაპის დაპატიმრება-დაკითხვა მიმდინარეობდა 1942-1944 წლებში, მეორე ეტაპის კი – 1948-1950 წლებში. საგამოძიო მასალებში წარმოდგენილი დაკითხვის ოქმების მიხედვით გვინდა დეტალურად გავაშუქოთ საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური მეთოდები, რამაც საბოლოოდ დაშალა და გაანადგურა თუშეთის ანტისაბჭოურად განწყობილი საზოგადოება.

ილიკო მიხეილის ძე იმედიძის დაკითხვის ოქმიდან ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო თუში დეზერტირების გარკვეული ნაწლის შემორიგება. მისი ჩვენების მიხედვით ახმეტის რაიონში არსებობდა ხუთი არალეგალური ჯგუფი. ჯგუფებში იმყოფებოდნენ საბჭოთა არმიიდან გამოქცეული დეზერტირები. 1943 წლის მარტში საბჭოთა ხელისუფლების დავალებით მან აწარმოა მოლაპარაკება არალეგალური ჯგუფის წევრებთან. იმავე თვეს მთავრობას შეარიგა სხავადასხვა ჯგუფის დეზერტირები: გაბო ქავთარიშვილი, მატე აბაშიძე, გაბრიელ კაიშვილი, შიო უშარაული, გიორგი ვეშაგურიძე, გიორგი ჩაჩქანიშვილი, იოსებ ცისკარიშვილი, დიმიტრი უჯირაული, ბაგრატ თავბერიძე, იოსებ ჯიხოშვილი, ფილიპე უშარაული, ძმები პეტრე და ადამ უშარაულები, ილიკო იმედიძე, გიორგი ჩაჩქანიშვილი [**სშსსა,** ფ. 6, ს. 43737: 52]. მათი არალეგალური საქმიანობის მძიმე პერიოდი დაწვრილებით აღწერილია ილია ცისკარიშვილის ,,დღიურში“ [**ვახვახიშვილი, 1992:145**]

საბჭოთა ხელისუფლებასთან ,,შერიგება“ აღწერილია ივანე მაჩაბლიშვილის მოგონებებში: *„სხვა გზა აღარ დაგვრჩენოდა, წავედით შერიგებაზე. „შერიგება“ მოხდა ილიკო იმედიძის სახლში. თქვენ წარმოიდგინეთ, პურ-მარილიც კი გაიმართა.*

ჩამოსული იყო თბილისდან შინსახკომის პოლკოვნიკი ირაკლი ნიბლაძე. ჩავაბარეთ იარაღი. ჩეკამ თითოეული ჩვენთაგანის იარაღის ნომერი იცოდა (ესეც აგენტის მუშაობის შედეგი იყო). შერიგებით კი შევრიგდით, მაგრამ ვაი ეგეთ შერიგებას! მეორე დღესვე გამოიძახეს დიმიტრი უჯირაული და უთხრეს, თბილისში წამოხვალ გიგო ქაძის რაზმთან მოლაპარაკება უნდა გავმართოთ შემორიგებაზეო. წაიყვანეს და წაიყვანეს. უკან აღარ დაბრუნებულა. მას მიაყოლეს ილიკო ცისკარიშვილი...“. საბჭოთა ხელისუფლებამ თავის ხელწერას არც აქ უღალატა – ნაღები მოხადა თუშეთის საზოგადოებას ინტელიგენციის იმ მოაზროვნე ნაწილის დაპატიმრებით, რომლებიც უშუალოდ თუ არაპირდაპირ იყვნენ ჩართულნი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის საქმიანობაში, *„მწყემსებისთვის და გლეხებისთვის ხელი არ უხლიათ“* [**იუკურიძე**, 1997: 8].

საგამოძიო მასალებიდან ცნობილია, რომ თელავის შინსახკომის უფროსის ფუთურიძის განცხადებით, საბჭოთა არმიიდან გამოქცეული ახმეტის რაიონში მცხოვრები დეზერტირები ჯარიდან განთავისუფლდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული #354/16 ბრძანების თანახმად. მათ დაურიგდათ ე.წ. „ლეგალიზებული დეზერტირების“ მოწმობები, რომლებიც ომის დამთავრებისთანავე მთავრობისათვის უნდა ჩაებარებინათ. საბჭოთა ხელისუფლება დაყვავების, „ცოდვების მიტევების“ პოლიტიკის გატარებით ცდილობდა დეზერტირების მორალურად გატეხვას და მათ გამოყენებას ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 43737: 81].

საბჭოთა ხელისუფლება პროვოკატორების მეშვეობით აგროვებდა ინფორმაციას და გარკვეული დროის შემდეგ აპატიმრებდა შემორიგებულ თუშებს, რომლებიც პასუხს აგებდნენ შემორიგებამდე ჩადენილი დანაშაულისათვის. ეს კარგად ჩანს გაბო იოსების ძე ქავთარიშვილის საგამოძიო მასალებში. შემორიგების შემდეგ იგი მუშაობდა ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობაში, თუმცა 1949 წელს დააპატიმრეს. მას ბრალად წაუყენეს ძარცვა-რბევაში მონაწილეობა. საყურადღებოა მისი დაკითხვის ოქმი: *„გამოძიებას ვთხოვ, ჩვენებაში შეიტანოს შემდეგი მდგომარეობა: ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა ლეგალიზებული თუშებიდან ბევრი მათგანი გამოიყენეს ბანდჯგუფების გასანადგურებლად. ბართიშვილი ილიკო, რომელიც მთავრობამ შემოირიგა, კვლავ*

ეწევა ძარცვა-რბევას და არ აპატიმრებენ. რის გამოც თუშებმა დაუწყეს დევნა. ის კი იმუქრება, მოვაგროვებ ყალბ მასალას, მივაწოდებ ხელისუფლების ორგანოებს და ვინც მემუქრება, მათ გადავასახლებინებო“ [**სშსსა,** ფ. 6, ს. 43737: 115]. ცხადია, რომ ილიკო ბართიშვილი მთავრობის სამსახურში იდგა და მის დავალებებს ასრულებდა, რის გამოც მას არ აპატიმრებდნენ. 1948 წლიდან საბჭოთა ხელისუფლებამ მასობრივად დააპატიმრა ის „ლეგალიზებული დეზერტირები“, რომლებიც პროვოკატორებმა მთავრობის დავალებით ჩაითრიეს ახალ ძარცვა-რბევაში [**სშსსა,** ფ. 6, ს. 43737: 98]. საბჭოთა ხელისუფლება თუშეთის საზოგადოების ერთ ნაწილს მეორეს უპირისპირებდა, რასაც თავის სასარგებლოდ იყენებდა.

მალე მთავრობამ დღის წესრიგში დააყენა თუშეთში მოქმედი ორგანიზაციის ლიკვიდაციის საკითხი. ომალოში გაგზავნა თელავის მილიციის წარმომადგენელი კაპიტანი ალხაზოვი. აქ მას დახვდა გამანადგურებელი ბატალიონის უფროსი ხეცურიანი, ხოლო დაღესტნის მხრიდან მათ შეუერთდა შინსახკომის ჯარი კვაშალის მეთაურობით. ვინაიდან ზამთრის პირობებში ძალისმიერი მეთოდებით მოქმედება შეუძლებელი იყო, ალიოშა კვაშალმა ხელშეუხებლობის გარანტიის პირობით არალეგალური ჯგუფის წევრების შემორიგება და მათი რაოდენობის შემცირება გადაწყვიტა. ამ მიზნით მან ომალოდან გომეწარში ორი მოხუცი გაგზავნა: კიმოთე (ბრუდი) თავბერიძე და მიხო გიუნაიძე. სამანელებმა ეს დელეგაცია პირველივე საგუშაგო პუნქტზე დაიჭირეს და ბოჭორნაში დაბანაკებულ შტაბში მიიყვანეს: *„მათ დაჰკითხეს, ბრუდი უფრო თავშეკავებული კაცი იყო, მათთვის საწყენი არაფერი უთქვამს, რაც შეეხება მიხოს, ფიცხი კაცი იყო, პირში მიახალა ყველაფერი და გამოლანძღა“.* ორგანიზაციის წევრებმა იგი მთავრობის მომხრედ ჩათვალეს და კლდეზე გადაჩეხეს. ამით „უფროსებმა“, ალბათ იფიქრეს ხალხი დაშინდება და თქმას ვერავინ გაბედავსო, თუმცა ასე არ მოხდა. უდანაშაულო მოხუცის კლდეზე გადაჩეხვამ ორგანიზაციაში ბზარი გააჩინა [**კურდღელაიძე,** 1983: 117].

მიხეილ გიუნაიძის სიკვდილით დასჯის ფაქტი დეტალურადაა აღწერილი გოგალე ხოხიაიძის დაკითხვის ოქმში. ჩვენების მიხედვით, 1943 წლის იანვარში ორგანიზაციის კრებაზე გაასამართლეს და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს სოფელ ომალოს მცხოვრებ, მეტყევე მიხეილ გიუნაიძეს, როგორც შინსახკომის კაცს და ორგანიზაციის გამცემს. კრების წევრების ხელმოწერის შემდეგ ეჭვმიტანილი

სიკვდილით დასაჯეს. გარდა ამისა, სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს სოფელ ჩიგლაურთას მცხოვრებ ბაგრატ მარწინაიძეს და სოფელ დართლოს სასოფლო საბჭოს თავჯდომარეს, კობა არშაულიძეს, მაგრამ ორგანიზაციის წევრების თხოვნით არ დახვრიტეს. *„მხოლოდ ხელი მოვაწერინეთ ფიცის წიგნს და ამით გადარჩნენ სიკვდილს“* [**სშსსა,** ფ. 6, ს. 43737: 192]. თუშების კეთილგანწყობა ორგანიზაციის ხელმძღვანელების მიმართ თანდათან განელდა და მალე მათ შორის განხეთქილება ჩამოვარდა.

განხეთქილება ორგანიზაციის წევრებს შორისაც გაჩნდა. მათ შორის დაიწყო დაპირისპირება, რამაც გამოიწვია ორგანიზაციის გათიშვა და დაქსაქსვა. ასეთ პირობებში ორგანიზაციამ ვერ შეძლო სიტუაციის შენარჩუნება, დაიწყო ერთმანეთზე შეცდომების გადაბრალება, რამაც ორგანიზაციის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. ასეთმა ურთიერთობამ ორგანიზაციის წევრები კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს და პოლიტიკურ ოპონენტებად აქცია.

ასეთ რთულ პირობებში ალიოშა კვაშალმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თუშეთში მოქმედი პოლიტიკური ჯგუფების დაშლა-განადგურებას. მან ინფორმატორების დახმარებით ორგანიზაციას სუსტი წერტილი მოუნახა, მისი ბრძანებით დააპატიმრეს ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ოჯახის წევრები და აიძულეს ისინი შემორიგებაზე დათანხმებულიყვნენ. კვაშალმა *„სამანის“* წევრები ზოგი დაშინებით, ზოგიც მუქარით თავის მხარეზე გადმოიბირა. გარსევან კურდღელაიძის ცნობით, მთავრობამ დაიწყო თუშეთის ხეობის სოფლების შემორიგება. თავდაპირველად შემოირიგა ჭანჭახოვანის ხუთი სოფელი: ხახაბუ, ჩიგლაურთა, ნაციხარი, ჟველურთა და შტროლთა. მათ გომეწრელებმაც მიბაძეს.

გარდა ამისა, კვაშალმა ჯარი ჩააყენა ომალოში, შენაქოში, დიკლოსა და პირიქითის ხეობის სოფლებში. ორგანიზაციის წევრების დაპატიმრების მიზნით პერიოდულად თავს ესხმოდა ხეობებში თავშეფარებულ სამანელებს, თუმცა უშედეგოდ. ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აგრძელებდა სამანელების დახმარებას. ამავე დროს ორგანიზაციის ხელმძღვანელები ხშირად იცვლიდნენ ადგილსამყოფელს, ზოგჯერ მათი ადგილსამყოფელი თვით ორგანიზაციის წევრებისთვისაც კი უცნობი იყო.

მალე ორგანიზაციისთვის ცნობილი გახდა, რომ გომეწრის ხეობაში მთავრობის ჯარი ახალი შეტევისთვის ემზადებოდა. სამანელები მიხვდნენ, რომ თუშეთში მიმდინარე პროცესების ფონზე შედეგების მიღწევა ერთიანი ძალებითაც ძნელი იქნებოდა. რიცხობრივად ჭარბ მოწინააღმდეგეს, თანაც უკეთესად შეიარაღებულს, ვეღარ გაუმკლავდებოდნენ, ამიტომ მოითათბირეს და გადაწყვიტეს საბოლოოდ ყველას გასცლოდნენ. ამით ისინი, რაც მთავარია, მოსალოდნელი უაზრო მსხვერპლისაგან (მშვიდობიანი მოსახლეობის მხრივ) თავს დაიზღვევდნენ.

თებერვლის სუსხიან დილას სოფ. დოჭოდან აიყარა სამანელთა ხელმძღვანელობა და თოვლიან მთებს შეუდგა. ესენი იყვნენ: ადამ ბობღიაშვილი, არჩილ კიტოშვილი, გიგო ქააძე, მიხეილ იმედიძე, დევანოზ ამირანიძე და ძმები ბუჟაიძეები.

სამანელებმა გეზი კახეთისკენ აიღეს. მათი წამოსვლა თითქოს გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ ვიღაცამ გასცა და ომალოდან სასწრაფოდ მდევარი დაადევნეს, რომელთა შორის იყვნენ: კობა არშაულიძე (დართლოს საბჭოს მდივანი), იორამ ომაიძე, გაბრო ჭაბუკაიძე (დართლოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე), სვიმონ ღუბაქელიძე (ხახაბოდან) და მათე წვერაიძე (შტროლთიდან) [**ნარიმანიძე,** 1991: 4]**.** შეტაკების შედეგად სამანელებიდან ნაწილი დააპატიმრეს, ადამ ბობღიაშვილი, მიხეილ იმედიძე, დევანოზ თავბერიძე კი შეტაკებისას დაიღუპნენ. ადამ ბობღიაშვილისა და მიხეილ იმედიძის ცხედრებს თავები მოკვეთეს და ნივთმტკიცების მიზნით სურათები გადაუღეს, შემდეგ კი თავები კლდიდან გადაყარეს. ეს შემზარავი მკვლელობა საბჭოთა ხელისუფლებამ თავად თუშების ხელით აღასრულა. თელავის მაშინდელმა შინსახკომის უფროსმა, ალიოშა კვაშალმა სამანელების ხელმძღვანელთა მოჭრილი თავები ნივთმტკიცებად გამოიყენა ხალხის დასაშინებლად და ორგანიზაცია *„სამანის“*ბოლო რგოლიც მოსპო, რომელიც თუშეთში ფუნქციონირებდა.

,,სამანის“ ხელმძღვანელი ბირთვის მოსპობის შემდეგ დახვრიტეს ან გადაასახლეს ყველა ის პირი თუ მათი ოჯახის წევრები, რომელთაც შეხება ჰქონდათ მოქმედ არალეგალურ ორგანიზაციასთან. კვაშალმა და მისმა ხალხმა თუშეთის სოფლებში 50 კაცზე მეტი დააპატიმრეს. დაპატიმრებულები ჯერ ომალოს ეკლესიაში გამოკეტეს, რომელიც იმ დროს საწყობად იყო ქცეული, შემდეგ კი ისინი ერთმანეთს

გადააბეს და ფეხით წაიყვანეს თელავში. ორგანიზაცია *„სამანის“* წევრების დაპატიმრების ისტორიას სხადასხვანაირად აღწერენ. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად: 1943 წ.*„5 მარტს ყველა დაპატიმრებული დაამწკრივეს და ბარისკენ მიმავალ თოვლიან-ყინულოვან ბილიკებს გაუყენეს. არჩილ კიტოშვილს ფეხ-წინდა გასცვეთოდა და ფეხშიშველი მიაბიჯებდა. გადამსკდარი ფეხისგულებიდან სისხლი სდიოდა. ხისოში ქალებს შეუნიშნავთ ეს და წინდები და ჩითები გამოუტანიათ, მაგრამ არჩილს არ გამოურთმევია. ამაყი, უტეხი ნებისყოფისა და პროტესტანტული სულის პატრონი იყო 20 წლის ჭაბუკი-პოეტი. „არ მინდა, აბა რად მინდა, რას ვაქნევ მარტო დიდებას, ჟამთა სრბოლაში ჟანგი ხომ ოქროსაც მოეკიდება“ – ეს სიტყვები არჩილმა ექსპრომტად მიახალა კვაშალს თელავში პირველივე დაკითხვის დროს, როცა იგი ცდილობდა ამ რანგის ხალხისთვის დამახასიათებელი ტკბილად მოუბარი ენით გადაებირებინათ ჭაბუკი...“*[**სიმართლე,**1992:6].

ორგანიზაცია *„სამანის“* წევრებისა და მათი ოჯახების დაპატიმრება-დაკითხვის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებითმოგვიანებითთითოეული მათგანი 10 და მეტი წლით შუა აზიასა და ციმბირში გადაასახლეს, საიდანაც ცოტამთუ მოახერხა სამშობლოში დაბრუნება. ისტორიკოსი ვიქტორ რცხილაძე იმოწმებს ე.თოფურიას ნაამბობს, როგორ გამოვიდნენ სიმღერით კამერიდან დახვრეტის წინ ილია ცისკარიშვილი, გიგო ქააძე, დიმიტრი ბაკურიძე და არჩილ კიტოშვილი [**ჩხეიძე,** 1992:5]. ეს იყო საბჭოთა რეჟიმის მიმართმათი შეუდრეკლობისადა პროტესტის კიდევ ერთი ნათელი გამოვლინება.

თუშეთში დაწყებული სამანელების ეროვნული მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლებამ „ბანდიტიზმად“ გამოაცხადა. მათ სამშობლოს მტრები უწოდა და მასობრივი რეპრესიები დაიწყო. თუშეთსა და კახეთის ბარში მოქმედ ანტისაბჭოთა მოძრაობას შეეწირა მრავალი თუში. საარქივო მასალების შესწავლით დადგინდა, რომ თუშეთში საბჭოთა რეპრესიებს ემსხვერპლა 60 კაცზე მეტი, ხოლო ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში – 80 კაცზე მეტი. 1944 წელს თელავის შინსახკომის უფროსის გ. კვაშალის განკრგულებით თელავის რაიფინგანის სახალხო შემოსავლების უფროსმა ინსპექტორმა ილია ჯიჯეიშვილმა მოახდინა არალეგალური ჯგუფების მსჯავრდადებულების ქონების კონფისკაცია. ჩამორთმეული ქონების ნაწილი უსასყიდლოდ გადაეცა ზემო ალვანისა და ქვემო ალვანიში სასოფლო საბჭოებს,

ხოლო ნაწილი მოხმარდა საბავშვო ბაგა-ბაღების საჭიროებას, შრომის უნარმოკლებულების დახმარებას. 1944 წ. 16 ნოემბერს ილია ჯიჯეიშვილის მიერ შედგენილი აქტის თანახმად, მსჯავრდებული ელენე ივანეს ასულ აბაშიძის ქონება უსასყიდლოდ გადაეცა ზემო ალვანის სასოფლო საბჭოს [**კრა,** ფ. 7. ს. 31: 12]. 1944 წ. 25 მაისს ალექსი ივანეს ძე არაბულმა, შედგენილი ხელწერილის საფუძველზე, თელავის შინსახკომისგან მიიღო იმჟამად დაპატიმრებული გიგო ქააძის ცოლის, ნინა იობის ასული ქააძის, კუთვნილი ერთი ძროხა. ხელწერილს ხელს აწერს ზემო ალვანის სასოფლო საბჭოს თავჯდომარე იოსებ როსტიაშვილი [**კრა,** ფ. 7. ს. 31: 17]. 1943 წ. 13 თებერვალს თელავის რაიგანყოფილების მილიციის უფროსმა ლეიტენატმა ავეტიქოვმა სახლის პატრონის, ნატო გაბოს ასული ბობღიაშვილის თანდასწრებით აღწერა აბრამ თედოს ძე ბობღიაშვილის ქონება. აღწერის შემდეგ ოროთახიანი ფიცრული სახლი და საყოფაცხოვრებო ნივთები: მაგიდები, სკამები, კარადები, საწოლები, საკერავი მანქანა, ფარდაგები, ერთი მეწველი ძროხა უსასყიდლოდ გადაეცა ზემო ალვანის სასოფლო საბჭოს. აქტს ხელს აწერს სასოფლო საბჭოს თავჯდომარე მაღალაშვილი [**კრა,** ფ. 7. ს. 31: 29].

მსგავსი დოკუმენტები ინახება კახეთის რეგიონალური არქივში, სადაც განთავსებულია ანტისაბჭოთა ორგანიზაცია *„სამანის“* სიკვდილმისჯილი და გადასახლებული ოჯახებისთვის ჩამორთმეული ქონების მასალები, აქტები და ხელწერილები.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების, კოლმეურნეობების გაუქმებისა დაკერძო საკუთრების აღდგენის მიზნით, თუშეთში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია *„სამანი“*, რომელიც დაკავშირებული იყო როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედ საიდუმლო ორგანიზაციებთან, ისე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ ანტისაბჭოთა ძალებთანდა გერმანელ პარაშუტისტებთან.მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე გერმანელების გამარჯვებებმა მათ საბჭოთა კავშირის დამარცხებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედიჩაუსახა.ბოლშევიზმთან მებრძოლ ჩეჩენ-ინგუშეთის ხალხებთან გაერთიანებასა და მათ ერთობლივ საბრძოლო მოქმედებებს ხელი უნდა შეეწყო გერმანელების გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში, რაც მათ საქართველოს დამოუკიდებლობის

გარანტად მიაჩნდათ.ამავე დროს, გერმანელებთან კავშირს თავიდან უნდა აერიდებინა თუშეთის გადაქცევა ომის პოლოგონად გერმანელების საქართველოში შემოსვლის დროს. ორგანიზაციაში შედიოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი თანასოფლელები, საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესით უკმაყოფილო პირები, წითელი არმიიდან გამოქცეული მებრძოლები და რაიონში მცხოვრები თანამოაზრეები. თუშეთში დაწყებული სამანელების ეროვნული მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლებამ ბანდიტიზმად გამოაცხადა, მათ სამშობლოს მტრები უწოდა და *„დაყავი და იბატონესა“* და მკაცრი რეპრესიული პოლიტიკის გამოყენებით მოძრაობა ჯერ დაშალა, ხოლო შემდეგ გაანადგურა.

თავისუფლებისმოყვარე ქართველთა კიდევ ერთი მცდელობა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა, მათი სრული განადგურებით დასრულდა. მაგრამ მათ ბრძოლას დიდიმნიშვნელობა ჰქონდა. თუშეთში ანტისაბჭოთა ორგანიზაცია *„სამანის“* მოძრაობამ ნათლად დაგვანახა, რომ მიუხედავად მკაცრი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმისა, ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას და კვლავაც აგრძელებდა ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის. ანტისაბჭოთა მოძრაობას თუშეთში უკვალოდ არ ჩაუვლია. ამ მოძრაობამ დატოვა დიდი იდეური მემკვიდრეობა – ქართველი ხალხის დაუმორჩილებლობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი და ის გახდა სტიმულის მიმცემი შემდგომი პერიოდის დიდი ეროვნული მოძრაობისა.

თავიIV.საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაXX საუკუნის 50-80 წლებში

§1.თუშური ცხვარი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

საბჭოთა ხელისუფლებამ თუშეთში განხორციელებულ ძალადობრივი კოლექტივიზაციის მცდელობებს, „განკულაკების“ პროცესს, მასობრივ რეპრესიებს, ანტისაბჭოთა გამოსვლის სისხლში ჩახშობას, XX საუკუნის 30-50-იან წლებშიდაამატა ახალი „მეცნიერული“, კომუნისტური ექსპერიმენტები, რომელსაც შედეგად მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბება და ქვეყნიდან მისიმნიშვნელოვანი ნაწილის მიგრაცია მოჰყვა.

ცნობილია, რომ თუშებმა საუკუნეების მანძილზე ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს მიუსადაგეს და ხალხური სელექციით გამოიყვანეს ცხვრის ჯიში, რომელიც კარგად ეგუება ალპურ და სუბალპურ საძოვრებს,ასევე გამოირჩევა უნიკალური ბიოლოგიური თვისებებით. დროთა განმავლობაში თუშურმა ცხვარმა მიიღო უხეშმატყლიანი მიმართულება. ეს მატყლი მდიდარი ტექნოლოგიური თვისებების გამო გამოიყენება ფარდაგების, ხალიჩებისა და სხვა ძვირფასი ქსოვილების დასამზადებლად. ტრადიციულად, მეცხვარეობა თუშეთის საზოგადოების მძლავრი ეკონომიკის საფუძველსწარმოადგენდა.

სწორედ ასეთი ცხვრის ამოძირკვა განიზრახა გასული საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა მეცნიერებამ. მოსკოვიდან ჩამოვიდა საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული მეცხვარეობის ცენტრალური კომიტეტის წევრი ი. პრილეჟაევი. მან გამოიკვლია საქართველოს მეცხვარეობის ყველა რაიონი, გაეცნო მეცხვარეობის საქმეს და საძოვრების მდგომარეობას. ი. პრილეჟაევის დასკვნით: *„მეცხვარეობის განვითარების გაზათ მიჩნეული უნდა იქნეს დიდი საბჭოთა მეურნეობები, კერძოდ, საბჭოთა მეურნეობა – „უდაბნო“, ხოლო მეცხვარეობის განსავითარებლად, პირველ რიგში, უნდა იქნეს მიღებული ზომები თუშური ჯიშის ცხვრების გასაუმჯობესებლად. თუშური ჯიშის ცხვრის გაუმჯობესება უნდა ხდებოდეს, როგორც სამომშენებლო ეგზემპლარების შერჩევით, ისე თუშური ცხვრისა და სხვა ჯიშის ცხვრების სისხლის არევით...“* [**პრილეჟაევი,** 1929:3]. საბჭოთა ხელისუფლების მიზანი ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობებისა შესწავლა იყო, რაც განაპირობებდა მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის ნორმალურ განვითარებას.

მაღალპროდუქტიული ცხვრის ახალი ჯიშის გამოყვანის საკითხში საბჭოთა მეცნიერებამ ყურადღება მიაქცია თუშურ ცხვარს, რადგან სხვა უხეშმატყლიანიჯიშის ცხვართან შედარებით, თუშური ცხვარი გამოირჩეოდა ხორცისა და ყველის კარგი გემური თვისებებით და მატყლის კარგი ხარისხით. 1932 წელს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს მეცხოველეობის მეურნეობაში საჯიშე შედგენილობის ცხვრის გაუმჯობესების შესახებ. დადგენილების თანახმად თუშური ცხვრის გაუმჯობესება მოხდებოდა *,,ინგლისურ,გრძელბეწვიან ცხვარ ლინკოლნთან მეტიზაციის გზით“* [**კანონთა კრებული,** 1932: 108].

1935 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ საზღვარგარეთიდან შემოიყვანა 147,7 ათასი საუკეთესო ნაზმატყლიანი ცხვარი. მეტიზაციის შედეგად გამოიყვანეს ქართული ცხვრის ჯიში, რომელიც გარეგნულად თუშურ ცხვარს ჰგავდა. მეტის ცხვარს, ნაირბეწვის მსგავსად, მაღალი ხარისხის ერთგვაროვანი კროსბრედული მატყლი ჰქონდა [**აგლაძე, დოღონაძე,** 1941: **152**]. მართალია, მეტისი ცხვარი თუშურ ცხვართან შედარებით მეტს იწონიდა, თუმცა თუშური ხორცივით გემრიელი არ იყო. ეს ჯიში მძიმე კლიმატური პირობების გამო საქართველოში ვერ გავრცელდა.

„კომუნისტური ექსპერიმენტების“ შედეგი იყო გერმანიიდან საქართველოში ცხვრების შემოყვანა. 1941 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ თუშური ცხვრის შემდგომი სრულყოფისთვის შემოიყვანა გერმანული ვიუტერბერგული და შვეიცარიული პრეკოფსის ჯიშის ცხვრები [**მოსაშვილი,** 1941: 252]. მართალია, ორივე ჯიშის ცხვარი შეეგუა მთის ალპურ და სუბალპურ საძოვრებს და შორ მანძილზე გადარეკვას, თუმცა მსხვილი საკოლმეურნეო ფერმის პირობებში წარმოებულმა მეტიზაციამ უნაყოფო და დაბალ პროდუქტიული გახადა ცხვრის ნაწარმი.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული თუშური ცხვრის მეტიზაცია მიუღებელი აღმოჩნდა ადგილობრივი მეცხვარეებისათვის, რაც კარგად დასტურდება კოლმეურნრობის სხდომის ოქმიდან. მაგალითად, 1938 წ. 2 ნოემბერს სოფ. ზემო ალვანის „წითელი წოვათას“ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე ზოოტექნიკომა შალვა ედიშერიძემ აღნიშნა, რომ ,,მეცხოველეობის ჯიშობრივი დარაიონებისათვის ცხვრის ჯიშებიდან შემოსავლიანია რამბულეს ჯიში. ამისთვის პირადი ცხვარი დარჩეს თუშური ჯიშის,

ხოლო მეტიზაციისათვის გამოყენებულ იქნეს ფერმის ცხვარი [**კრა,** ფ. 123, ს. 10: 87]. როგორც ჩანს, თუშები ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა ექსპერიმენტებს და მალავდნენ პირად ცხვრებს.

თუშური ცხვრის საფუძველზე ახალი ჯიშების ჩამოყალიბების მეთოდების რაობა, ნაკლი და უპირატესობანი დაწვრილებით აქვთ განხილული პროფ. დ. აგლაძეს, თ. პაიკიძეს, მ. რჩეულიშვილს, როშჩუპკინს და სხვა მეცნიერებს. ამიტომ ცხვრის ჯიშების გამოყვანის საკითხების გაშუქებას არ გავყვებით, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ თუშური ცხვრის ჰიბრიდიზაციის გზით ახალი ქართული ცხვრის ჯიშის ჩამოყალიბებამ, აგრეთვე რესპუბლიკაში ახლად გამოყვანილი ცხვრის ჯიშებით გატაცებამ, სოფლის მეურნეობა არარენტაბელურ მეურნეობად აქცია.

ამ პროცესს შეეწინააღმდეგა არაერთი მეცნიერი და ზოოტექნიკოსი. 1932 წელს პროფესორმა ილია ჯანდიერმა მარნეულში, მეცხვარეობის მეურნეობაში, დაიწყო სალექციო ექსპერიმენტების ჩატარება მაღალპროდუქტული ქართული ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვრის გამოსაყვანად. მან კარგად იცოდა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და თუშურ ცხვარზე ჩატარებული მრავალი ცდის შემდეგ, შეეწინააღმდეგა საქართველოში განხორციელებულ მეტიზაციის პროცესს. მისი აზრით, მეტიზაცია არ გამართლდებოდა და საქართველოს ალპურ საძოვრებსა და მკაცრ კლიმატს ვერ აითვისებდა 90-100 კგ-იანი ცხვრები. ამასთანავე მოსპობა ემუქრებოდა საუკუნეების მანძილზე გარემო პირობებთან შეგუებულ ადგილობრივ თუშური ცხვრის ჯიშს [**სშსსა,** ფ. 6, ს. 33359: 76]. პროფესორი ილია ჯანდიერი „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს და სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს.

1938 წ. 17 იანვარს შინსახკომის სამეულმა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა თელავის რაიონის სოფ. ქვემო ალვანში მცხოვრებ რეზო მურთაზაშვილს, რადგან იგი მიწათმოწყობის სახ. კომისარიატის უფროსის მოადგილე ვიქტორ გვარამიასთან ერთად შეეწინააღმდეგა საქართველოში ნაზმატყლიანი ცხვრის მოშენებას. იგი ამტკიცებდა, რომ ამ ჯიშის ცხვრის მოშენება არარენტაბელური იქნებოდა [**სშსსა,** ფ. 8, ს. 82: 42]. ზურაბ მურთაზაშვილი თავის მოგონებებში წერს:,, *რეზო მუშაობდა საქ. მესაქონლეობის სამინისტროს მეცხვარეობის მთავრ ზოოტექნიკის თანამდებობაზე. იგი კარგად მუშაობდა ამ საქმეზე. სამინისტრო აგზავნიდა შუა აზიაში, ნოვა-ბუხარაში, ყარაყორუმში, ცხვრის*

ჯიშის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ჯიშიანი ყოჩების და თხების შემორეკვის საქმეზე.მას რა თქმა უნდა ეს საქმე ესმოდა და მიდიოდა კიდეც.მაგრამ ის მაინც იცავდა თავის თუშური ცხვრის უპირატესობას. ის ბევრს წერდა თუშური ცხვრის მატყლის ხარისხზე. თუშურ ცხვართან შეგუებაზე, ბუნებრივ სიძნელეებზე, ჩამორეკილი ჯიშთა ცხვარ-ჭედილა ვერ ეგუებოდა მთის ბუნებას,სტიქიას. ეს ჯიშიანი ცხვარი იყო ტლანქი,მძიმე. აჩნდებოდა დაავადება და იღუპებოდა. [**მურთაზაშვილი**, 1968:54]. მისივე ცნობით, რეზო მურთაზაშვილს ბრალად წაუყენეს დაავადებული ცხვრის ჯიშის შემოყვანა და მესაქონლეობაში ავდმყოფობის გავრცელება. სისხლის სამართლის კოდექსით ისჯებოდა ყველა ის პიროვნება, ვინც წინ აღუდგებოდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ წამოწყებულ სამეცნიერო საქმიანობას.

მიუხედავად წინააღმდეგობებისა, თუშური ცხიმკუდიანი ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრის ჯიშობრივი მეტიზაცია მაინც განხორციელდა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა თუშური ცხვრის ჯიშურ შემადგენლობაზე. XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა მეურნეობა „უდაბნომ“ დაიწყო სალექციო-სანაშენე საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებდა ნაზმატყლიანი და ნახევრად ნაზმატყლიანი მეცხვარეობის მკვეთრ აღმავლობას საქართველოში. 1948 წელს საგარეჯოს რაიონის საბჭოთა მეურნეობა „უდაბნოს“ ზოოტექნიკოსმა არჩილ ნატროშვილმა გამოიყვანა ქართული ნახევრად ნაზმატყლიანი ცხვრის ჯიში, ხოლო 1950 წელს ელდარის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში ზოოტექნიკოსმა ივანე ბაძოშვილმა გამოიყვანა ცხვრის ახალი ჯიში, რომელიც ხასიათდებოდა ნაზი მატყლითა და ცხიმკუდით [გოიშვილი, 2005:91-92].

ნაჯვარი სულადობა ვერ იტანდა მომთაბარე მეცხვარეობის მკაცრ პირობებს და იღუპებოდა. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ 1942-1945 წლების განმავლობაში სოფ. ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მეტისები 1 წლის ასაკამდე იმაზე მეტი დაიხოცა, ვიდრე იმავე პირობებში მყოფი თუშური ცხვარი [**საწარმოო ძალთა,** 1957:80]. მიზეზად უპასუხისმგებლობა და არასაკმარისი მოვლა-კვება დასახელდა.

1952-1954 წლებში განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადა თუშეთის კოლმეურნეობამ. 1954 წელს ზამთარში მკაცრი კლიმატის გამო ცხვრისა და ცხენის

მთელი სულადობა ყალმუხეთში განადგურდა. კავკასიის ზამთრის საძოვრებზე დაიხოცა ყველა ასაკის ცხვარი და იმ წელს მიღებული ნამატი. საარქივო დოკუმენტების მიხედვით, 1954 წელს ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის 40 ათასი სული ცხვრიდან დაღუპვას მხოლოდ 6 ათასი გადაურჩა ანუ დაიღუპა ცხვრის და ბატკნის 65-70% [**კრა,** ფ. 192, ს. 37]. როგორც გაირკვა, მეცხვარეების ფერმები არ იყო სათანადოდ მომზადებული დიდი ყინვისა და ქარიშხლის პირობებისთვის.

აღსანიშნავია, რომ 1947 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებით, თუშებს ჩამოერთვათ შირაქში დილიჩის 12000 ჰა საძოვარი, რადგან ე.წ. „ბერიას დადგენილებით“ საქართველოს თავი უნდა გამოეკვება ხორბლით. ეს ტერიტორია გადახნეს. თუში მეცხვარეები კი თავიანთი ცხვრით გაუყენეს ყიზლარისა და შირვანის გზებს [**პაიკიძე,** 2014: 29]. 1951 წელს თუშებს საზამთრო საძოვრებად გადაეცა ყალმუხეთის ტერიტორიის 100 ათასიჰექტარი ფართობი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა 120 ათასი ცხვრის გამოზამთრება. ცხვრის გადასარეკი გზა ფარსმა-გირევის მთებიდან ჩადიოდა მდ. არღუნის ხეობაში, შემდეგ კვეთდა არღუნს და ქ. გროზნოს გავლით ჩრდილო-აღმოსავლეთის გზით მიემართებოდა ყალმუხეთისკენ [**კრა,** ფ. 192, ს. 30: 17].

1955-1956 წლებში, მთავრობის დადგენილების თანახმად, ყალმუხეთის ტერიტორიიდან ცხვარი გადაიყვანეს მდინარე კუმის მარჯვენა მხარეს, ყიზლარის საძოვრებზე [**კრა,** ფ. 192, ს. 30: 19]. როგორც ვხედავთ, ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების დიდ მანძილზე გადარეკვას (დაღესტანი, შირვანი, ყიზლარი, ელდარ-შირაქი), მეტის ცხვარმა, ვერ გაუძლო და დაიხოცა,

საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა საბჭოთა ხელისუფლებას მეცნიერული შეცდომების დანახვისა და მის გამოსწორებისათვის. 1961 წელს მეტიზაციის ეს პროცესი შეწყდა და დღის წესრიგში წმინდა თუშური ცხვრის აღდგენა-მოშენება გადაწყდა. 1964 წელს თუშური ყოჩმწარმოებლების ბაზაზე დაიწყო ხალასი თუშური ცხვრის ჯიშის აღდგენა. საბჭოთა მეურნეობას თეორიულ და პრაქტიკულ დახმარებას უწევდა ზოოვეტ ინსტიტუტი, კერძოდ, მისი დოცენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსი ბუჩუკური. ამ ცხვრის სრულყოფაზე ანუ ტიპიზაციაზე მუშაობა 10-15 წელი მიმდინარეობდა. ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 1 სანაშენე ფერმა და მიხ ბაზაზე არსებული 19

სანაშენე ბრიგადა, მათში კონცენტრირებული იყო 302 354 სული თუშური ცხვარი, 132 629 ნერბით [**ლაღიაშვილი,** 1990: 107]. მართალია, აღდგა თუშური ჯიშის ცხვარი, მაგრამ ცხვარი იმდენად იყო გადაჯიშებული, რომ საფუძველშივე შერყეული ჯიშისსრულფასოვანი აღდგენა შეუძლებელი გახდა.

ამრიგად, თუშური ცხვრის მეტიზაციის ოცდაათწლიანი პროცესი – *„ნაზმატყლიანი, ცხიმკუდიანი ქართული ჯიშის ცხვრის“* გამოყვანა 1961 წელს შეწყდა იმ მიზეზით, რომ საბჭოთა „მეცნიერულმა ექსპერიმენტებმა“ ვერ გაამართლა. ამ მიმართულებით საბჭოთა ხელისუფლების მიერ წამოწყებული ღონისძიებებიდან (ნაზმატყლიანი, ნახევრადნაზმატყლიანი) თითქმის ყველა განუხორციელებელი დარჩა. მეცნიერულმა ექსპერიმენტებმა გადაჯიშების ზღვრამდე მიიყვანა საუკუნეების განმავლობაში თუშების მიერ გამოყვანილი წმინდა თუშური ცხვრის ჯიში, ხოლო უსისტემო შეჯვარებამ შექმნა სხვადასხვა ნაჯვარი ცხვარი, რამაც დააქვეითა თუშური ცხვრის თვისებები და, შემდეგ სულადობის რიცხოვნობა, ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახა თუშების სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

§2. საქართველო – დაღესტნის საზღვრისპირა პრობლემები

საქართველოს მთის რეგიონი – თუშეთი მუდმივად წარმოადგენდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ბერკეტს ქვეყნის უსაფრთხოების საკითხში. უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ სივრცეში მოქცეული თუშეთი უზრუნველყოფდა რეგიონის სტაბილურობას და იცავდა ქვეყნის ინტერესებს. ქვეყნის ცენტრთან დაშორებულობისა და დაღესტანთან და ჩეჩნეთ-ინგუშეთთან სიახლოვის გამო (თუშეთისტერიტორია ესაზღვრება რუსეთის ფედერაციაში შემავალ დაღესტნისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკებს), თუშეთს უწევდა საკუთარი ძალებით თავისი ტერიტორიის დაცვა, რაც საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების დაცვას უზრუნველყოფდა. საუკუნეების მანძილზე მტრულ გარემოცვაში მოქცეულმა თუშეთმა გაუძლო უამრავ პოლიტიკურ ქარტეხილს და შეინარჩუნა თუშეთისა და შირაქ-სამუხის სასაზღვრო ტერიტორიები.

XX ს. 50-იან წლებში იძულებითი მიგრაციის შემდეგ თუშეთი მოსახლეობისაგან თითქმის დაცარიელდა, ხოლო მთავრობის მიერ უყურადღებოდ დარჩენილ და დაცარიელებულ თუშეთის სასაზღვრო სოფლებშიდაღესტნელებმა დაიწყეს ჩამოსახლება. მათ გადმოჰყავდათ საქონელი, იკავებდნენ საძოვრებს და იქვე სახლდებოდნენ. საარქივო დოკუმენტების მიხედვით,1958-1961წლებში საქართველოსა და დაღესტნის საზღვრებში ცვლილებების შეტანის მცდელობა იყო. ამ ცვლილებების ძირითად მოტივს წარმოადგენდა დაღესტნელების მოთხოვნა, რომ 1945 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული არასწორი გადაწყვეტილებების შედეგად, მათი საზღვრის მიღმა დარჩა სოფელი ჭერო და მიმდებარე ტერიტორია.

1959 წლის ივნისის სტავროპოლის მხარის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო გეოდეზიური მეთვალყურეობის განყოფილების უფროსის, ვ. ფ. კომაროვის წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოს დაღესტნისათვის უნდა დაეთმო თუშეთის დაახლოებით 40 კმ^{2}ტერიტორია: *„ვინაიდან დაღესტნის ასსრ-ს ვუმადის რაიონის ხუშეთის სასოფლო საბჭო ტრადიციულად მომსახურეობას უწევს სოფ. ჭეროს და მის ირგვლივ მდებარე სოფლებს და ხუშეთის კოლმეურნეობის ბრიგადაც სოფ. ჭეროში მდებარეობს“, ამიტომ, მათი აზრით, ,,თუშეთში დაღესტნისათვის საქართველოს უნდა დაეთმო დაახლოებით 40* კმ^2*ტერიტორია“*[**სეა ცსა,**ფ.2119 ან 1, ს. 58: 6]. მათი აზრით, საზღვარი უნდა გავლებულიყო 4086,1 მ. სიმაღლეზე მდებარე მწვერვალიდან სამხრეთით 3702,7 მეტრის სიმაღლის მთასა და შუნ-გალავანის მთის გავლით სოფ. ჭეროს დასავლეთით. შემდეგ საზღვარი გაჰყვებოდა მდ. ანდის ყოისუს და ვევოს ქედის თხემებს [**სეა ცსა,** ფ. 2119 ან 1, ს. 58: 19].ამ მოთხოვნაზე დაღესტნელებმა საქართველოს მთავრობისგან უარი მიიღეს: *„საქართველოს სსრ შსს .... გაუწყებთ, რომ არსებული საზღვარი საქართველოს სსრ დაღესტნის ასსრ-ის შორის, რომელიც ნაჩვენებია რუკაზე მასშტაბით 1:200000, შეთანხმებულია დაღესტნის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან წერილით 29.01.1945 წლიდან და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან 29.03.1949 წელს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ შსს ინიციატივით ორგანიზებულმა კომისიამ, დაღესტნის ასსრ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენლებთან შეთანხმებით, აღმოაჩინა არსებითი უთანხმოება ორ რესპუბლიკას შორის, რის შესახებაც შედგა შესაბამისი აქტი 5.11.58 წლიდან. ამიტომ.*

გთხოვთ, შეათანხმოთ ეს უთანხმოება სსსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან“ [**სეა ცსა,** ფ.2119 ან1, ს.58:8]. ამას მოწმობს არქივში დაცული ტიპოგრაფიული რუკები 1:200 000 და 1:500 000.



რუკა N1

1. **საქართველო-დაღესტნის საზღვარი 1958 წლის 18 ივნისის მდგომარეობით**

ტოპოგრაფიულ რუკაზე კარგად ჩანს 1894 – 1897 წლებში საქართველოსა და რუსეთს შორის დადგენილი საზღვარი, რომელიც ორივე რესპუბლიკის მიერ აღიარებულია 1949 წელს. 1959 წ. 6 ივნისის საქართველოს სსრ შსს გეოდეზიური მეთვალყურეობის უფროსის, გ. ს. შენგელიას, წერილიდან დასტურდება, რომ საქართველოს სსრ გეოდეზიის განყოფილებამ განიხილა სასაზღვრო ტერიტორიის

საკითხი. წერილის მიხედვით, „რუკებზე K – 38-41-42 რესპუბლიკური საზღვარი არ არის დადასტურებული, რადგან საქართველოს სსრ მიწათმოწყობის სამმართველოს მასალების მიხედვით არსებობს სხვაობა, ამიტომ ამ ნომენკლატურების ანაბეჭდები შეადარეთ შესაბამის ორგანოებთან და შეთანხმების შემდეგ კვლავ გამოგვიგზავნეთ“ [**სეა ცსა,** ფ. 2119 ან1, ს. 58: 19]. არქივში დაცული რუკებისა და წერილების შესწავლამ აჩვენა, რომ სტავროპოლის მხარის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო გეოდეზიური მეთვალყურეობის განყოფილება ცდილობდა მოლაპარაკების გზით დაღესტანს გადასცემოდა თუშეთის ვრცელი ტერიტორია, ხოლო საქართველოს მხარე თუშეთ-დაღესტანს შორის არსებული საზღვრის უტყუარობის დასადგენად იყენებდა რესპუბლიკებს შორის ოფიციალურად აღიარებული რუკებს.



რუკა N2

რუკის მიხედვით (დანართი 1), 1959 წელს სტავროპოლის მხარის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო გეოდეზიური მეთვალყურეობის განყოფილებამ საქართველოს მთავრობას მოსთხოვა საქართველოს კუთვნილი ტერიტორიის 40 კმ²გადაცემა, რაზეც საქართველოს სსრ შსს გეოდეზიის განყოფილება არ დაეთანხმა. 1959 წ. 10 აგვისტოს შედგენილი დოკუმენტით დასტურდება, რომ სტავროპოლის მხარის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო გეოდეზიური მეთვალყურეობის განყოფილების მიერ გამოგზავნილი ტოპოგრაფიული რუკა მასშტაბით 1:100 000, ნომენკლატურა 68, რაც ითვალისწინებდა საქართველოს რაიონული საზღვრების საკითხს, საქართველომ არ ცნო და გაუგზავნა დაზუსტებული რაიონული საზღვრების რუკა [**სეა ცსა,**ფ. 2119 ан 1, ს. 58:23].

თუშებს დღესაც კარგად ახსოვთ საბჭოთა კავშირის პირველი პირის, ნიკიტა ხრუშჩოვის, გადაწყვეტილება თუშეთის გასხვისების შესახებ, რამაც საფუძველი მოუმზადა თუშეთის ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიისა და სასაზღვრო საძოვრების დაკარგვის მცდელობას. 1961 წლის სექტემბერში კრემლის დავალებით თუშეთში იმყოფებოდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური. დავალება წინაპირობა იყო იმისა, რომ ნ. ხრუშჩოვს თუშეთის მიწა დაღესტნელებისთვის გადაეცა, სანაცვლოდ დაღესტანი საძოვრებს თმობდა ყვარლის გასწვრივ, კავკასიონის მეორე მხარეს [**როგორ ისარგებლა,** 2020]

„დაღესტნის საზღვართან, თუშეთის მხარეს, ორი სოფელი – ჭერო და ინწუხი თუშ მწყემსებს საზაფხულო საძივრებად ჰქონდათ. ეს ადგილი საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის წინა საუკუნის 80-იანი წლების რუკაზეც საქართველოს ტერიტორიად არის აღნუსხული, ოღონდ სოფლები დაფიქსირებულია არა საცხოვრებლად, არამედ საძოვრებად. იქვე ახლოს კლდეზე, 1920 წლის ჩაჭედებული ნიშანიც არის: „საქართველოს საზღვარი“. 1952 წლამდე ამ სოფლებში დიკლოს კოლმეურნეობას ედგა საქონელი ზაფხულობით და დაქირავებული მწყემსები, დიდოელები უვლიდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც დიკლოს კოლმეურნეობა ქვემო ალვანის მეურნეობას შეუერთდა და იქაურობა მიატოვეს, დიდოელებმა იწყეს

ჩამოსახლება. XX საუკუნის 60-იანი წლებისთვის ორივე სოფელში ცხოვრობდა 7-10 კომლი, 35-40 სულით, თუმცა თუშების მსგავსად არა სეზონურად, არამედ მუდმივ საცხოვრებლად“ [**ასლანიშვილი,** 1998: 6].

სერიოზული დარტყმა იყო საქართველოსთვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და მინისტრათა საბჭოს თავმჯდომარის ნიკიტა ხრუშჩოვის გადაწყვეტილება დაცარიელებული თუშეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის გასხვისების შესახებ. ამ მტკივნეულ ფაქტს თუშები ხშირად იხსენებენ და გამოთქვამენ კეთილგანწყობას ვასილ მჟავანაძის მიმართ: *„საქმე ისე წავიდა, თუშეთი საქართველოს იქნებ სულაც გამოსცლოდა ხელიდან. ხმა გავარდა, დაღესტანმა მოითხოვა მიტოვებული თუშეთი ჩვენ გადმოგვეცით საცხოვრებლადო, ალბათ, მართალი იყო, რადგან 1961 წელს მჟავანაძე და ინაური ამოვიდნენ აქ. ამას მთავრობის დადგენილება მოჰყვა თუშეთში კოლმეურნეობის აღდგენის შესახებ, რათა საკავშირო ხელისუფლებისთვის დაემტკიცებინათ, თუშეთი არ დაცლილა, იქ ცხოვრება გრძელდებაო“* [**ასლანიშვილი,** 1998: 6]. მართალია, საქართველოს იმჟამინდელმა მთავრობამ იხსნა თუშეთი და მას კურორტის მნიშვნელობა მიანიჭა, თუმცა ამ ტერიტორიების დაკარგვის საშიშროება დღესაც არსებობს.

ამრიგად, საქართველო-რუსეთის საზღვარზე თუშეთის გეოსტრატეგიულ მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების არასწორი, ხშირად მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად წარმოებულმა მიგრაციულმა პროცესებმა თუშეთის ტერიტორია მოსახლეობის გარეშე დატოვა, რამაც შექმნა მისი საზღვრისპირა ნაწილის დაკარგვის საფრთხე. ისტორიული მასალა და მასში ასახული მოვლენების განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ცალსახად მიანიშნებს მოსკოვის მცდელობაზე რუსეთის ფედერაციისათვის აღნიშნული ტერიტორიების მიერთების მიზნით. საბედნიეროდ, XX ს. 60-იან წლებში მოხერხდა ამ საფრთხის ლიკვიდაცია, მაგრამ დღეს, ჩრდილოეთიდან მომდინარე მუდმივი აგრესიის პირობებში, საქართველოს ხელისუფლება ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობის წინაშე დგას სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად და სახელმწიფო საზღვრების დასაცავად.

§3. „განახლებული თუშეთი“

XX საუკუნის 60-იან წლებშისაბჭოთა ხელისუფლებამ დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულებრივი საქმიანობის გამოსწორების მიზნით თუშეთში დაიწყო ცალკეული ღონისძიებების გატარება. პირველ რიგში, ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობების, დაზარალებული და შეფერხებული სოფლის მეურნეობის დარგების აღდგენასა და სოფლების რეაბილიტაციას.

1961 წლის სექტემბერში თუშეთში საკავშირო დავალებით იმყოფებოდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი. მათ დაათვალიერეს ისტორიული ძეგლები, გაეცნენ თუშეთის ბუნებრივ პირობებს. ასევე შეხვდნენ ადგილობრივ ხელმძღვანელობასა და საზაფხულო საძოვრებზე მყოფ მეცხვარეებს [**სშსსა,** ფ. 2958, ს. 3: 78-81]. ამის შემდეგ, სულ მალე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება თუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის შექმნის შესახებ, ხოლო მესაქონლეობის განვითარებისა და საზაფხულო საძოვრების ათვისების მიზნით, თორღვას აბანოდან სოფ. ომალომდე უნდა განახლებულიყო სატრანსპორტო გზის მშენებლობა (1933 წელს ლავრენტი ბერიას ინიციატივით საქართველოს საბჭოთა ხელმძღვანელობამ მიიღო დადგენილება თუშეთის გზის მშენებლობის შესახებ. დადგენილების თანახმად, მთავრობამ რამდენიმე მილიონი გამოყო და ერთწლიანი მუშაობის შემდეგ სოფელ ფშავლიდან თუშეთის სოფელ ომალომდე გაიყვანა საცალფეხო ორმეტრიანი გზა. 1949-1952 წლებში კი სამანქანო გზა ლეჩურიდან თორღვას აბანომდე მივიდა), ასევე შიდა გზების მშენებლობა შენაქოსა და დიკლოში. აღნიშნულ სოფლებში დაიგეგმა ელექტრომაბვის, რადიოს, საავადმყოფოებისა და სასტუმროების მოწყობა.

1957-1973 წლებში საქართველოში მიმდინარეობდა კოლმეურნეობების გარდაქმნა საბჭოთა მეურნეობებად. 1961 დეკემბერში ზემო და ქვემო ალვანის კოლმეურნეობებისა და ელდარის საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე შეიქმნა ალვანის საჯიშე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა. დირექტორად დაინიშნა კონსტანტინე ჯამრულიძე. მეურნეობას გადაეცა 65 ჰექტარი, კერძოდ, შირაქის საძოვარი ადგილები, ელდარის სახნავ-სათესი მიწა, ტყე და სხვა ადგილები. ასევე შეიქმნა თუშეთის მეცხოველეობისა და კასრისწყლის საბჭოთა მეურნეობები [**კრა,** ფ. 192, ს.

30: 19-20]. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წ. 18 სექტემბერის # 925 დადგენილებით, კასრისწყალი წითელწყაროს რაიონს გამოეყო და ახმეტის რაიონს შეუერთდა, რადგან კასრისწყლის ტერიტორიაზე, ძირითადად, ცხოვრობდნენ თუშები, ფშავლები და ხევსურები [**კრა,** ფ. 192, ს. 27: 21].მეურნეობების გამსხვილებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საქონლის სულადობაზე, გაძნელდა მათი მოვლა-პატრონობა, რამაც საგრძნობლად შეამცირა მათი რაოდენობა.

თუშეთის მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობა აერთიანებდა რამდენიმე სოფელს, კერძოდ, დიკლოს, შენაქოს და ჭანჭახოვანის კოლმეურნეობებს. ცენტრი იყო სოფელი ომალო, მაგრამ 1962 წელს თუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა კვლავ გაუქმდა და ალვანის საბჭოთა მეურნეობას შეუერთდა [**კრა,** ფ. 192, ს. 30: 35].მიზეზად წლიური გეგმების მიმართ უპასუხისმგებლობა დასახელდა, რამაც გამოიწვია წლის მოსავლიანობის შემცირება და პროდუქციის ხარისხის გაუარესება.

1963 წელს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო *„ნიკიტა ხრუშჩოვის ბარათი – სასოფლო-სამეურნეო წლის პერსპექტივისა და სოფლის მეურნეობის დარგში გადაუდებელი ამოცანისშესახებ“* [**სშსსა,** ფ. 2958, ს. 12: 31]. „ხრუშჩოვის ბარათი“ განსახილველად გადაეცა პარტიულ ორგანიზაციებს. 1963 წ. 19 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება #542*„თელავის რაიონის თუშეთის სოფლებისთვის დახმარების ზოგიერთი ღონისძიებათა შესახებ“*.დადგენილება ითვალისწინებდა თუშეთის სოფლების – ომალოს, შენაქოს, დიკლოს და სხვა სოფლების კეთილმოწყობასა და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. სოფლებში დაიგეგმა ელექტროძაბვის, რადიოს, საავადმყოფოებისა და სასტუმროების მოწყობა. გარდა ამისა, აქ არსებული ბუნებრივი წიწვიანი ტყეებისა და სუბალპური ჰაერის სიუხვიდან გამომდინარე, მიიღეს გადაწყვეტილება, თუშეთისთვის მიენიჭებინათ საკურორტო მნიშვნელობა.

თუშეთის მოსახლეობამ ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და დაცარიელებულ თუშეთს კვლავ დაუბრუნდა. თედო ბაინდურაშვილის მოგონებების მიხედვით, 1964 წ. 1 იანვრის აღრიცხვით ბარში მცხოვრები თუშები სეზონურად, გარკვეულ შემთხვევაში ზამთარშიც, ცხოვრობდნენ თუშეთის ისეთ სოფლებში, რომლებიც უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით გაუქმდა. ეს სოფლებია: კვავლო, ვესტომთა, ჩიღო და სხვა [**კრა,** ფ. 192, ს. 30: 25].აკაკი შანიძის თქმით, 1959

წლის დემოგრაფიული მდგომარეობით ომალოს კოლმეურნეობის 22 სოფელში აღირიცხება 543 მცხოვრები, ზემო ალვანში 4266, ხოლო ქვემო ალვანში კი 2876 [**შანიძე,** 1970:103-106]. ამავე წელს მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებით, თუშეთის კოლმეურნეობის გაუქმება და ხალხის ბარად მიგრირება, თუმცა სეზონური მთა-ბარული ცხოვრება კვლავ გრძელდებოდა.

1973 წელს ახმეტის რაისაბჭოს აღმასკომის თავჯდომარისგიორგიახმეტელის მოხსენებითი ბარათით დასტურდება, რომ 1963 წ. 19 დეკემბრს დაგეგმილი ღონისძიება მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. მაგალითად, განათლების სამინისტროს მიერ ომალოს სკოლა-ინტერნატის შენობის მხოლოდ სახურავი შეკეთდა, მოსწავლეთა საცხოვრებელი შენობა კვლავ სარემონტო დარჩა. ჯანმრთელობის სამინისტრომ სოფელ ომალოში ააშენა ფინური სახლი, სადაც განთავსდა საავადმყოფო და ამბულატორია, მაგრამ სამედიცინო პერსონალისთვის საცხოვრებელი სახლი არ აშენდა, კვლავ მოუწესრიგებელი დარჩა საჰაერო მიმოსვლა, რაც ართულებდა მოსახლეობისა და მწყემსების პროდუქტით მომარაგებას. ასევე მოუწესრიგებელი იყო სასმელი წყლის მიწოდება, ამ მხრივ არაფერი გაკეთდა. ნელი ტემპით მიმდინარეობდა საძოვრებთან დამაკავშირებელი გზების მშენებლობა და სხვა [**კრა,** ფ. 192, ს. 30: 30]. მიზეზად დასახელდა რაიონის ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობა და უყურადღებობა.

1973 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გივი ჯავახიშვილის წინადადებით, თუშეთში არსებული პრობლემების შესწავლა დაევალა ახმეტის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარეს გიორგიახმეტელს. თუშეთის სოფლების წინაშე მდგარი პრობლემების ადგილზე გაცნობა-შესწავლის შემდეგ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება თუშეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის დაჩქარების შესახებ: *„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალოს 1971-1975 წლებში ახმეტის რაიონის აუთვისებელი საძოვრების მასივებზე მისასვლელი საავტომობილო გზების მშენებლობა, სულ 70 კილომეტრი...“* [**კრა,** ფ. 192, ს. 30: 32].1971 წელს განახლებული თუშეთის გზის მშენებლობა წამოჭრილი პრობლემებისა და გარკვეული სირთულეების მიზეზით 1975 წელს ვერ დამთავრდა. ახმეტის რაისაბჭოს აღმასკომის თავჯდომარის მოადგილის თედობაინდურაშვილის

მოხსენებითი ბარათის მიხედვით, 1971-1974 წლებში შეკეთდა თუშეთის გზის მხოლოდ 11 კილომეტრი.

1975 წ. 22 ივნისს თუშეთში იმყოფებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე. 1978 წლის მაისში ის კვლავ ესტუმრა თუშეთს და დაათვალიერა გზის მშენებლობა. მას თან ახლდნენ ზურაბ პატარიძე, ჯუმბერ პატიაშვილი, დავით სარიშვილი, ვლადიმერ გოცირიძე და არსენ კობაიძე. *„სტუმრები ფიცრის ჭალამდე მანქანით მივიდნენ, შემდეგ კი ცხენები მოითხოვეს და ისე გააგრძელეს გზა ხისომდე“* – იხსენებდა ვაჟა ბატიაშვილი [**ფანჯიკიძე,** 1983: 86-87].ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე ხაზგასმით აღნიშნა – *„მაქსიმალურად ავითვისოთ მთის რეგიონის შესაძლებლობანი ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისთვის, ხოლო სახალხო მეურნეობის სამსახურში გამოვიყენოთ მათი მდიდარი ბუნებრივი რესურსები“* [**გაბრიჩიძე,** 1982: 3]. 1978 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება მთის რეგიონის მოსახლეობის მიგრაციის პრობლემების რეგულირებისა და მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

ომალოსკენ მიმავალი გზის მშენებლობა განახლდა 1978 წელს. მშენებლობა დაიწყო *„თბილგვირაბშენის“* მეცხრე ბრიგადამ კახეთის უღელტეხილის გადაღმა, ფიცრიჭალის საცხვრე ხორხიდან ომალოს მიმართულებით. მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ *„თბილგვირაბშენის“* წარმომადგენლები: ა. გალდავაძე, ვ. გოცირიძე, გ. ჯაყელი, *„საქსოფლტექნიკის“* ახმეტის განყოფილების უფროსი ჯერ ვ. თორღვაიძე, მერე ა. მარღიშვილი და მრავალი სხვა [**ფანჯიკიძე,** 1983: 87-88].

„განახლებული თუშეთის“ ბიოგრაფია 1981 წელს დაიწყო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე შეკეთდა სამანქანე გზა, დაიდგა მაღალძაბვიანი დენის ანძები, სატელეფონო და სატელევიზიო კოშკი, აშენდა ხიდები და სხვა. ქვემო ალვანისა და ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე შეიქმნა თუშეთის საბჭოთა მეურნეობა, დირექტორად დაინიშნა ტელმან იჭირაული, ხოლო სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარედ გერმანე სისაური, სასოფლო საბჭოსა და მეურნეობაში

შემავალ თოთხმეტ სოფელში აღირიცხებოდა 41 ოჯახი და ცხოვრობდა 85 კაცი. 1984 წელს ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში ცხოვრობდა 9003, აქედან თუშეთში კი 132 კაცი [**კრა,** ფ. 192, ს. 30: 42]. მოსახლეობის ენთუზიაზმა, მთაში განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა, სატრანსპორტო გზის მშენებლობამ ხელი შეუწყო ვითარების გარკვეულწილად გაუმჯობესებას, ნასოფლარად ქცეული სოფლების, აღდდგენას. ახალი სიცოცხლე დაიბრუნა ცოკალთამ, ხისომ, ჭალამ, ჩიღომ, გირევმა, ვესტმომ და სხვა ადგილებმა, რაც გახდა მნიშვნელოვანი მოვლენა თუშეთის ისტორიაში.

მაგრამ მეურნეობის გაფართოება-განვითარების მიზნით საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული მრავალი ღონისძიებისა, მესაქონლეობა კვლავ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო წელი ზარალით დასრულდა. დაგეგმილი მოგების (6459,8 ათასი მანეთი) ნაცვლად ზარალმა შედგინა 3407,57ათასი მანეთი [**კრა,** ფ. 192, ს. 30: 44].

პროდუქციის წარმოება 1981 წელს

	მარცვალი		**ბოსტნეული**		**ხილი**		**ყურძენი**		**რძე**		**ყველი**	
	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი
ქვემო ალვანი	4997	3467	97.4	109,4	360	365	2350	2404	1390	1340	973	883.1
ზემო ალვანი	4575	3661	102.5	56.2	490	214	2400	1093	1365	1350	991	777
თუშეთი									20,0	12.5		8,9

ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით მესაქონლეობისა და მემინდვრეობის პროდუქტების წარმოება შემცირდა, განსაკუთრებული ზარალით დამთავრდა თუშეთის მესაქონლეობის პროდუქციის წარმოება, რაზეც დიდი გავლენა მოახდინა საქონლის ავადმყოფობამ. 1981 წელს ბრუცელიოზის შედეგად დაზარალდა ზემო და ქვემო ალვანის მესაქონლეობის მეურნეობა.მთლიანად განადგურდა მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა. ზარალით დაამთავრა წელი მეცხვარეობამაც. ცხვრის დიდინაწილი განადგურდა, ზოგი დაიკლა და სახელმწიფოს ჩაბარდა[კრა,ფ.192,ს.30:47].

საერთო პროდუქციის წარმოება 1982 წელს

	საერთო პროდუქცია			**მოგება ზარალი**		**ფონდის ხარჯვა**		
	გეგმა	ფაქტი	წარმოება	გეგმა	შესრულება	გეგმა	ფაქტი	
ზემო ალვანი	3676	2912	79.2	249.2	-1277	2341	1843	
ქვემო ალვანი	3144	1860	59.2	173.1	-577.5	3018	2058	

მოცემული ცხრილის მონაცემები ადასტურებს სოფლის მეურნეობის მდგომარეობას 1982 წლისთვის. მართალია, საბჭოთა პერიოდში თუშეთს მუდამ ჰყავდა ცალკეული წარმატებული პიროვნებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც, საბჭოთა კავშირის სხვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მსგავსად, ძირითადად, ქაღალდზე, გადაჭარბებით ასრულებდნენ გეგმით განსაზღვრულ დავალებებს, მაგრამ რეალური ვითარება იყო სხვა – მკვეთრად დაცემული შრომის ნაყოფიერება, შემცირებული პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი, ინტერეს დაკარგული გლეხი, რომელსაც არ ჰქონდა დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობა.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულებრივი საქმიანობის გამოსწორების მიზნით XX საუკუნის 60-80-იან წლებში თუშეთში დაიწყო ცალკეული ღონისძიებების გატარება, რომლებმაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო აქ ვითარების გაუმჯობესებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას და ნასოფლარებად ქცეული სოფლების აღდგენას. მაგრამ ამ ყველაფერს მაინც მოჩვენებითი ხასიათი ჰქონდა. არსებითი კი იყო ის, რომ XX საუკუნის 50-80-იანი წლების „კომუნისტურმა ექსპერიმენტებმა“ და საბჭოთა ხელისუფლებისარასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მთლიანად შეცვალათუშეთის სოფლის მეურნეობის ეკონომიკური სტრუქტურა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა თუშეთის ტრადიციული დარგი, მეცხვარეობა, უპერსპექტივო დაარარენტაბელური გახადა, იძულებითმა მიგრაციულმა პროცესებმა კი მოსახლეობის გარეშე დარჩენილი გეოსტრატეგიულ სივრცეში მოქცეული თუშეთის ტერიტორიები მეზობელი რესპუბლიკის დაინტერესების ობიექტად აქცია. ტერიტორიული დანაკარგების თავიდან არიდება საქართველოს იმჟამინდელი ხელმძღვანელობის ძალისხმევისა და მოსახლეობის ენთუზიაზმის საფუძველზე მოხერხდა. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა გადამწყვეტ მამოძრავებელ ძალას, რის საფუძველზეც თუშეთის

საზოგადოებამ გაუძლო ტოტალიტარული რეჟიმის პირობებს, ასე თუ ისე შეინარჩუნა ტრადიციული მეურნეობის დარგები, დაიცვა სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვარი და შეძლებისდაგვარად შეაჩერა მიგრაციული პროცესები.

თავი V. თუშეთის საგანმანთლებლო და კულტურული ვითარებაXX საუკუნის 20-80-იან წლებში

§1. განათლება

XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ცენტრალიზებული კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება, რომელიც საბჭოთა კავშირის ისტორიაში „კულტურული რევოლუციის“ სახელითაა ცნობილი. ის ითვალისწინებდაეროვნული, ტრადიციული ღირებულებების მოსპობასა და „საბჭოთა ადამიანის“ აღზრდას. საბჭოთა ხელისუფლებისთვის განათლება გახდა მთავარი იდეოლოგიური იარაღი. სავალდებულო საყოველთაო განათლებამ მოიცვა მთელი საქართველო, მათ შორის, თუშეთიც.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, XIX საუკუნიდან მოყოლებული, თუშეთის საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევდა სკოლების გახსნასა და სწავლა-აღმზრდელობით საქმიანობას. დავით პავლიაშვილის ცნობით:,,ზემო ალვანის სკოლა თიანეთის მაზრაში ერთად ერთი სკოლაა, რომელიც დირექციას ეკუთვნის. ეს სკოლა დიდი ხანია რაც დაარსდა (1864წელს). სკოლის გამგედ ითვლება ალ. ბობღიაშვილი, მასწავლებლად ქადაგიძე, ხოლო სამღვთო სჯულისა მღვ. იონინი. გასულ სამოსწავლო წელს ზემო ალვანის სკოლაში სწავლობდა 106 მოსწავლე ქალი და ვაჟი(76 ვაჟი და 30 ქალი). სწავლება ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლის პროგრამაზე სწარმოებს“ [**პავლიაშვილი**, 1903:2] ზემო ალვანის სკოლებისა და მასთან დაკავშირებული პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის აბრამ შავხელიშვილი თავის ნაშრომში [**შავხელიშვილი,** 2019:207]. მისი კვლევის მიხედვით, სოფლის მოსახლეობის სახსრებით 1870 წელს დაარსდა პირველი სკოლა, რომლისმასწავლებლები იყვნენ: ალექსი ბობღიაშვილი და თეოფილაქტე კანდელაკი,ხოლო1900 წელს *„ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“* შემწეობით ალვანის *„სამების“* ტერიტორიაზე გაიხსნა სასოფლო სკოლა, თუმცა სწავლას მონდომებული მოსწავლეების კონტინგენტს ვერ იტევდა სკოლის შენობა, ამიტომ სკოლებს დაქირავებულ სახლებში ხსინდნენ. ისაკი ლაგაზიძისა და ნიკო აფშინაშვილის სახლში გახსნილი იყო სკოლა, სადაც სოფლის ბავშვები სწავლობდნენ. სწორედ ამან განაპირობა ახალი სკოლის მშენებლობა. მოსახლეობის სახსრებით და პავლე ჯემოშვილის ხელმძღვანელობით სოფლის ცენტრში 1913

წელსგაიხსნაახალი სკოლა, სადაც არაერთი ახალგაზრდა აღიზარდა და მიიღო შესაბამისი განათლება. ამავე პერიოდში ანდრია თურქოშვილის ხელმძღვანელობით აშენდა პირიქითის სკოლა,რომელიც 1927 წელს შვიდწლიან სკოლად გადაკეთდა **[შავხელიშვილი,** 2019:207-208]**.** საისტორიო წყაროებშიც კარგად ჩანს, რომ თუშები განათლებისა და აღზრდის საკითხებს დიდი ყურადღებას აქცევდნენ.

1919-1920 წლების მონაცემებით, თელავის მაზრის 78 მასწავლებლიდან ზემო ალვანის წოვის პირველი სკოლის მასწავლებლები იყვნენ: ალექსი ბობღიაშვილი, პავლე მაჩაბლიშვილი, გიორგი ოჟილაური, მეორე სკოლის მასწავლებელი იყო მარიამ ბახუტაშვილი, პირიქითის სკოლის მასწავლებელი – დიმიტრი მაჩაბლიშვილი, ხოლო ქვემო ალვანის – ალექსი მოზაიძე [**სეა ცსა,**ფ.1921,ს.28:7]. დასახელებული მასწავლებლებიდან 1939 წელს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, მარიამ ვასილის ასულ ბახუტაშვილს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა.

1922 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა საბჭოთა საგანმათლებლო-სასკოლო სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა სახალხო სკოლების გახსნასა და საყოველთაო განათლების სისტემის დანერგვას. სწორედ ამ პერიოდში, ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის სოფლების გაშენების პარალელურად დაიწყო სკოლების მშენებლობა.1925 წელს ზემო ალვანში დაარსებული ორი ოთხწლიანი სკოლიდან ერთი1927 წელსშვიდწლიან სკოლად გადაკეთდა, 1937 წელს კი საშუალო სკოლად,რომლის ღირსეული პედაგოგი დახელმძღვანელი იყო გიორგი ქადაგიძე, თბილისის ანტისაბჭოთა ორგანიზაცია *„სამანის“* წევრი.1965 წელსკვლავ განახლდა სკოლის შენობა და იმავე სკოლის ეზოშიახალი სკოლააშენდა.

ამ სკოლაში აღიზარდნენ ის ღირსეული და პატრიოტი ახალგაზრდები, რომელთაც უარი არ თქვეს თავიანთ მრწამსზე და ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს საბჭოთა ხელისუფლებას. მიუხედავად მკაცრი რეპრესიებისა, თუშეთის საზოგადოებამ არჩილ კიტოშვილის (სკოლის პირველი კურსდამთავრებული) და ადამ ბობღიაშვილის ლიტერატურული შემოქმედება შემოინახა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

რაც შეეხება ზემო ალვანის მეორე დაწყებით სკოლას, 1972 წელს სკოლის ტერიტორიაზე აშენდა ახალი სკოლის შენობა და იმავ ეწელს გაიხსნა არასრული

საშუალო სკოლა (V-VIII კლასები). ძველ შენობაში კი ისევ დაწყებითი კლასები დარჩა (I-IV). 1987 წელს კი ამავე სკოლის ეზოში აშენდა # 2 საშუალო სკოლა.

ზემო ალვანში პირველი ქოხსამკითხველო აშენდა 1926 წელს.მისი პირველი ხელმძღვანელი იყო ილია ნატროშვილი, შემდეგ კი ტასო შავხელიშვილი.XX საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ სოფელში ფუნქციონირებდა ოთხი ბიბლიოთეკა.

1900 წელსქვემო ალვანში *„ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისა“* და ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით გაიხსნა სკოლა. დავით პავლიაშვილის ცნობით: ,, ყველა სგნების მასწავლებლად ითვლება ნ. თოიძე, გორის საოსტატო სემინარიიდან, ხოლო სკოლის მზრუნველად ნიკოლოზ მურთაზაშვილი. სულ სამოსწავლო წელს სწავლობდა 47 მოწაფე(39 ვაჟი და 6 ქალი). სწავლება ერთ-კლასიან სამრევლო სკოლის პროგრამაზე სწარმოებს...“ [**პავლიაშვილი**, 1903:4].1903 წლიდან სკოლის მასწავლებელი იყო ეკატერინე ლუკავსკაია, ხოლო 1917 წლიდან საწავლო-აღმზრდელობით საქმიანობა დაიწყო ხარიტონ მურთაზაშვილმა. ზურაბმურთაზაშვილის გადმოცემით,*„პედაგოგიური ხარისხის მოპოვების შემდეგ ხარიტონ მურთაზაშვილმა მუშაობა დაიწყო ქვემო ალვანის დაწყებით სკოლაში, სადაც I-II კლასებს ეკატერინე ლუკავსკაია ასწავლიდა, ხოლო – III-IV კლასებს ხარიტონი. ეკატერინე ლუკავსკაიას ახმეტის სკოლაში გადასვლის შემდეგ, 1922 წლამდე ხარიტონი მარტო უძღვებოდა პედაგოგიურ საქმიანობას. სკოლაში ასწავლიდა მათემატიკას, ქართულ, რუსულ ენებსა და ლიტერატურას. 1926 წელს კი ქვემო ალვანში გაიხსნა ოთხწლიანი დაწყებითი სკოლა, რომლის მასწავლებლები იყვნენ: ირაკლი ელანიძე, თედო ბაკურიძე, ბაგრატ ელანიძე და ვალიკო ხეცურიანი“* [**მურთაზაშვლი,** 1961:36]. 1938 წელს სკოლა რვაწლიან, ხოლო 1953 წელს საშუალო სკოლად გადაკეთდა. სკოლის დირექტორი ჯერ ალექსანდრე გესლაიძე იყო. შემდეგ კი ალექსი ბახტურიძე. ამ სკოლაში სწავლობდნენ: მწერლები გურამ რჩეულიშვილი და პლატონ ბექურიძე, ენათმეცნიერი და ფილოლოგი გიორგი ცოცანიძე, ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, პრფესორი თედო უთურგაიძე.

1981 წელსქვემო ალვანშიაშენდა ახალი სკოლა, რომლის დირექტორებიც სხვადასხვა დროს იყვნენ: ალექსი ბახტურიძე, თინათინ თორღვაიძე, იური მრელაშვილი. ზემო და ქვემო ალვანის სკოლებში სხვადასხვა დროს პედაგოგიურ

საქმიანობას ეწეოდნენ შესანიშნავი აღმზრდელ-პედაგოგები, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანესმრავალი თაობისაღზარდა-განათლებაში.

XX საუკუნის 30-იან წლებამდე მთათუშეთში სწავლა-განათლებას ყურადღება არ ექცეოდა. გეოგრაფიულად იზოლირებულ მთიან რეგიონში ჭირდა სკოლების გახსნა და ლიტერატურით მომარაგება. ამ კუთხით თუშები ძალიან ჩამორჩებოდა ბარს. თუმცა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ თუშები ყოველთვის გამოირჩეოდა თვითმყოფადი კულტურით, ნიჭით, გონებრივი გამჭრიახობით, ისინი თავიანთ ყოფა-ცხოვრებას, სულიერ განწყობას, მსოფლმხედველობას ასახავდნენ პატარ-პატარა მოთხრობებში, ზეპირსიტყვიერ პოეზიასა და მუსიკალურ ფოლკლორში. თუშეთის მდიდარი ლიტერატურული შემოქმედება, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობას, დღესაც საზოგადოებისა თუ მკვლევრების დიდდაინტერესებას იწვევს.

XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ყურადღება მიაქცია მთაში მცხოვრები თუშების სწავლა-განათლებას. ამ პერიოდის საგაზეთო სტატიებში გამოქვეყნებული წერილებიდან ირკვევა, რომ სწავლა-განათლების მხრივ თუშეთი ჩამორჩენილია, არ აქვთ ქოხ-სამკითხველო და შესაბამისი ლიტერატურა. მაგალითად, გაზეთში *„ახალი სოფელი“* დაიბეჭდა ვაქსო ლეკაიძის სტატია, სკოლებისა და ბიბლიოთეკებისგახსნასთან დაკავშირებით: *„ამჟამად თუშეთში ათას ხუთასამდე კომლი ცხოვრობს, მთელი ეს კუთხე სწავლა განათლების მხრივ მეტად ჩამორჩენილია, არ გვაქვს სკოლა და ქოხ-სამკითხველო“*[**ლეკაიძე,**1925:**6**]. აღნიშნული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით, თელავის მაზრის განათლების განყოფილებამ გაგზავნა მასწავლებლების ჯგუფი: მიხეილ აივაზაშვილი, ალექსანდრე შიუკაშვილი და გიორგი ელისაბედაშვილი. 1927 წელს თუშეთის სოფლებში: დართლოს,დიკლოს, ომალოსა და შენაქოში გაიხსნა დაწყებითი სკოლები. ომალოს სკოლის გახსნას ესწრებოდა თელავის მაზრის პირველი მდივანი გიორგი ელისაბედაშვილი. 1929 წელს კი გაიხსნა ომალოს სკოლა-ინტერნატი, რომელიც 1938 წელს რვაწლიან სკოლა-ინტერნატად გადაკეთდა. მასში სწავლობდა 160 მოსწავლე [**თიმ,** ფ.3928,ს.79:16]**.** სხავადასხვა დროს ომალოს სკოლის დირექტორები იყვნენ: გიორგი მელითაური, დავით კირვალიძე და ივანე მაჩაბლიშვილი.გიორგი მელითაურის გადმოცემით, 1925 წლამდე თუშეთში არც

სკოლებიიყო და არც სასოფლო საბჭო, ხევისბერები იყვნენ ხალხის ბატონ-პატრონი, საბჭოთა ხელისუფლებამ გაითვალისწინა ხალხის ინტერესები და გახსნა სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, საშუალო სკოლა, ინტერნატი და კოოპერატიული განყოფილება, სადაც ახალგაზრდები ხელსაქმეს ეუფლებოდნენ [**თიმ,** ფ.3928, ს.79:23]. თუშეთის სკოლის მასწავლებლებიდან ცნობილია: ირაკლი ელანიძე, ელენე მაყაშვილი, სამანელები ივანე მაჩაბლიშვილი, ვახტანგ ცისკარიშვილი და არჩილ კიტოშვილი.

1931 წელს სწავლა-განათლების გავრცელების მიზნით სკოლები გაიხსნა თუშეთის სხვა სოფლებშიც, კერძოდ, ჟველურთაში, დოჭოში, ჩიღოში, ფარსმაში, ჯვარბოსელსა და დართლოში. თუშეთში საგანმათლებლო საქმიანობას ართულებდა ის გარემოება, რომ მკაცრი კლიმატური პირობების გამო სკოლებს ვერ უზრუნველყოფდნენ სათანადო რესურსებით და სწავლა ძირითადად, ზაფხულში მიმდინარეობდა. ასევე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სკოლებისთვის შენობები დასასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობდა დაქირავებულ საცხოვრებელ სახლებში. სერგი მაკალათიას ცნობით, *„ზამთარში სწავლა მიმდინარეობს მხოლოდ სამ სოფელში: ომალოს, შენაქოსა და ჩიღოში. სკოლები მოუწყობელია და არ აქვთ შენობა, მთელ თუშეთში მხოლოდ ჩიღოში აშენდა სკოლა, სადაც მეცადინეობა არის შესაძლებელი... თუშეთში არის ორი ქოხ-სამკითხველო და რადიო სოფელ ომალოსა და ჩიღოში, რომელსაც თუშები დიდი ინტერესით უსმენენ“* [**მაკალათია,** 1933: 107-108]. თუშეთში საგანმანთლებლო საქმიანობამ სეზონური ხასიათი მიიღო, რაც განაპირობებდა განათლების მიღების სირთულეს.

თელავის მაზრის განათლების განყოფილება ზრუნავდა თუშეთის სკოლის მოსწავლეების განათლებაზე. ხშირად სკოლის კურსდამთავრებულები ჩამოჰყავდათთელავში და აცნობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. გიორგი მელითაურის პირადი არქივიდან ცნობილი, რომ 1935 წელს ივანე მაჩაბლიშვილმა მთიდან თელავში ჩამოიყვანა 20 მოსწავლე, მათ დაათვალიერეს თელავის ღირშესანიშნაობები, ჩაუტარდათ ფიზიკისა და ქიმიის გაკვეთილები [**თიმ,** ფ.3928, ს. 79: 27]. ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ყოველ წელს თუშეთის ათამდე კურსდამთავრებული აგრძელებდა უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს1963 წ. 19 აგვისტოს #542 დადგენილების თანახმად, 1973 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მოსახლეობის სასწავლო-საგანმანათლებლო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, განახორციელა ომალოს სკოლა-ინტერნატის აღდგენითი სამუშაოები, რის შედეგადაც სოფელში მცხოვრები 100 მოსწავლე შეძლებდა განათლების მიღებას [**კრა,** ფ. 192, ს. 28: 7].

სწორედ საბჭოთა პერიოდში აღიზარდა არაერთი სახელოვანი მეცნიერი (ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი), მწერალი, პოეტი თუ საზოგადო მოღვაწე, რომელთაც დიდ წარმატებას მიაღწიეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის განვითარებაში. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საბჭოთა სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემამ ხელი შეუწყო თუში ახალგაზრდების ღრმა და საფუძვლიან განათლებას, მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლინებას.

ამრიგად, თუშეთის საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევდა სწავლა-აღზრდის საქმეს. საკუთარი სახსრებით აგებდა სკოლებს და შეძლებისდაგვარად ღირსეულ განათლებას აძლევდა ახალგაზრდა თაობას. ამ მხრივ, გეოგრაფიული იზოლირებულობის გამო, თუშეთში არასახარბიელო ვითარება იყო, სადაც სიტუაცია შეიცვალა გასაბჭოების შემდეგ. საყოველთაო საგანმანათლებლო პოლიტიკა დადებითად აისახა საზოგადოების განვითარების პროცესზე. მართალია, საბჭოთა ხელისუფლებისთვის განათლება წარმოადგენდა მთავარ იდეოლოგიურ იარაღს ეროვნული, ტრადიციული ღირებულებების მოსპობისა და „საბჭოთა ადამიანის“ აღზრდის საქმეში, მაგრამ თუშების გამორჩეულმა ნიჭიერებამ, გონებრივმა გამჭრიახობამ, თვითმყოფადმა კულტურამ, საბჭოთა ხელისუფლების სუბიექტური მისწრაფებების მიუხედავად, ობიექტურად განაპირობა თუშეთის საზოგადოების განათლების მაღალი დონე.

§2 კულტურა

XX საუკუნეში თუშეთს მრავალი სამეცნიერო ექსპედიცია სტუმრობდა. ამ მხარის თავისებურებების,მატერიალურ-კულტურული ძეგლების, ტრადიციებისა და

ფოლკლორის შესახებ მრავალი მეცნიერული ნაშრომი და საგაზეთი სტატია დაიწერა.თუშეთი ყოველთვის იპყრობდა ტურისტთა ყურადღებას. აქ სტუმრად მოდიოდნენ ამერიკელი თუ იტალიელი არქიტექტორები, ქართული ენის თუშური დიალექტითა და წოვა-თუშური ენის შესწავლით დაინტერესებული ენათმეცნიერები, რომლებიც აღფრთოვანებულები იყვნენ თუშეთის არქიტექტურული ძეგლებითა და ბუნების სილამაზით.

1932 წელს საქართველოს მთიელთა კულტურული საზოგადოებისა და საქართველოს მუზეუმის მიერ მოეწყო სამეციერო-ეთნოგრაფიული ექსპედიცია თუშეთში. ექსპედიციის მიზანი იყო ,,ძველი და ახალი თუშეთის“ შესწავლა, კერძოდ, თუშეთის ეკონომიკის ძირითადი დარგის – მესაქონლეობის ინდივიდუალური მეურნეობის შესახებ მასალების შეგროვება, მატერიალური ძეგლების შესწავლა და მათი ყოფისთვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა. [**ქრონიკა**.., 1932:4]. თუშეთში პირველი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ექსპედიცია შედგა პროფესორ ვერა ბარდაველიძისა და გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით. ეს საექსპედიციომუშაობა მიმდინარეობდა 1931, 1949, 1957, 1965 და 1966 წლებში. გათხრების შედეგად აღმოაჩინეს უძველესი რწმენა-წარმოდგენის ამსახველი საკულტო-რიტუალური ძეგლები და საყოფაცხოვრებო ნივთები [**ბარდაველიძე**, 1985:7]. 1931 წელს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლელთა განყოფილების ხელმძღვანელ შოთა მიქელაძის დავალებით შედგა ეთნოგრაფიული ექსპედიცია. მისი წევრები იყვნენ: სერგი მაკალათია, ხალხური სიტყვიერების შემკრები და ჩამწერი – ირაკლი ელანიძე და ფოტოგრაფი გიორგი ცაგარელი. მათ შეისწავლეს თუშეთის ეთნოგრაფიულ-ისტორიული ყოფა-ცხოვრება და ლინგვისტიკა.

1975 წელს თუშეთში მოეწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის რუსუდან დოლაბერიძის ხელმძღვანელობით. არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა შენაქოს ახლოს, ნიშტაყოს ბორცვზე, სადაც გამოვლინდა გვიან ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნივთები.

თუშეთის ფოლკლორის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების

ექსპედიციას პროფესორ შალვა ასლანიშვილის ხელმძღვანელობით. 1947 წელს ექსპედიციამ შეისწავლა თუშურ კილოკავებით შესრულებული სიმღერები. ასევე ფონოგრამით ჩაწერა 30 სიმღერა, მათ შორის, *„დალაობა“, „ლაშარის“, „მეცხვარის“* სიმღერები, რამდენიმე *„საცეკვავო“* და სხვა [**კოკილაშვილი**,1947:2].]. ასევე საყურადღებოა 1979 წელს სოსო ჩხაიძის რეჟისორობით გადაღებული 3 -სერიანი ფილმი *,,თუში მეცხვარე“.* ფილმი გერმანიის ქალაქ მანჰაიმში ჩატარებულ 30-ე საიუბილეო საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზის მფლობელი გახდა.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან თუშეთის საზოგადოება აქტიურად ჩაერთო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. მრავალ სხვა ღონისძიებასთან ერთად, თუშეთის სოფლებში დაიწყო სამუზეუმო საქმიანობა.

1963 წელს ისტორიკოს ილია ცისკარიშვილისა და ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობით ზემო ალვანში შეგროვდა მთის ყოფისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული მასალა, ხელოვნების ნიმუშები და საყოფაცხოვრებო ნივთები. იმავე წელს მხატვარ ილია მიქელაძის ხელმძღვანელობით სკოლაში გაიხსნა ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც განთავსდა შეგროვილი ექსპონატები, კერძოდ, თიხისა და ბრინჯაოს ნივთები, სამეურნეო და საომარი იარაღები, მეომრის ჯაჭვის პერანგი, ხის მუსიკალური საკრავები, შალის საქსოვი დაზგა და სხვა. აქვეა განთავსებული ტრადიციული სამოსი, ხალიჩები, საოჯახო ნივთები, ფოტო-სურათები, სადაც აღბეჭდილია ეროვნული კულტურისათვის დამახასიათებელი მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორიები. მუზეუმში ინახება სოფლის სამების ეკლესიიდან წამოღებული ძველი საეკლესიო წიგნები, აქვეა 1802 წლით დათარიღებული მიწის ნასყიდობის ორი სიგელი, რომლებიც სიგელი მუზეუმს გადასცა ივანე ჯამარიშვილმა [**გოგოჭური,** 1974: 4]. წლების მანძილზე მუზეუმს ხშირად სტუმრობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები.

1969 წელს აკადემიკოსმა ილია ვეკუამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნა საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია, რომელმაც მიზნად დაისახა მთის მოსახლეობის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების შეგროვება და მეცნიერული შესწავლა. აკადემიკოს თენგიზ

ონიანის ხელმძღვანელობით კახეთის სამეცნიერო ჯგუფის წევრებმა შეისწავლეს ზემო ალვანის სამუზეუმო ექსპონატები და მიიღეს გადაწყვეტილება მისი მხარეთმცოდნეობის მუზეუმად გარდაქმნის შესახებ, სადაც განთავსდებოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის კულტურისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი ყოფითი მასალები [**ფაილოძე**,2000:9], თუმცა ადგილობრივი ხელმძღვანელობის გულგრილი დამოკიდებულების შედეგად მუზეუმის გაფართოება ვერ მოხერხდა. ამჟამად სამუზეუმო ექსპონატები ინახება ზემო ალვანის პირველი სკოლის შენობაში.

1976 წელს ქვემო ალვანის ადგილობრივი საზოგადოების ინიციატივით შეგროვდა ისტორიული წარსულის ამსახველი სამუზეუმო სიძველეები. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის გერმანე სისიაურსა და ალბერტ მიშიძეს. მათ კვლევის ფარგლებში მთასა და ბარში მოიძიეს უამრავი სამუზეუმო ექსპონატი და არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები. იმავე წელს ქვემო ალვანში ადგილობრივი ეთნოგრაფიული მასალის ბაზაზე დაარსდა მუზეუმი. აქ განთავსებული კულტურისა და ხელოვნების მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშები თუშეთის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მაჩვენებელია. 1984 წ. 14 აპრილს ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნით მუზეუმი ალავერდის საკათედრო ტაძრის ეზოში განთავსდა და ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ეწოდა. 1990 წელს ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების მიზეზით მუზეუმი ჯერ ქვემო ალვანის მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაში გადმოიტანეს, შემდეგ კი კულტურის შენობაში. დღეს მუზეუმს უამრავი ტურისტი თუ დამთვალიერებელი სტუმრობს და მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. სხვადასხვა დროს მუზეუმის დირექტორები იყვნენ: ივანე უთურგაიძე, ირა ელანიძე და ნანა ელიბოშვილი.

1958 წელს რაიონული გაზეთ *„ბახტრიონის“* რედაქცია ბახტრიონის ისტორიული მნიშვნელობის საკითხით დაინტერესდა და დაუკავშირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიკოსებს: შოთა მესხიას და დავით გვრიტიშვილს, რომელთაც გაზეთ *„კომუნისტში“* გამოაქვეყნეს სტატია ბახტრიონის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ (**მესხია, გვრიტიშვილი, ასათიანი, 1959 :3].** საკითხით დაინტერესდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის

თავჯდომარის იოსებ ჩოდრიშვილის მიერ ადგილის შესწავლის შემდეგ გადაწყდა ბახტრიონის კეთილმოწყობა.

1959 წლის ივლისში ბახტრიონის აჯანყების 300 წლის იუბილეს აღსანიშნავად საზეიმო ვითარებაში ჩატარდა ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ: გიორგი ლეონიძე, ლევან გოთუა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზაალგელდიაშვილი, მარჯანიშვილის თეატრისა და კინოს მსახიობები,კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები. 1965 წელს ბახტრიონის აჯანყების გმირების უკვდავსაყოფად დაიდგა ძეგლი [**კრა,** ფ. 192, ს. 28: 7].თუშეთის საზოგადოებამ კი ტრადიციულ დღესასწაულად გამოაცხადა და ბახტრიონისგმირის, ზეზვა გაფრინდაულის ხსოვნის აღსანიშნავად სახალხო დღესასწაული *„ზეზვაობა“* დააწესა,რომელიცყოველი წლისმაისში ტარდება.

1981 წელს შეიქმნა თუშეთის ეროვნული ნაკრძალი. მისი ფართობი შეადგენდა 12.505 ათას ჰექტარს და მოიცავდა ზღვის დონიდან 1500-2000 მეტრის ფარგლებში განლაგებულ სხავადასხვა სარტყლის ტყეებს [**კრა,** ფ. 192, ს. 28: 8]**.** იმავე წელს თუშეთის, ბაწარისა და ბაბანეურის ეროვნული ნაკრძალების ბაზაზე შეიქმნა ახმეტის სახელმწიფო ნაკრძალი, რომლიც მოიცავდა 16.310 ჰექტარს.

1981 წლის 11 ივლისს თუშეთის საავტომობილო გზის გახსნასთან დაკავშირებით, ომალოში საზეიმოდ აღინიშნა *„თუშეთობის“* დღესასწაული. პირველ ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით. ღონისძიებაზე ტრადიციული წესით ჩატარდა ლუდის სმასა და მშვილდ-ისრის სროლაში შეჯიბრი, დაწესდა მწყემსების დაჯილდოების ტრადიცია – *„მწყემსის დღე“*. იგი თუშეთის ტრადიციად იქცა და დღესაც მრავალი სტუმარი ჰყავს მას.

1988 წ. 4 სექტემბერს ეთნოგრაფის, ნუგზარ იდოიძის ხელმძღვანელობით ომალოს სასოფლო საბჭოს შენობაში გაიხსნა ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც მან წარმოადგინა სამუზეუმო ექსპონატები, კერძოდ,მთიელთა საოჯახო ნივთები, ფარდაგები,საბრძოლო დაშრომის იარაღები, ჭურჭელი. ასევე აღსანიშნავია XIXსაუკუნისგერმანელი მოგზაურის, გოტფრიდ მერცხბახერის მიერ გადაღებული სოფელ ომალოს იშვიათი ფოტომასალა (1892 წელს მან პირველმა დალაშქრა თუშეთის მწვერვალები, კერძოდ, დაქუეხი, ქომიტო, დანოს მთა, ბიჭეხი და დიკლოს

მთა), აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასექსპედიციის ფოტოები. გიორგი ჩიტაიაXX საუკუნის 30-იან წლებში ხელმძღვანელობდა თუშეთში მოქმედ ეთნოგრაფიულ ექსპედიციას და სხვა [**გეგეჭკორი:** 1983: 123]. მუზეუმის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი, საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე პავლე გილაშვილი, ასევე მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები, უცხოელი ტურისტები, მათ შორის იყო ცნობილი გერმანელი კინორეჟისორი საბინა პროიშოფი.

ომალოს კესელოს კოშკთან მოწყობილ ამფითეატრში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ვახუშტი კოტეტიშვილის ხელმძღვანელობით შედგა პოეზიის საღამო, სადაც ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: მუხრან მაჭავარიანმა, მურმან ლებანიძემ, ხუტა ბერულავამ, რეზო ამაშუკელმა, იოსებ ლონგიშვილმა. დასასრულს თუშეთის საპატიო მოქალაქის დიპლომი და სამახსოვრო ჯილდო გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მარიამ ლორთქიფანიძეს, მწერალ გურამ ფანჯიკიძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარეს პავლე გილაშვილს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს ოთარ ჩერქეზიას [**გრძელიშვილ**ი, 1988:6]. დღეს სამუზეუმო ექსპონატები წარმოდგენილია კესელოსციხე-კოშკში და მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ამრიგად, თუშეთის საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის შესწავლამ დაგვანახა, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიუხედავად, მას პროგრესული ხასიათი ჰქონდა, რამაც ხელი შეუწყო თუშების განათლების დონის ამაღლებას დაკულტურის სხვადასხვადარგის განვითარებას. ამასთან ერთად, თუშებმა შეინარჩუნეს მდიდარი ტრადიციული მემკვიდრეობადა მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს განათლებისა და კულტურის შემდგომ განვითარებას. თუშეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმებში დაცული სამუზეუმო ექსპონატების შესწავლით დასტურდება, რომ ამ მხარეს აქვს მდიდარი და მრავალმხრივ განვითარებული ისტორიული წარსული და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ მნიშნელოვან კერას.

დასკვნა

1. XVIII საუკუნის დასასრულს, გარდა გომეწრისა და პირიქითის ხეობებისა, თუშები საკუთრებაში ფლობდნენ კახეთის ბარის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას: კერძოდ, პანკისის ხეობას, ალვანის ველებს, ლოპოტის ხეობას, საძოვარ ადგილებს სოფელ ფშავლიდან ნაფარეულამდე, ელდარ-შირაქისა და „ალონის“ ველ-მინდვრებს. მთიდან ბარში თუშების ჩამოსახლება განპირობებული იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო-თავდაცვითი ფაქტორებით.
2. XIX საუკუნეში მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად კახეთის ბარში, კერძოდ, პანკისის ხეობის, ზემო და ქვემო ალვანის ტერიტორიაზე კავკასიის მთის მოსახლეობის (ქისტები, ოსები, ფშავლები, ხევსურები) დასახლებამ და მესაქონლეობისათვის განკუთვნილი საძოვარი ადგილების სამეურნეო დანიშნულებისათვის ათვისებამ თუშების ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიის გარკვეული ნაწილის დაკარგვა გამოიწვია. ამ პროცესმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გეოგრაფიულ ფაქტორებთან ერთად განსაზღვრა თუშების მიგრაციის დაჩქარება კახეთის ბარში. ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციამ და ახალ ცხოვრებაზე გადასვლამ შეცვალა თუშების საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური სტრუქტურა და საფუძველი ჩაუყარა ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის მთა-ბარული სისტემის ჩამოყალიბებას.
3. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თუშეთში მიწათსარგებლობის სისტემისაგან განსხვავებით, რომელიც ეფუძნებოდა გვაროვნულ-თემური წესით მიწის განაწილებას, მესაქონლეობამ სავაჭრო-სასაქონლო ხასიათი მიიღო. მესაქონლეობის კერძო-მესაკუთრული ცხოვრების პირობებში თუშეთის საზოგადოებამ მარტივად შეძლო კაპიტალისტური ურთიერთობის პროცესში ძალების კონცენტრაცია და ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარება-გაფართოება, ხოლო მესაქონლეობის მთა-ბარულმა სისტემამ და შირაქის საძოვარი მიწების ათვისებამ გააძლიერა და რენტაბელურ დარგად ჩამოაყალიბა

მეცხვარეობა, რაც დადებითად აისახა თუშების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

4. ეკონომიკური დაწინაურება შესამჩნევი გახდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის, „ნეპის“, პერიოდში განხორციელებული სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების ლიბერალიზაციის საფუძველზე, რომელიც ეფუძნებოდა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების განვითარებას. თუშეთის საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მესაქონლეობის კერძო-მესაკუთრული ცხოვრების პირობებში მარტივად მოხდა ძალების კონცენტრაცია და ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარება-გაფართოება, რამაც მესაქონლე გლეხთა გააქტიურებული საქმიანობის შედეგად თუშეთის საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესება განაპირობა. გლეხები აქტიურად ერთიანდებოდნენ იმ პერიოდში საქართველოში შექმნილ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებსა და ამხანაგობებში და ავითარებდნენ თავიანთ მეურნეობას.

5. თუ „ნეპის“ პერიოდში დაშვებულმა კოოპერატიულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო თუშეთის საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, XX ს. 20-იანი წლების ბოლოდან ვითარება შეიცვალა, რომლის მიზეზიც სოფლის ძალდატანებითი კოლექტივიზაცია იყო. XXსაუკუნის 20-30-იან წლებში თუშეთის ბარში საკოლმეურნეო მშენებლობა გამწვავებული დაპირისპირების პირობებში წარიმართა, რამდენიმე ეტაპად განხორციელდა და დასრულდა 1937 წელს. ეკონომიკურად ძლიერი სოფლის საზოგადოების ნაწილი საბჭოთა საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესში „კლასობრივ მტრად“ გამოცხადდა და მათი ექსპროპრიირებული საკუთრების საფუძველზე შეიქმნა კოლმეურნეობები, რომლებიც „აქტიურად“ ჩაერთვნენ „სოციალისტურ მშენებლობაში“. თუმცა, იძულებით შექმნილი კოლმეურნეობების სტაბილურობა ვერ შენარჩუნდა.

6. XX საუკუნის 30-იან წლებში თუშეთის საზოგადოებამ საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიკური რეფორმის „საბჭოური მეთოდების“

შედეგად კახეთის ბარის ვრცელი ტერიტორია დაკარგა, ხოლო საქართველოში გატარებულმა აგრარულმა რეფორმამ *„მიწის თანაბრად განაწილების შესახებ“*,დააჩქარა მთიდან ბარში, კერძოდ, ალვანის ტერიტორიაზე თუშების ეტაპობრივი მიგრაცია, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა თუშეთის საზოგადოების გამიჯვნა -მთასა და ბარში მცხოვრები თუშები. კახეთში კერძო საკუთრებაში არსებული მიწების ნაციონალიზაციისა და მოსახლეობას შორის მისი თანაბრად განაწილების შედეგად გაშენდა სამი სოფელი – ლალისყური, ზემო ალვანი და ქვემო ალვანი. ეს პროცესი ეთნიკური და საყოფაცხოვრებო დაპირისპირების ნიადაგზე განხორციელდა. XX საუკუნის 30-იან წლებში დაწყებული ინტენსიური მიგრაციული პროცესები გაგრძელდა შემდეგაც.

7. XX ს. 40-50-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მცდელობა თუშეთის კოლექტივიზაციისა, რომლის დროსაც ის მიმართავდა მეურნეობების გამსხვილებას, ქონების ექსპროპრიაციას, მოსახლეობის მძაფრი წინააღმდეგობის შედეგად, ფაქტობრივად, მარცხით დამთავრდა. თუშეთში კოლექტივიზაციის წარუმატებლობა განპირობებული იყო მთის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურით, „სათუშოს“ ტრადიციის არსებობით. ეს უკანასკნელი საფუძველშივე უპირისპირდებოდა საბჭოთა ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც რადიკალური აგრარული რეფორმების გატარებით ცდილობდა ისედაც მკაცრ პირობებში მცხოვრები გლეხების დასუსტებას და ინდივიდუალური მეურნეობის ხარჯზე კოლმეურნეობების შექმნასა და განმტიცებას. სწორედ საბჭოთა ეკონომიკური რეფორმების შედეგი იყო თუშეთში სოფლის მეურნეობის არარენტაბელურ დარგად გადაქცევა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დამძიმება, მთიდან ბარში მისი მიგრაცია და თუშეთის საზოგადოების ანტისაბჭოთა განწყობა, რომელიც განსაკუთრებით გამოვლინდა და ფართო ხასიათი მიიღო მეორე მსოფლიო ომის დროს.

8. XX საუკუნის 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები თუშეთში, უპირველეს ყოვლისა, შეეხო მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც

კოლექტივიზაციის პროცესით იყო უკმაყოფილო. საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაგეგმილი საკოლმეურნეო რეფორმა სოფლად გლეხების სოციალურ-ეკონომიკურ გათანაბრებას, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას და სოციალური დასაყრდენის შექმნას ითვალისწინებდა. ის განხორციელდა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების კონფისკაციისა და საზოგადოებრივი მეურნეობების მშენებლობის გზით. საბჭოთა ხელისუფლებამ საკოლმეურნეო მშენებლობის კვალდაკვალ ძირითადი დარტყმა მიაყენა თუშეთის საზოგადოების ეკონომიურად ძლიერ ფენას, რომელსაც ქონება საკუთარი შრომით ჰქონდა შექმნილი და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ეკონომიკური ლიბერალიზაციის პროცესში კიდევ უფრო განმტკიცდა. სწორედ ამ კატეგორიის გლეხობა გამოცხადდა „კლასობრივ მტრად“ და მათ წინააღმდეგ საბჭოთა სახელმწიფოს რეპრესიული მანქანა ამოქმედდა, მოხდა მათი „განკულაკება“. კატეგორიებად დაყოფილი მდიდარი გლეხების ნაწილი გადაასახლეს იმპერიის შორეულ რეგიონებში, ნაწილი, ოჯახთან ერთად, ქონების კონფისკაციის შემდეგ, სოფლის გარეთ გაასახლეს, ნაწილს ქონება ჩამოართვეს. პოლიტიკური რეპრესიების ინსტრუმენტები იყო დახვრეტა, დაპატიმრება, შრომა-გასწორების ბანაკებში გამწესება, გადასახლება, საცხოვრებელი ადგილიდან გასახლება, უძრავ-მოძრავი ქონებისა და საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

9. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების, კოლმეურნეობების გაუქმებისა და კერძო საკუთრების აღდგენის მიზნით, თუშეთში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „სამანი“, რომელიც დაკავშირებული იყო როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედ საიდუმლო ორგანიზაციებთან, ისე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ ანტისაბჭოთა ძალებთან და კავკასიაში მყოფ გერმანიის შეიარაღებულ ძალებთან. მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე გერმანელების გამარჯვებებმა მათ საბჭოთა კავშირის დამარცხებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი ჩაუსახა. ბოლშევიზმთან მებრძოლ ჩეჩენ-ინგუშებთან გაერთიანებასა და

ერთობლივ საბრძოლო მოქმედებებს ხელი უნდა შეეწყო გერმანელების გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში, რაც მათ საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტად მიაჩნდათ. ამავე დროს, გერმანელებთან კავშირს თავიდან უნდა აერიდებინა თუშეთის გადაქცევა ომის პოლიგონად გერმანელების საქართველოში შემოსვლის დროს. ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „სამანის“ საქმიანობაში უშუალოდ თუ არაპირდაპირ მონაწილეობდა თუშეთის მთელი საზოგადოება, თუმცა განსაკუთრებით აქტიურობდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი ადამიანები, საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესით უკმაყოფილო პირები, წითელი არმიიდან გამოქცეული მებრძოლები.

10. თუშეთი გახდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთან საქართველოს ანტისაბჭოთა მოძრაობის დამაკავშირებელი რგოლი. სამანელები გაერთიანდნენ საერთო კავკასიურ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაშიც და მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისია იტვირთეს კავკასიაში მყოფ გერმანიის შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირების საქმეში.

11. თუშეთში დაწყებული სამანელების ეროვნული მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლებამ ბანდიტიზმად გამოაცხადა, მათ სამშობლოს მტრები უწოდა და სასტიკი რეპრესიული მეთოდების გამოყენებით (ეჭვმიტანილების დაკითხვა-დაპატიმრება, მათი სუსტი წერტილების პოვნა, გადაბირება, დახვრეტა, დეპორტაცია და ა.შ) ჯერ დაშალა, შემდეგ კი გაანადგურა.

12. თუშეთში სამანელების წინააღმდეგ საბჭოთა რეპრესიები 60-ზე მეტ პიროვნებას შეეხო, ორ ეტაპად განხორციელდა 1943-1944 და 1948-1950 წლებში და საბჭოთა რეპრესიული მანქანის ტრადიციულ ინსტრუმენტებთან ერთად (დახვრეტა, დაპატიმრება, გადასახლება ციმბირსა და შუა აზიაში, ქონების ექსპროპრიაცია), დაღუპულებისათვის თავის მოჭრის ბარბაროსული რიტუალიც იქნა გამოყენებული მოსახლეობის დაშინების მიზნით.

13. დამარცხების მიუხედავად, სამანელების ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მოძრაობამ ნათლად დაგვანახა, რომ მიუხედავად მკაცრი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმისა, ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას და კვლავაც აგრძელებდა ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის. თუშების ანტისაბჭოთა მოძრაობას უკვალოდ არ ჩაუვლია. მან დატოვა დიდი იდეური მემკვიდრეობა – ქართველი ხალხის დაუმორჩილებლობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი და გახდა სტიმულის მიმცემი შემდგომი პერიოდის დიდი ეროვნული მოძრაობისა.

14. „საბჭოთა ექსპერიმენტებმა“ გადაჯიშების ზღვრამდე მიიყვანა საუკუნეების განმავლობაში თუშების მიერ გამოყვანილი წმინდა თუშური ცხვრის ჯიში, დააქვეითა მისი თვისებები და შეამცირა სულადობა, ხოლო 60-70-იან წლებში კოლმეურნეობების მსხვილ საბჭოთა მეურნეობებად ჩამოყალიბებამ, მეურნეობების ერთგვარმა გამსხვილებამ, უარყოფითი გავლენა მოახდინა საქონლის სულადობაზე, გააძნელა მისი მოვლა-პატრონობა, რამაც საგრძნობლად შეამცირა მათი რაოდენობა. ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახა თუშების სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

15. საბჭოთა ხელისუფლებამ დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულებრივი საქმიანობის გამოსწორების მიზნით XX საუკუნის 60-80-იან წლებში თუშეთში დაიწყო ცალკეული ზედაპირული ღონისძიებების გატარება, რომლებმაც კარდინალურად ვერ შეცვალა, მაგრამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო აქ ვითარების გაუმჯობესებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას და ნასოფლარებად ქცეული სოფლების აღდგენას.

16. „კომუნისტურმა ექსპერიმენტებმა“ და საბჭოთა ხელისუფლების არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მთლიანად შეცვალა თუშეთის სოფლის მეურნეობის ეკონომიკური სტრუქტურა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა თუშეთის ტრადიციული დარგი, მეცხვარეობა, უპერსპექტივო და არარენტაბელური გახადა. მწარმოებლური ეკონომიკა ტურიზმით ჩანაცვლდა.

17. საბჭოთა ხელისუფლების არასწორი, ხშირად მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად წარმოებულმა მიგრაციულმა პროცესებმა თუშეთის ტერიტორია მოსახლეობის გარეშე დატოვა, რამაც შექმნა მისი საზღვრისპირა ნაწილის დაკარგვის საფრთხე. ისტორიული მასალა და მასში ასახული მოვლენების განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ცალსახად მიანიშნებს მოსკოვის მცდელობაზე რუსეთის ფედერაციისათვის აღნიშნული ტერიტორიების მიერთების მიზნით. საბედნიეროდ, XX ს-ის 60-იან წლებში საქართველოს ხელისუფლების მცდელობებისა დათუშების ენთუზიაზმის საფუძველზე მოხერხდა ამ საფრთხის ლიკვიდაცია. სწორედ მოსახლეობის ენთუზიაზმი წარმოადგენდა გადამწყვეტ მამოძრავებელ ძალას, რის საფუძველზეც თუშეთის საზოგადოებამ გაუძლო ტოტალიტარული რეჟიმის პირობებს, ასე თუ ისე შეინარჩუნა ტრადიციული მეურნეობის დარგები, დაიცვა სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვარი და შეძლებისდაგვარად შეაჩერა მიგრაციული პროცესები.

18. XX საუკუნის 20-80-იან წლებში განხორციელებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკამ, საბჭოთა ხელისუფლების სუბიექტური მისწრაფებების მიუხედავად, ობიექტურად ხელი შეუწყო თუშების განათლების დონის ამაღლებას, მის ინტელექტუალურ საზოგადოებად ჩამოყალიბებას. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, როგორც თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებაში, ისე მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის განვითარებაში. საბჭოთა „სოციალისტური რეალიზმის“ ხანაში აღზრდილმა თუშეთის ცნობილმა მეცნიერ-მკვლევარებმა, ენათმეცნიერებმა, მწერლებმა, პოეტებმა თუ სხვა პროფესიების წარმომადგენლებმა თავიანთი ფასდაუდებელი შემოქმედებითი თუ სამეცნიერო ნაშრომებით, ინტელექტუალური მოღვაწეობით, გმირული თავდადებით წარუშლელი კვალი შეიტანეს საქართველოს ისტორიაში.

ბიბლიოგრაფია

ა) საარქივო მასალა

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი

1. სეა ცსა, ფ. 26, საქმე # 1421.
2. სეა ცსა, ფ.488, საქმე # 23016.
3. სეა ცსა, ფ.393, საქმე# 37.
4. სეა ცსა, ფ.392, საქმე #22.
5. სეა ცსა, ფ.393, საქმე. #36.
6. სეა ცსა, ფ. 2119 ან1, საქმე # 58.
7. სეა ცსა, ფ. 1921, საქმე #28.
8. სეა ცსა. გიორგი ბოჭორიძის პირადი არქივი. ფ.1753. საქმე # 94.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი

9. საქართველოს შსს არქივიI,ფ. 6, საქმე #421575,
10. საქართველოს შსს არქივი I, ფ. 6, საქმე #20285-60.
11. საქართველოს შსს არქივი I, ფ. 6, საქმე # 21111.
12. საქართველოს შსს არქივი I, ფ. 6, საქმე #21725.
13. საქართველოს შსს არქივი I, ფ. 6, საქმე #43737.
14. საქართველოს შსს არქივი I,ფ. 6, საქმე #421927.
15. საქართველოს შსს არქივი I, ფ. 6, საქმე #421562.
16. საქართველოს შსს არქივი I,ფ. 6, საქმე #46191.
17. საქართველოს შსს არქივი I, ფ. 6, საქმე 33359, შინსახკომის დაკითხვის ოქმი.
18. საქართველოს შსს არქივი I,ფ. 8, საქმე #82.
19. საქართველოს შსს არქივი II,ფ. 2958, საქმე #3.
20. საქართველოს შსს არქივი II,ფ. 2958, საქმე #12.

21. კრა, ბაინდურაშვილის პირადი არქივი, ფ. 192, საქმე #1.
22. კრა, ბაინდურაშვილის პირადი არქივი, ფ.192, საქმე #28.
23. კრა, ბაინდურაშვილის პირადი არქივი,ფ.192, საქმე #1.
24. კრა, ბაინდურაშვილის პირადი არქივი,ფ. 192, საქმე #29.
25. კრა, ბაინდურაშვილის პირადი არქივი,ფ. 192, საქმე # 30.
26. კრა, ფ. 6. საქმე #6.
27. კრა, ფ. 6, საქმე #4.
28. კრა, ფ. 6, საქმე #8.
29. კრა,ფ. 6, საქმე #11.
30. კრა, ფ. 6, საქმე #28.
31. კრა,ფ. 6, საქმე #28.
32. კრა, ფ. 6. საქმე #18.
33. კრა, ფ. 6, საქმე #18.
34. კრა, ფ. 6,საქმე #21.
35. კრა, ფ. 6, საქმე #27.
36. კრა, ფ. 6, საქმე #28.
37. კრა, ფ. 7, საქმე #18.
38. კრა, ფ. 6, საქმე #24.
39. კრა, ფ. 6, საქმე #28.
40. კრა, ფ. 7, საქმე #27.
41. კრა, ფ. 6, საქმე #31.
42. კრა, ფ. 6, საქმე #18.
43. კრა, ფ. 6, საქმე #27.
44. კრა,ფ. 6, საქმე #28.
45. კრა,ფ. 6, საქმე #16.
46. კრა,ფ. 7, საქმე #13.
47. კრა, ფ. 123, საქმე #1.
48. კრა, ფ. 69, საქმე #1.

49. კრა, ფ. 68, საქმე #1.
50. კრა, ფ. 72, საქმე #1.
51. კრა, ფ. 71, საქმე #1.
52. კრა, ფ.123, საქმე, #2.
53. კრა, ფ.123, საქმე, #3.
54. კრა, ფ.123, საქმე, #3.
55. კრა, ფ.123, საქმე, #4.
56. კრა, ფ.123, საქმე, #5.
57. კრა, ფ.123, საქმე, #5.
58. კრა, ფ.123, საქმე, #8.
59. კრა, ფ. 6, საქმე #12.
60. კრა, ფ. 6, საქმე #18.
61. კრა, ფ.7, საქმე #10.
62. კრა, ფ.7, საქმე #10.
63. კრა, ფ.6, საქმე #23.
64. კრა, ფ.6, საქმე #28.
65. კრა, ფ.6, საქმე #26.
66. კრა, ფ. 6, საქმე #31.
67. კრა, ფ.6, საქმე #34.
68. კრა, ფ.7. საქმე # 31.
69. კრა, ფ.6, საქმე #46.
70. კრა, ფ.7, საქმე #23.
71. კრა, ფ.72, საქმე, # 1.
72. კრა, ფ.74, საქმე, # 1.
73. კრა, ფ.75, საქმე, # 1 .
74. კრა, ფ.94, საქმე, # 1 .
75. კრა, ფ. 76, საქმე #1.
76. კრა, ფ. 73, საქმე #1.
77. კრა, ფ. 94, საქმე #1.
78. კრა, ფ. 74, საქმე #1.

79. კრა, ფ. 75, საქმე #1.
80. კრა, ფ. 75, საქმე # 3.
81. კრა, ფ. 94, საქმე #16.
82. კრა, ფ. 94, საქმე #19.
83. კრა, ფ. 75, საქმე # 4.
84. კრა, ფ. 74, საქმე #1.
85. კრა, ფ. 75, საქმე #5.
86. კრა, ფ. 94, საქმე #26.
87. კრა, ფ. 94, საქმე #32.
88. კრა, ფ. 94, საქმე #33.
89. კრა, ფ. 94, საქმე #35.
90. კრა, ფ. 94, საქმე #39.
91. კრა, ფ. 94, საქმე #51.
92. კრა, ფ. 6, საქმე #32.
93. კრა,ფ. 6,საქმე #31.
94. კრა, ფ. 7, საქმე#28.
95. კრა, ფ. 7, საქმე#29.
96. კრა,ფ.6, საქმე #28.
97. კრა, ფ. 6,საქმე #31.
98. კრა, ფ. 7, საქმე # 26.
99. კრა, ფ. 7, საქმე # 27.
100. კრა, ფ. 6, საქმე # 29.
101. კრა,ფ. 7, საქმე #31.
102. კრა, ფ. 123, საქმე #10.
103. კრა, ფ.6, საქმე #18.
104. კრა, ფ.6, საქმე #27.
105. კრა, ფ. 7, საქმე #13.
106. კრა,ფ.6, საქმე #28.

თელავის ისტორიული მუზეუმი

107. თიმ,გიორგი მელითაური, თუშეთს სოფლებში სკოლების გახსნის შესახებ. ფონდი 3928,საქმე #79.

პირადი არქივები

108. მურთაზაშვილი, ზურაბი. მურთაზაშვილების გვარის წარმომავლობის, თუშეთში გადმოსახლების და ცხოვრების შესახებ XVIII-დან დღემდე. 1961 წელი.საოჯახო არქივი.

ნარატიული წყაროები

109. ბატონიშვილი ვახუშტი, 1973 – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ,,ქართლის ცხოვრება“, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., ,,საბჭოთა საქართველო“, 1973.
110. **Еристов**, 1855 – Еристов, Р. Записки Кавказского отдела Императорского русского исторического общества, О Тушино-Пшаво-Хевсурском Округе. Кн. III. 1855.
111. **Мачабели**, 1887 – Мачабели, М. Экономический бит государственных кяестян Тианетского уезда Тифлисской губернии. ,,Материалы для изучуния экономического быта госудаяственных кяестъян Закавкакого края“, т. V, 1887.

გამოცემული დოკუმენტური წყაროები

112. კანონთა და განკარგულებათა კრებული.“კომუნისტი“, თბ., 1932.
113. საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. თბ., საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემა. ტ. IV, 2019.

სამეცნიეროლიტერატურა

114. **აგლაძე, დოღონაძე, გოთოშია, 1941** – აგლაძე დ., დოღონაძე თ.,გოთოშია მ., დამატებითი გამოკვლევანი მატყლის სინაზის გამოსარკვევი ობიექტური მეთოდის შესახებ.შრომითი კრებული.საქ. სახ. ზოოტექნიკური-სავეტერინო ინსტიტუტი.თბ.: "საქველმოქმედო", 1941,III.
115. **ბარდაველიძე, 1985** –ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები თუშეთი, თბ.;''მეცნიერება", 1985, II.
116. **ბენდიანიშვილი, 1965** – ბენდიანიშვილი ა., აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში, თბ.:"მეცნიერება", 1965.
117. **ბენდიანიშვილი, 1971** – ბენდიანიშვილი ა., სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრები საქართველოში. თბ.:"მეცნიერება", 1971.
118. **ბოჭორიძე, 1993** – ბოჭორიძე გ., თუშეთი. თბ.; ''მეცნიერება",1993.
119. **ბურდული, დაუშვილი, ჯალაბაძე, მღებრიშვილი,** 2018 – ბურდული მ., დაუშვილი ა., ჯალაბაძე ნ., მღებრიშვილი ლ. ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო კულტურა მისი განვითარების პერსპექტივები (კახეთის რეგიონის ისტორიულ- ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ.; ''უნივერსალი",2018.
120. **ბუქურაული, 2019** – ბუქურაული დ., კიდევ ერთხელ თუშებისა და თუშეთის შესახებ. თბ.: "მწიგნობარი", 2019.
121. **გეგეჭკორი,1983** –გეგეჭკორი ა., ღრუბლებს ზევით თუშეთია.თბ.:''საბჭოთა საქართველო", 1983.
122. **გიგაშვილი-გოცირიძე,2014**–გიგაშვილი-გოცირიძე ქ. წოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პროფილი, თბ.: "გრიფონი", 2014.
123. **გოიშვილი, 2005** –გოიშვილი ბ., მოგესალმებით თუშებო. თბ.: ''საზოგადოება ცოდნა", 2005.
124. **დაუშვილი, 2016**–დაუშვილი ა., კულაკები საქართველოში. თბ.: ''უნივერსალი",2016.

125. **ელანიძე, 1988** – ელანიძე ვ., თუშეთის ისტორიის საკითხები. თბ.: ''თბილისის უნივერსიტეტი", 1988.

126. **თეთვაძე, 2021** – თეთვაძე ნ., XX საუკუნის 40 იანი წლების ეროვნული მოძრაობა (სამანელები) 2021.

127. **თოფჩიშვილი, 2017**– თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბ.: 2017.

128. **თოფჩიშვილი, 2010** – თოფჩიშვილი რ., საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. თბ.: "უნივერსალი", 2010.

129. **ითონიშვილი,2012** – ითონიშვილი ვ., თუშეთი და თუშები. თბ.; ''უნივერსალი", 2012.

130. **ითონიშვილი, 2013** – ითონიშვილი ვ., გიორგი ბოჭორიძე (ეთნოგრაფიული დაკვირვებანი). თბ.: ''თბილისი", 2013,

131. **იუკურიძე, 1997** – იუკურიძე დ., თუშთა შეთქმულება. თბ.: ''თბილისი",1997.

132. **კვერენჩხილაძე, 2017** – კვერენჩხილაძე რ.,წამების გზა.თბ.: ''უნივერსალი", II, 2017.

133. **კვერენჩხილაე, 2011** – კვერენჩხილაძე რ., საბუთები ღაღადებენ. თბ.:''უნივერსალი", 2011.

134. **ლაგაზიძე, 1968** – ლაგაზიძე ვ., თუშეთის ისტორიულ – ეთნოგრაფიული წარსულიდან (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად),1968.

135. **მაკალათია**, 1933 – მაკალათია ს., თუშეთი. თბ.: ''ნაკადული", 1933.

136. **მაკალათია, 1983** – მაკალათია ს., თუშეთი. თბ.: ''ნაკადული", 1983.

137. **მოსაშვილი, 1941** – მოსაშვილი ს., ვიუტემბერგული ჯიშით თუშური ცხვრის მეტიზაციის საკითხისთვის. შრომითი კრებული.საქ. სახ. ზოოტექნიკური-სავეტერინო ინსტიტუტი.თბ.,საქველმოქმედო", 1941,III.

138. **ნათმელაძე, დაუშვილი, 2004 –** ნათმელაძე, დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000), თბ., გამომცემლობა 2004.

139. **პაიკაძე, 2004** – პაიკიძე თ., მეცხვარეობა. თბ,:''თბილისი", 2004.

140. **პავლიაშვილი, 2006** – პავლიაშვილი დ., თუშეთი. თბ.: "ენა და კულტურა",

141. **Ვრცხილაძე, 1994** – რცხილაძე ვ., ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში.თბ.: ''განათლება", 1994.

142. **საქართველოს, 1980** – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII, თბ., გამომცემლობა 1980.

143. საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭოს მასალები კახეთისა და თუშეთის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. თბ.: ''საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია", 1957.

144. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მეცნიერთა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის ისტორია, თუშეთი. თბილისი, 2014.

145. **ფანჯიკიძე, 1982** – ფანჯიკიძე გ., თუშეთი ჩვენი თუშეთი. თბ.: ''საბჭოთა საქართველო",1982.

146. **ქებაძე, 2008** – ქებაძე მ., კახეთი ლევან კახთა მეფის პერიოდში 1520 – 1574. თბ.: ,,უნივერსალი", 2008.

147. **ღლიღვიშვილი, ბურდული, 1990** – ღლიღვაშვილი ა., ბურდული თ., თუშური ცხვრის შემდგომი სრულყოფა ჯიშის შიდა ტიპების შექმნის გზით.სამეცნიერო შრომები, სასოფლო-სსამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა მოშენების სრულყოფა საქართველოში. თბ.1990 .

148. **შავხელიშვილი, 2019** – შავხელიშვილი ა., სტატიები და საარქივო მასალები თუშეთსა და თუშებზე. თბ.: „მერიდიანი", 2019.

149. **შავხელიშვილი, 2019** – შავხელიშვილი ა., თუშები წოვათის თუშების ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა. თბ.: ''მერიდიანი", 2019.

150. **შავხელიშვილი, 2020** – შავხელიშვილი ბ., ადამ ალვანელი(ბობღიაშვილი) ჩემი მემკვიდრეობა. თბ. ''მერიდიანი", 2020.

151. **ჩხეიძე, 1995** – ჩხეიძე რ., დაწყევლილი თაობა, თბ.: ''ლომისი",1995.

152. **ჩხეიძე, 2021** – ჩხეიძე რ., 77 ამბავი 1942 წლის შეთქმულებაზე, თბ.: '' არტანუჯი '', 2021.

153. **ჩხეიძე, 2023 –** ჩხეიძე რ., სამანელები 61 ამბავი, თბ.: ''არტანუჯი", 2023.

154. **ცოცანიძე, 2004** – ცოცანიძე გ., ქალთა ქრონიკები. თბ.: ''დიოგენე", 2004.

155. **ცოცანიძე, 1990** – ცოცანიძეგ., გიორგობიდან გიორგობამდე. ეთნოგრაფიული ექსკურსიები თუსეთის ახლო წარსულში, თბილისი, 1990.
156. **ჯალაბაძე, 1967** – ჯალაბაძე გ., მიწათმოქმედება თუშეთში. კრებული, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ.: ''მეცნიერება", 1967.

პრესის მასალები

157. **არაბული, 2010** – არაბული ა.,უკანასკნელი სამანელი გოგალე ხოხიაიძე. ჟურნ. "ჩვენი მწერლობა", 2010, # 5.
158. **ასლანაშვილი, 1998** – ასლანიშვილი ა., თუშეთი მეტია, ვიდრე ცხვარი და ტურისტული დოლარი, გაზ. ''საქართველოს რესპუბლიკა", 1998,# 252.
159. **ალბანელი, 1897** – ალბანელი დ., თუშების ორი გუჯარი. ,,კვალი", 1897, # 52.
160. **აბაშიძე, 1979** – აბაშიძე ი., ჭრელაშვილიკ.,ტბათანა. ''ბახტრიონი'', 1979, # 86.
161. **გაბრიჩიძე, 1982** – გაბრიჩიძე, ნ., თუშეთი დღეს, თუშეთი ხვალ. ''საქართველოს ბუნება." 1982, #11.
162. **გრძელიშვილი, 1988** – გრძელიშვილი ზ., აღორძინების დღესასწაული. ''კომუნისტი". 1988, #63.
163. **გოგოჭური, 1974** – გოგოჭური ც., ზემო ალვანის სკოლაში ნახეთ მუზეუმი. ''ბახტრიონი", 1974, #39.
164. **დანილოვი, ხაჩატერიანცი, კეზელი, 1888** – დანილოვი., ხაჩატერიანცი., კეზელი., მცირე შენიშვნა. ''ივერია", 1888, # 54.
165. **ვახვახიშვილი, 1992** –ვახვახიშვილი ლ., ილია ცისკარიშვილი – დღიური. ''მნათობი", 1992, # 5-6.
166. **კურდღელაიძე, 2005** – კურდღელაიძე გ.,მოყნულ ბილიკებზე. ,,კლდეკარი",2005, #1.
167. **კერესელიძე, 2018** – კერესელიძე ლ., სამანელები ''საარქივო მოამბე", 2018, #19.
168. **კოკილაშვილი,1947** –კოკილაშვილი ა., ისტორიის ინსტიტუტი,ქართული მუსიკალური ფოლკლორის განყოფილების ექსპედიცია მთათუშეთში. ''კომუნისტი",1947, # 170.

169. **ლეკაიძე, 1925** – ლეკაიძე ვ., მთათუშეთი(თელავის მაზრა). ''ახალი სოფელი", 1925,#16.

170. **ლეკაიძე, 1925** – ლეკაიძე ვ., მთათუშეთი(თელავის მაზრა). ''ახალი სოფელი" , 1925,#17.

171. მგზავრის შენიშვნებიდამ., ''დროება", 1884, #109.

172. **მესხია, გვრიტიშვილი, ასათიანი, 1959**– მესხიაშ., გვრიტიშვილი დ., ნოდარ ასათიანინ., ბახტრიონის გმირული ეპოპეა. ,,კომუნისტი",1959,#82.

173. **ნარიმანიძე, 1991** – ნარიმანიძეს.,არ დაივიწყოთ ეს დღე. ,,ლიტერატურული საქართველო'', 1991, # 37.

174. **ნარიმანიძე, 1991** – ნარიმანიძე ს., არ დაივიწყოთ ეს დღე. ,,ლიტერატურული საქართველო''. 1991, # 39.

175. **პავლიაშვილი,1903** – პავლიაშვილი დ., სასკოლო საქმე თიანეთის მაზრაში(ერწო-თიანეთი და თუშეთი. კახეთი. ,,ცნობის ფურცელი", 1903,#2361.

176. **პრილეჟაევი, 1929** – პრილეჟაევი ი., მეცხვარეობის პერსპექტივები საქართველოში. ,,კომუნისტი", 1929,#187.

177. **რიკაძე, 2001** – რიკაძე ი., გერმანელებისათვის გადასაცემი ბარათი ჩეკისტებს ედოთ მაგიდაზე.''კვირის პალიტრა", 2001, #10.

178. *როგორ ისარგებლა ვასილ მჟავანაძემ ხრუშჩოვის საყვედურით. – ველური ბუნება.* 1 სექტემბერი, 2020 წელი –https://wildlife.ge/3648/2020/09/

179. საპატრიარქოს უწყებანი , 2011 ,# 25.

180. **ფაილოძე, 2000** – ფაილოძე ნ., ნეტა ვისთვის სურს კოტე ჭრელაშვილს მუზეუმისთვის გამოყოფილი შენობა."საქართველოს რესპუბლიკა",2000,# 214, გვ.9.

181. ქრონიკა, კულტურა და ყოფაცხოვრება, საქართველოს მუზეუმისა და საქართველოს მთიელთა კულტურული საზოგადოების მეცნიერული ექსპედიცია თუშეთში, ''კომუნისტი", 1932,#138.

182. **შანიძე, 1970** – შანიძე ა., თუშები. ჟ. ''მნათობი", 1970,#2.

183. **შატაიძე,1978** – შატაიძე ნ., ვინამ სთქვა თუშთა დალევა. ''ლელო", 1978, #163.

184. ჩეჩნები მეორე მსოფლიო ომის დროს– *ჩეჩნები მეორე მსოფლიო ომის დროს. ჩეჩნები და ინგუშები დიდი სამამულო ომის დროს. აჯანყება აჯანყების*

შემდეგ. – *Tigerdoor* (https://tigerdoor.ru/ka/balcony/chechency-vo-vremya-vtoroi-mirovoi-chechency-i-ingushi-v-gody-velikoi/)

185. **ჩხეიძე, 1992** – ჩხეიძე რ., ჩანაწერები 1942 წლის შეთქმულებაზე. ''საქართველო'' 1992, #30.

186. **ცაგარელი, 1875** – ცაგარელი პ.ალვანიდგან. გაზ. ''დროება''1875# 35.

187. **ხახანაშვილი, 1888** – ხახანაშვილია. მგზავრის წერილიდამ. ''ივერია''1888, #173.